


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

27 ივლისი 2012 №15(171)

იერუსალიმი: ღვთიური შარავანდი და მკაცრი რეალობა
მზის რაინდი მზიური წრის შემკვრელად
ვაჟა ოთარაშვილი ნანი თარხნიშვილზე
გაიანე ხაჩატურიანის მუზეუმის გამო
ალექსეი ლოსევი და საქართველო
ნატა ვარადას ლირიკული ციკლი
მართლმადიდებლობა ამერიკაში
მეცნიერთა უბერებლობისათვის
სევარიონ ნადირაძის ლექსები
არშის ციხე და მისი ეკლესია
ბასტოსის ხის ჯვარცმა
ამირანის კალამი



შინაარსი

ერი და გადისწერა	2	მზის რაინდი მზიური წრის შემკვრელად (ნანა გოგიას ესაუბრება როსტომ ჩხეიძე)
გამოსაქვეყნება	5	იოსებ ქუმბურიძე „ჩემი“ გვერდი, ლაღოს ენი, ამირანის კალამი...
უსწორეთის ცხოვრებამდე	6	პაატა ჩხეიძე მართლმადიდებლობა ამერიკაში
ქსენოფონ-ჩინოვანი	8	ცოტნე ნაკაშიძე „ვიცხოვროვებ პატიოსნად“ (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
დრამატურგია	10	კობა ცხაკაია 3=2+1
პოეზია	20	ნატა ვარადა მისეფების ასულაბი, ნომეგარი და სხვა ლექსები
	23	სეგარიონ ნადირაძე ცხოვრება ერთი ანი და ჰოე
კლასიკური მემკვიდრეობა	26	მაია ცერცვაძე „ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისაგან“ (ორიოდ სიტყვა ალექსეი ლოსევზე)
	29	ალექსეი ლოსევი მაცნობრთა უბრებლობისათვის
ზღრიხები პორტრეტისათვის	31	ვაჟა ოთარაშვილი გზა დაზამთრებამდე (ნანი თარხნიშვილის ერთგომეულის „დაზამთრებამდე“ გამოსვლისა გამო)
გიგლის ნაკვალავი	35	ირუსალიმი: ღვთიური შარავანი და მკაცრი რეალობა (ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება ნინო დოლიძე)
ჩვენი ყოფა, წუთისოფალი	39	ნინო აბულაძე ვიღაცას არ უნდა ეძინოს (გაიანე ხაჩატურიანის მუზეუმის გამო)
კრიტიკა	40	მიხეილ ქონქაძე იქ, შარმისდელი ცხოვრების ზღვართან... (ნაზი კილასონიას 100 ლექსის გამოცემის გამო)
ლიტერატურული ცხოვრება	41	ნუცა მარგველანი მატრიკომის თანადგომით (ქართული ლიტერატურის მუზეუმის ახალი გამოცემები)
ერთი ლექსის სივრცე	42	ქეთევან ჯერვალიძე, ნინო პეტრიაშვილი „ქაიფი“ ვაჟა-ფშაველასი
დაუვიწყარი სახელები	46	ირინე ლომთათიძე „თბილი პურის მარადისობა“ (ქეთევან ქუჩუკაშვილის ხსოვნის საღამო)
ახალი წიგნები	48	ლალი შუკაკიძე ქართული ლექსის კვლევის ნიგნი-მატიანა (თამარ ბარბაქაძის „ქართული ლექსთმცოდნეობის ისტორია“)
სამართვალის გზაზე	50	ანა გელაშვილი არშის ციხე და მისი მცირე ეპიკისი
ახალგაზრდავო, ან კი თქვენ	51	გვანცა ბეგიაშვილი მეფე და მიწნური (ამოტ კურაპალატის ფიქრები)
ახალი თარგმანები	52	აუგუსტო როა ბასტოსი ხის ჯვარცმა
მოზაიკა	63	ფასი თუ ფასეულობა

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯობაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ბანა, ტაო-კლარჯეთი

ანა გელაშვილის ფოტოგრაფია



მზის რაინდი მზიური წრის შემკვრელად

(ნანა ბოზიას ესაუბრაბა როსტომ ჩხეიძე)

— ბატონო როსტომ, ახალ დიალოგზე რომ შევთანხმდით.

— პირობას არც დავარღვევ, მაგრამ მიჩვენია, თუ სახელდახელო იქნება.

— კეთილი, სახელდახელო იყოს. ისე გამოვიდა, რომ სადაც შეჩერდა ვასილ ბარნოვის მხატვრული მატრიანე საქართველოს ბედისწერისა, იქიდან იწყება თქვენი მხატვრულ-დოკუმენტური ქრონიკების ციკლი — ალექსანდრე ბატონიშვილი ამთავრებს ბარნოვისეულ მატრიანეს და ხსნის ქართული ბიოგრაფიული რომანისტიკის თქვენეულ რკალს.

— ალექსანდრე ბატონიშვილთან ჩაესვენა ძველი საქართველოს მზე, არა მეფე ერეკლესთან, როგორც გაბატონებულიყო ეს შეხედულება გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“ მოკიდებული, არამედ სწორედაც მის ვაჟთან, ვისაც თავი არ დაუზოგავს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღსადგენად, თუ ეს ოცნება ვერ აღისრულა, შენარჩუნებით მაინც შეგვიწარჩუნა თავისუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინიც და რაინდული სულიც; და ნიშანდობლივია, რომ გადამწყვეტ გაბრძოლებას ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად მისი სურათიც მიუძღოდა — ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტთან ერთად — სულიერი სიმხნევის, სიმტკიცის, თავგანწირვის წყაროდ, იმედოვნებისა და რწმენის შუქურად.

— ეს პორტრეტი არ გადმოსდგომოდა თავს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1918 წლის 26 მაისს.

— იმ ღირსშესანიშნავ დღეს, სამწუხაროდ, კარლ მარქსის პორტრეტი გადმოჰყურებდათ, რაკილა მენშევიკებს ჩაუვარდათ ხელთ ქვეყნის მართვის სადავეები, და როდესაც ასე უღმერთოდ აირევა სულიერი ღირებულებანი — ალექსანდრე ბატონიშვილს კარლ მარქსი თუ მსგავსნი ჩენაცვლებიან — აღარ უნდა გაგვიკვირდეს, ის სახელმწიფო მხოლოდ ეფემერულად რომ გადაიღვებდა — სულ რაღაც სამ წელიწადში.

— ჩვენს მიერ ამოგებულ სახელმწიფოს კი ალექსანდრე ბატონიშვილის სული მსჭვალავს?

— მის სათავეს, მის საფუძვლებს, ამოშენებულს ეროვნულ მრწამსსა და შეხედულებებზე. ეს მრწამსი და შეხედულებანი ჩაკირული მის აღდგენაში და, როგორც უნდა გამრუდდეს ჩვენი სახელმწიფოს მსვლელობის გეზი, ამ საფუძვლებს ველარავინ მოშლის და მაინც მოვიპოვებთ ჩვენს შესაფერის ადგილს საკაცობრიო ცხოვრებაში — საქართველოსა და კავკასიის გარეშე წარმოუდგენელი რომ შეიქნება მსოფლიო-ისტორიული ძვრები.

— თქვენ გჯერათ საქართველოს ისტორიული მისიისა?

— ეს თუ არა გჯერა, რა აზრი აქვს არსებობას — მაშინ ნახირად თუ ფარად გადაიქცევა ერთი, სამადლოდ რომ განაგრძობს სუნთქვას და ღობე-წორეს მოდებას, ვიდრე — გიორგი მუხრან-ბატონის იმ უღმობელი განაჩენისა არ იყოს — პირნიმნდად შეერწყმოდეს რომელიმე დიდ ქვეყანას, ან მგელს შეეჭმევინოს და ან მგლისფერ ძაღლს.

— რაკილა თქვენი ბიოგრაფიული რომანების ციკლი XIX-XX საუკუნეებს მოიცავს, ალბათ იმთავითვე განზ-

რახული გექნებოდით ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკის შექმნაც.

— განზრახვით იმდენი რამ განმიზრახავს... და ასე ზოგადად ისკანდერ ბატონიშვილის სახეზეც ტრიალედა ჩემს ფიქრსა და წარმოსახვაში, ისიც რომ დაფიქრებით მანიშნებდა, ჩემი დრო როდისლა დადგებო?! მაგრამ მას შემდეგ, რაც პიესის დაწერა მომიხდებოდა მის ბედისწერაზე, მივიჩინევიდი, რომ მის წინაშე ვალი მოხდელი მქონდა, მითუმეტეს, მისი სახელი ჩემს სხვა ბიოგრაფიულ რომანებშიც გაივლებდა ხოლმე... და მაშ ჩემს ბიოგრაფიულ რომანთა ციკლის გამხსნელი ყოფილიყო ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრების ქრონიკა.

— ის პიესა „ლეგენდა ისკანდერისა“ მოულოდნელი გახლდათ მკითხველისათვის.

— ჩემთვისაც არანაკლებ მოულოდნელი, რადგანაც მანამდე დრამატურგობაზე არასოდეს მეფიქრა.

— მაგრამ დაუნერევი პიესის ტრაგედიამ ააციოლიათ.

— დიახ, დაუნერევი პიესის ტრაგედიამ, სანდრო ახმეტელი რომ ოცნებობდა: ახ, ერთი პიესა რომ მომცა ალექსანდრე ბატონიშვილზე, მერანისებური პიესაო.

— ეს იმიტომ, პავლე ინგოროყვას წყალობით მისთვის ცნობილი რომ იყო, ნიკოლოზ ბარათაშვილმა „მერანი“ სინამდვილეში ალექსანდრე ბატონიშვილს რომ მიუძღვნა და არა ილია ორბელიანს.

— „მერანი“ ალექსანდრე ბატონიშვილის დაუმორჩილებელი სულია გამოხატული და განზოგადებული, მის შრეებში რუსთაველის ავთანდილიც რომ იგულისხმება, თვითონ ავტორიც, და ყველა, ვინც თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის შეგნებით სუნთქავდა და სუნთქავს, მაგრამ ლექსის მთავარ ძარღვს მაინც ისკანდერის მოლანდება განსაზღვრავს.

— ამ პიესამ დიდი ხმაური და ინტერესი გამოიწვია მკითხველებში და უთუოდ ამან შეგაგულიანათ კიდევ ერთი პიესის დასაწერად, ეს უკვე ზურაბ ანტონოვსა და დაკარგული პიესის ტრაგედიამ, მაგრამ არ მინდა ჩვენი მსჯელობის გეზს ავცდეთ... და საგულისხმოა, თუ მიიჩნით, რომ ამ პიროვნების, მართლაც ბაგრატიონობის ღირსი ისტორიული პერსონაჟის, წინაშე ვალი პიესით უკვე მოხდელი გქონდათ, ასე მალე რალამ მიგაბრუნათ ამავე თემისაკენ?

— ბოლო ხანს ზედიზედ მომინია დაწერა რამდენიმე ბიოგრაფიული რომანისა — თერთმეტი ამოვათავე და მე-თორმეტის წინაშე ცოტა არ იყოს დაძაბული შევჩერდი. და თუმც მხატვრულ-დოკუმენტური ნიგნი შეიქმნებოდა „ორი მდინარის შესაყარზე“, როგორც ვარიაციები ოთარ ჩხეიძის რომანის — „ჩემი სავანე“ — თემებზე, მიუხედავად სიდიდისა, მას მაინც მივიჩნევიდი ბიოგრაფიული რომანის „ავვისტოს შეილებე (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“ დამატებად და რომანთა ნუმერაციაში ცალკე აღარ შემიტანია.

ასე რომ, შეფიქრიანებული ვიდეტი მეთორმეტე რომანის წინაშე — მზის ერთი ციკლი რომ უნდა მოეცვა და დასრულებული სახე შეეძინა, თორემ უამისოდ თერთმეტი შეუკვრელი და ჰაერში გამოკიდებული რჩება. სხვათა შორის, ჩემი სიჭაბუკის მონოგრაფია „ამირანის თქმულება“ თერთმეტი

თავისაგან რომ შედგებოდა, ეს არა რალაც შემთხვევითობა, არამედ სწორედაც შეგნებული გადანყვეტილება გახლდათ — ერთგვარ ღია ფინალს გულისხმობდა, დაუსრულებლობას, მზის ციკლისაკენ მისწრაფებით რომ მიისწრაფოდა, მაგრამ რალაც აკლდებოდა, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო — მითოსზე მსჯელობა, იმ წინარეისტორიული ეპოქის სულში შელწვევის ცდა ჩვენი ეპოქის გადასახედიდან პირობითი უფროა, ვიდრე რეალური, და დაე მონოგრაფიის კომპოზიციურ აგებულებასაც მიენიშნებინა ეს პირობითობა.

— **ამჯერად, ცხადია, სულაც არ აპირებდით, რომ რომანთა სერია თერთმეტზე შეგეწყვიტათ.**

— რას ამბობთ, თერთმეტზე კი არა... სულ ცოტა, კიდევ ერთ რკალს ვვარაუდობ, კიდევ ერთ მზის ციკლს, კიდევ ერთ თორმეტნიგნეულს... უბრალოდ, შემოქმედებითი ცხოვრება არ არის სწორხაზობრივი, მატარებელივით რომ მისრიალებდეს გაკრიალებულ ლიანდაგებზე, და კიდევ კარგი, რომ არ არის ასეთი, თორემ არც სიცოცხლე ეღირებოდა და არც კითხვა და წერა. თუმცა... ეს ხომ სინამდვილეში ერთი და იგივეა.

— **არა, მაინც რამ მიგაბრუნათ ამავე თემისაკენ?**

— მას შემდეგ, რაც პავლე ინგოროყვაზე გამოვაქვეყნე ბიოგრაფიული რომანი, ანუ ეს ჟანრი პირველად მოვსინჯე, ხშირად უთქვამთ ჩემთვის: ალექსანდრე ბატონიშვილზე როდისღა დანერო?! ეს ნიშნავდა და ნიშნავს, რომ ხალხში არის წყურვილი ალექსანდრე ბატონიშვილის მონატრებისაც და მისი ბიოგრაფიის თავიდან ბოლომდე, უწერილმანეს დეტალებამდე გაცნობისაც. მაგრამ თუ ამ ჟანრის თხზულებაც შეიქმნებოდა ამ გმირზე, ის აუცილებლად ბარათაშვილური და მერანისეური უნდა ყოფილიყო.

— **ბარათაშვილური, მერანისეური რომანი?**

— ჰო, აბა, ნაკლებსათვის ცოდოა ეს თემა... სანდრო ახმეტელის ნატვრა: ახ, მერანისეური ტრაგედიაო, — ძალდაუტანებლად გამეორდება: ახ, მერანისეური რომანიო.

— **და ეს გეძნელებოდათ?**

— რა, არ გაგიძნელებდა, როდესაც ამ გადასახედიდან გახედავ ალექსანდრე ბატონიშვილის მღელვარე ცხოვრებას, უოლტერ სკოტის კალმის შესაფერისს? ალექსანდრე დიუმასიც რატომაც არა... და მიხეილ ჯავახიშვილისაც... და კიდევ...

— **დასანანია, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ალუსრულელები დარჩა ეს კარგა ხნის ნალოლიავეები ოცნება — რომანის შუაგულში მოექცია ალექსანდრე ბატონიშვილის მონუმენტური სახება.**

— ბევრი ჩანაფიქრი და ნატვრა ჩაუშალა ბოლშევიზმის სასტიკმა ცელმა, და ამ რომანთან ერთად იმ განზრახვის ჩაკვლაც გაუნელებელ ტკივილად შემორჩება ჩვენი მწერლობის ისტორიას: რომანი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე.



როსტომ ჩხეიძე

— **თითქოს მართლაც თქვენ გადმოგებართ მიხეილ ჯავახიშვილის ალუსრულელებ ოცნებათა ხორცშესხმა: ქაქუცა ჩოლოყაშვილიც აკი თქვენ აქციეთ რომანის გმირად.**

— ეს სულიერი კავშირები ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე ყოფითი ურთიერთობანი თუ დინებანი.

— **თავის ჩანაწერებში მიხეილ ჯავახიშვილი უმემკვიდრობას ჩიოდა.**

— რას წარმოიდგენდა, რომ მის ტრაგიკულ აღსასრულს მალევე მოჰყვებოდა მისი სულიერი მემკვიდრის გამოჩენა სალიტერატურო ასპარეზზე — ოთარ ჩხეიძისა, სატირიკოსობას რომ გაბედავდა საბჭოურ ეპოქაში, საამისოდ ყოვლად შეუფერებელ გარემოში — აკრძალულიყო გოგოლობა, სალტიკოვ-შჩედრინობა აკრძალულიყო პირადად საბჭოთა იმპერატორის მიერ, მიხეილ ჯავახიშვილობის აკრძალვაც თავისთავად იგულისხმებოდა, მაგრამ ის, რაც ვერავინ გაბედა რუსეთის იმპერიის უშველებელ ტერიტორიაზე, გაბედა მის სამხრეთ პროვინციად გამოცხადებულ საქართველოს რესპუბლიკაში ოთარ ჩხეიძემ, შთაგონებულმა სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის თავგანწირული მოქმედებით.

— **და ახლა თქვენც გამოუჩნდით მიმდევრად.**

— მე უფრო ჰეროიკულ-რომანტიკული კუთხით.

— **ამიტომაც ტრიალებს თქვენს მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებში — არამარტო ამ ორ რომანში — ასე ხელშესახებად მიხეილ ჯავახიშვილის ლანდი.**

— მისიც, სხვებისაც... ოთარ ჩხეიძეს აქვს ამ სახელწოდების რომანი „ლანდები“, რომელსაც თავიდან ბოლომდე გამოსდევს გალაკტიონის იდუმალი აჩრდილი. ეს იმ მხატვრული ქმნილების სტილისტიკაა, ჩემი ნაწერები კი ერთიანად ლანდებითა დასახლებული და ზოგადი ფონიც ეს არის და სტილისტიკაც.

— **თერთმეტი რომანის შემდეგ ცოტა არ იყოს დაძაბული შეეჩერდით, ბრძანეთ. თუ გახსოვთ, რა აღმოჩნდა უშუალო ბიძგი მეთორმეტე ნიმუშის შესაქმნელად, თუ ეს გაუცნობიერებლად მოხდა?**

— მახსოვს, როგორ არა. 2011 წლის 13 ივლისს რედაქციაში გვესტუმრა ზაზა აბზიანიძე, მკვლევარი, ესეისტი, ესთეტი, წიგნის კაცი ამ მხრივაც ჩვენს გაუდაბურებულ, გაპამპულეზულ დროში, და სხვადასხვა თემაზე საუბრისას — უმთავრესად მაინც ქართული დუელი ისტორიის ვულტურიალებდით — უეცრად პათეტიკურად შემომძახა: ხომ ხედავ, შენს მეტი არავინაა ბიოგრაფიული რომანის დამწერი ალექსანდრე ბატონიშვილზე და ნულა აყოვნებ, ადრე თუ გვიან, მაინც შენი მისახედიო. — რალაც სხვებმაც დაწერეთ, ყველაფერს მე ნუ კი ამკიდებთ, — ხუმრობას ვაჯურედი პასუხში, მაგრამ ის არ მომისმენდა და გაიმეორებდა და გაიმეორებდა: ალექსანდრე ბატონიშვილზე ერთი რომანი, ალექსანდრე ბატონიშვილზე ერთი რომანი... მეორე დღეს 14 ივლისი თენდებოდა.

— **ბასტილიის დაცემის დღე.**

— ძალიან არ მენალვლება ბასტილია!.. ვაჟა-ფშაველასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღე და ამიტომაც სიმბოლური ქართველთათვის... და სისხამზევე ჩაფუჯეკი წერას... თუმც იმ წუთას რომანად არც ვვარაუდობდი, აი, მცირე მონოგრაფიების ციკლი რომ მაქვს, მის ნაწილად უფრო ვიგულისხმე. თან ვწერდი და, იმავდროულად, თან ვამუშავებდი მთელს იმ ისტორიულ-დოკუმენტურ მასალებს, ალექსანდრე ბატონიშვილის ირგვლივ რომ თავმოყრილიყო, და ასეთი პროცესი ჩემთვის სრულიად უჩვეულო გახლდათ.

— **წინასწარვე ემზადებით ხოლმე?**

— ცხადია, წინასწარვე და ყოველმხრივ. წერისას ყოველთვის გამოჩნდება ახალი მასალებიც, მაგრამ უმთავრესი ნაწილი შესწავლილი და გააზრებული მაქვს ხოლმე. ისე ერთი სიკეთე კი მოჰყვა ამ თან წერასა და თან მასალების მოძიება-დამუშავებას: სიუჟეტური ხაზიდან აღარ გადამიხვევია. მანამდე ვერასოდეს ვახერხებდი თანმიმდევრულობის შენარჩუნებას — ხან რომელი ეპიზოდისა თუ სურათის აღწერა მიწვედა და ხან რომელის. თავი, შუა, ფინალური მონაკვეთი ერთმანეთში იბურდებოდა, გადავდიოდი, გადმოვდიოდი, და საბოლოო წერტილს რომ დავსვამდი, ხელთ ქოტური მასალა მეპყრა, თუმც გონებაში მკაფიოდ მქონდა გააზრებული, თუ როგორ უნდა დამელაგებინა და შემეკრა კომპოზიციური მთლიანობა. ასე რომ, თან რედაქციას ვუკეთებდი და თან ვალაგებდი. სიუჟეტური ხაზი რომ აღდგებოდა, შემდეგ ვიწყებდი მეორე რედაქციას, რათა შინაგანი ერთიანობა კიდევ უფრო გამძლიერებინა და კომპოზიციაც კლასიკური შთამბეჭდაობით დამეხვენა. ამჯერად კი ერთი რედაქციაც საკმარისი გამოდგა.

— **„მზის რაინდის“ შემდეგ ხომ არ აპირებთ ასევე გაგრძელებას — წერასა და მასალების შესწავლა-დამუშავებას ერთდროულად?**

— არა, ეს შემთხვევით მოხდა და სულაც ვერ ვხედავ მასში რაღაც კანონზომიერებას. ამიტომაც ისევ ჩემებურად მირჩევნია. მირჩევნია რა — ჩემი შემოქმედებითი ბუნება და სტილი ესაა. როგორ ამბობენ ხოლმე? როგორც მინირია, ისევე ვწირავო. აგერ გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკაც...

— **„კომიკოსი ტრაგედიაში“, არა? იმ ფრაგმენტებს, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, ასე ჰქონდა მიწერილი.**

— დიახ, „კომიკოსი ტრაგედიაში“, და მისი დასრულების შემდეგაც ქოტურად დახვავებული ფურცლების წინაშე აღმოვჩნდი. ჯერ მათ მონესრიგებასა და რედაქციას დასჭირდა კარგა ხანი და მერე — ხელახალ რედაქციას. და ყოველთვისაც ასევე მომიწევს, თუ რაღაც შემთხვევითობით კვლავ „მზის რაინდის“ წერის პროცესი არ განმეორდება.

— **წინასიტყვაობაში აღნიშნავთ ალექსანდრე ბატონიშვილის მწერლურ უნარსა და ირწმუნებით: თუ მის პირად წერილებს სრულად მოვუყრი თავს და კომენტარებითა და მცირე ექსკურსებით შევავსებთ, ადვილი მოსალოდნელია მშვენიერი ეპისტოლური რომანი შეგვჩვენოს ხელთ, ის კი არა, შესაძლოა ავტობიოგრაფიული რომანიც დაერქვას, ორი ავტორი რომ ეყოლებო.**

— ალექსანდრე ბატონიშვილის შეპყრობა და გადასახლება რომ მოეხერხებინა რუსეთის იმპერიას და საწერად თავზესაყრელი დრო ჰქონოდა, ბრწყინვალე მწერალი იქნებოდა. ამაში სავსებით გვაჯერებს მისი ეპისტოლეები —

მართლაც პროზაიკოსის ხელით დაწერილი, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის კერძო წერილები-სა არ იყოს... მაგრამ მაშინ აღარ გვეყოლებოდა ეს ეროვნული გმირი, რომლის შარავანდშიც ვაგრძელებთ არსებობას ყველა ისინი, ვისაც გვწამს საქართველოს სახელმწიფოებრივი ძალმოსილებისა, არავის პროვინცია თუ შტატი რომ არ იქნება და საკუთარი ძალ-ღონით გახდება განუყოფელი ნაწილი საკაცობრიო მდინარებისა.

— **აუცილებლად იქნებოდა ამ რომანშიც განსაკუთრებით რთული მონაკვეთები, რომელთა გადალახვაც შვენიო ამოგასუნთქებდათ: ეტყობა, თხრობას ბოლომდე მივიყვანო.**

— ყველა ესეისა თუ სტატიას აქვს ერთი ან ორი უღელტეხილი და რალა უნდა ითქვას ბიოგრაფიულ რომანზე, სადაც უღელტეხილები საკმაოადაა, ერთი-ორი ხომ სწორედაც განსაკუთრებით რთული და ლამის გადაუღახველი. „მზის რაინდში“ ერთი ასეთი მონაკვეთია კახეთის აჯანყების — მაშინდელი ტერმინოლოგიით: კახეთის რევოლუციის — ამბები, კინალამ რომ შეძლო ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი სამშობლოს გამოტაცება რუსეთისაგან და სახელმწიფოებრიობის აღდგენა... კინალამ, კინალამ!.. ამბოხების მთელი თავგადასავალი, ათასგვარი მღელვარებითა და ტრაგიზმით აღსავსე, ჩასახვიდან და მოთავებამდე, საკმაოდ კარგადაა შესწავლილი (გავიხსენოთ თუნდაც საუკუნის წინანდელი ალექსანდრე ფრონელისა და სულ ახლანდელი აკაკი გელაშვილის მონოგრაფიები), დოკუმენტური მასალების მიხედვით ნაბიჯ-ნაბიჯ შეგვიძლია აღვადგინოთ მისი მსვლელობა და არაერთი მონაწილეც ხელშესახებად გავაცოცხლოთ. მასალების ასეთი სიუხვე კი ძალზე მაცთურია — შესაძლოა გაგიყოლოს, თავისთავად მიმზიდველი საკითხავიც გახდეს და... უნებლიეთ კი რომანის კომპოზიციის მოგირღვიოს.

კონსტანტინე გამსახურდიას რაც დაემართა „დავით აღმაშენებლის“ წერისას.

ჯვაროსანთა ომების შესწავლამ რომ მოუწია, თავი ვეღარ შეიკავა და ჩააფინა და ჩააფინა რომანის სიუჟეტში ისტორიული ქრონიკები, დიდძალი უცხოური მასალა, დასავლური თუ აღმოსავლური წყაროებიდან ამოკრებილი, მარჯვედაც დალაგა და გადააბა ერთმანეთს, მიმზიდველ თხრობადაც აქცია და მკითხველისათვის მრავალმხრივია საგულისხმო, მაგრამ... რომანიდან კი ამოვარდა და მიიმე ხარვეზადაც დააჩნდა მის კომპოზიციურ აღნაგობას, მხატვრული თვალსაზრისით უაზრო განწევას რომ დაემგვანა.

— **თქვენთვის კი ეს გაკვეთილად გამოდგა.**

— იმ გაკვეთილად, რომლისგანაც ვსწავლობთ, თორემ მოგეხსენებათ, გაკვეთილების ტრაგიზმი, ისტორიულისაც და მხატვრულისაც, ისაა, რომ მისგან უმთავრესად არავინ არაფერს სწავლობს.

— **მოგვეხსენება პოლ ვალერისაგან.**

— დიახ, მისი ერთი სენტენცია ძალდაუტანებლად წამომბაგონდა... იმას ვამბობდი, კახეთის აჯანყებასაც შეიძლება გამოეწვია მისი რაც შეიძლება დეტალურად წარმოსახვის ნადილი და ლამის კიდევ ამიყოლია... თან არც ის შეიძლება, რომ ნამეტანი შეკვეცო თხრობა და ისტორიული ფონი სრულიად დაგეკარგოს ანდა გაგიფერმკრთალდეს. როგორღაც უნდა უზიფათოდ იმოძრაო გადაჭარბების სცილასა და ზედმეტად შეკუმშვის ქარიბდას შორის.

— **ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს „უზიფათო მოძრაობა“ წარმატებით დაძლიეთ, თითქმის იდეალური**

შეთანასწორებით.

— იდეალურისა რა გითხრათ, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით ვიცი, რომ რომანის კომპოზიცია არ მორღვეულა.

— და კონსტანტინე გამსახურდიას უმადლით.

— კონსტანტინე გამსახურდიას ბევრ რაიმეს ვუმადლი, რაკილა ჩემი ცნობიერების დადგინებაზე მისმა რომანებმაც, ნოველებმაც და ესეებმაც დიდი ზეგავლენა იქონია. თუმც ამასობაში „სახელდახელო საუბრის“ ფარგლებს ხომ არ გავცდით?..

— არც მე დავარღვევ პირობას, მხოლოდ იმას დავძენ, რომ ზუსტად შენიშნა თემურ ქორიძემ თქვენი ბიოგრაფიული რომანის „შავი ჩოხა“ რეცენზიაში „თურმე არც რამე დაკარგულიყო“, რომელიც მე დიდებულ ესეიდ მიმარინია: „როსტომ ჩხვიძემ ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში იპოვა ის, რაც აქამდე დაკარგული გვეგონა!“ ეს სიტყვები მართოდენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის

თქვენულ პორტრეტს კი არა გულისხმობს, არამედ თავისთავად განზოგადდება მთელს თქვენს შემოქმედებაზე, უპირველესად კი მაინც ბიოგრაფიული რომანების სერიაზე, რომლის ერთი მზის შემობრუნებაც უკვე მოთავებულია და მეორეც დაწყებული გალაკტიონ ტაბიძით. თქვენს უჩვეულო შემოქმედებით ნაყოფიერებას რომ ვიცნობთ, არ არის გამორიცხვული, რომ სულ რამდენიმე წელიწადში მოგვინიოს მეორე თორმეტწიგნეულის დასრულებასთან დაკავშირებით გასაუბრება.

— ბედისწერის კანონებში ნუ ჩავერევით... რამდენიმე წელიწადში კი არა, ეგებ ვერც ვერასოდეს მივალწიო მეორე თორმეტწიგნეულის ფინალს, თორემ ლორდ ბაირონსაც ძალიან ენადა „დონ ჟუანი“ 24 სიმღერამდე აეზიდა, მაგრამ სადღაც მეთექვსმეტეზე გაუწყდა.

— მაგრამ ხომ შეიძლება ვინატროთ, რომ ამჯერად ასე არ მოხდეს?

გამოსაუბრება

„ჩემი“ გვერდი, ლადოს ეხი, ამირანის კალამი...

დაე გაგიკვირდეთ: „ჩვენი მწერლობის“ კითხვას ბოლოდან ვინცებ, უფრო ზუსტად, გარეკანის მე-3 გვერდიდან.

აქ ყოველთვის რაღაც ძალიან საინტერესო და ნუგბარივით ტკბილი „მეგულის“.

მე-13 ნომერში (29 ივნისი, 2012) ულამაზესი ფოტო დამხვდა, თეთრი ისრით და ფრიალ დამაინტრიგებელი წარწერით: „ლადო ბალიაურის სამალავი“.

ეს საუკეთესო წარწერაა, რაც კი ოდესმე წამიკითხავს.


ფოტოზე მინაწერი — მთლად უკეთესი!

ეს მინაწერი კარგ ლექსს ან ნოველას უდრის. მხატვრული ნაწარმოებია.

მინაწერს „ლადოს ეხი“ ჰქვია.

ავტორი ამირან არაბულია.

ლადო ბალიაურის გული უნდა გქონდეს, ჯუთაში, მირეზის ხევში, „ორბების საფრენსა და არწივთა საბოინოში“ რომ ბინადრობდეს და „ერთი კაცის საბრუნად ძლივს საკმარი გამოქვაბულიდან“ ზვერავედ გზას, საიდანაც შენს შესაპყრობად გამოგზავნილი შინსახკომის რაზმს ელოდები.



ამირან არაბული არაგვის ხეობაში, კოპალას ქვის სიახლოვეს

ამირან არაბულის კალამი უნდა გქონდეს, ეს ყოველივე ისე აღწერო, რომ რეპრესირებული მწერლის პორტრეტი და ბედიც დახატო და ავადსახსენებელი ეპოქის სულიც, თანაც, მკითხველს, იმავდროულად, ქარაფებისა და ჭიუხების გულისნამსვლელი სილამაზეც აჩვენო.

ჯერ მარტო რამდენი უცნობი ქართული სიტყვა და ცინცხალი გამოთქმაა ამ მინაწერში.

აქ „ცას სინათლის ჭვრიტი დაჰკარგვია“...

აქ „წიმარო ნაკადული კანკალით ჩამორბის ქვალორიან სადინარში და საგაზაფხულო გახელებით ლოკავს ჯერაც უმწვანო ლება ნაპირებს“.

აბა, მწერლობა სხვა რაღაა, თუ არა სიტყვებით ხატვა?!

ისე, ამირან არაბულისგან ეს რატომ უნდა გვიკვირდეს?

არც მიკვირს.

უბრალოდ, მიხარია.

ისევე, როგორც საერთოდ მიხარია მისი არსება.

მისი და ეთერ თათარაიძის ერთად არსებობა — მით უმეტეს!

და კიდევ: მოუთმენლად დაველოდები ორ-სამ სიტყვიანი ტექსტების იმ კრებულს, ამირანი რომ გვპირდება.

წარმომიდგენია, რა სიამოვნებას განგვაცდევინებს „საჯიხვეებში, იალაღებზე, სამთო გზაბილიკებზე, სათიბებსა თუ მათათა თხემებზე მიმოფანტული წარწერების“ გაცნობა.

ამირან არაბულისგან სხვა

უამრავ სიხარულსაც ველოდებით.

იოსებ ჭუმბურიკა

პაატა ჩხეიძე

მართლმადიდებლობა ამერიკაში

ჯერ კიდევ მაქვს ვებერი მიუთითებდა პროტესტანტიზმის წარმართველ როლზე კაპიტალიზმის განვითარებასა და ამერიკული პრაგმატული ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში.

ამ ლოგიკით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კათოლიციზმი კონსერვატიზმის თავშესაფარი იყო ორი საუკუნის მანძილზე.

კათოლიკურ ეკლესიას ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ჰქონდა გავლენა ინტელექტუალურ კონსერვატიზმზე.

XX საუკუნეში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, კონსერვატიზმი ორი მაცოცხლებელი წყაროთი საზრდოობდა: ლიბერტარიანიზმითა და კულტურული ტრადიციონალიზმით. ლიბერტარიანიზმი კლასიკურ ლიბერალიზმზე დაყრდნობით კრიჭაში ჩაუდგა სთეითიზმს და ცდილობს შეაჩეროს დესპოტიზმისაკენ გადახრილი სახელმწიფო ტენდენციები. რასელ კერკისა და მისი თანამოაზრეებისათვის კი კათოლიკურ ეკლესიისგან განსხვავებული აღქმა რწმენისა და აზროვნებისა, სულისა და სხეულისა ბუნებრივი კონსერვატიზმის სახლია, სადაც უნდა განახლდეს XX საუკუნის კატასტროფებს გადარჩენილი დასავლური კულტურა.

ანგლიკანური ეკლესიის მრევლში მრავლად იყვნენ დიდი მოაზროვნენი, ვინც კათოლიკური ეკლესიის უპირატესობა აღიარეს და მის ნიაღში დაბრუნდნენ, მათგან თუნდაც ერთის, ჯონ ჰენრი ნიუმენის, დასახელება იკმარებს.

ევანგელისტური ეკლესიის ინტელექტუალთაგანაც მრავალმა იბრუნა პირი კათოლიციზმისაკენ, იმ რწმენით, რომ რეფორმაციას ამიერიდან მხოლოდ ტრადიციის ფონად განიხილავდნენ.

ამერიკელ ინტელექტუალ კონსერვატორთაგან ნაკლებად ცნობილი არიან ისინი, ვინც ქრისტიანული აღმსარებლობისა კი არიან, მაგრამ დასავლური ფრთიდან, კათოლიკური იქნება თუ პროტესტანტული, აღმოსავლური ორთოდოქსიის წიაღში ბრუნდებიან და მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს.

1054 წელს მომხდარი სქიზმის შემდეგ ათასი წელი გავიდა და დასავლეთში მრავალი მოაზროვნე აღიარებს, რომ მართლმადიდებლობა კი არა, დასავლური კათოლიციზმი გამოეყო საყოველთაო ქრისტიანულ ეკლესიას.

აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანობა მას მერე ცალ-ცალკე განვითარდა ძალზე განსხვავებულ სულიერ, მატერიალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში.

დიდად ინტელექტუალური ავტორებიც კი, როცა პრობლემის არსისათვის თვალის არიდება სურთ, იტყვიან, მართლმადიდებლობა იგივე კათოლიციზმია ოლონდ უპაპოდო, და გაკვრით ეროვნულ ელფერსაც გაიხსენებენ, ბერძნულს, სლავურს, კოპტურსა თუ ქართულს, მაგრამ თუ რომის მიღმა გაიხედავენ, უძველესი აღმოსავლური ეკლესიებისაკენ, უნდა აღიარონ, რომ მართლმადიდებლებმა შეინახეს და შეინარჩუნეს თეოლოგიური და ლიტურგიული სახე, ქრისტიანობის დაფუძნებიდან პირველი ხუთასი წლის მანძილზე რომ ჩამოყალიბდა.

კათოლიციზმის დამცველები მიუთითებენ, ამ უძველესი ეკლესიის დიად ინტელექტუალურ წყაროებზე, სქოლასტიციზმსა თუ მისტიციზმზე და მართლმადიდებლობას ისე ახსენებენ თითქოს ორმოცდაათიანელების სექტა იყოს, ოლონდ ლიტურგიაშენარჩუნებული, და ივინყებენ, რომ აქ ჩამარხულა უდიადესი რელიგიური გამოცდილება და უღრმესი თეოლოგია.

მაგრამ იმაში კი მართლები არიან, რომ მართლმადიდებლობა უაღრესად სკეპტიკურადაა განწყობილი რელიგიაში რაციონალიზმის გაჭაჭანების მიმართ. მართლმადიდებლობისათვის წინა პლანზე დგას მისტიკური მიახლოება ღმერთთან, როგორც საიდუმლოთა საშუალებით, ისე ადრეული ქრისტიანული წესით, განდევილობითა და შინაგანი ლოცვით. რელიგიის არსი ხომ არა მხოლოდ ისაა, რომ ადამიანმა აღიაროს ღმერთი, არამედ ისიც, რომ მიეახლოს მას.

მართლმადიდებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ ისტორიულად ერთგულია სამოციქულო ტრადიციებისა, მაგრამ ალბათ უფრო მნიშვნელოვანია უდიდესი მისტიკური თეოლოგია.

მართლმადიდებლობა იმითაა გამორჩეული ქრისტიანულ მოძღვრებათა შორის, რომ მრევლს უძველეს, ჭვრეტითა და განდევილობით ლოცვას და ღმერთთან ამგვარად მიახლებას სთავაზობს (ჰეზიქიაზში).

რა თქმა უნდა, კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორისაც არიან ბრძენნი და წმინდანნი, მაგრამ მართლმადიდებელი წმინდა მამები ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვიძღვებიან ღვთისაკენ მიმავალ კიბეზე თეოსისის საშუალებით.

მართლმადიდებლობის ნიაღში დაბრუნებული ყოფილი კათოლიკეები ხშირად იხსენებენ თომა აქვინელის მისტიკურ გამოცდილებას, სიკვდილის წინ რომ ათქმევინა: რაც აქამდე დამინერია არაფრად ღირსო.

მოქცეულთა უმრავლესობა აცხადებს, მართლმადიდებლობა მტკიცედ ინარჩუნებს უწყვეტ ჯაჭვს პირველ სამოციქულო ეკლესიასთან და ამიტომაც ვარჩიე ხანგრძლივი განსჯის შემდეგ მართლმადიდებელი გავმხდარიყავიო.

კათოლიციზმიც იმავეს ამტკიცებს, სამოციქულო ეკლესიასთან კავშირი არ გამინწყვეტიაო.

საგულისხმოა, რომ ორივე ეკლესიას საეპისკოპოსო სტრუქტურა აქვს. მაგრამ აქ მთავრდება სტრუქტურული მსგავსება; კათოლიციზმისაგან განსხვავებით, მართლმადიდებელი ეკლესიები ცენტრალიზებულად არ იმართებიან, და ძალაუფლება ვერტიკალურად არ მოედინება პაპისაგან ქვევით.

მართლმადიდებლები და განსაკუთრებით კათოლიციზმიდან მოქცეული აკადემიური წრეების წარმომადგენლები ამბობენ, ფაქტობრივად კათოლიციზმმა წამოიწყო ინოვაციები ეკლესიაში და ათასი წელია, არც შეჩერებულაო.

მართლმადიდებლობა კი ცდილობს შეინარჩუნოს ძველი და არ შეუშვას მოდერნისტული ინოვაციები თავის ეკლესიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ამერიკელი მართლმადიდებელი თეოლოგი წუხს, მართლმადიდებლობას თანამედროვეობასთან შეხამების ეფექტური მექანიზმი არ გააჩნიაო; მაგრამ იქვე აღიარებენ თუ რა დამართა ინოვაციებმა დასავლურ ქრისტიანობას, მიუთითებენ იმ ქაოსზე, რაც პროტესტანტული ეკლესიების უსაზღვრო გამრავლებამ მოიტანა.

მართლმადიდებლობაზე მოქცეულ ამერიკელთაგან ალბათ ყველაზე გამორჩეული და ცნობილია მწერალი ფრედერიკა მეთიუს-გრინი. იგი მართლმადიდებელი მღვდლის ცოლია. მისი მეუღლე ეპისკოპალური ეკლესიის სასულიერო პი-

რი გახლდათ და ცოლ-ქმარი ერთდროულად მონათლნენ მართლმადიდებლებად. ფრედერიკა მეთიუს-გრინის აზრით, მართლმადიდებლობა, თავისი სტაბილურობითა და სიძველის შენახვის ტრადიციით, მოუწოდებს ქრისტიანულ კონფესიებს, თავისკენ უხმოვს ფსევდოლიტურგიული „ნესებიითა“ და დაუსრულებელი აურზაურით გადაღლილ მრევლს.

„რწმენა ღვთისა უცვლელია, თაობიდან თაობას გადაეცემა თუ კონტინენტიდან კონტინენტს. ის შენახულია თემის მესხიერებაში, ხალხში, ფესვებში და არა ეკლესიის ლიდერებსა თუ თეოლოგიურ საბჭოებში. და როცა ვინმე მოისურვებს განაქიქოს, ადგის ვერ იპოვის ფეხის მოსაკიდებლად, ვერანაირ ლოყას ვერ შეეფარება პროტესტის გამოსათქმელად. ვფიქრობ, სწორედ ეს არის მართლმადიდებლობის სიმდიდრე, მართლაც ცენტრალური და ნარუხოციელი, რაც აძლევს ცვლილებათა ქარაშოტებში“, წერს იგი.

მართლმადიდებლობა არ არსებობს რალაც სტერილურ გარემოში, სადაც ვერაფერი შეეხება. მართლმადიდებელ ეკლესიებზე გავლენას ახდენს მართლმადიდებელ ერთა ტრადიციები. ამერიკელ მართლმადიდებელთა მთავარი პრობლემა ფილეთიზმი — ერესი, რომელიც ეკლესიის მისიას ეთნიკურ ჯგუფთა ადათ-წესების განდიდებასა და უკვდავყოფაში ხედავს. ამის გამო ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესია ამერიკაში ტომობრივ სალოცავს დაემგვანა, სადაც უცხოებს არ უშვებენ.

მრავალ კონსერვატორს სურს დაემალოს ამერიკაში გამეფებულ თანამედროვე ზნეობისა თუ სულიერებისაგან დაცლილ, ხმაურიან, აგრესიულ ყოფას და თავშესაფარს მართლმადიდებელ ეკლესიაში ეძიებს; ისინი, რა თქმა უნდა, თავს იტყუებენ. ამერიკელი მართლმადიდებელი არ არის დაცული ამქვეყნიური ამოცანებისაგან, იქაც არის სწრაფვა ლიდერობისათვის და კარიერისტული შეჯახებანი. და, თუმცა მართლმადიდებლობამ შეძლო თავი დაეცვა გავრცელებული რადიკალურ-რევიზიონისტული მოდისაგან, რამაც დასავლური ეკლესიები მოიცვა ბოლო წლებში, მაინც აქა-იქ ზოგიერთ ეკლესიაში შეაღწიეს ლიბერალიზაციისა და თვით ჰომოსექსუალობის მომხრეებმა.

და მაინც, მართლმადიდებლები უფრო ახერხებენ გაუძლონ მოდერნიზმულ ცდუნებებს, ვიდრე პროტესტანტები თუ კათოლიკეები. მართლმადიდებლური წირვის სიმკაცრე, ასკეტურობა და მამაკაცურობა ხიბლავს ახალმონათლულ მამაკაცებს, ვისაც ყელში ამოუვიდათ პროტესტანტული ეკლესიის ჭიჭყინა, მომხმარებლური გარემო. მართლმადიდებელ ეკლესიაში კაცებს ვხედავთ და პროტესტანტულში კი ერთმანეთს ჩახუტებულ მამრობითი სქესის არსებებსო, ამბობენ ისინი.

კათოლიკური ეკლესიისათვის ჩვეულ ადმინისტრაციულ ერთიანობასა და მოძღვრების ავტორიტარულობას

ვერ ნახავთ მართლმადიდებელ ეკლესიებში, მაგრამ ისინი უფრო ტრადიციულია, ვიდრე კათოლიკური სამრევლოები. ახალმონათლული ალიარებენ, მართლმადიდებლობა ის არის, რაც კათოლიციზმი ოდესღაც უნდა ყოფილიყო.

თავის დროზე ფრედერიკა მეთიუს-გრინმა და მისმა ქმარმა გადანყვიტეს მიეტოვებინათ მეტისმეტად გალიბერალურებული ეპისკოპალური ეკლესია და რომის ეკლესიისათვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ აქაც მოდერნიზტული ლიტურგია დახვდათ და თავი მოტყუებულად იგრძნეს.

„შევწუხდით რადგან გავაცნობიერეთ, რომ ამერიკული კათოლიციზმის თეოლოგიაცა და სოციალური მხარეც ლიბერალური გამხდარიყო“, — ამბობს იგი, — „დაგვამშვიდეს, მთავარი ის არის, რომ რასაც რომი გვასწავლის, სწორიაო, მაგრამ ამან ვერ დაგვაკმაყოფილა; ვხედავდით, რომ ის უცნაურობანი, რაც ეპისკოპალურ ეკლესიაში დავტოვეთ, ამერიკული კათოლიციზმის მიერ იქადაგებოდა. არა მგონია, ეს უფრო საიმედო ადგილი ყოფილიყო ჩვენი ბავშვების აღსაზრდელად.“

მრავალი მართლმადიდებელი აძლევს ხმას რესპუბლიკურ პარტიას ამერიკაში, მაგრამ მართლმადიდებელ ეკლესიებში ვერ გაიგონებთ ლოცვას რესპუბლიკური პარტიისათვის, რასაც ხშირად შეხვდებით ევანგელისტურ ეკლესიებში.

მართლმადიდებლობა არაიდეოლოგიურია და ძირფესვიანად ტრადიციონალისტური, რომელიც აგროვებს, ინახავს და მშვიდად წარმოგვიჩენს ორგანულად ამოზრდილ სიბრძნეს წარსულისა და ამას ისე ლამაზად აკეთებს, რომ მთლიანად შეგძრავსო, ამბობს მართლმადიდებლობაზე მოქცეული ერთი სამხრეთეთეოლოგიური და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მართლმადიდებლობა სამოთხეა ბერკიანული და კერკიანული კონსერვატიზმისათვის.

ლიტერატურის პროფესორი ალფრედ კენტიგერნ სიუერსი აცხადებს, თანამედროვე მართლმადიდებელ თეოლოგთა სოციალური მოძღვრებანი განგვანყობს ალვიქვათ საზოგადოება, როგორც გაზრდილი ოჯახი და არა უპიროვნო ეკონომიკა, საბაზრო იქნება თუ სოციალისტურიო. „მართლმადიდებლობამ მასწავლა, რომ ქრისტიანული ადამიანური სიქველენი უფრო მნიშვნელოვანია და ჭეშმარიტად ადამიანური, ვიდრე საღლაც, განცალკევებით არსებული აბსტრაქტული უფლებანი“, წერს სიუერსი. „ვფიქრობ მართლმადიდებლობა მოგვიწოდებს შევიგრძნოთ ცოცხალი ტრადიციისა და თემის მნიშვნელობა და ვუფრთხილდეთ თავისუფალ ბაზარსა თუ სოციალისტურ მოდელებს“.

იმის გამო, რომ მართლმადიდებელ ქვეყნებში განმანათლებლობა არ გავრცელებულა იმ სახით, როგორც და-



დავით აღმაშენებლის სახელობის დედათა მონასტერი ამერიკის შეერთებულ შტატებში

საველეში, აღმოსავლური ქრისტიანობის აზროვნებისა და სოციალური ცხოვრებისათვის უცხო დასავლური გამოცდილებანი, და ამიტომაც თითქოს ვერ უნდა იხაროს ამერიკულ გარემოში. მაგრამ, მეორე მხრივ, მართლმადიდებლობის წინამოდერნული ტრადიციონალიზმი ამოუნურავი წყაროა სულიერი და კულტურული გამდიდრებისათვის.

მართლმადიდებელი ქვეყნების სულიერ ლიდერთან ვიზიტების შემდეგ რომის პაპმა ბენედიქტ მეექვსემეტემ განაცხადა, დასავლურ ცივილიზაციას ის კულტურული უმცირესობა შეინარჩუნებს, რომელიც ცოცხლად შეინახავს სახარებასო. აქ არ შეიძლება დავივიწყოთ მართლმადიდებელი უმცირესობა ამერიკაში, თუმცა მათი რიცხვი ჯერჯერობით მართლაც მცირეა და იელოვას მონუმენტსა და მუსლიმთა რაოდენობას თუ გაუტოლდება.

მაგრამ მართლმადიდებელთა რიცხვი პირველი ქრისტიანებივით სწრაფად მატულობს. ანტიოქიის, ბერძნული და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მრევლი მოქცეულ ევანგელისტთა ხარჯზე იზრდება. ტრადიციონალისტ კონსერვატორებს ხიბლავთ ღრმა ფესვებიდან ამოსული საეკლესიო რიტი, რასაც სხვაგან ვერსად ნახულობენ ამერიკაში.

შორიდან მართლმადიდებლობა ეგზოტიკურად გამოიყურება და, თუ მიუახლოვდები, შინ იგრძნობ თავსო, უთქვამს ერთ ახალმოქცეულ ამერიკელ სწავლულს.

შეუძლებელია არ შენიშნო ერთგვარი მსგავსება ეკლესიისადმი ტრადიციულ ბერკიანულ დამოკიდებულებასა და მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციას შორის. მართლმადიდებლობა ხომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მემკვიდრეობით გადმოცემულ სიბრძნესა და სწავლებას, როგორც ცოცხალ ტრადიციას.

მართლმადიდებელი მწერლები თავის თხზულებებში გამუდმებით უბრუნდებიან თეოსისის ანუ ღმერთთან ზიარების საკითხს. და ასეც უნდა იყოს, რადგან ესაა ადამიანის ღვთისადმი მიმართების ცენტრალური საკითხი საეკლესიო მოძღვრებაში. ისიც მეტად მნიშვნელოვანია, რომ მაცხოვარმა თვითგანმენდის (კენოსისის) გზა გვიჩვენა და ამ გზას უნდა მივყევით. თეოსისი კენოსისის გარეშე ვერ მიიღწევა. ქრისტეს თვითგანმენდა მოგვიწოდებს უკიდურესი მორჩილებისაკენ უფლისა, ვის სახედ და ხატად ვართ შექმნილნი და ვისი ცხოვრებისადმი ზიარების უფლებაც გვაქვს. ასეთი უსაზღვრო მორჩილება კი ღვთისადმი გამოიცხავს ყოველნაირ ამპარტავნებას.

ქართველები ამერიკაში რუსულ და ბერძნულ ტაძრებში ესწრებიან წირვას. ქართველი სასულიერო პირები მიდიან ამ ტაძრებში და ქართველთათვის მცირე წირვა-ლოცვას ატარებენ მშობლიურ ენაზე. სადაც ქართული მრევლი მრავალრიცხოვანია, იქ ქართული ეკლესიაც ჩნდება და ქართული ეკლესიის კარი ღიაა ყველასათვის.

ქართველები სულიერ ცხოვრებას მართლმადიდებელ ეკლესიას უმადლიან ამერიკაში.

აქ კი, ჩვენში, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ აკვანში, გამმაგებულნი ვენაფებით „დასავლურ“ რაციონალიზმს, თავისუფალ ბაზარს, სუბკულტურას, შოუ ბიზნესს, ტურიზმს, კაზინოებს, ბორდელებს, ლატარიას, ვთამაშობთ აზარტულ თამაშებს, ვშიშვლდებით და, რაც ყველაზე ცუდია, ვცდილობთ სხვას დავემსგავსოთ, ვესწრაფით დაკვარვით მართლმადიდებლური ხატი, სახე და სული.

ცოტნე ნაკაშიძე

„ვიცხოვრო პატიოსნად!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— შენზე მეტად გაჭირვებულ ადამიანს, შენზე მეტად გამოუვალ მდგომარეობაში მყოფს რომ ხედავ და ვერაფრით ეხმარები და მეტიც — უკიდურესი გაჭირვებაა აბა რაა, როდესაც არათუ სხვისა, არამედ, საკუთარ პრობლემებსაც, რომ ვერ აგვარებ და საკუთარი თავის დახმარების უნარიც რომ არა გაქვს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ამ კითხვაზე პასუხი რომ მქონდეს, აუცილებლად განვინდობდი სხვებსაც.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ავთანდილი, დონ-კიხოტი, ალუდა ქეთელაური, ჯოკოლა (მე მგონია, რომ მათ შორის არსებობს რაღაც საერთო).

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ფარნავაზი, ქუჯი, იესო ნაზარეტელი, ღვთისმშობელი, წმინდა გიორგი, წმინდა ნინო განმანათლებელი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, ქეთევან დედოფალი, ბერი თევდორე, მეფე ერეკლე, წმინდა ილია მართალი, პეტრე ნაკაშიძე, ექვთიმე — ღვთის კაცი, გიორგი მახინიაშვილი, ჯემალ ხიმშიაშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ზურაბ ჭავჭავაძე...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი, ვან-გოგი, ლეონარდო და ვინჩი (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი, ალორძინების ხანის მსოფლიო კულტურის უდიდესი მოღვაწე).

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ქართული ხალხური მუსიკის შემქმნელი, მოცარტი, ჯუზეპე ვერდი, დიუკ ელინგტონი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— სიტყვის პატრონი რომ არის და თავის პირობას ღირსეულად რომ ასრულებს...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სათნოებას, კდემამოსილებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თანაგრძნობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— როდესაც ვინმეს გადავცემ, ვასწავლი იმას, რასაც ვთვლი, რომ სათანადოდ ვიცი.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ვცდილობ ვიყო ჩემი მშობლების — გიორგი ნაკაშიძისა და ნინო ნაკაშიძის მსგავსი და ვიცხოვრო მათი ცხოვრებისეული მრწამსით. ვგულისხმობ მათ უსაზღვრო კეთილშობილებასა და სიკეთის უნარს.

მამის მეგობრების ხუმრობით ნათქვამს მოვიშველიებ: „ბიჭო, ყორყიკა (მამას ასე ეძახდნენ), კომპლიმენტიც ვერ გვითქვამს ახალ შექმნილ სამოსზე, მაშინვე იხდი და გვჩუქნისო!“.

დედა კი ექიმი — ნევროპათოლოგი, თვითონ უმართავდა ხელს გაჭირვებულ ავადმყოფებს.

— **თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— არ შემიძლია სხვათა გაჭირვებას გულგრილად ვუყურო.

— **რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— გვერდში დგომის უნარს.

— **თქვენი მთავარი ნაკლი?**

— ის რომ გურული ვარ... (ვგულისხმობ ფეთქებად ხასიათს).

— **თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ვერ ვაკონკრეტებ, მაგრამ მახსენდება, რომ ამისი მსგავსი წამები მქონია.

— **რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— დრო და დრო რომ არ გამოკრთებოდეს შეგრძნება იმისა, რომ ბედნიერი ვარ და... კიდევ: თუკი იმის რწმენას დავკარგავ, რომ საქართველოს უკეთესი მომავალი უნერია!..

— **როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ბაბუაჩემის — ნიკოლოზ ნაკაშიძის ბიძაშვილი იყო პეტრე ნაკაშიძე, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, სულმნათი ილიას მეგობარი და თანამდგომი. სწორედ მას მიუძღვნა ილიამ პოემა „ქართველის დედა“ ასეთი ეპიგრაფით: „გაგვიძეხ ბერო მინდიავე, მუხლი მაიბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო“;

ახლა, დღეს, მე, მართალია, უმცროსი არ მეტყმის, მაგრამ... ამპარტავნებაში ნუ ჩამომართმევთ და თუ ჩვენს სამშობლოს დღესაც მოუვლენს გამჩენი „ბერ მინდიას“, ვისურვებდი, ვყოფილიყავი ღირსი მის გამყოლთა შორის ყოფნისა!..

— **თქვენი საყვარელი ფერი?**

— ღია შინდისფერი.

— **ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ია.

— **თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბელურა, იმიტომ რომ თავის სამშობლოს არ ცვლის სხვათა სამოთხეზე.

— **თქვენი საყვარელი მწერალი?**

— შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟაფშაველა, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე,

ოთარ ჩხეიძე, გურამ რჩეულიშვილი, ერლომ ახვლედიანი, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე, რევაზ ინანიშვილი, სერვანტესი, ჰემინგუეი, გაბრიელ გარსია მარკესი, ორუელი....

დრამატურგებსაც დავასახელებ: სოფოკლე, შექსპირი, მოლიერი, გოლდონი, კარლო გოცი, ვიტორიო ალფიერი, ბერტოლდ ბრეხტი, პოლიკარპე კაკაბაძე

— **თქვენი საყვარელი პოეტები?**

— რუსთაველი, ბარათაშვილი, გალაკტიონი, ნიკო სადაშვილი, მუხრან მაჭავარიანი..

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— შუშანიკი, ქეთევანი.

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— მერაბ კოსტავა.

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— თამარ მეფე, ქეთევან წამებული.

— **საყვარელი სახელები?**

— გიორგი, ლუკა, ალექსანდრე, დიმიტრი, ნათია, ირმა, ივანე, ნინო, დალი, ქეთევანი და ყველა ის სახელი, რომელსაც ღირსეული და კეთილშობილი ადამიანი ატარებს.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ტყუილს.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— კალიგულა.

— **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— ხელჩართული ბრძოლა.

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— საბჭოთა კავშირის დაშლა.

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?**

— მინდა მუსიკალური ნიჭი მქონდეს.

— **როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— ჯანმრთელი. მინდა ისე გარდავიცვალო, ჩემი მომავალი თაობის უბედურებას არ მოვესწრო....

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— ვერ ვაკონკრეტებ!

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**


— ბოლომდე არ ვამართლებ, მაგრამ ჩემთვის მაინც მისაღებია ყველა ის ქმედება, უარყოფითი კი, რომელიც მანდილოსნის ღირსებას იცავს! (ვთქვამს, დუელში გამონევე ან პირადი ანგარიშსწორება მანდილოსნის შეურაცხყოფისთვის).

— **თქვენი დევიზი?**

— ვიცხოვრო პატიოსნად!

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— მომიტყევებია ყველა ცოდვა!



ცოტნე ნაკაშიძე

კობა ცხაკაია

3=2+1

პოლი

მარეხი — ორმოცს მიტანებული ქალი, ლტოლვილი, სექტანტი.

მამა დოდო — მღვდელი. ორმოცდაათიოდე წლის მღვდელი.

თორნიკე — 16-18 წლის ბიჭი. დოდოს შვილი.

ქალაქი, ჩვენი დრო. სასტუმრო ივერიის (შეიძლება სასტუმროს სხვა სახელიც ერქვას, მაგ: „კახეთი“, „იმერეთი“ ან „აჭარა“) დანგრეული შენობის სახურავი, უკანა ფონზე ჟანგად ქცეული სასტუმროს აბრევიატურის უზარმაზარი ასოები. მარეხი დგას სახურავის კიდეზე და ქვევით იყურება, ემზადება გადასახტომად. ქვევიდან ისმის, სართულებზე ჩოჩქოლია, დაბლა მოედანზე კი, როგორც ჩანს, ხალხია შეკრებილი. პეტრე დაბნეული და დათრგუნულია. ირგვლივ არავინაა. მარტო ის და ორიოდე ღრუბლის ნაგლეჯი ცაზე.

მარეხი — (იმას, ვინც ცდილობს სახურავზე ამოვიდეს) ტყუილა დროს ნუ დაკარგავ... უაზრობაა. არ ქნა ეს! არ ამოხვიდე, თორემ გადავხტები... სისულელე არ ჩაიდინო, არ ამოხვიდე. უკვე აზრი აღარა აქვს! (უკან დგამს ნაბიჯს) გაფრთხილებ. ნუ წვალობ. არ ამოხვიდე. იმათთან ჩადი! (უთითებს ქვევით მოგროვილ ხალხზე) გინდა, არა, ყველაფერი მალე დამთავრდეს? კარგი, ბატონო! ტელევიზიაც მოსულა! (ხელებს შლის და სახურავის კიდეზე დგება) არ მომიახლოვდე. არ მომიახლოვდე, თორემ...

ანაფორაში გამოწყობილი მამა დოდო გამოჩნდება სახურავის მოაჯირთან. ძლივს სუნთქავს. იქვე ჯდება და ოფლს იწმენდს.

მარეხი — შენ გგონია, ვხუმრობ?

მამა დოდო — ვიცი, არ ხუმრობ!

მარეხი — ადგილიდან დაიძვრები და...

მამა დოდო — ვიცი.

მარეხი — რა იცი?

მამა დოდო — ვიცი, სერიოზული ადამიანი ხარ.

მარეხი — მაშინ რატომ ამობობდი?

დოდო ნამოდგება.

მამა დოდო — ცოტას დავისვენებ და გიპასუხებ.

მარეხი — რამდენიც გინდა, იმდენი დაისვენე.

მამა დოდო — გამაღობთ.

მარეხი — არ მომიახლოვდები?

მამა დოდო — არა.

მარეხი — არ მომატყუო, თორემ...

მამა დოდო — (ანწყვეტინებს) არ მოგატყუებ.

მარეხი — ტყუილები არ გიყვარს?

მამა დოდო — ტყუილების სიძულვილი ჩემი სამსახურია! რალაც მინდა გთხოვო...

მარეხი — ვერაფრით დაგეხმარები.

მამა დოდო — ვიცი.

პაუზა.

მარეხი — რატომ მოხვედი?

მამა დოდო — იძულებული ვიყავი.

მარეხი — (დაბნეული) იძულებული იყავი?

მამა დოდო — ჰო. შემთხვევით მოხვედი იქ, დაბლა. დავინახე ტელევიზია... იმათაც დამინახეს. ერთი ჟურნალისტი მომვარდა: რა კომენტარს მოგცემთო, მოსახდენის შესახებო?... რა უნდა მეთქვა?... ახვალთ და დაელაპარაკებით თუ არაო? მეც ამოვედი. თავი გამოვიდე. სექტანტი და მართლმადიდებელი მღვდელი, რაც უნდა იყოს, რეკლამაა, რეიტინგია.

მარეხი — ეს იმ შემთხვევაში, თუ გადამათქმევენებ.

მამა დოდო — არა აქვს მნიშვნელობა. აქ რაკი ამოვედი, უკვე რეკლამაა. ასე რომ, უკვე ქუჩაში ავტოგრაფების მიცემას დავიწყებ.

მარეხი — (დაბნეული) აქამდე თუ გადაათქმევენე ვინმეს, ჩემნაირს?

მამა დოდო — სექტანტს?

მარეხი — რა მნიშვნელობა აქვს?

მამა დოდო — ბევრს.

მარეხი — სხვებზე იყვნენ? ისეთები, ვინც არ დაგიჯერეს?

მამა დოდო — ცოტა იყო.

მარეხი — ალბათ ამ ამბავში არა გაქვს ცუდი რეზულტატი... იმიტომაც ამოხვედი.

მამა დოდო — ალბათ.

მარეხი — აქ ყოფნა ცუდი არ არის. ლამაზი ხედია.

მამა დოდო — ჰოო.

მარეხი — აქედან ყველაფერი ისეთი მარტივი და უსუსური ჩანს, რომ... სინამდვილეში კი...

პაუზა.

მამა დოდო — ოთხმა არ დამიჯერა.

მარეხი — ოთხმა?

მამა დოდო — ოთხმა. არასოდეს ვტყუი.

მარეხი — შენ გგონია, მეც არ დაგიჯერებ?

მამა დოდო — ეჭვიც არ მეპარება.

მარეხი — ეცდები გადამათქმევი?

მამა დოდო — (ხუმრობს) აბა, მუჭო.

მარეხი — სერიოზულად?

მამა დოდო — დანგრეული სასტუმროს სახურავზე გგონია სახუმაროდ ამოვედი?

მარეხი — სერიოზულად გჯერა, რომ დამიყოლიებ?

მამა დოდო — ღვთის წყალობით.

მარეხი — კარგი რა? აქ მარტონი ვართ და არ გინდა ეგეთები, ღმერთი და რალაცა? ველარ მომატყუებ...

მამა დოდო — არ გატყუებ. ტყუილების სიძულვილი ჩემი სამსახურია!

მარეხი — (ირონიულად) შენ გჯერა, რომ „ღვთის წყალობით“ მიშველი?

მამა დოდო — (პირჯვარს იწერს) უფლის ხსენება ასეთი ტონით არ შეიძლება.

მარეხი — რომელი უფლის? შენი თუ ჩემი?

მამა დოდო — მღვდელი ვარ!

მარეხი — დიდი ამბავი. მღვდელი ხარ და ამიტომ ბევრი რამის უფლება გაქვს, არა?

მამა დოდო — (ბრაზდება) მაქვს და ბევრიც მომეთხოვება... რაც მეტად მწამს, მით მეტად უნდა შევიზღუდო თავი. მით მეტი უნდა ვიღვანო, ვიმრომო, დავეხმარო, გავიზიარო, ვინვალო, ვითმინო.

მარეხი — (ირონიულად) დიდ ბოდიშს გიხდის, რომ რწმენის გამო ინვალებ და აქ ამოფოფხდის, ახლა კი იძულებული ხარ ითმინო ჩემი სულელური სიტყვები.

* დასასრული იხ. „ჩვენი მწერლობა“ №14

მამა დოდო — არა უშავს. შენი სისულელის მადლობე-
ლიც კი ვარ... **(ხელს ქვევით იშვერს)** ან იმათი წყალობით
ჩემს შრომას მეტი წონა და ფასი მიეცემა.

მარეხი — ჩემი სისულელის?

მამა დოდო — ჰო.

მარეხი — ასე ცდილობ შენი მრევლის დარწმუნებას?
ასე ცდილობ ცოდვილების და სასონარკვეთილებაში ჩა-
ვარდნილთა მობრუნებას? შენა ხარ მღვდელი ამის მერე?

მამა დოდო — ვარ.

მარეხი — ასე ელაპარაკე-
ბოდი იმ უბედურებსაც, რომლე-
ბიც თავის...

მამა დოდო — დიას.

მარეხი — ყველას?

მამა დოდო — ყველას.

მარეხი — იმათაც, ვინც ვერ
დაიყოლიე?

მამა დოდო — იმათაც.

მარეხი — გასაგებია. შენც
ისეთი ხარ, რომლებსაც ჰგონი-
ათ, ჩვენნაირების მართვა და და-
ცინვა შეუძლია, რადგან ცოტა
მეტს მიაღწიეთ, ვიდრე ჩვენ...
ანუ მაგრად გაგვაცურეთ.

**პაუზა. დოდო აკვირდება მა-
რეხს.**

მამა დოდო — ალბათ.

მარეხი — გულუბრყვილოე-
ბი და სულელები გგონივართ,
არა?

მამა დოდო — უფრო ჩა-
მორჩენილები.

მარეხი — **(დამცინავად)** ჩა-
მორჩენილები? ვისთან, თქვენ-
ნაირებთან შედარებით?

მამა დოდო — თუნდაც.

მარეხი — იმიტომ, რომ ჩემს
ადგილას არ დგახარ?

მამა დოდო — თავისთავად.

მარეხი — იქნებ იმიტომაც არ დგახარ, რომ ჩემზე სუ-
ლელი ხარ?

პაუზა.

მამა დოდო — მონათლული იყავი?

მარეხი — ვიყავი, მერე შენ რა?

მამა დოდო — მართლმადიდებლურად?

მარეხი — მერე?

მამა დოდო — არაფერი. უბრალოდ დამაინტერესა.

მარეხი — ვიყავი და ეკლესიაშიც დავდიოდი. მერე რა?

მამა დოდო — დამაინტერესა. საიდან, როგორ, რანაი-
რად გახდი ისეთი, როგორც ხარ და გადანყვიტე იმის გა-
კეთება, რასაც ქვევით ასე ელოდებიან.

მარეხი — ყველა ელოდება?

მამა დოდო — ელოდება და მეც მათ შორის, თუმცა
არის შანსიც, რომ იმედი ბევრს გაუტრუფდეს... ორმოცდა-
ათი ორმოცდაათზე.

მარეხი — პირველებს ამის შესახებ კი ჩვენ გვეცოდინ-
ება.

მამა დოდო — რა თქმა უნდა.

მარეხი — ჩვენ სახურავზე ვართ, მაყურებელი კი ქვე-
ვითაა.

მამა დოდო — ჰოო, მაყურებელი ძალიან ქვევითაა.

მარეხი — **(ინტერესით)** იმ ოთხს თუ უთხარი, რომ ეს
ყველაფერი რწმენის გამო კი არა, მხოლოდ და მხოლოდ
რეკლამისტვის გჭირდებოდა?

მამა დოდო — აბა რა.

მარეხი — იმიტომაც მოიკლეს თავი?

მამა დოდო — ვინ გითხრა, რომ მოიკლეს?

მარეხი — შენ თვითონ არ
თქვი?

მამა დოდო — ეგეთი სისუ-
ლელე არასოდეს მითქვამს.

მარეხი — შენ არ თქვი, რომ
ბევრი გადავარჩინე, ოთხი კი ვე-
რაო?

მამა დოდო — ვთქვი.

მარეხი — მერე?

მამა დოდო — რა მერე?

მარეხი — თუ თქვი, რომ ბევ-
რი გადავარჩინე, ესე იგი ოთხმა
თავი მოიკლა.

მამა დოდო — სწორად ვერ
გაიგე.

მარეხი — მერე გამაგებინე.

მამა დოდო — მინდოდა მეთ-
ქვა, რომ ბევრი გადაურჩა ამ
ბინძურ ცხოვრებას. მხოლოდ იმ
ოთხმა გადაინაცვლა უფრო უკე-
თეს სამყაროში.

მარეხი — **(დაბნეული)** ესე
იგი შენ თვითმკვლელობის მომხ-
რე ხარ?

მამა დოდო — ყველანაირი
სიცოცხლე დროში განელილი
თვითმკვლელობაა. მხოლოდ ამა-
ზე ჩუმად, იქ ქვევით არავინ გაი-
გოს. თუმცა მე არავის ვეტყვი და
შენ კი მითუმეტეს.

მარეხი — **(დაბნეული)** აი, თურმე სინამდვილეში როგო-
რები ხართ?

მამა დოდო — **(პირფარს იწერს)** ტყუილი არ მიყვარს,
განსაკუთრებით შენნაირებთან და რა ვქნა?

მარეხი — **(დამცინავად)** მართალი ხარ. ასეთ სიბინძუ-
რეში ცხოვრებას სიკვდილი სჯობს.

მამა დოდო — ნამდვილად სჯობს.

მარეხი — **(ჩაფიქრდება)** შენ საიდანღა იცი, რომ
სჯობს?

მამა დოდო — თუნდაც შენი მაგალითიდან და კიდევ
გამოცდილება მაქვს შენნაირებთან მიღებული, თანაც ჩემი
ინტუიცია, ინსტინქტი... საიქიოდან უკან დაბრუნებული
არავინ მინახავს. გარბიან მხოლოდ იქიდან, სადაც არ მოს-
წონთ ყოფნა...

მარეხი — შენნაირი, გველივით ეშმაკი ხალხის მიმართ
ყოველთვის სიფრთხილეს ვიჩენდი.

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — სწორია. არასოდეს არ შეაფასო ჩემნაი-
რი ადამიანი მხოლოდ ტანსაცმლით ან ლაპარაკით. ღმერ-



მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

თი არასოდეს მოგვცემდა ადამიანებისათვის ცოდვების მოსანანიებელი გზის ჩვენების უფლებას, გველევით ბრძენნი რომ არ ვყოფილიყავით.

მარეხი — ბრძენი ხარ?

მამა დოდო — არა მგონია, მაგრამ ვცდილობ ვიყო.

მარეხი — ადამიანის ფიქრების წაკითხვაც შეგიძლია?

მამა დოდო — გულთმისნობაზე მეკითხები? ალბათ შემიძლია.

მარეხი — როდის?

დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანს ჯერ კიდევ გული არა აქვს მკვდარი.

მარეხი — გულმკვდარი ადამიანი როგორია?

მამა დოდო — ცოცხლებს ვერ შეადარებ. მის ფიქრებს ვერ გაუგებ.

მარეხი — თვითმკვლევები გულმკვდარი ადამიანები არიან?

მამა დოდო — იშვიათად. ძირითადად თამაშობენ. ისინი ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ ყურადღება მიიქციონ... ამ დროს კი გამორჩევა ვინმე გულმონყალე ან გავლენიანი ადამიანი, რომელიც მათ პრობლემებს გადაჭრის.

მარეხი — გულმონყალე ან გავლენიანი ადამიანი... თუმცა შენ მათ რიცხვს არ მიეკუთვნები.

მამა დოდო — არც შენ.

მარეხი — საიდან მოიტანე, რომ გულმკვდარი ადამიანი ვარ?

მამა დოდო — ვიცნობ შენაირებს. საკმარისია შეღებულ ფრჩხილებზე და წლოვანებისათვის შეუფერებელ კაბაზე შევხედო, რომ ყველაფერს ვხვდები.

მარეხი — მაინც რას ხვდები?

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — ჩამოსული არა ხარ? უფრო სწორად ჩამოთრეული.

მარეხი — რა, ჩამოსული ადამიანი არ არის?

მამა დოდო — დაუშვათ არის. მერე რა?

მარეხი — შენთვის ყველა ჩამოსული გულმოკლული ადამიანია?

მამა დოდო — ადამიანის რა მოგახსენო, მაგრამ მაინც ერთი და იგივეა.

მარეხი — მაშინ... მაშინ...

მამა დოდო — რა დაიბენი?

მარეხი — საზიზღარი ვინმე ხარ.

მამა დოდო — რაკი ცოტა ხანში უნდა გადახტე, ამიტომ შენი აზრი არ მაინტერესებს.

მარეხი — რა კარგები იყვნენ კომუნისტები, რომ გხვრეტდნენ. ვენაცვალე ლენინს. თქვენ მართლაც ოპიუმი ხართ ხალხისათვის, ცდილობთ ყველა დააბოლოოთ... ნუთუ თქვენ შორის ყველა შენაირია?

მამა დოდო — რაში გაინტერესებს?

პაუზა. აკვირდება მარეხს. აქ რომ არ ამოსულიყავი, იქნებოდი შენ სექტასთან და იქ მართლაც დაბოლდებოდი. მე კი იმას გეუბნები, რასაც ქვემოთ მდგარი ტიპების ასი პროცენტი იტყოდა. **(დაფიქრდება, პირჯვარს გადაინერს)** საიდან ჩნდებით ასეთი იდიოტები, რისთვის ჩნდებით? იმისთვის, რომ მოხვიდეთ, არ მოგეწონოთ ჩვენი ცხოვრება და თავი მოიკლათ? გადახტომა გინდა და გადახტი. ეს ცხოვრება კი ჩვენ დაგვიტოვე. გადახტები თუ არა?

მარეხი — მე?... გადახტები და მერე შენაირები მშვიდად იცხოვრებენ, არა?

მამა დოდო — რაში გაინტერესებს?

მარეხი — იმიტომ მაინტერესებს, რომ ცოცხალი ვარ... ჯერ ცოცხალი ვარ.

მამა დოდო — ცოტა ხანში კი მკვდარი იქნები. ასე რომ, ზედმეტად ნუ გადაიღლი თავს, გადახტი... ვერ გიტანთ.

მარეხი — ჩემნაირებს ვერ იტან, იმიტომ, რომ სიმართლეს გეუბნებიან, არა? იმიტომ, რომ შენზე სუფთები არიან, არა?

მამა დოდო — იმიტომ, რომ დრო გაყავთ.

მარეხი — დრო გამყავს, არა? არაადამიანო. შენ, შენ რა იცი ჩემზე? რა იცი ჩემ ოჯახზე? მათზე, ვინც მიყვარს და ვისაც ვუყვარვარ?

მამა დოდო — ყველა ერთნაირი იქნებით. მათაც ცოტა რალაც არ მოეწონებათ, ადგებიან და სხვაგან, მართლა დამბოლებლებთან გაიქცევიან... მერე თავის მოკვლას გადაწყვეტენ, მაგრამ შეეშინდებათ... ამ დროს გამორჩევა ჩემნაირი ადამიანი და მას დაუწყებენ სისულელების ლაქლაქს. **(დასცინის)** შემიბრალებთ, შემიცოდეთ, მომეფერეთ.

მარეხი — არასოდეს მითქვამს, შემიცოდეთ-მეთქი...

მამა დოდო — იმიტომ, რომ არ მოგეცია მაგის უფლება. ძალიან გთხოვ რა, გადახტი. არ მინდა შენი სულელური ცხოვრების მოსმენა. ათასჯერ მომისმენია ეგეთი ბოდვა და შენ მაინც დამასვენე.

მარეხი — რა მოგისმენია ათასჯერ?

მამა დოდო — როგორ მიატოვე სიღარიბის გამო სოფელი და აქ მარტო ჩამოხვედი...

მარეხი — მარტო არ ჩამოვსულვარ.

მამა დოდო — **(არ აქცევს ყურადღებას)** ჩამოხვედი აქ იმედებით, ბევრი ფულის საკეთებლად. მაგრამ ცხოვრება ცოტა სხვანაირი გამოდგა... საბოლოოდ კი შენ და მთელი შენი მრავალშვილიანი ოჯახი შიმშილით კვდებით, არა?

მარეხი — შვილები? იცი, რამდენი შვილი მყავს?

მამა დოდო — შენი შემხედვარე, ალბათ, ხუთი. იმიტომ, რომ აბორტზე ფული არ გყოფნიდა, არა? თუმცა შეიძლება ამდენიც არა გყავს, რადგან ნაწილი გაყიდე?

მარეხი — როგორ მიბედავ? ჩემს შვილებს არასოდეს გავყიდი. როგორ ბედავ, ნაძირალავ, ბინძური ადამიანო. იცი, როგორ მიყვარს ისინი? იცი, რა კარგი შვილები მყავს?

მამა დოდო — ვიცი. ვნახე. შენს გამოშტერებულ ქმართან ერთად იყვნენ. როგორ ბლავის საცოდავი. რა სასაცილოა? ძლივს აკავებენ. სულელებს ჩემი სჯერათ. ჰგონიათ, შემიძლია შენი, ასე ვთქვათ, „გადარჩენა და დაყოლიება“. კაცი კი არა, პროვოკაციაა.

პაუზა.

მარეხი — **(დაძაბული)** რატომ თქვი ჩემს ქმარზე — გამოშტერებული, საცოდავი და სასაცილო?

მამა დოდო — შენი ქმარი? იმიტომ, რომ მისი ცოლი თავს იკლავს. თუმცა დაქვრივება შეიძლება მისთვის უკეთესიც იყოს. გამოშტერებული, საცოდავი და სასაცილო იმიტომ ვთქვი, რომ... უნდა იცოდე, რა სასაცილოა იაფფასიანი, დაჭმუჭნულ და გახუნებულ ტანსაცმელში გამოწყობილი აბლავებული კაცის პროვოკაცია. პირდაუბანელი და გაუპარსავი... ყველაფერთან ერთად ფეხშიშველიც.

მარეხი — ფეხშიშველია? რაიმე გითხრა?

მამა დოდო — კინალამ დამავინყდა! კინალამ დამავინყდა... ისტერიკაში ჩავარდნილი პროვოკაციის უკანასკნელი სიტყვები... ასე თქვა, სამსახურიდან არ გაუგდიათ... ასე

რომ, ყველაფერი კარგად არის... იმიტომ დაავიანდა, რომ უფროსმა რაღაც დაავალა და იმის გასაკეთებლად იყო წასული. რაღაცებს იფიცებოდა.

პაუზა.

მარეხი — ტყუის. ისევ ტყუის. არ უნდა გული მატკინოს. **(დაფიქრდება)** იქნებ სიმართლეს ამბობს?

მამა დოდო — რა?

მარეხი — სამსახურიდან იქნებ მართლაც არ გაუგდიათ?.. და ყველაფერი კარგად არის... და იქნებ იმიტომაც დაავიანდა, რომ უფროსმა რაღაც დაავალა და იმის გასაკეთებლად იყო წასული?

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — ისე, არ არსებობს ტყუილი, რომელშიც სიმართლე არ ურევია.

მარეხი — კიდე რაიმე ხომ არ უთქვამს?

მამა დოდო — **(დაფიქრდება)** თუ თავის მოკვლას გადაგატყვევინებ, მაშინ მთელი თქვენი ოჯახი, მთელი თქვენი ნათესაობა ჩემი მრევლი გახდება და... სულ ჩემზე ილოცებენ! **(დამცინავად)** რა ჩემ ფეხებზე მინდა? თქვენი ლოცვა დანერეთ, დაახვიეთ და გაიკეთეთ ერთ ადგილას.

მარეხი — ღორო! ბინძური ღორო!

მამა დოდო — **(დაძაბული)** რა, გენყინა და ხელის გარტყმა გინდა? მოდი, მოცილდი მაგ ადგილს და გამარტყი? **(დამცინავად)** თუ გეშინია?

პაუზა. ისინი დაძაბული უყურებენ ერთმანეთს.

მარეხი — ჩემი შვილები როგორ არიან?

მამა დოდო — შენი შვილები... **(იხსენებს)** არ ტიროდნენ. პირდაღებულები იდგნენ და ზევით იხედებოდნენ. უცნაური ხალხი ხართ... ძალიან მაინტერესებს, ისინი რატომ არ ტიროდნენ?

პაუზა. მარეხი არ პასუხობს.

მამა დოდო — დაუნები ხომ არ არიან? თუმცა დაუნები ტირიან. ეგენი ალბათ კრეტილები არიან, არა?

მარეხი — **(თითქმის უხმოლად)** ნორმალური ბავშვები არიან.

მამა დოდო — იქნებ უხარიათ კიდევ, რომ კვდები. შენნაირი ნევრასტენიკი და გაუნონასნორებელი დედა ალბათ ძნელი ასატანია.

მარეხი — ნინო თხუთმეტი წლისაა.

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — ნინო ვინ არის?

მარეხი — ჩემი გოგონა. ნამდვილი მზეთუნახავია. ძალიან ჭკვიანი და გონებაგახსნილია. შემპირდა, არ ვიტყვებო. არც იტირებს.

მამა დოდო — **(გაკვირვებული)** შეგპირდა? წინდანინ გააფრთხილე ამის შესახებ?

მარეხი — ძნელია ქმარს ამის შესახებ უთხრა. სერიოზულად არ ღებულობს. არ სჯერა. შვილები უფრო გისმენენ... მათ უფრო ესმით შენი.

მამა დოდო — რა უთხარი ნინოს?

მარეხი — ის, რომ ამას მათი კარგად ყოფნისათვის ვაკეთებ...

მამა დოდო — კარგად ყოფნისათვის?

მარეხი — როცა დედა „სექტანტობს“ და ასე კვდება, მის ოჯახს მერე ძალიან ეხმარებიან.

მამა დოდო — ვინ ეხმარება?

მარეხი — სექტა. ეს შენი თქმისა არ იყოს, მაგარი რეკლამაა! ბავშვებს სტიპენდიებს დაუნიშნავენ. ბინას უქირავენ. ქმარს სამსახურს უშოვიან.

მამა დოდო — მერე რა გითხრა ნინომ? მიდი, დედიკო, მიანქე, უკან არ დაიხიო? გზაც ხომ არ დაგილოცა?

მარეხი — ის ყველაფერს მიხვდა.

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — არც კი უტირია?

მარეხი — როცა ვუთხარი, იტირა. ჩამეხუტა. ძალიან მაგრად მომიჭირა. მერე დიდხანს უხმოდ იჯდა და ფიქრობდა... დაახლოებით ერთი საათი მაინც. მერე ცოტა ხნით სადღაც წავიდა. როცა მოვიდა, შემპირდა, რომ არ იტირებდა... დანარჩენებსაც აიძულებდა არ ეტირათ.

მამა დოდო — დანარჩენებსაც აიძულებდა?

მარეხი — ძალიან ჭკვიანი გოგონაა. დანარჩენი ბავშვები დიდ პატივს სცემენ. ძალიან ვუყვარვარ.

მამა დოდო — **(დამცინავად)** უყვარხარ?

მარეხი — ყოველთვის აკეთებს იმას, რასაც მპირდება. ჩემი ნუგეში და იმედია.

მამა დოდო — ძაან მაგრები ყოფილხართ.

მარეხი — იმიტომ, რომ გვესმის ერთმანეთის?

მამა დოდო — იმიტომ, რომ იცით, როგორ გაამართლოთ და გამოიყენოთ მშობლის თვითმკვლელობა.

მარეხი — დიახაც ვიცით.

მამა დოდო — გგონია, რომ სექტა ამაში შენებს დიდ ფულს გადაუხდის?

მარეხი — გადაუხდის. შემპირდნენ.

მამა დოდო — **(დამცინავად)** ყველაფერი გათვალეთ ერთის გარდა... თუ იცი, აქ რატომ ვარ? იმიტომ, რომ ჩვენ მოგვებურდა თქვენი ფანატიკოსებით გავსებული სექტის პარპაში... ასეთი დავალება მოგვცეს, გიპოვოთ და ყველა-ნაირად შევეცადოთ თქვენი თვითმკვლელობა გიჟის საქციელად ან უბედურ შემთხვევად გავასალოთ.

მარეხი — თვითმკვლელობა გიჟის საქციელად ან უბედურ შემთხვევად გაასალოთ?

მამა დოდო — დიახ. აღარ შეიძლება ამის ატანა. ხან გორის ცხიდან მიფრინავთ... ხან ჭიათურის საშვეარდნო კლდიდან. სექტა კი თქვენნაირი სულელების ხარჯზე ფონდებს ფულებით იესებს. იმ დებილების ოჯახებს კი გგონია რაიმეს უხდის?

მარეხი — უხდის.

მამა დოდო — **(დამცინავად)** უხდის. სასაცილო ხარ! დარწმუნებული ხარ, რომ არ დაგაბოლეს?

მარეხი — ერთი ჩემი ახლობელი აპირებდა თავის მოკვლას...

მამა დოდო — შენს შემთხვევაში „აპირებდა“ ხომ სხვაა?

მარეხი — **(არ უსმენს)** გადაათქმევინეს.

მამა დოდო — მე არაფერ შუაში ვარ.

მარეხი — ვიცი.

მამა დოდო — მერე?

მარეხი — ყოველთვის იმას ამბობ, რასაც ფიქრობ?

პაუზა.

მამა დოდო — ჩემმა პროფესიამ მასწავლა ისეთ სულელებზე ზემოქმედება, როგორც შენ ხარ. თანაგიგრძნო, მერე მოგეფერო, მერე რაღაც დაგავალო, მერე მოგთხოვო, მერე გიბრძანო და ბოლოს დაგიმონო... აბა, ხელფასს სახელმწიფო კი არ მიხდის, შენნაირებს შემოვიკრებ, დავმოძღვრავ, დავპირდები რაღაცებს იმქვეყნიურს და მერე ვახდევინებ ამაში ფულს. ვითომ მათი სურვილით, სინამდვილეში კი...

მარეხი — დაპირებებს კი არასოდეს უსრულებ...

მამა დოდო — ღმერთი არა ვარ და რა ვქნა. სექტა რა, ასე არ შეება?

მარეხი — ჩემი სიკვდილი სიკეთეს არ მოიტანს?

მამა დოდო — გააჩნია ვის? შენებს არა. ვინც დაგაბო-
ლა — კი.

მარეხი — ჩემებისთვის კარგი მინდა. მხოლოდ მათო-
ვის მინდა კარგი.

მამა დოდო — კარგი? ცოტა უცნაურად გესმის „კარგი“.

მარეხი — იცი, რა უქნეს იმ ჩემს ახლობელს, როცა თა-
ვის მოკვლა გადაატყვევინეს? იცი, რა უქნეს?

მამა დოდო — რა უქნეს?

მარეხი — საგიჟეთში გამოამწყვდიეს.

მამა დოდო — მე თუ მკითხავ, საგიჟეთი ჯოჯოხეთს
სჯობს.

მარეხი — იქიდან რომ გამოვიდა, სექტანტი გახდა და
თავი მაინც მოიკლა... ამაზე ტელევიზორშიც თქვეს. მის
ოჯახს კი ამის მერე დაეხმარნენ.

მამა დოდო — შენც გინდა ტელევიზორში მოხვედრა?

მარეხი — მინდა. თუ დამხმარები, ჩემებს მაშინ შეიძ-
ლება უფრო კარგად დაეხმარონ...

მამა დოდო — (დამცინავად) ღმერთო ჩემო, რამდენი
კეთილშობილება და თავგანწირვაა მის სიტყვებში?!

მარეხი — მხოლოდ ჩემი ოჯახის დახმარება მინდა. ძა-
ლიან გთხოვ, მოუყევი იმათ, ქვევით, ყველაფერი ისე,
რომ... იმათ ჩემს ოჯახს არაფერი მოაკლონ და...

მამა დოდო — ასე როგორ გამოთხოვრდი? ბრძოლაში
სიკვდილს და თავდაუზოგავ შრომას გირჩევნია შეგიბრა-
ლონ, შეგიცოდონ და როგორც ძალღს, ორი კაპიკი გადმო-
გიგდონ. სიკვდილსაც კი ყიდი?

მარეხი — შენ არ იცი, რა არის გაჭირვება?

მამა დოდო — (ანწყვტინებს) შენზე კარგად ვიცი. შენნაირე-
ბი და მთელი შენი ნაბუშარი ოჯახი კი ამოსანყვეტია და ამონყ-
დება კიდევ. იმიტომ, რომ გაჭირვებასთან ბრძოლას მათხოვ-
რული სიკვდილი გირჩევნიათ. შენ ადამიანი კი არა, ცხოვრების
ხორცმეტი ხარ და გინდა შენი შვილებიც გახორცმეტდნენ.

მარეხი — სხვის ცხოვრებაში ყველა ბრძენია.

მამა დოდო — დიას, თუკი ის სხვა — ლაჩარი, მათხოვა-
რი და კრეტინია... ყველაფერთან ერთად სექტანტიც.

მარეხი — შენს თავს მიხედე, არამზადავ. დაგავინყდა,
ამ ცოტა ხნის წინათ რაებს მელაპარაკებოდი?..

მამა დოდო — გეუბნებოდი იმას, რისი გაგონებაც გინ-
დოდა. უფალი ამბობს, ელაპარაკეთ ყველას თავის ენაზეო.
მეც გელაპარაკები, იმიტომ, რომ სხვანაირი სიტყვებისათ-
ვის ყურები დახშული გაქვს და აღარაფერი გესმის. იპოვა
ქალმა შვილების გაბედნიერების „ადვილი გზა“!

მარეხი — „ადვილი გზა“? გრცხვენოდეს!

მამა დოდო — გინდა ვილაც უცხო ხალხი ზრდიდეს
შენს შვილებს? მათაც ისე აბოლებდნენ, როგორც შენ, რომ
მერე მათაც გადაწყვიტონ ამ დანგრეული „ივერიის“ სახუ-
რავზე ამოსვლა და გაფრენა?

მარეხი — ისინი ამაღს არ იზამენ.

მამა დოდო — რა იცი?

მარეხი — ვიცი. ვიცი. ვიცი. იმიტომ, რომ...

მამა დოდო — არაფერიც არ იცი. გააჩინე, ადექი და გა-
ზარდე. (დამცინავად) თუ ყველაფერთან ერთად ისეთი
ცოდებები გაქვს ჩადენილი, რომ ქმარსა და ბავშვებს თვა-
ლებში ველარ უყურებ? ბოზობდი?

მარეხი — როგორ მიბედავ?!

მამა დოდო — აბა, დავიჯერო ეს ყველაფერი მხოლოდ
ფულის გამოა?

მარეხი — იცი რა ღირს მკურნალობა?

მამა დოდო — დაიწყო წუნწუნი. ჯანმრთელად უნდა
იცხოვრო, ივარჯიშო, გაიკაჟო ორგანიზმი და არ დაავადდები.

მარეხი — იცი, რა ღირს ერთი მარტივი — თიქარის
ოპერაცია? შუათანას აქვს და, არ ვიცი, რა ვქნა.

მამა დოდო — სახელმწიფო შენნაირ ხალხს ეხმარება.
შელავათებს უკეთებს...

მარეხი — (ანწყვტინებს) შვილები არა გყავს და ასე იმი-
ტომ ლაპარაკობ.

მამა დოდო — საიდან მოიტანე, ცოლიც მყავს და შვილიც.

მარეხი — (დაბნეული) ისე ბოღმით ლაპარაკობდი ბავშ-
ვებზე, რომ... ისეთი ზიზლი და სისასტიკე გქონდა თვალე-
ბში... არ მეგონა, თუ შვილები გყავდა!

მამა დოდო — სისასტიკე? ამას შენ ამბობ, დედა, რო-
მელიც აიძულებს თავის თხუთმეტი წლის გოგონას, არ
იტიროს?

მარეხი — რამდენი შვილი გყავს?

მამა დოდო — ღვთის წყალობით, ერთი. ბიჭი. ისევე,
როგორც ქალაქურ ქართულ ოჯახში, ერთი ნორმალურია!
(პირჯვარს იწერს) თქვენსავით კი არა ვართ, ჯერ რომ გაა-
ჩენენ და მერე ფიქრობენ, რა აჭაზონ. თავიდანვე გამოვთ-
ვალეთ და... უფალი ჭკვიანებს და წინდახედულებს ყოველ-
თვის ეხმარება.

მარეხი — ჰო, სულ ჭკუით ხარ გატენილები.

მამა დოდო — სულელებს სანოლში გორაობა გიყვართ.
უქნარა და არაფრისმაქნისები ხართ და, სინდისმა რომ არ
შეგანუხოთ, არ იკლებთ ამ სიამოვნებას. ღმერთს მაგ საქ-
მის კეთება სიამოვნებად რომ არ ექცია, არც კი გამრავლ-
დებოდით... დაყარე ვირთხასავით ამდენი ღლაპი და ახლა,
როცა მოგშივდა, გადანყვიტე თავის მოკვლა. შვილები
მომავლის მოგვარების არაჩვეულებრივი გზაა? არამარტო
უტყვინო ხარ, ყველაფერთან ერთად მხდალიც ყოფილხარ.

პაუზა.

მარეხი — თვითმკვლელობა სიმხდალეა?

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — (ძალიან ნელა) არა მაქვს სურვილი მაგ
თემაზე გელაპარაკო.

მარეხი — მაინც.

მამა დოდო — სიმხდალეა, რომელიც მხოლოდ წამიე-
რადაა გმირობა, ეს მაშინ, როცა ხტები, ან სასხლეტს აჭერ
ხელს, ან სანამლავს მიიყუდებ. სხვა ყველა შემთხვევაში
გაქცევია და მეტი არაფერი. ცხოვრება, ჩემო კარგო, მარა-
თონელ მორბენალთა შეჯიბრს ჰგავს... მანძილი დიდია, წი-
ნააღმდეგობებით სავსე, მაგრამ ყველამ იცის, ბოლოს
აუცილებლად მიიღებს პრიზს. მხოლოდ შენნაირები ფინი-
შამდე მისვლასა და საჩუქრის მიღებას აქ, ადგილზე, თით-
ქმის სტარტზევე სიკვდილს ამჯობინებენ და ჰგონიან ,
რომ მის სხეულს ვილაცა მაინც მიათრევს ბოლომდე. სხე-
ულს, რომელიც შენი ოჯახია. სინამდვილეში კი არაფერ მი-
ათრევს... მოკვდი. ფეხებზე არ მკიდი? ერთით ნაკლები
იქნება ქვეყანაზე.

პაუზა.

მარეხი — ასე რატომ ლაპარაკობ?

მამა დოდო — როგორ?

მარეხი — თითქოს მართლაც ფეხებზე გკიდა?

მამა დოდო — შენი სიცოცხლე შენ გკიდა და მე რა-
ტომ არ უნდა დავიკიდო?

მარეხი — არ მჯერა.

მამა დოდო — არ ვტყუი. როცა შენნაირი სექტანტი, ავადმყოფი და უსაქმური მიდის, ადგილი თავისუფლდება. ჰაერი ინმინდება. ერი ჯანსაღდება.

მარეხი — ხომ იცი, რომ ნამდვილი სექტანტი არა ვარ.

მამა დოდო — მათი სახელის რეკლამირებისათვის იკლავ თავს და, გგონია, დაგიჯერებ?

მარეხი — შენნაირების ბრალია, სექტაში რომ შევედი.

მამა დოდო — ჩემნაირების გარდა ეკლესია სავსეა წმინდანებით... შენი წინაპრების სისხლითაა შენარჩუნებული სარწმუნოება და ეს ქვეყანა და საერთოდ ის ენაც, რომელზეც ვლაპარაკობთ.

მარეხი — ახლა სხვა დროა. ჩემი სისხლით მიინდა ჩემს შვილებს ბედნიერი მომავალი მივცე.

მამა დოდო — (დამცინავად) ყოჩაღ!

მარეხი — ასეთია ჩემი რწმენა.

მამა დოდო — ის, რაც თავის მოკვლისკენ გიბიძგებს, ნამდვილი რწმენა არ შეიძლება იყოს.

მარეხი — დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და უფლება მაქვს ვინამო ის, რაც მიინდა, როგორც მიინდა და რანაირადაც მიინდა. ჩემთვის ჩემი რწმენა შენს დამყაყებულზე ახალი და უფრო ხელშესახებია.

მამა დოდო — შენი შვილებისთვისაც ხელშესახებია, არა?

მარეხი — დიახ.

მამა დოდო — ნინოსთვისაც?

მარეხი — ნინოსთვისაც.

მამა დოდო — შენი გოგო ვინმემ რომ შეაცდინოს და...

მარეხი — ნინო არ შეცდება.

მამა დოდო — დარწმუნებული ხარ?

მარეხი — დარწმუნებული ვარ. მას ამის მერე ფულიც ექნება და დამრიგებლებიც ეყოლება.

მამა დოდო — რა სულელი ხარ?!

მარეხი — თუ შენ იტყვი, რომ გიჟი ვიყავი, ან ფეხი დამიცდა... თუმცა ამას არავინ დაგიჯერებს, მაგრამ... გთხოვ, ძალიან გთხოვ უთხარი, რომ სიკვდილის წინ სექტის სახელს ხშირ-ხშირად ვახსენებდი.

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — ვიტყვი, გაგიჟდი და თავს იმიტომ იკლავდი, რომ საყვარელი გამანტაჟებდა და ფულს გაძლავდა.

მარეხი — ვერ გაბედავ.

მამა დოდო — არა, შენი მომეხატურება... გინდა დაგე-ნიძლავები, რომ ფულს არ გადაუხდიან შენს ოჯახს.

მარეხი — გადახტომას ვაპირებ და როგორ დაგენიძლავო?

მამა დოდო — აი, ფურცელი მაქვს და გავაფორმოთ ხელშეკრულება. თუ შენები ათას ლარს მაინც მიიღებენ სექტისაგან, მაშინ ათი ათასს მე დაუფრთხვებ. მაგრამ თუ შენი ოჯახი ათას ლარზე ნაკლებს მიიღებს, მაშინ ათი ათასს გადაამისხდის. (ანვლის კალამს) მოდი აქ, მოაწერე.

მარეხი — (დაბნეული) საიდან იცი, რომ ათას ლარზე ნაკლებს მიიღებენ?

მამა დოდო — დარწმუნებული ვარ. შემიძლია გარანტიაც კი მოგცე. იმიტომ, რომ მათ თუ ოჯახს ფული გადაუხადეს, დაიჭერენ. ეს საქმე კი გასკდება. მოწმე მე ვიქნები. შენი თვითმკვლელობა კი იქნება სექტის სიკვდილის დასაწყისი ამ ქვეყანაში.

მარეხი — ვერ დაამტკიცებ. არ დაგიჯერებენ.

მამა დოდო — ერთი-ორ მოწმესაც ვიშოვი. ნუ გეშინია.

მარეხი — აქ ჩვენს მეტი არავინაა.

მამა დოდო — მერე მაგას ვინ დაამტკიცებს? ცოცხალი ხომ მარტო მე დავრჩები? ასე რომ, გადახტი.

მარეხი — იმდენად უსინდისო ხარ, შეგიძლია ჩემს შვილებს უკანასკნელი ლუკმა გამოაცალო პირიდან, არა?

მამა დოდო — (ირონიულად) რა, ხომ არ გადაიფიქრე? პაუზა.

მარეხი — მარეხი მქვია. შენ რა გქვია?

მამა დოდო — მამა დოდო.

მარეხი — მამა დოდო კი არა, ყარაბას-ბარაბასი ხარ...

პაუზა.

მარეხი — არ მჯერა, რომ შეგიძლია ჩემს შვილებს მოგებულნი ფული მოსთხოვო.

მამა დოდო — მოვთხოვ და არა მარტო მე... იქ, ქვემოთ კიდე ბევრი ვინმე იქნება ისეთი, რომლებიც თავისას აუცილებლად მოსთხოვენ შენებს.

მარეხი — მაინც?

მამა დოდო — სურსათის გამყიდველი. დენსაც და გაზსაც გადახდა უნდა. მერე გასვენება, ქელები... ახლა ეგ ყველაფერი ძვირი ჯდება. ორი-სამი ათასი მაინც.

მარეხი — ორი-სამი ათასი?

მამა დოდო — აბა, ყველას უნდა ფული და ჭამა.

მარეხი — (დაბნეული) რომ არ გადაიხადონ, რა, დაუმარხავს დამტოვებენ?

მამა დოდო — (აკვირდება) ხომ არ გადაიფიქრე?

მარეხი — (ეჭვით) ჩემი დაშინება გინდა, არა?

მამა დოდო — დაშინება არა... რაც გინდა, ის გიქნია, ხომ იცი, პირადად მე არაფერს ვკარგავ. პირიქით, შენი წყალობით შეიძლება ცოტა ხანში არქიმანდრიტობაც კი მიბოძონ, იქიდან, ღვთის წყალობით, ეპისკოპოსობამდე ერთი საფეხური-ღია. ასე რომ, ყველა ვიხიერებთ, შენ და შენი ოჯახის გარდა.

მარეხი — (ეჭვით) ჩემი დაშინება გინდა, არა?

პაუზა.

მამა დოდო — ალბათ ისიც გათვალე, არა?

მარეხი — რა „ის“?

მამა დოდო — ნინოს ამბავი.

მარეხი — ვერ ვხვდები?

მამა დოდო — თხუთმეტი წლისაა, არა? საკმაოდ მიმზიდველი ფიგურა აქვს.

მარეხი — ვერ ვხვდები?!

მამა დოდო — აუცილებლად გამოუჩნდება კეთილი, ყურადღებიანი და მდიდარი ბიძია.

მარეხი — შე ანტიქრისტე! შე სატანის მოციქულო!

მამა დოდო ანაფორიდან პისტოლეტს ამოაძრობს და მარეხს მიუშვერს, რომელიც იარაღის დანახვაზე ხელეხს გაშლის.

მარეხი — ოო, მამაოს იარაღი ჰქონია! ძალიან კარგი, მესროლე, სატანის მოციქულო! ანტიქრისტე! ასე უფრო სჯობს!

მამა დოდო — (კბილებში გამოცრის) ჩემთვის ჯერ არავის უწოდებია ანტიქრისტე და სატანის მოციქული!

მარეხი — კიდე დაგიძახებ! ანტიქრისტე! სატანის მოციქულო!

მამა დოდო ნაბიჯს დგამს მარეხისკენ და გასასროლად ემზადება.

მარეხი — მესროლე! მესროლე! მესროლე!

მამა დოდო — (მცირე ხნის პაუზის შემდეგ) ძალიან გინდა, არა! შენი მოკვლით ოჯახი უფრო მეტ ფულს აიღებს! რეკლამა! მღვდელმა მოკლა საცოდავი სექტანტი, არა? დამიჭერენ და ყველაფერში სარწმუნოებას დაადანაშაულებენ!

მარეხი — რა, არ იმსახურებთ?

მამა დოდო — მართლა მსდელი ყოფილხარ! გინდა შენი საქმე სხვამ გააკეთოს!

მარეხი — ჰო, მინდა! ჩემზე უკეთესი მაინც არ ხარ! პისტოლელტიანი მღვდელი! ჰა-ჰა-ჰა!

პაუზა.

მამა დოდო — ნინოს ამბავი მაგრა მოგხვდა გულზე?.. რა უნდა ვქნათ, ასეთია თქვენნარი ურწმუნო ოჯახის შვილების რეალობა! ბევრი მინახავს ეგეთი ნინოები! ძალიან ბევრი.

მარეხი — მაინც სად გინახავს?

მამა დოდო — ცირკთან. საუნებში. სასტუმროებთან. იცი, რამდენი მოდის ჩემთან? მოდის, მხოლოდ სალაპარაკოდ. მოიხებს გულს და მერე ისევ იქ ბრუნდება. სამწუხაროდ, ესაა მათი სამყარო... ყველაფერი კი თქვენი ბრალია... შენნაირი ფანატიკოსი სექტანტების ბრალი...

მარეხი — სექტანტი არა ვარ. უბრალოდ მათ ვიყენებ.

მამა დოდო — იმიტომ იკლავ თავს?

მარეხი — შვილების გამო. მხოლოდ და მხოლოდ შვილების გამო.

მამა დოდო — მოიკალი. ნინო კი სულ ბევრი ორ წელიწადში ცირკთან დადგება.

მარეხი — არ დადგება. ნინო ჭკვიანი გოგონაა.

მამა დოდო — მითუმეტეს. ტკივილი აიძულებს, ეს ნაბიჯი გადადგას. დარდი, დანაშაულის შეგრძნება დააყენებს იქ და გაამრავლებინებს ცოდვას. იმიტომ, რომ დედას არ შეეხვენა, არ დაუშალა, ეს საშინელება არ ჩაედინა. ეკლესიაშიც ვერ მოვა, იმიტომ, რომ სექტანტობის გამო შერცხვება. ასე მოკლავ ჭკვიან გოგოს. მოკლავ ფეხების ზევით აშვერით... იმიტომ, რომ დედამისი ცაში კი არა ჯოჯოხეთში იქნება.

მარეხი — (ყვირის) ჩემი ჯოჯოხეთი აქაა და არა იქ.

პაუზა.

მამა დოდო — ასე რატომ ნერვიულობ? ისედაც მოკვდები ხუთ ან სამ წუთში. დაგმარხავენ. ვერაფერს დაინახავ და ვერაფერს გაიგებ, მითუმეტეს ვერაფერს იგრძნობ. გათავისუფლდები ამ ჯოჯოხეთიდან, რომლის კარსაც შენი სიკვდილით საკუთარ შვილებს უხსნი.

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — (დამცინავად) არადა, განსაკუთრებით შენი უფროსი ქალიშვილი ნინო მევედრებოდა. სულ მპირდებოდა, დედას გადაათქმევინე და ძალიან მეყვარებო. ნეტა რას გულისხმობდა? იქნებ სულ სხვანაირ სიყვარულს გულისხმობდა?

მარეხი — გარყვნილო ცხოველო! მაინც საიდან ჩნდებით ასეთი ამაზრუნნი ტიპები.

მამა დოდო — მე ვარ ამაზრუნნი? შენს თავს შეხედე.

მარეხი — გწყევლი, იცი, როგორ გწყევლი! შენ და მთელ შენ ოჯახს! არ გაიხაროთ, არასოდეს... და რაც ჩემს შვილებს უსურვე, შენ ოჯახს ასრულებოდე. შენს ორ ქალიშვილს... რომლებიც, იმედია, ისეთივე ბოზები გახდებიან, როგორიც ჯერ არავის უნახავს!

პაუზა. მამა პირფარს იწერს.

მამა დოდო — (დამცინავად) მაგრამ ჯერ შენი ნინოს ჯერია! მივეხმარები, აუცილებლად მივეხმარები!

მარეხი — უხ შენი!

ინეც მამაზე, რომელიც არ იმძრევა ადგილიდან.

მამა დოდო — რა იარაღი გინდა? აი, აილე! (იარაღს ფეხბოძად დებს) მოდი აილე! თუ გეშინია?

მარეხი — ჩემკენ ვადმოვადე და მერე განახებ, რისი მეშინია.

მამა დოდო — ეს იარაღია და არა ბურთი. მოდი და აილე. უკან დავიხევე. ასე რომ, უნდა მოხვიდე და აილო... მაგრამ სინამდვილეში არაფრისმაქნისი ხარ, ამიტომ ამა-საც ვერ გაბედავ.

მარეხი — არაფრისმაქნისი შენ ხარ! სექტანტი ვარ და, კიდევ კარგი, რომ ვარ! შენნაირი ფარისევლების გამოა ეს ცხოვრება ჯოჯოხეთად ქცეული, სატანის მოციქულო!

მამა დოდო — (დამცინავად) შენ თავს დააკვირდი და ჩემზე მერე ილაპარაკე.

პაუზა.

მარეხი — (უცებ იცვლის ინტონაციას) მე... მე... (ვერ პოულობს სიტყვებს) არ მჯერა, რომ შენ... შენ...

მამა დოდო — რა, მე?

მარეხი — ასე, სპეციალურად ლაპარაკობ! სპეციალურად... გინდა დამაბოლოო... გინდა დამაბოლოო!

მამა დოდო — დიხაბ, მინდა დაგაბოლო და ჩემს სასარგებლოდ გამოგიყენო. ისევე, როგორც შენმა სექტანტებმა დაგაბოლეს. შენ კი შვილები დააბოლე, რომლებსაც მალე გამოუჩნდება...

მარეხი — ჩემს შვილებს თავი დაანებე.

მამა დოდო — მამაო უეცრად ამჩნევს რაღაცას.

მამა დოდო — მარეხ, რაიმე სისულელე არ ჩაიდინო! ეს ჩემთან არის. არ ინერვიულო!

ინსორებს ანაფორას და პისტოლელტს მალავს. ქვემოდან ამოდის თორნიკე, 15-18 წლის ბიჭუნა.

თორნიკე — მამა, სანთლები მოვიტანე, რა ვქნა?

მამა დოდო — დავანთოთ! (მარეხს) შენ არ გინდა სანთელი?

მარეხი არ პასუხობს, დაძაბული უყურებს მათ.

მამა დოდო — თორნიკე, შვილო, ქვემოთ რა ხდება?

თორნიკე — არ იციან, რა ქნან! ძალიან ნერვიულობენ.

მამა დოდო — ამისი ბავშვები რას შევბიან!

თორნიკე — ამოსვლა უნდათ, მაგრამ არ უშვებენ... მეც არ მიშვებდნენ, მაგრამ მერე იფიქრეს, ჩემი ამოსვლით არაფერი დაშავდებოდა და გამომიშვეს.

მამა დოდო — დაანთე სანთლები და ერთი დეიდა მარეხსაც მიუტანე. სანთლის ცეცხლზე ჩვენი ცოდვილი ფიქრები ინვის. ღვთის წყალობით მარეხის არეული ფიქრებიც მის ალზე დაინვება.

თორნიკე ანთებს სანთლებს და ერთი მარეხთან მიაქვს.

თორნიკე — გამარჯობა, დეიდა მარეხ! როგორა ხართ?... დეიდა მარეხ, წყალი ხომ არ გინდათ? ნაკურთხი წყალი გვაქვს... თუ გინდათ, აქედან დაუძახებ და ნინო ამოგიტანთ? ნინოს ხსენებაზე მარეხი მამაოს გახედავს, მაგრამ ხმას არ იღებს.

თორნიკე — აი, სანთელი.

მარეხი არ იღებს სანთელს. თორნიკე მამაოს გახედავს. მამაო რაღაცას ანიშნებს და თორნიკეც სანთელს საწვამარი მილის კიდზე ამარეხს.

მამა დოდო — ახლა წადი და ილოცეთ!

თორნიკე — დამლოცეთ, მამაო!

მამა დოდო ლოცავს თორნიკეს და ისიც ქვევით ჩარბის.

მამა დოდო — (მარეხს) კარგი ბავშვია თორნიკე! ნერვიულობს! მგონი შენი ნინო მოეწონა და მხოლოდ იმიტომ, თორემ შენ ფეხებზე კიდიხარ... ეგეც მაგარი მაიმუნი გაიზრდება!

მარეხი — შენზე უარესი მაიმუნი ვინაა. მატყუარა! ყველას ატყუებ. სანთლები ამოატანინა! ილოცეთო! რისთვის ილოცონ?

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — როგორ თუ რისთვის?

მარეხი — უფრო მაგრად რომ დაბოლდნენ და უფრო ადვილად შეძლო მათი გამოყენება და გაცურება?

მამა დოდო — რატომ ნერვიულობ? სულ ფეხებზე არ გკიდია, რა იქნება მერე? თავს იკლავ და მორჩა. ეს ქვეყანა კი ჩემნაირებს დარჩებათ. შენგან განსხვავებით ჩვენ ვიცით, ამ ქვეყანას სიამოვნება როგორ გამოვწვავთ!

პაუზა.

მარეხი — ნეტა აქ არ ჩამოვსულიყავით! ცუდად თუ კარგად დავრჩენილიყავით სოფელში.

მამა დოდო — უნდა დარჩენილიყავით, აბა რა! ქალაქშიც ნაკლები სიბინძურე იქნებოდა.

მარეხი — სიბინძურე აქ ჩვენს ჩამოსვლამდეც ბევრი იყო.

მამა დოდო — ჩემი ნება რომ იყოს, ყველას გაგყრიდით სოფლებში. იქ ადამიანებს მაინც გავდით. აქ კი რას აკეთებთ?

მარეხი — ეს თქვენი ბრალია, ჩვენ რომ სოფლები მივატოვეთ!

მამა დოდო — კიდევ რა არის ჩვენი, ქალაქელების ბრალი?

მარეხი — არც შენა ხარ ქალაქელი.

მამა დოდო — აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, ჩემი შვილებიც აქ დაიბადნენ და აქ იზრდებიან. ქალაქელი ვარ, აბა ვინა ვარ?

მარეხი — ჩემი შვილიშვილებიც აქ დაიბადებიან. ისინიც გახდებიან ქალაქელები და ისწავლიან, წარმატებებს მიაღწევენ. მერე კი, შენნაირების შვილებს დედას უტირებენ!

მამა დოდო — ვერაფერსაც ვერ იზამენ. მოკვდი და დანარჩენს ჩემნაირები მიხედავენ. სოფელელო გოიმო!

მარეხი — ქალაქები კაენის შვილებმა ააშენეს. სოფლები კი — აბელისამ. რითი ამაყობ, მამაო? ანაფორას ამოფარებულ ფარისეველი! დედა გეტირებათ მალე ყველას! ვიცო, ნამდვილად ვიცო!

დოდო მარეხს ინტერესით უყურებს.

მამა დოდო — თუ ამდენი იცი, დარჩენილიყავი სოფელში და ყველა კმაყოფილი ვიქნებოდით!

მარეხი — შენი საქმე არ არის, სად უნდა დავრჩენილიყავით და სად არა!

მამა დოდო — ხომ ნახე აქ ჩამოსვლისას, რომ თქვენნაირების ადგილი არ იყო. წასულიყავი და ღმერთი აუცილებლად დაგეხმარებოდა!

მარეხი — შენნაირის ხელით დაგვეხმარებოდა, არა?

მამა დოდო — რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ხელით? მთავარია, დაგვეხმარებოდა.

მარეხი — ეგ ზღაპრები შენს დაბრწყინებულ მრევლს მოუყევი.

მამა დოდო — რა, ეკლესიაში გითხოვია ვინმესთვის დახმარება?

მარეხი — არა.

მამა დოდო — მერე ამდენ ტლიკინს და სექტანტებთან ბოდიას, გეცადა.

მარეხი — იქ რა, შენნაირები არ დამხვდებიან?

მამა დოდო — ყველა ერთნაირი არაა, ლოცვებშიც ყველა კი არა, მხოლოდ პატიოსანნი მღვდელნი ისხენიებიან. შენ კი ადექი და პირდაპირ იმათ მიადექი, ვინაც თავისი „რწმენის“ ქადაგებით აქ ამოგიყვანა... ახლა გინდა შენი შვილების თვალწინ დაეხეთქო მინაზე და ტვინი დაანთხიო. ერთადერთი, რაც თქვენს ეგრეთწოდებულ „რწმენას“ შეუძლია, ესაა ადამიანი თვითმკვლელობის სურვილით დააჯილდოვოს. მიდი გაფრინდი, შავო მერცხალო! (საათს და-

ხედავს) დროზე გადაეშვი, თორემ მალე წირვა უნდა და-მეწყოს და არ მინდა მრეველი ვალოდინო. თან ქადაგებისათვის უნდა მოვამზადო ტექსტი.

მარეხი — მაინც რაზე უნდა იქადაგო? გინდა დააშინო, რომ ცოდვა არ ჩაიდინონ, არა? მერე უქადაგო, რომ ადამიანები ყველა თანასწორნი არიან და გაჭირვებულის უბედურება საკუთარი სარგებელისათვის არ გამოიყენონ, არა?

მამა დოდო — აბა რა! თუ გინდა შენც წამოდი და მოუსმინე.

მარეხი — წადი, შენი...

მამა დოდო — წავალ, აბა, რას ვიზამ, ოღონდ გადახტი რა. მერე ჩავალ ქვევით, ტელეკამერების წინ ვიქადაგებ. მერე ტაძარში დავპატიჟებ. იქაც ვიქადაგებ და ასე გავხდები ძალიან პოპულარული ერთი იდიოტი სექტანტი ქალის თვითმკვლელობის ხარჯზე.

მარეხი — არაადამიანი ხარ!

მამა დოდო — არაადამიანი ჩემთვის კომპლიმენტია. არაადამიანი ნიშნავს, არ ვგავდე ისეთებს, როგორც შენნაირებს ადამიანი ჰგონია. ამაზე დიდი ბედნიერება რა არის?! (საათს დახედავს) თუ გინდა მოვალ და ხელს გკრავ?

მარეხი — არ მომეკარო.

მამა დოდო — რა იყო? გგონია არ მოგცემ გადახტომის საშუალებას? მეტი საქმე არა მაქვს. დღეს თუ არ გადახტები, ადგები და ხვალ გადახტები. ასე არ არის? ამიტომ ჩემთვის უკეთესია ახლა გადახტე. იმიტომ, რომ ხვალ ან ზეგ, მეექვსეა, შენს გვერდით მოვხვდე. ეს კი ჩემი კარიერისა და იმიჯისათვის ძალიან ცუდია.

მარეხი — შეგიძლია ხელი მკრა?

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — შემოძლია. იმიტომ, რომ როგორც თქვენთვის ვინც სექტანტი არ არის, ადამიანი ვერ იქნება, ისე ჩემთვის სექტანტი, მითუმეტეს ისეთი, რომელიც ფარისევლობს და სექტანტებსაც კი ატყუებს, ადამიანი ვერ იქნება. რაკი შენ ადამიანი არა ხარ, ესე იგი ხელს მშვიდად გკრავ.

მარეხი — ადამიანი ვარ!

მამა დოდო — ჰა-ჰა-ჰა!

მარეხი — მივალ საპატრიარქოში და ყველაფერს პატრიარქს მოვუყვებ. მერე ვნახოთ, დარჩები თუ არა მღვდლად.

მამა დოდო — როდის მიხვალ? თვითმკვლელობის შემდეგ?

მარეხი — მანამდე.

მამა დოდო — მაინც, მაინც?

მარეხი — მაშინ მივალ, როცა მომინდება... შენ არც კი დაგეკითხები.

მამა დოდო — როგორ შემაშინე? მაკანკალებს.

მარეხი — დედას ვიტირებ.

მამა დოდო — მიდი აბა, სცადე. მაქედან უფრო მალე ჩახვალ. ჰე, გაფრინდი.

მარეხი — როცა მომინდება, მაშინ გადავხტები!

მამა დოდო — (საათს დახედავს) მაგვიანდება!

მარეხი — არა უშავს, მრეველი მოიცდის. მამაო, ტელევიზორში ხომ უნდა გამოჩნდე?.. ასე რომ, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია.

მამა დოდო — დრო ფული ღირს.

მარეხი — წადი. ამ საქმეს უშენოდაც კარგად გავართმევ თავს.

მამა დოდო — გადახტი, რა! ხომ ხედავ, დაბლა ყველა

დაილაღა. ოპერატორებმა კამერებიც კი გამოორთეს. ალბათ ბავშვებს მოშივდათ კიდეც! შეიძლება ტუალეტშიც უნდათ წასვლა. შენ კი ყველას აფერხებ. ადამიანი არა ხარ, გადახტი!

მარეხი — ყველას ერქარება! ყველას!

მამა დოდო — ჩვენც ცოცხლები ვართ! სიცოცხლე კი გარბის დროსთან ერთად!

მარეხი — მართალი ხარ!

მარეხი გადასახტომად ემზადება. დოდო უეცრად სიცილს იწყებს.

მამა დოდო — მაინც რა ხართ ეს პროვინციელები. ყველაფერი ეგრევე გულთან მიგაქვთ! ყველაფრის გულთან მიტანა დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობების ნიშანია. ანუ უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ, ცალტვიინობის ბრალია!

მარეხი — შენ ხარ ჭკუისკოლოფი, არა?

მამა დოდო — ვარ! თანაც სიმართლეს გეუბნები! ჭეშმარიტებას ვლალადებ... არსებობენ ჩემნაირები, რომლებიც იყენებენ შენნაირებს, შენნაირების ახლობლებსაც კი და თან ყველანაირად იყენებენ! ეს არის ჭეშმარიტება... რა გაგიკეთებია ამ ცხოვრებაში — შვილები, რომელთა გამოც ახლა თავს იკლავ? იმათ კი ჩვენ გვიტოვებ! დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობების ხარ, აბა რა.

მარეხი — შენნაირები ამ ქვეყანაზე არ უნდა არსებობდნენ!

მამა დოდო — არამარტო არსებობენ, მართავენ კიდეც შენნაირებს. ამიტომ ჩემნაირებს შორის თავს არავინ იკლავს, თუნდაც ეგრეთწოდებული „რწმენის-სასოს“ გამო! (საათს დახედავს) მაგვიანდება, ან გადახტი და ან წამოღი ჩემთან ერთად.

მარეხი — ყველაზე უკეთესი იქნებოდა, აქედან შენ გადამეგდე.

მამა დოდო — (პირფარს იწერს) ხუმრობ? კარგია, როცა ხუმრობ, მაგრამ ჩემს გადაგდებაში ფულს არავინ გადაუხდის შენს შვილებს!

მარეხი — იცი, რა არის შვილების სიყვარული?

მამა დოდო — ეჭვი გეპარება? შვილების სიყვარული ნამდვილად ვიცი. შენ კი თამაშობ სიყვარულობანას და მეტი არაფერი.

მარეხი — (დამცინავად) მაგრა ვთამაშობ.

მამა დოდო — ვინც უყვართ, იმათ ასე არ ექცევიან! (საათს დახედავს) ახლა ბარემ ფრრრრრრ!

მარეხი — ხომ შეპირდი ბავშვებს, რომ არ მომცემდი თავისმოკვლის უფლებას.

მამა დოდო — თავს ზევით ძალა არაა!

მარეხი — სანამ მღვდელი გახდებოდი, ვინ იყავი?

პაუზა.

მამა დოდო — არავინ.

მარეხი — (იციინის) არავინ?

მამა დოდო — რა არის სასაცილო?

მარეხი — არავის აცვია ანაფორა.

მამა დოდო — ანაფორა მღვდელს აცვია.

პაუზა.

თორნიკეს ხმა — მამა, ნინოს უნდა დედასთან დალაპარაკება. რა ქნას? ამოვიდეს?

მარეხი — (ვედრებით) არა. არ მინდა! არ მინდა!!!

მამა დოდო — არ არის საჭირო! მარეხი ჯერ ცოდვებს ინანიებს და მერე ვნახოთ!

თორნიკეს ხმა — კარგი, მამა!

მამა დოდო — ნინოს და ყველას უთხარი ყველაფერი კარგად იქნება-თქო!

თორნიკეს ხმა — კარგი, მამა!

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მარეხი — პირფერო! ორპირო! მატყუარავ!

მამა დოდო — ვიყო, ბატონო! ყურადღება მიაქციე, როგორ ეშმაკურად მოვიქეცი? ვთქვი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი, თან ისიც დავაბარე, რომ აღსარებას მეუბნები და ცოდვებს ინანიებ! ეს, ხომ იცი, რასაც ნიშნავს? დაემშვიდობე შენ სექტანტურ ფულებს!

მარეხი — შენნაირ არამზადას არასოდეს შევხვედრივარ! მართლა როგორი არადამიანი ყოფილხარ?!

მამა დოდო — როგორ არა გრცხვენია, ამას რომ მეუბნები. არაადამიანი კი არა, საუკეთესო, სიკეთით სავსე პიროვნება ვარ! შენი ყველაზე დიდი მეგობარი! თუკი გადახტი და დიდხანს აქ არ დამაყოვნებ, ერთ კაი საქმეს გაგიჩალიჩებ!

მარეხი — რა საქმეს?

მამა დოდო — ჩავალ დაბლა და ყველას ვეტყვი, რომ ვერ გადაგათქმევიან, ანუ სარწმუნოება ვერ შეგაცვლიან. მერე...

მარეხი — მერე?

მამა დოდო — ასე რომ, შენი ოჯახი მიიღებს სექტის საპრემიო ფულს! მერე...

მარეხი — რა მერე?

მამა დოდო — ისე მტკივნეულად განიცდი ამ საკითხს, რომ არ ვიცი, როგორ გითხრა?

მარეხი — რა მითხრა?

მამა დოდო — ჩვენ ხომ უკვე ძალიან დავახლოვდით... შეიძლება ითქვას დავმეგობრდით კიდეც!

მარეხი — (ეჭვით) რა გინდა?

მამა დოდო — აღიარე, რომ ისე გამიცანი, როგორც არავინ მიცნობს... ჩემზე ყველაფერი იცი...

მარეხი — (დამცინავად) გამიცანი, ძალიან კარგად გაცინი.

მამა დოდო — (დამწუხრებული) ასეთი ტონით ნუ მელაპარაკები, გულს მტკენ!

მარეხი — გული გაქვს, რო? ბოლოს და ბოლოს რა გინდა?

მამა დოდო — გითხრა?

მარეხი — ამოლერლე!

პაუზა. დოდო აკვირდება მარეხს.

მამა დოდო — რა მინდა შემოგთავაზო... ოღონდ ვიდრე რაიმეს იტყვი, კარგად გააანალიზე და ისე მიპასუხე. აი, რას გთავაზობ — თუ გადახტი და მომცემ ყველაფრის გაკეთების საშუალებას ჩემი თვითრეკლამისათვის, გპირდები, რომ დიდ ყურადღებას მივაქცევ შენს ნინოს და დანარჩენ მღვდლობითი სქესის შვილებსაც.

მარეხი — (დაძაბული) რას მიაქცევ?

მამა დოდო — ნინოს ძალიან კარგი სახე აქვს, სხეულზე ხომ საერთოდ აღფრთოვანებული ვარ! როგორც კი ყველაფერი ჩათვდება, იცოდე, ხელისგულზე ვატარებ! ცივ ნიავსაც არ მივაკარებ! დავიცავ!

მარეხი — ვისგან დაიცავ?

მამა დოდო — ამ საშინელი სულელური სამყაროსგან! გავზრდი, ბევრ რამეს ვასწავლი, მატერიალურადაც დავეხმარები... ჩემს ხელში დაქალდება... მერე, როცა მოვბეზრდები, გავათხოვებ კიდეც! ხომ არ გინდა, რომ შენნაირად

დაამთავროს მანაც ცხოვრება? ან ცირკთან მოუწიოს დადგომა?

მარეხი — როგორ მიბედავ?

მამა დოდო — ამაზე უკეთესი რა გინდა?

მარეხი — ცხოველო!

მამა დოდო — აზრზე მოდი, ქალო, დამშვიდდი და ობიექტურად შეხედე სინამდვილეს. მე ვიქნები მისი მფარველი და არა ვინმე უსაქმური, უჭკუო ბიჭუნა. მშვიდად აღიქვი ის, რომ მამაკაცი, რომელმაც შენი ნინო ქალად უნდა აქციოს და ცხოვრებისეული სიბრძნე მისცეს, შენ წინაშე დგას და გელაპარაკება!

მარეხი — სატანა!

მამა დოდო — იცი, რა კარგად იქნება? მერე ვინმე სულელზე დავაქორწინებ და... ცოცხალი აღარ იქნები იმ დროისათვის, თორემ ძალიან დამიფასებდი ამ ღვანლს, აბა... (საათს დახედავს) გადახტი და დარწმუნებული იყავი, რომ ამ შეთანხმებას ერთი პუნქტითაც არ გადავალ.

მარეხს ნერვიულობისაგან ფეხი დაუცდება და კინალამ გადავარდება. მამა დოდო რომ არ დახმარებოდა, აუცილებლად გადავარდებოდა. მარეხი ნახევრადაა გადაკიდებული სახურავიდან.

მამა დოდო — ხელს არ შეგიშლიდი, მაგრამ მინდა სიკვდილის წინ შენგან თანხმობა მივიღო! ხომ იცი, მაინც კარგია, როცა დედა, თუნდაც სექტანტი, უკანასკნელ გზაზე დადგომამდე გლოცავს.

მარეხი ამოძვრება სახურავზე და მამაოს ანაფორაში წავლებს ხელს.

მარეხი — დედას გიტყვებ! არ მოვიკლავ თავს, კათალიკოსამდე მივალ და შენს თავს აუცილებლად გავაგდებინებ ეკლესიიდან. მანამდე კი ჩავალ ტელევიზიისთან და ყველაფერს ვეტყვი შენზე. თუ არ დამიჯერეს, ყოველდღე შენს ეკლესიაში ვივლი და მაინც დედას გიტყვებ!

მამა დოდო — (დამწუხრებული) როგორი უნამუსო ხარ! შენთან ასეთი გულახდილი ვიყავი, შენ კი... უნამუსო, ქლენა ყოფილხარ. მერე სექტანტებს თვალეზში როგორ შეხედავ? სირცხვილი სულ დაკარგე, ქალო? გადახტი!

მარეხი — სექტანტების დედაც! ჩემს შვილებსაც არავის დავაჩაგრინებ და არავის გავაფუჭებინებ! თუნდაც ამისათვის მილიონი გადამიხადონ...

მთელი ძალით ურტყამს სახეში დოდოს. დოდო ეცემა. მარეხი სწრაფი ნაბიჯით ჩადის ქვევით. მამაო მარტო რჩება. ნელ-ნელა დგება და ცოტა ხანს უხმოდაა. მერე უეცრად ჯიბიდან იღებს მობილურს და რეკავს.

მამა დოდო — ნინოს დამალაპარაკეთ! ნინო, შვილო! ყველაფერი ისეა, შვილო, როგორც უნდა იყოს!... რა საშინელებაა უნდა თქვას დედაშენმა ჩემზე, პასუხი არ გასცე. კარგი ქენი, ყველაფერი დროზე რომ გამაგებინე, თორემ ამ სექტანტებს აყოლილი მართლა მოიკლავდა თავს... მერე, როცა იქნება... ტაძარში მოიყვანე და იქ ავუხსნი ყველაფერს. დავეხმარებით, აბა რას ვიზამთ, შვილო. ქართველები არა ვართ? ქრისტიანები არა ვართ?

სახურავზე თორნიკე ამოდის. მამას უახლოვდება.

თორნიკე — ძალიან რთული ყოფილა, მამაო?

მამა დოდო — რა, თორნიკე, მღვდლობა?

თორნიკე — ჰო, მამა! ნინოს დედა თავს აღარასოდეს მოიკლავს!

მამა დოდო — ყველაფერი გესმოდა?

თორნიკე — ყველაფერი!

პაუზა. დოდო აკვირდება თორნიკეს.

მამა დოდო — ძალიან დამაჯერებელი ვიყავი?

თორნიკე — ძალიან, რომ არ ვიცოდე, მეც დავიჯერებდი!

მამა დოდო — მღვდლობა ხომ არ გინდა?

თორნიკე — მინდა, მამა, მაგრამ მეშინია, შენნაირი რომ ვერ გამოვიდე?

მამა დოდო — მეც მეშინოდა თავის დროზე... (დაფიქრდება) ყველაზე ძნელი მაინც მაშინაა, როცა დაამიანს თავს აძულებ.

თორნიკე — ჰოო, მაგრამ ეგ ხომ სასიკეთოდ კეთდება, მამა... შენ არ ამბობდი, ქირურგიც ხომ ატკენს, ავადმყოფს, მერე, გამოჯანმრთელებული, როგორი მადლობელიაო?

მამა დოდო — ყველა არა!

თორნიკე — არა მგონია, მამა!

პაუზა. დოდო აკვირდება თორნიკეს.

მამა დოდო — ბევრი ნაგავი უნდა თხარო, დაკარგული მარგალიტი რომ იპოვო!

პაუზა.

თორნიკე — მამა წავიდეთ ტაძარში და... ვილოცოთ! შენ არ ამბობ, ლოცვა სულის საზრდოაო! დავანაყროთ სული!

პაუზა.

მამა დოდო — ოლიკოც უნდა მოვიდეს!

თორნიკე — ჰოო! უნდა მოვიდეს და დავილაპარაკოთ! წავიდეთ!

მამა დოდო — ცოტა ხანს მაცალე და... შენ ჩადი!

თორნიკე — კარგი მამაო!

თორნიკე ქვევით ჩადის. მამა დოდო მარტო რჩება. თვალეზს ხუჭავს და უხმოდ ზის. უეცრად ამოიღებს პისტოლეტს და ლულას ღია პირისკენ მიიშვერს. სასხლეტს ხელს გამოჰკრავს. ისმის ჭექა-ქუხილის ხმა, პისტოლეტის ლულიდან კი წყლის ჭავლი ამოასხამს, რომლითაც მამა დოდო წყურვილს იკლავს. იწყება წვიმა.

მამა დოდო — (პირჯვარს იწერს) უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი, ყურად-ილე ვედრებაი ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი სიმართლითა შენითა, და ნუ შეხუალ სასჯელსა მონისა შენისა თანა, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი. რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქუეყნად ცხოვრებაი ჩემი, დამსუა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკვდარი საუკუნოი. და მოენყინა ჩემთანა სულსა ჩემსა, და ჩემ შორის შემიძრუნდა გული ჩემი. მოვიხსენე დღეთა პირველთაი და ვინურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა ხელთა შენთასა ვზრახვედ. განვიპყარ შენდამი ხელნი ჩემნი, და სული ჩემი ვითარცა ურწყეული შენდამი. მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღვიმესა. მასმინე მე განთიად წყალობაი შენი, რამეთუ მე შენ გესავე; მაუნყე მე, უფალო, გზაი, რომელსაცა ვიდოდი რამეთუ შენდამი აღვილე სული ჩემი. მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან უფალო, რამეთუ შენ შეგევედრე, მასწავლე მე, რაითა ვყო ნებაი შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი, სული შენი სახიერი მიძლოდეს მე ქუეყანასა წრფელსა. სახელისა შენისათვის მაცხოვრო მე და სიმართლითა შენითა გამოიყვანო ჭირისაგან სული ჩემი. და წყალობათა შენითა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარსწყმიდნე მატრეველნი სულისა ჩემისანი, რამეთუ მე მონაი შენი ვარ. ისმის ზარების რეკვის და გალობის ხმა. ნელი ჩაბნელება.

ფარდა



უკვე შეიძლება ითქვას, რომ ნატა ვარადა იშვიათად თავისი სტილი, მიაგნო თავის თავს მხატვრულ-პოეტურ სტიქიაში. მას აქვს თვითგამოხატვის წესი, ნება და უნარი. ნატა ვარადა არის ნათელხილვის ოსტატი, რომელიც ლექსს კი არ წერს, არამედ აშენებს, აღმართავს, აყალიბებს როგორც თვითკმარ სივრცეს, სადაც ახალ სიცოცხლეს ანიჭებს მითო-პოეტურ სიმბოლოებს... პოეტურ ტექსტებში ეთერის, ყამარის, ცამცუმის, მესეფის ასულთა თუ სხვა ზღაპრულ-მითოლოგიურ პერსონაჟთა გამოჩენა იმას მოასწავებს, რომ დესტრუქციის სულიდან იზადება მხატვრული სინამდვილე. ფრაგმენტი წარმოადგენს მთელს. ვარადასეული მანერა, პოსტმოდერნისტული ციტირების ხერხს რომ მოგვაგონებს, სინამდვილეში მიზნად ისახავს მითის დეტალებად დაშლას და ამ დეტალებიდან ახალი, სუბიექტური რეალობის შექმნას. მის ლექსში ენობრივი, ინტონაციური და აზრობრივი ნიშნები შერწყმულია ჰარმონიად, რომელიც ემსახურება ესთეტიკურ ფასეულობათა მხატვრულ გაფორმებას. ნატა ვარადას ეპიკურ ხილვებში არის წესრიგი, სისტემა, სიუჟეტი, დინამიკა და მინიერება. წესრიგი იმისათვის, რომ სიტყვა და იდეა თანხმიერი იყოს; სისტემა იმისათვის, რომ ფოლკლორულმა არქეტიპმა პოეტურობა შეინარჩუნოს; სიუჟეტი იმისათვის, რომ იდეამ იცოცხლოს; დინამიკა იმისათვის, რომ მკითხველმა აღქმის რიტმი არ დაკარგოს; მინიერება იმისათვის, რომ ზეცა არ გაქრეს თვალთახედვიდან და შედგეს რეალობა, პოეტური რეალობა.

ნატა ვარადა

ნართაული ივნისის საღამო

გადასასლება. ადიუხ

„ვინც მიწაშია, ის ჩემს საიდუმლოს ინახავს.
ვინც ჩუმად არის, ემორჩილება ბუნებას.
რად მიწადა, ადიუხ,
შენი უკვდავება, მომცილდი თავიდან.
ვარდისფერი მკლავები შემალე ბნელში,
ხიდისთავს რას გამოგიდია, ამვლე-ჩავლელისთვის
რა საჭორაო მიგიცია?!
ტილოს ხიდზე მოვექრივარ ჭენებით,
მე მიწდობილი ვარ ცეცხლის ქალღმერთებს“.

წყალქვეშეთშიც დგას მშვენიერი ქვის სახლი,
წყალქვეშეთის ასულები იმოსებიან თევზის ქერცლებით.

„მესეფების ქალიშვილები,
შემოდგომისას გამრიყავენ და საქონლის მწყემსს
შემარქმევენ,
ასე, ვიხრჩობი, შენი ქმარი, ადიუხ.“

ადიუხი სოსრუკოს მიყვება,
ცოცხლად დამარხული მიწიდან დგება, სოსრუკო.
ის, ვინც მიწაშია და ჩემს საიდუმლოს ინახავს.
ვისი ცრემლიც გაყინულ ტბებს ალღობს და
ვისაც ჩიტები სხვა ქვეყნებიდან ჩამოჰყავს.

„სოსრუკო, შემოდგომისას უკანვე, მიწას უბრუნდება,
ნელზე მხიარულსაკრავ შემორტყმული,
თან ჩემს ციციხათელა ადიუხს
მიუძღვება,
ადიუხს მიწისქვეშეთისკენ, წყალუხვ ალაგას, რა გინდა?!
სამთავიანი, წყვდიადის ქალღმერთი, ძალღვივთ გიყვებ, დაგკბენს და დაგფლეთავს,
მე მხოლოდ შემოდგომის ნისლებში ამოვალ,
ზღვათა მიუვალ ფსკერიდან,
შენ გაზაფხულზე სოსრუკო წყვდიადის
კლანჭებიდან გაგიშვებს,

ნუთუ აღარასდროს ამინთებ,
სანთელივით ჩამოქნილცვილისფერ ხელებს?!”

ადიუხის ვარდისფერი მკლავები, ნაკვეთილი,
ბნელ მიწას ანათებს,
ანათებს,
მიტოვებული მონატრებით თენდება.

მესეფების ასულები, ნოემბერი

— ჩუუ, ჩუ, ჩუმად, არ გამთქვა,
არ თქვა, უღრან ტყეში ვის ასულს, ვის სულს გადაეყარე.
ჩვენ ამოვედით წყლის ქვეყნიდან,
რომ შემოდგომის ბალახები მოვადროვოთ საქონელს.
— ჩუუ, ჩუ, ჩუმად, მწყემსო,
ენას კბილს თუ დააჭერ, მოგცემ გახვრეტილ ქვებს,
ავგაროზებს,
ნაგიყვან დიდი ლოდების ქვეყანაში,
ზღვის ფსკერზე გაცხოვრებ, ჩემი მამის
ლამაზქოხში,

ზღვის მეფის ასულის სასახლეს გაჩვენებ.
გაჩუქებ ბეჭედს, ოლონდ არ უთხრა შენს ადამიან-ცოლს,
ჩემი ამბავი.
რომ ნახევარქალა, ოქტომბრის მიწურულ ღამეს,
მოვედენი საქონელს წყვილ-ჩლიქოსანს,
რომ ქვის სახლი მიდგას უღრანტყეში,
რომ მიწდორში ხმელჭვავს ცეცხლი გაუჭინე,
ახლა კვამლის ხიდზე
გავდივარ.
რომ კვირიონების ბუდეებს ვიყენებ სადილად.
არ გათქვა, გამხმარი ქერცლით და ძუძუთი,
წყლის ადამიანი, ისედაც რას ვგავარ.
ენას კბილი აგიცდა,
მზეჭაბუკო, თხების მწყემსო, მოულოდნელად,
უკანასკნელ დღეს,

როდესაც მიწისკენ მიშვებენ,
შუადღის გულზე დავბრუნდი,
მზეს მიფიცებულს სული აგართვი, ჩემი ბეჭედი
შენ ხორციელ ცოლს,
შენი სული კი ზღვის ფსკერზე.
გავთავდით.

ნაზმი

ჩვენ ხომ მხურვალე დუღილისას
 ცეცხლით გამოგვჭედა ჩვენმა დებეჩიმ.
 ჩვენ ვართ ომის ღმერთების სუნთქვა, ორი ძმა,
 ახლა მინისტრის ერთმანეთის სისხლის სმაში
 ვეჯიბრებით ერთმანეთს.
 ჰე, ერთო, მოგვიხედე ჩვენსა მშვიდობას,
 გამოითხოვე ორთა სულელები სამზეოსკენ,
 მტყუან-მართლის მხარეზე მორიგეობა დაგვიწესე,
 შენი სამსახური და რისხვა გვაღირსე.
 კლდეების ეხში დავიბუდეთ, დევების ცოლები
 მონებად გვყავს.
 აბა რა ეგონათ,
 რას გვიცინოდა დევის ქალა,
 რას გვიელვებდა თეთრსა კბილსა.
 ჩვენ ვუჭედავთ ვულკანის ლავისგან
 ახალ კაცებს სხეულს და ვჭედთ,
 რომ ზღვა და მთა ცხრაჯერ გადაიარონ,
 რომ რკინის ქალამნები აღარ დაჭირდეთ,
 რომ ფასკუნჯის ფრთებმა უნამლოთ,
 თუკი ჯოჯოხეთისკენ გეზით გაიგნეს, ჩანვდნენ თავიანთ
 ჯალაბობას, თავიანთ მკვდრებს,
 ხმა მიანვდინონ, გაიხარონ ათასწლოვანმა
 ხავსიანმა სულეებმა,
 ლოპრიანი მკლავები გაუნოდონ.
 სიყვარულის და გრძნობების სიმხურვალემ,
 ჩვენი ლავისგან ნაჭედი გულები დაუღლოთ.

ცამცუმის სადიღებელი

ნეტაი მათ, ვინც შუალამეს ადგა სიფხიზლით,
 ვინც, გალობით მოელის სიძეს, ვინც არ ზიდა ლოდი სიზიფის.
 ნეტაი მასაც, ვისაც თავი წაართვა ძილმა,
 ღრმა ჯურღმულებში გადააფრინა,
 კლდეების, ჭალების საუფლოს მინა მოუნიშნა.
 მისცა ერთი ადლი, მადლობა.
 ცეცხლის საგალობელი ასწავლა, მადლობა.
 ვარდისფერი თენების მსგავსი ცოლი, მადლობა.
 დედა, დედაბერი, გულთმისანი, მადლობა.
 დები, მჩხიბავები, მადლობა.
 შუბი და ხმალი, რკინის მკვნიტელნი, მადლობა.
 ცხენი თეთრონის დარი, მადლობა.
 ნეტაი მათ, ვინც შუადღეს ხვდება ლოცვისას,
 ვინც, მუხლში კვეთით, თავით მინაზე სიძეს ემადლობება.
 ნეტაი მათაც, ვინც მიუვალ, უღრან ტყეებში,
 ხვდება დევების თეთრკბილა ქალებს,
 ვინც, გადმოიღებს თავის მშვიდ მშვილდ-ისარს
 და ბაყბაყანას გზად გაილაღებს.
 ნეტაი მას, ვინც ბაყბაყიანმა მოკლა შარა-გზაზე,
 გმირის სახელი აქვს იქეთაც, აქეთაც.
 სახელიანია, მორჩა, მინიერ სხეულს
 ხელი მოუთავა. ჭენებით გადაფრინდა სალ კლდეს და
 ედემში მისი სული გოგირდისფრად გადაწითლდა.
 სახელი დატოვა, სიტყვა დატოვა:

ვინც მე მომივლის, დამმარხავს, ცოლიც, რაშიც ალალ მისა
 ვინაც მოჰკლავს ბაყბაყანსა, ჩემი შუბი ალალ მისა.
 ცამცუმის სიკვდილი ალალია.

**ეთეროვანი
(მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლელობა)**

ეკლები მწერებივით მესევიან, საიქიოსკენ მივისწრაფვი.
 მერცხლების ყურნამლები ჟღურტულით,
 კვიცის ჭიხვინით და ჭენებითა.
 მე აბესალომი მოვკალი, ჩემ უნახავი სიყვარულით,
 სააქაოში უკუნია.
 უკარო ციხესავით სხეულში,
 თავი შევიმწყვიდე, ჯანაბამდის,
 ხელუკულმა თუ შემოგაყაროთ კაცმა ქორწილში
 მარცვლეული, იმ კაცის სული ეშმასია.
 ეშმაკის ხრიკებით დავსწეულდი,
 ფეტვივით შემესია მკბენარები,
 ობლის გამომცხვარი კვერი, კუტია და ნაცარშია.
 საიქიოსკენ დავიძარი დედაცხენების ჭიხვინით, ჭენებითა.
 ქმარმა, რომელიც მემოვკალი,
 ჩემი სიყვარულის ეჭვებით დასწეულდა,
 ეკლები ეჭვებივით ესობიან.
 უნდა გამაცინოს, თავის ხილვით, პირიდან გადმოვყარო
 შრომანები,

მაგრამ ეკლები მერჭობიან.
 აბესალომო, ვერ მიცანი,
 თვალში სიბნელე ჩაგწოლია, ვეშაპივით,
 შენი თეთრი ცასავით ფითქინა ცოლი ვერ მიცანი.
 შენთან მოვიდე, გველეშაპი შავი,
 სულისმზერიდან ამოგიხაპო.
 ვინც გაგყვარა, მანშეგვაერთოს.

**შასკუნჯის ფრთა
(სამი ქაჯი წამოაგდო პირიდან. ხმალი შემოუქნია
მზე-ქალს: უნდა ეხლავე გაგათავოო)**

სამთვარეულომ წამოუარა არაამქვეყნიურ მზე-ქალას.
 დამკარ, დამკარ ვულკანოსის ხმალი,
 სამჯერ, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს.
 მითხარ უნდა გაგათავო ახლავე
 და პირიდან წამომვარდეს სამი ქაჯი,
 სხეულში რომ გულის მიჭამდნენ.
 ალგეთის ჭალაში, ქაჯავეთს, უთმო, უწამწამო
 გველებმა, დორბლივით წამოსულმა
 ურჩხულმა, ლორისთავიანმა ქალსახამ,
 ახალ მთვარეზე და უკუნეთს
 სამსხვერპლო ქვაზე დამაკრეს,
 აირია სეზონები, კალენდარი პირობითი.
 დღე ღამეში, მზე მთვარეში,
 ცნობამიხდილს გამისწორდნენ,
 თვალთ მჭამეს, გამთვალეს,
 გამჩხიბეს და მათ მბრძანებელს სილამაზით მახარბეს.

ნამდვილი გიჟის სახელი მომანებეს და ნიავექარზე,
 ღრუბლების ჭვრეტამ თუ დამალა,
 თავი მხოლოდ ზეცას შევატოლე.
 არრა რა მახსოვდა, თმა მომკვეცეს,
 არრა რას გარდა არრა რა.
 მხოლოდ სიყვარულმა არ დამტოვა,
 მხოლოდ სიყვარულის ამარა,
 კლდის ნატეხ ქვაზე სამსხვერპლოზე, სვავების მოლოდინით,
 გულაღმა დამაკრეს, გაბანგული,
 სამთვარეულომ მომიარა, თვალებდახუჭული ავბუტბუტდი:
 ჩემი სილამაზე ჩონჩხად იქცა,
 მოსიარულე მკვდრად ვიქეცი.
 მაგრამ, ჯოჯოხეთის კარიც თურმე
 იხსნება ხანდახან,
 უმზეო ტალანებში ცხელი ქარიშხლებით
 ცხენებით ჩამომწვდნენ სამნი ძმა,
 სამზეოზე რომ გამამაცხადეს,
 ფასკუნჯის ფრთები მომაშველეს.
 დამკარ, სამჯერ ვულკანოსის ხმალი:
 ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს.
 გადმომვარდა პირიდან სამი ქაჯი,
 გულს რომ მიჭამდნენ და აორთქლდნენ.

ყამარ. თეთრონი. ზღვათა მეფისა ასული

„უყურეთ კახაბა ქალასა: ქმარი ირჩია მამასა!“
 „ყამარო, დამხსენ ძუძუნი, შენც ჩემთან დასთმე თავიო,
 ცოცხალსა სიარსამულსა მე გირჩევივარ მკვდარიო.
 ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა ალგეთის ქალა გაექნა,
 უძმოსა, უმამისძმოთა ამირანს თავი მაექლა.“

აბრსკილი ვიხილე. ზღვაზე რომ კოშკი მიდგას,
 იმას მოსდგომოდა-ყე, უსუპის თეთრონი
 მამაჩემის ღრუბლებს ტორავდა,
 თმა კიბედ ჩავანოდე, ჩემი საძინებელი დავუთმე-ყე.
 გრძნეული მამაჩემი, უცნობ ღმერთების ადამიანი მონა,
 სიყვარულით ადამიანს მიმცემდეს, არ მგონია,
 ყველა ბავშვური ოცნების გამო,
 ყველა ცრემლის და მარტოობისთვის,
 სიყვარულის და ერთგულების გავხდები ქურუმი.



მბატვარი თენგიზ მირზაშვილი



„გთხოვთ, მხოლოდ ერ-
 თი წიგნის შეძენით გადაარ-
 ჩინოთ პოეტის გული“ —
 ასე ერქვა **სამეცნიერო ბიბ-
 ლიოთეკაში** 29 ივნისს გა-
 მართულ საქველმოქმედო
 საღამოს. ბიბლიოთეკის მეს-
 ვურთ, **ირაკლი ლარიბაშვი-
 ლის** თაოსნობით, ათას ეგ-
 ზემპლარად ხელახლა გამო-
 ცემული **სევარიონ ნადირა-
 ძის** რომანის **„ფქვილდაფქ-
 ვილ სიარული“** გაყიდვა და
 მწერლის ოპერაციისათვის
 საჭირო თანხის შეგროვება
 განუზრახავთ.

ლონისძიებას **ქეთევან
 შენგელია** გაუძღვა და საზოგადოებას ყველასათვის კარგად
 ნაცნობ, 90-იანელთა თაობის წარმომადგენელ შესანიშნავი ლი-
 რიკოსზე, პოეტური ორდენის **„მარად ახალი ქნარის“** წევრზე —
 სევარიონ ნადირაძეზე ესაუბრა და პირველად სწორედ ამ ორდე-
 ნის წევრი **ქეთი დოლიძე** მიიხმო მიკროფონთან.

ქეთი დოლიძე ნუხილი გამოთქვა, რომ ჩვენში შემოქმედს
 ჯანმრთელობის დაცვის საშუალება არა აქვს და ტრაგედია უწო-
 და ფაქტს, როცა საქველმოქმედო საღამოების გამართვა ხდება
 აუცილებელი პოეტის გადასარჩენად. მან 90-იანი წლები, სტუ-
 დენტობის ბოჰემური ყოფა და ის კურიოზული შემთხვევები გა-
 იხსენა, რომელიც სევარიონ ნადირაძეს გადახდენია. საზოგადო-
 ებას ორდენის დაარსების ისტორიაც მოუყვა და პოეტს მიღმა-
 ხევში მცხოვრები „მარად ახალი ქნარის“ წევრის, **მურღვა არ-
 დოტელის** სახელითაც მიულოცა რომანის ხელახალი გამოცემა.

ვიდრე პატივისცემისა და თანადგომის ნიშნად **კატო ჯავა-
 ხიშვილი** საკუთარ ლექსებს ნაიკითხავდა, აღნიშნა, რომ ძალიან
 უჭირს ასეთ საღამოზე გამოსვლა და იმედი გამოთქვა, რომ საჭი-
 რო თანხის შეგროვება მოხერხდება.

„**მარად ახალი ქნარის**“ წევრმა, **მიხეილ ლანიშაშვილმა** სე-
 ვარიონ ნადირაძის შემოქმედებაზე, მათი პოეტური ორდენის
 მნიშვნელობაზე ისაუბრა და მაღლობა გადაუხადა პოეტის ყველა
 თანამდგომს. მისი თქმით, შემოქმედი უსუსურია მკაცრ რეალო-
 ბაში და სიმბოლურად ლექსი „პოეტი“ ნაუკითხა საზოგადოებას.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ **თამარ ლომიძე, ზურა პაპი-
 აშვილი, შალვა ბაკურაძე**. ლონისძიების მუსიკალურად გაფორმე-
 ბის სურვილი ახალგაზრდა შემსრულებლებს: **ირაკლი ილურიძე-
 სა** და **ოთო ბერიშვილს**, ანსამბლ „ქალდასა“: **გვანცა კიკნაძე, ანი
 დევდარიანი, ნინო ოდიშარია** თვითონვე გამოუთქვამთ. **ქეთევან
 შენგელიამ** მოუბოდიშა მწერალებს: **შერმადინ ქალდანს, თამარ
 შაიშველაშვილს, თაკო ხელაძეს, დავით შემოქმედელს, ჯუბა
 ლებელს, თამარ ფარჩუკიძეს, ზურა ქობალიას**, რომლებიც დარ-
 ბაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მიკროფონთან ვეღარ მიიხმო.

სევარიონ ნადირაძე მადლიერება კიდევ ერთხელ დაუდას-
 ტურა თანამდგომთ — ლონისძიებაზე მისულ სტუმრებს, პოე-
 ტებს. ბრძანა, რომ განსაკუთრებულ მხარდაჭერას გრძნობს
როსტომ ჩხეიძისაგან, ჟურნალ „**ჩვენი მწერლობის**“ რედაქცი-
 ისაგან, სადაც მალე მისი ახალი ლექსები დაიბეჭდება. პოეტს უკ-
 ვე სჯერა, რომ პოეტის ბედით შეწუხებული ადამიანები არსებო-
 ბენ. მაღლობა გადაუხადა დარბაზში მყოფ ექიმს, **შალვა პეტრი-
 აშვილს**, ვისაც არა მარტო მისი გული აბარია, არამედ საქართვე-
 ლოს კათოლიკოს პატრიარქ **ილია II-სი**. დასასრულ **სევარიონ
 ნადირაძემ** სტუმრებს ახალი ლექსები ნაუკითხა და მომავალ
 საქველმოქმედო საღამომდე დაემშვიდობა, რომელიც ჯერ **სამე-
 ლის ახალგაზრდულ ცენტრში** ჩატარდება, შემდეგ კი **სამეცნიე-
 რო ბიბლიოთეკის** ინიციატივით **ქუთაისსა** და **თბილისში** —
 იოსებ გრიშაშვილის **სახლ-მუზეუმში** გაიმართება.

სევარიონ ნადირაძე

* * *

ცხოვრება ერთი
ანი და ჰოე,
გზა — რევოლუციის
კაკაფონია,
მთვარესაც, როგორც
პატარა პოეტს,
თავი ყველაზე
დიდი ჰგონია.

* * *

უკვე შევკარი
თავთავის ძნები,
უკვე ავავსე
ღვინით ქვევრები
და მიღიმინ
დღეები ჩემი,
ეს მნიგნობარი
ფარისეველები.

* * *

ტაძრებს მიუგავთ
სოფლებს მუხლები,
ტოვებს ზამთარი
ღელეს ხიდიანს
და პოეტებიც,
როგორც ბუხრები,
გიზგიზებენ და
ცისკენ მიდიან...

* * *

ირაკლი ღარიბაშვილს

ცხოვრება — დიდი მიგნება,
ფსალმუნებით და გალობით,
ნიგნივით ეპოტინება
ბიბლიოთეკის თაროებს.

რაც საუკუნო ძნებია,
ვენახი, ლერწი, აკიდო,
სხივივით ნაჰკიდებია
ბიბლიოთეკის მაგიდებს...

სიცოცხლე, როგორც უფლება,
მეგობრულად და შენობით,
ნიგნივით ესაუბრება
ბიბლიოთეკის შენობებს.

აღტაცება და ქირქილი,
ჯეილობა და სიბერე,

კვლავ მიუყვება ნიგნივით
ბიბლიოთეკის კიბეებს..

ცხოვრება — დიდი მიგნება,
ფსალმუნებით და გალობით,
ნიგნივით ეპოტინება
ბიბლიოთეკის თაროებს.

* * *

ლექსი არ დარჩა
გაურითმავე
— გაუხედნავი,
ბევრი გაგვიღავს,
ბევრიც უკვე
გაუკლიათ,
რახან გებრძვიან
ესეიგი
ძლიერს გხედავენ,
ვუფრთხი იმ დღეებს
უბრძოლველად
რომ ჩაივლიან...

* * *

ვინ იცის უკვე
მერამდენე
გადაიბირეს,
ველარ გაუძლებ
და გრძნობ მალე
უნდა დაეცე,
თუმცა ყოველთვის
მუხანათ აზრს
ახლდა ღიმილი,
ბოლო სუნთქვამდე
მანც გულწრფელ
ღიმილს დაეძებ...

ნახვალ, კარს მიძიმედ
გაიხურავ,
კუშტი სახეთი,
ცხოვრებავე მიდი
იგორავე - ძველო შაურო,
დიდი წვალებით
ბენვის ხიღზე
მანც გახვედი
და ემზადები
ქალთან ერთად
სამოგ ზაუროდ...

* * *

მინდორზე გუთნის
ძველი ხნულია,
ნახირი ისევე
ნახირს მიბღავის,

ცხოვრება ჩვენს წინ
შენიღბულია,
ალბათ ზურგს უკან
შეუნიღბავი...

* * *

აქ ბევრს ჩემსავით
უხმაურია,
და მაინც ვგავართ
პატარა მწერებს,
ცხოვრებას ორი
საფეხური აქვს,
დაცემამდე და
დაცემის მერე...

* * *

მოდი და დაზაფრული
ეს გრძნობა გამირითმე,
ამურით დაისრული
ეს გული აბაგუნდა,
და ჰყვავის გაზაფხული
ჭორების ლაბირინთი...
ჭორების ცხრაკლიტული...
ჭორების აბლაბუდა...

თისა

თიხის მთას დილით
ათბობს თიხის მზე,
თიხის ცას ცრიან
თიხის ღრუბლები
და თავს იწონებს
დილა ბილიკზე,
თიხის მხრებით და
თიხის მუხლებით,

თიხის გულები
თიხის მკერდებით,
ეხეთქებიან
თიხის საათებს,
და არიგებენ
თიხის მტრედები
თიხის რტოებს და
თიხის ბარათებს..

და რადგან თისა
არის მოტივი,
მანამდე ვქერწე
ვიდრე გავძელი
და შემომაცვდა
ხელში დოქივით,
სხეული — ძველი
თიხის ნამსხვრევი...

* * *

ხოხობს ჰგავს ჩვენში
თქმულება და
იგავ — არაკიც,
როდემდე გინდა
შვილდისარი
რომ აიცილო,
წვიმის წვეთებმა
დაანგრია
ლამის ქალაქი,
ღმერთმა არა ქნას,
ამ ქალაქში
ტყვიამ იწვიმოს...

ჩემო კვაზიმოდო
დილა ურემივით
მირიხინობს,
ცრემლნი სიყვარულით
გასველებენ,
ჩემო კვაზიმოდო
წერაყინით,
შენს კუზს შესევთან
მთამსვლელები...

* * *

გრძელდება ისევ
მოთქმა და მითქმა,
აზრით ავსებენ
ბგერები ბგერებს
გზაც საოცარი
ლექსივით რითმავს
შენი სიცოცხლის
დარჩენილ დღეებს...

მადლობელი ვარ

მადლობელი ვარ
ყოველი სიტყვის,
ყოველი ფრაზის,
ყოველი ბგერის,
რაც იმედს მაძლევს,
ვინც კიბეს მითლის,
და ჭიგოსავით
მამაგრებს მხრებით.

მადლობელი ვარ
ყოველი სუნთქვის,
ჩუმი შრიალის,
პატარა ჩქამის,
წამოწეული
სხივივით წუთის,
გაელვებული
წვეთივით წამის.

პირველი ზარი

შევყურებ სკოლებს
მერცხლებიანს,
ბავშვები
ჭიკჭიკ — ლულუნებენ,
აქ ოთახებში
მერხებია,
თუ მერცხლის
ციცქნა ბუდეები?!

აქ გადარჩენის
ზარებს რეკენ,
ცოდნის და
რწმენის ჩაქურები,
მასწავლებლებიც
„დედა ენით“
ბუდეში ბარტყებს
აპურებენ.

* * *

რა დროს ოცნება და
რა დროს თამაშია
ჩუმად ლოცულობენ
ირგვლივ ფანტომები,
მინას ექავება,
რაც კი ყაყაჩოა,
ნითლად ამოყრილი
მინდვრის ბატონები...

* * *

ხელი ჩამკიდე,
მთაზე ავიდეთ,
ნაბიჯს აგვიწყობს
ექო ბგერებად,
გაზაფხულობით
მინდვრის ყვავილებს
თმაში ლექსები
გამოერევათ,

მერე უეცრად
ნაიყურებენ,
ქალაქი მოსჩანს?!
— ჩუმად გვკითხავენ
და დავინახავთ
ქურჩებს ქურჩები,
არ დარჩენიათ
გაურითმავი...

* * *

ქალები
არც ერთ ყვავილს
არ ექცევიან ისე
სასტიკად,
როგორც გვირილას,

თან ბრაზდებიან,
რატომ მითხრა; — არ უყვარხარო...

* * *

უთქმელი გრძნობა
ყვავილიდან
თაფლივით წვეთავს,
მინდვრები ჭრელმა
ლაბუებმა შეაფერადეს,
ან ჩვენს სიყვარულს
მანიფესტი
რად უნდა ნეტა,
როცა გვირილა
ორი სიტყვით
ამბობს ყველაფერს...

26 მაისი

გაზაფხულს მთაზე
ოცდაექვსი
ციხით განვიცდი,
ნაკადულებიც
ოცდაექვსი
ენით მღერიან
დღეს ოცდაექვსჯერ
გამართული
დადის მაისი,
მზეც ოცდაექვსჯერ
კაშკაშა და
ალისფერია

* * *

მკაცრად შეკრული
სიტყვის მუჭებით
რამ დამასუსტა,
რად შემაცვივა?!
ხავს ისე დიდხანს
ვებლაუჭები
ასე მგონია
უკვე ხავსი ვარ...

* * *

თვალის გახელაც
ვერ მოვასწრე
ისე შებინდდა,
მინასაც თითქოს
უკვე გასძვრა
ქანცი წრებრუნვით
იმდენი მძიმე
ლექსი მომტყდა
უკვე მხრებიდან,
რომ ახლა ლექსის
ლოდებს ვუცქერ
განცვიფრებული.

* * *

ფეისბუქელ მეგობრებს...

ერთმანეთს ვიცნობთ ვირტუალურად,
დღეებიც არის ვირტუალური,
ხანდახან ნაბიჯს სევდას გაურევს,
ვირტუალური წვიმის ხმაური...

წლები-კვიციები უცებ გამექცნენ,
მწუხრს და სიბერის უღელს შევები,
და მეგობრების სიტბოს დავეძებ,
ვირტუალური ღამისთევებით

მე თქვენთან ერთად გულივით ვფეთქავ,
თრთოლვით შევყურებ პარტერს, იარუსს,
და ჩემს უმწეო ლექსებთან ერთად,
ვირტუალურად ვსწავლობ სიარულს,

ეს მეგობრობა უნაზესია,
ამაღლებული და უცნაური,
გული გულია, ლექსი ლექსია.
თუ გინდაც ერქვას ვირტუალური...

კალამი

კალამი — გულში ამოჭრილი კბილი სარძევე,
მელანი, ლურჯი გზა, რომელსაც ველარ ერევი,
დიდი ხანია მოსვენებას აღარ გაძლევენ
ლექსები — რითმად დაწყვეტილი შენი ნერვები...

შენი თეატრი მიაატოვეს და უდასოა,
ახლა მინდორში გამოხვედი სახეტილოდ,
თითო ფოთოლი თუ ანბანის თითო ასოა,
მაშინ ლექსია ყოველი ხის მწვანედ შრიალი...

სასაცილო ხარ, ქარი გითვლის უკვე ნაოჭებს,
და შემოდგომა ყვითელ ნაცარს გაყრის მუჭებით,
ქურჩა ხე არის შენ ფოთოლი და რომ არ მოსწყდე,
მტვრიან ქვაფენილს მთელი ძალით ებლაუჭები...

ქალაქს ციმციმა ნათურებით შენს წინ შესვამენ
ვარსკვლავის ცეცხლზე მოზეიმე შმაგი დევები,
უცნაურ მთვარეს დარაჯობენ დღემდე შენსავით,
ლექსები, შენზე დაღლილები ღამისთევებით.

ჩუმი ტკივილი ბევრჯერ ნიღბით შეაფერადე,
ის შენში ცოცხლობს, ვიდრე ფურცელს დაენვეთება.
ლექსს ურჩევნია უხილავი იყოს ყველასთვის,
მაგრამ გაგიბრბის, როცა სულში ველარ ეტევა...

ფურცლებზე ტანჯვით დაიღვენთა სულმა რაც ზიდა,
მხურვალე მზეა ცრემლიანი მინის საშრობი,
და გული გწყდება, რომ ლექსები ისე გაზრდილან
ნაკვალევით კი აღარ დაგჩა მათი ბავშვობის...

გაქრა, ნავიდა სიჭაბუკის წვა და აზარტი,
უნდა დატოვო, გზებზე მარტო უნდა აენთონ,
შუქნიშნებით ლექსებს ქარში გააქვთ ზანზარი,
ცრემლის ხიდს ხედავთ განწირულნი უერთმანეთოდ.

ამ ქურჩამ იმ გზას საბოლოოდ ისე დაჰკივლა,
დაფრთხენ კენჭები — ეზოების ნაწილაკები,
ახლა შენც ქარის უხილავი ათინათი ხარ
გარშემორტყმული უხილავი ათინათებით...

თვალის გახელაც ვერ მოასწრე ისე შებინდდა,
მინასაც თითქოს უკვე გასძვრა ქანცი წრებრუნვით,
იმდენი მძიმე ლექსი მოგტყდა უკვე მხრებიდან,
რომ ახლა ლექსის ლოდებს უცქერ გარინდებულნი...

კალამი — გულში ამოჭრილი კბილი სარძევე,
მელანი, ლურჯი გზა, რომელსაც ველარ ერევი,
დიდი ხანია მოსვენებას აღარ გაძლევენ
ლექსები — რითმად დაწყვეტილი შენი ნერვები...

ამერიკელ დედას

*ჩემს ამერიკელ მეგობარს
როვენა ქროსს ნაჯაფს*

თითქოს სამყარო რკინის ქალია,
მაგრამ ნაზია, მაგრამ არ იტყობს,
მომენატრება ხშირად ძალიან,
ამერიკელი ჩემი დაიკო...

კვლავ მოიკითხავს ქართველ პოეტებს,
თითქოს ლოცვაში მესსა გასრულდა,
ამერიკელი დედა ყოველდღე
საქართველოზე ფიქრობს ქართულად...

დღესაც მინდვრებში ჰყვავის ყაყაჩო —
— ჩემი სამშობლოს გულისტკივილი
და საქართველოს ლოცვით დარაჯობს
ამერიკელი დედის ღიმილი...

თითქოს სამყარო რკინის ქალია,
მაგრამ ნაზია, მაგრამ არ იტყობს,
მომენატრება ხშირად ძალიან,
ამერიკელი ჩემი დაიკო...

* * *

ცხოვრება ლაბირინთია
აღლუმების და მარშების,
წვიმიან მინდვრებს ქარები
ქვემეხებით აშრობენ,
რაის პოეტი — ფურცლების
პატარა სათამაშო ვარ,
და ვეჯიბრები თამაშში
კალმიან სათამაშოებს...

მაია ცერცვაძე

„ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისაგან“

(ორიოდ სიტყვა ალექსაი ლოსევზე)

გასული საუკუნის უდიდესი რუსი მოაზროვნის, მსოფლიოში აღიარებული ფილოსოფოსის, ენციკლოპედიური განათლების მკვლევარის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ალექსეი ლოსევის** ცხოვრებისა და შემოქმედების ამომწურავად განხილვა მცირე ნერილში ისევე ძნელია, როგორც მისი მიკუთვნება მეცნიერების ერთი რომელიმე დარგისადმი. ლოსევის მოღვაწეობა იმდენად მრავალმხრივია, რომ მასზე პრეტენზიას აცხადებს რამდენიმე მეცნიერება: ფილოლოგია, ფილოსოფია, ისტორია, ესთეტიკა, ხელოვნებათმცოდნეობა, ლინგვისტიკა. მის სახელს უკავშირებენ მუსიკათმცოდნეობას, ფსიქოლოგიას, ლიტერატურათმცოდნეობას. ფილოსოფიისა და ესთეტიკის ისტორიის მკვლევარი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი არსენი გულიგა, მაგალითად, მიიჩნევს, რომ ა. ლოსევზე განსაკუთრებული უფლება აქვს ისტორიას, ვინაიდან ის არათუ ოდენ მისი მკვლევარი, თვითონაც ისტორიის კვლევის ობიექტია — *„სამამულო კულტურის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, მსოფლიო ტრადიციის ცოცხალი ხორცშესხმა, მშობლიურ მინაზე ამოზრდილი“*.

აღნიშნულის გამო ჩვენ შევეცდებით მხოლოდ მეცნიერის ბიოგრაფიის საგულისხმო ეპიზოდებსა და ფილოსოფიური მემკვიდრეობის ნიშნულ მახასიათებლებზე გავამახვილოთ ყურადღება.

ალექსეი თეოდორეს ძე ლოსევი დაიბადა 1893 წლის 10 (22) სექტემბერს ნოვოჩერკასკში. სწავლობდა გიმნაზიაში. 1915 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი ორი — ფილოსოფიისა და კლასიკური ფილოლოგიის — სპეციალობით. დაუახლოვდა რელიგიის ფილოსოფოსებს. იყო ნიკოლოზ ბერდიევის თანამოსაუბრე და პავლე ფლორენსკის მოწაფე.

ფილოსოფოსის ცხოვრებაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა 1930 წელს, როცა მან დაასრულა ნიგნი *„მითის დიალექტიკა“*. ნაშრომში ის დაუფარავად უარყოფდა მარქსიზმს და ოფიციალურ ფილოსოფიას — დიალექტიკურ მატერიალიზმს. *„მარქსიზმი“* — აცხადებდა ა. ლოსევი — *„ეს ტიპური იუდეიზმია, გადამუშავებული განახლებითი მეთოდებით და ის, რომ მარქსიზმის ყველა მამამთავარი და მიმდევარი ებრაელი იყო, ამას მხოლოდ ადასტურებს“*. მას დაუწყეს დევნა, 1930 წელს დაპატიმრეს და ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელს იხდიდა ბელომორსკ-ბალტიის არხის მშენებლობაზე, სადაც თითქმის მთლიანად დაკარგა თვალისჩინი. ა. ლოსევს მხედველობა ნაწილობრივ მხოლოდ წლების შემდეგ აღუდგა. 1932 წელს მ. გორკის პირველი მეუღლის ე. პეშკოვას შუამდგომლობით ის და მისი მეუღლე, რომელსაც თავადაც ხუთი წელი ჰქონდა მისჯილი, გათავისუფლდნენ.

ა. ლოსევს აეკრძალა ფილოსოფიის სწავლება. ის პროფესორად მუშაობდა ნიჟეგოროდის უნივერსიტეტსა და მოსკოვის კონსერვატორიაში. ბალტლავში ერთწლიანი ყოფნის შემდეგ ძლივს მიიღო უფლება ესწავლებინა ანტიკური ესთეტიკა მხატვრულ მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიაში და მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1922 წელს მუსიკალურ მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის წევრი გახდა.

კონფიდენციალური ცნობების მიხედვით, რომელიც სკპ(ბ) ცკ-ში პარტიის კრასნოპრესნენსკის რაიკომიდან შესულა, ა. ლოსევს ერთხელ ფილოსოფიის ფაკულტეტზე კოლეგების თანდასწრებით განუცხადებია: *„დიახ, მე იდეალისტი ვარო“*.

1929 წელს ათონში ა. ლოსევი ბერად, მისი მეუღლე ვალენტინა მიხეილის ასული სოკოლოვა-ლოსევა კი — მონაზვნად აღიკვეცნენ მალულად. ცოლ-ქმარმა ლოსევებმა მიიღეს საეკლესიო სახელები ანდრონიკი და ათანასია. პ. ფლორენსკის კვალად ა. ლოსევი გახდა ე. წ. *სახელმადიდებლობის* მიმდევარი. ანტიკური ესთეტიკის, სიტყვის და სიმბოლოს შესწავლის საფარქვეშ ის ყოველნაირად ქადაგებდა სახელის, როგორც სამყაროს დასაბამიერი არსის, ფილოსოფიას: *„ღმერთი არ არის სახელი, მაგრამ სახელი ღმერთია“*.

გადასახლებიდან დაბრუნებული ა. ლოსევი იძულებული გახდა თავისი აზრები მარქსიზმის დიალექტიკის ნიღბით დაეფარა, რისთვისაც საკუთარ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო კვლევებს უხერხულად უსადაგებდა მარქსისა და ლენინის ციტატებს.

მ. სვეტლოვის სიტყვით, უნივერსიტეტიდან ახალდათხოვნილმა ა. ლოსევმა სტალინის შრომას *„დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“* გულუბრყვილო უწოდა, მერე კი ეს ისე ახსნა, თითქოს მხედველობაში ჰქონდა შრომის გენიალური, ლამის ანტიკური უბრალოება და ბევრი სხვა რამ.

1960-იან წლებში გამოვიდა ა. ლოსევის *„ანტიკური ესთეტიკის ისტორიის“* პირველი ტომი, რამაც ერთიანად შეცვალა ტრადიციული შეხედულებანი ანტიკურობაზე. მალე მას შემდეგი ტომებიც მოჰყვა. გამოდობდა ახალ-ახალი ნიგნები ანტიკური ესთეტიკის საკითხებზე, რომლებიც ათვალსაჩინოებდნენ ანტიკური იდეალიზმის დეტალებს სოკრატეს, პლატონის და არისტოტელეს დროიდან მოყოლებული პლოტინიუსისა და ნეოპლატონიკოსთა მისტიკურ აპოფატეკამდე. ა. ლოსევმა თარგმნა არისტოტელეს, პლოტინიუსის, სექსტუს ემპირიკუსის, პროკლე დიადოხოსის და ნიკოლოზ კუზანელის ნაშრომები, რედაქცია გაუკეთა პლატონის თხზულებებს.

თანდათანობით ა. ლოსევს ახალგაზრდა მეცნიერთაგან მოსწავლეთა და მიმდევართა წრე გაუჩნდა. ფინჯან ჩა-

იზე გამართულ ფილოსოფიურ საუბრებზე მას სტუმრობდნენ ს. ავერინცევი, ბ. ბიბიჩინი, კ. კედროვი, ს. ჯიმბინოვი და სხვა ცნობილი ფილოლოგები.

ა. ლოსევის პოპულარული წიგნის „**კლადიმერ სოლოვიოვი**“ გამოსვლისთანავე მთელი ტირაჟი დააპატიმრეს. საზოგადოების მოთხოვნით ის შემდეგ მაინც გაიყიდა ქვეყნის განაპირა კუთხეებში. ხელისუფლება ორმაგ თამაშს თამაშობდა, მის შრომებს თან კრძალავდა, თან მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს აჯილდოებდა.

1980-იან წლებში მძიმე ავადმყოფი ა. ლოსევი უკვე დაუფარავად საუბრობდა მონაფეებსა და თანამოაზრეებთან თავისი რწმენის ირგვლივ, ქადაგებდა სახელმადიდებლობას.

ა. ლოსევი გარდაიცვალა 1988 წლის 24 მაისს. დაკრძალულია ვაგანკოვოს სასაფლაოზე.

მშრალ ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად, ვფიქრობთ, საინტერესოა იმ მომენტებსაც შევეხოთ, რომელთაც გავლენა იქონიეს ამ უნიკალური მეცნიერისა და პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

გაიზარდა უმამოდ. მამამისი მკვეთრად გამოსატყლი ხასიათითა და ინდივიდუალობით გამორჩეული კაცი ყოფილა და სხვებივით ცხოვრება არ შესძლებია. ვიოლინოთი გატაცებამ ის მუსიკოსად კი აქცია, მაგრამ იქამდეც მიიყვანა, რომ დატოვა ოჯახი, სახლი, საპატიო საქმე, მთლიანად ბოჰემაში გადაეშვა და დაინთქა. ერთი ადგილობრივი პატარა ორკესტრის დირიჟორი გახდა. ასე რომ, ერთადერთი მემკვიდრეობა, რაც ალექსეის მამისგან ერგო და რაც მასშიც ასევე მძაფრად გამოვლინდა, მუსიკის სიყვარული აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ბიჭობაში მევიოლინე-გუნდურკინდის კონცერტის მოსმენის უმაღლეს მან ინსტრუმენტი მოითხოვა და შეუპოვრად და თავდავინყებით დაიწყო მისი ათვისება. გიმნაზიაში სწავლის პარალელურად მუსიკალურ კლასებსაც ესწრებოდა და ასე მიიღო საშუალო განათლება.

მუსიკით გატაცება მას მთელი სიცოცხლე გაჰყვა, რაც მის პედაგოგიურ და კვლევით მოღვაწეობაში გამოიხატა. დიდი ხნის მანძილზე მოსკოვის კონსერვატორიაში ასწავლიდა, გამოსცა წიგნები მუსიკალური კულტურისა და ესთეტიკის დარგში.

ალექსეის ზრდიდა დედა. მას არაფერი დაუშურებია შვილისთვის და მთელი თავისი ძალა და ენერჯია მის განვითარებასა და სწავლას შეაღია, ჩაუნერგა პატიოსნება და წესიერება, პასუხისმგებლობის გრძნობა. საჭირო დროს დაუნანებლად შეელია არცთუ ისე ძვირადღირებულ ქონებას, რათა ვაჟიშვილს მოსკოვში, უნივერსიტეტში ესწავლა. ა. ლოსევი უაღრესად მაღლობელი იყო დედისა და ყოველთვის სიყვარულითა და უდიდესი სინაზით იხსენებდა მას.

ა. ლოსევე უდიდესი გავლენა მოახდინეს გიმნაზიის პედაგოგებმა, რომელთაც ინტერესითა და სიამოვნებით სწავლის უნარი განუვითარეს. განსაკუთრებით გამოყოფდა ღვანლს ძველი ენების მასწავლებლის, თავისი საყვარელი იოსებ ანტონის ძე მიკშასი: „*სწორედ მან დაანთო ჩემში პრომეთეს ცეცხლი, გამიღვივა ინტერესი ანტიკურობისადმი*“ — *წერდა მოგვიანებით.*

ა. ლოსევის განვითარება მრავალი მიმართულებით ხდებოდა — მუსიკა, თეატრი, წიგნები. ძველ ენებთან ერთად მან გერმანული, ინგლისური და ფრანგულიც შეისწავლა.



ალექსეი ლოსევი

ფილოსოფოსი ხაზს უსვამდა თეატრის როლს მის აღზრდასა და განსწავლაში. უფროსკლასელი ა. ლოსევი ყოველ საღამოს დადიოდა ქალაქის თეატრში, კვირადღეობით კი ორ — დღისა და საღამოს სპექტაკლებს ესწრებოდა. „*გავიცანი ფაქტობივად ყველა დრამატურგი — ანტიკურიდან თანამედროვემდე. მათ შორის თითქმის მთლიანად შექსპირი, შილერი, ჩეხოვი, ოსტროვსკი. ტრაგედიები „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“ მრავალგზის ვნახე. ვადარებდი რა სხვადასხვა მსახიობს ამა თუ იმ როლში, — იმ წლებში თეატრალური დასები ყოველ სეზონზე ახლდებოდა, — არათუ წარმოდგენა შემექმნა დრამატურგიის არსზე, შემსრულებელთა ოსტატობას, მათ შემოქმედებით თავისებურებებსაც ჩავწვდი. რა გახდა კიდევ ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმზრდელი მომენტი? რაღა თქმა უნდა, ის ჩანანერები, დღიურში რომ შემქონდა ყოველი სპექტაკლის მე-*

რე. *სცენიური შთაბეჭდილებებიდან ნაბიჯი გადავდგი ფიქრისკენ, დამოუკიდებელი აზროვნების ცდებისკენ და საკუთარ დაკვირვებათა სიტყვიერი ჩამოყალიბებისკენ. თეატრი ჩემთვის აღმოჩნდა მეცნიერებისა და ხელოვნების შემოცნების პირველი ტაძარი. მას ვუმაღლი თითქმის ყველაფერს“.*

ა. ლოსევის პიროვნებზე უდიდესი გავლენა იქონია ასევე ასტრონომიამ, კერძოდ, ფრანგი მეცნიერის ფლამარიონის სამეცნიერო-პოპულარულმა შრომებმა, მათ მოაჯადოვეს ბიჭი. სიცოცხლის ბოლოსაც კი, ფიქრობდა რა იმ თავის ვარსკვლავურ ფანტაზიებზე, მეცნიერი ალტაცებას ვერ ფარავდა.

მეცნიერის შემოქმედებითი მოღვაწეობის შეფასებისას უწინარესად უნდა აღინიშნოს მისი შრომების უნივერსალიზმი, მათთვის ნიშნული მრავალმნიშვნელოვანი ფილოსოფიურ-ისტორიული განზოგადებანი, ფილოლოგიური სკრუპულოზურობა ყოველ სიტყვასა და ცნებასთან მიმართებაში.

„*ა. ლოსევის სახით თვალსაჩინოდება ანტიკური კულტურის მთელი ინსტიტუტი, ხოლო მისი ერთიანი შრომა იმ მატერიკად წარმოგვიდგება, რომელიც ჯერ არ აუთვისებიათ ახალგაზრდა ფილოლოგებს. როცა ის აზროვნებს და მოქმედებს, დაულალავად ილტვის დასახული მიზნისაკენ — ასწავ-*

ლოს მკითხველს აზროვნება. ჩვენთვის ახლობელი და გასაგები გახადოს, გაგვაგონოს კიდევ ლეგენდარული პოეტის ჰომეროსის და მუდმივად დაეჭვებული მოპაექრე სოკრატეს, პირველი დიალექტიკოსის პლატონის და ანტიკური აზრის ერთი გვიანი წარმომადგენლის პლოტინიუსის ხმები — წერდა მოსკოვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალიტიკის ფაკულტეტის დეკანი, ჟურნალ „სტუდენტური მერიდიანის“ მთავარი რედაქტორი იური როსტოვცევი, რომელმაც ის 1980 წელს გაიცნო. მას, თვითონაც ლოსევის იდეებითა და პიროვნებით გატაცებულს, აუცილებლად მიაჩნდა ახალგაზრდობის, განსაკუთრებით სტუდენტობისათვის გაეცნო ფილოსოფოსის ცხოვრება და შემოქმედება და ამას მჭიდროდ უკავშირებდა მათი აღზრდისა და განათლების პრობლემებს.

ა. ლოსევი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა ანტიკურობას სრულიად განსხვავებულ ასპექტებსა და გამოხატულობებში, თავის შრომებში ასახა ანტიკური კულტურის განუმეორებლობა სხვა ეპოქების, უმთავრესად შუა საუკუნეთა და აღორძინების ეპოქის კულტურასთან შედარებით. კულტურის მოვლენების შესწავლისადმი გამოიმუშავა განსაკუთრებული მიდგომა, რაც მათი მატერიალური და სულიერი მხარეების ცალ-ცალკე და ერთობლიობაში განხილვის აუცილებლობას გულისხმობს.

ა. ლოსევის აზრით, ისინი მნიშვნელოვანია ისტორიული პერიოდის ერთიანი ხედვისათვის, ვინაიდან სპეციფიკურ თავისებურებათა — პირველპირინციპთა მატარებელი არიან და მრავალი კულტურული-ისტორიული ფაქტის განზოგადებას წარმოადგენენ.

ა. ლოსევი განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოჩნდა. თვრამეტი წლის ასაკიდან გამალებით მუშაობდა და ტყუილბრალოდ წუთი არ დაუკარგავს. შემეცნებით არასოდეს იღლებოდა. ახალი მისთვის ორგანული მოთხოვნილება იყო. სწორედ ეს თავდაუზოგავი შრომა, დღედაღამ განუწყვეტელი ზრუნვა თვითსრულყოფისათვის გახლავთ მთავარი მიზეზი მისი შემოქმედებითი დღეგრძელობისა. მისი ცხოვრება მრავალმხრივ ინტერესთა მქონე ადამიანის დაუღალავი, გულგასახარი შემოქმედებითი შრომაა.

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ მისი ნაშრომები ადვილად იკითხება, თითქოს ჩვენს თვალწინ ფილოსოფიური კი არა, ლიტერატურული ნაწარმოებებია გადაშლილი. ისინი მარტო სამეცნიერო შინაარსს კი არ აცნობს მკითხველს, სტრიქონებს შუა მისი შემქმნელის პიროვნებასაც გვაცნობს.

საგულისხმოა ა. ლოსევის აზრი ლექციის კითხვის ოსტატობაზე. მეცნიერი მას სამსახიობო ხელოვნებას ადარებს: „მეცნიერების ყოველ პროპაგანდისტს უნდა ჰქონდეს უნარი ან ისწრაფოდეს მანაც იმისკენ, რომ თავის სიტყვაში სათქმელი ისე გამოთქვას, როგორც სცენიურ წარმოდგენებში, მისცეს გადმოსაცემ საკითხს სავსებით წარმოსადგენი სახე. ამას ხელს უწყობს გონებისმიერი აქტიურობა, გონებისმიერი გამოხატულობა. უიმისოდ ვერას გავხვებით. ჩვენი ამოცანა ხომ ისაა, ცხოველი აზრი ცხოვლად გადმოვცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მრავალთა მსგავსად უბრალოდ გვეკითხა წიგნი ან სტატია კათედრიდან. მაგრამ რაკილა პედაგოგიკა, უწინარეს ყოვლისა, ცოცხალი ურთიერთობაა, უშუალო ურთიერთქმედება ლექტორისა და კერძო აუდიტორიისა, ამიტომ აუცილებ-

ბელია მასთან შემოქმედებითი შერწყმის ჩვევები გამოვიმოშავოთ. მხოლოდ ასე! მხოლოდ მაშინ გააღვიძებს პროფესორი მსმენელის ცნობიერებას და ჰპოვებს მასში გამოძახილს, როცა შესძლებს გადასცეს სამეცნიერო აზრის სიცხოველე, გამოიწვევს თანაგანცდას, ჩაითრევს საგნის ირგვლივ თავის ფიქრებში. თუ ადამიანს არ გააჩნია უნარი მეცნიერების ასე წარმოჩენისა, თუ მისი თხრობა უფერული ან პირიქით, ზედმეტად მაღალფარდოვანია, მაშინ სჯობს ამ საქმეს ხელი არ მოკიდოს. ნება მომეცით, ერთხელ კიდევ გავიმეორო: ლექტორი — ეს შემოქმედებითი პიროვნებაა კათედრაზე, რომელიც თავის სიტყვაში წარმოადგენს მეცნიერული ჭეშმარიტების ძიების, დადგენის დინამიკას. ესა თუ ის თემა მან ხატოვნად უნდა წარმოადგინოს და გაშალოს. სახალხო გამოსვლებში მე გამოსათქმელი აზრის ინტონაციური განსხვავების მთელ პალიტრას მივმართავ. ჩქამიც ხომ აქტიურებს ყურადღებას. ამ ხერხით თქვენ გაამყლავნებთ მასალისა და აუდიტორიის ფლობის ხელოვნებას“.

კოლეგების აზრით, ა. ლოსევის გაცნობით, მასთან მიახლებით ცხადი ხდება, რომ განათლებისა და აღზრდის პრობლემები განუყოფელია ადამიანის თვითგანვითარებისა და თვითაღზრდის ჩვევების ჩამოყალიბებისაგან. როცა ეს მიიღწევა, მაშინ მიიჩნევა ადამიანი პიროვნებად.

„აი, რატომაა ეს ადამიანი რაღაცით ბავშვივით სულისშემძვრელად დაუცველი, და იმავდროულად დიდი ნებისყოფის განსახიერება. აი, რატომაა, რომ ის, ანალიტიკოსი და ინტელიგენტ-რომანტიკოსი, ჩემთვის წარმოადგენს არანაკლებ ამაღლეველ პრობლემას, ვიდრე ის იდეები, რომელნიც წამოსწია მან ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის, თავისი სამეცნიერო მართონის მანძილზე.“

როცა მისი წიგნებით სავსე თაროს შევცქერო, როცა ვკითხულობ მის პოეტურ-ანალიტიკურ ფილოსოფიურ პროზას, ჩემდაუნებურად ოდენ ტექსტს როდი ვხედავ, ვიმსჭვალავი კიდევ იმ მახვილი, ზოგჯერ პარადოქსული მოსაზრებებითა და დაკვირვებებით, რომლითაც სავსეა მის თხზულებათა საუკეთესო გვერდები, მეტიც, თვით მის, ამ არცთუ იოლი შემოქმედებითი ხვედრის მამვრალის არსებობასაც ვგრძნობო“, — წერდა იური როსტოვცევი.

ალექსი ლოსევი იმ იშვიათ რუს მოღვაწეთაგანია, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. იგი გახლდათ ჩვენი ქვეყნისა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის დიდი დამფასებელი და თავყვანისმცემელი. ნათქვამს კარგად ათვალსაჩინოებს 1990 წლის 20 მაისს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში ზვიად გამსახურდიას მიერ ნაკითხული ლექცია „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“, რომელშიც მომხსენებელმა გაიხსენა მისი სტუმრობა საქართველოში და საუბარი დიდ მეცნიერთან, მოიხმო მისი სიტყვები გელათის, ქართული ნეოპლატონიზმისა და მისი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შესახებ:

„სხვათა შორის, როდესაც თვით აკადემიკოსი ლოსევი იყო ჩამოსული თბილისში, მე მას ვესაუბრე მათი ფილოსოფოსის სოლოვიოვის შესახებ დიდი აღტაცებითა და დიდი პატივისცემით. სოლოვიოვი იყო XIX საუკუნის დიდი მართლმადიდებელი ქრისტიანი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი,

რომელიც მართლაც უბადლოა ამ ეპოქაში (ეს ჩემი მხრივ ტაქტი იყო, რომ მე მათი მეცნიერებისა და ფილოსოფიის წარმომადგენელი შემეყო). მან გაიღიმა და მითხრა: თქვენ, პეტრინის პატრონი, ვისზე ლაპარაკობთ საერთოდ. მე ეს ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ტაქტის გამო უფროს ადამიანს მე ეს პირველმა ვერ ვუთხარი. მაგრამ მან ეს თვითონ თქვა და მითხრა, გუშინ ვიყავი გელათში, მივედი აკადემიაში, დავიჩოქე და ვლოცულობდი (ის ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო ამავე დროს), ვლოცულობდი და ვამბობდი: ღირსო მამაო იოანე, ევედრე ღმერთსა ჩემთვის. იოანე პეტრინის სულს შევევედრე და იმისთვის ჩავედი გელათში, რომ მენახა ის ადგილი, სადაც ეს უდიდესი ადამიანი მოღვაწეობდაო.”

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ა. ლოსევის დამსახურებაა პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ გამოცემა რუსულად იოანე პეტრინის კომენტარებითურთ. რაც შეეხება ქართულ ნეოპლატონიზმს, მის შესახებ ასეთია მეცნიერის უპრეცედენტო აზრი:

„ქართული ნეოპლატონიზმი ანთროპოცენტრიზმი გახლავთ. აქ ადამიანი ყველაფრის საფუძველია, მაგრამ აქვეა ღრმა განსხვავება ერთი მხრივ ქართულ ნეოპლატონიზმსა და გერმანულ ნეოპლატონიზმს შორის, აღმოსავლურ და დასავლურ ნეოპლატონიზმს შორის. ნეოპლატონიზმი, რომელსაც მისდევდნენ ქართული რენესანსის წარმომადგენლები – იოანე პეტრინი და რუსთველი – ანთროპოცენტრიზ-

მია, მაგრამ ამასთან იგი როდი აუქმებს ბუნების მეუფებას, იმ ბუნებისას, რომელსაც თავყანს სცემდა ანტიკურობა, იმ ბუნებისას, იმ ვარსკვლავებისას, მისი სწორი მიმოქცევისას. აქ ანთროპოცენტრიზმი ბუნებას როდი ანადგურებს, როგორც ამას დასავლეთში ჰქონდა ადგილი, არამედ ბუნება მდიდრდება იმით, რომ ადამიანი იქცა პიროვნებად, რომელსაც სურს შეგრძნება ყოველივესი, თავისებურად გარდაქმნა ყოველივესი. იყო ცალკეული კვლევა ნეოპლატონიზმისა, მაგრამ არ ყოფილა ასეთი მაღალი, სიღრმისეული წვდომა ამ ფილოსოფიური მოძღვრებისა, ასეთი გაგება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისაგან და რაც მეტს ვისწავლით, მით უფრო გაიზრდება რუს-ქართველთა მეგობრობა“.

ალექსეი ლოსევის ლიტერატურულ-ფილოსოფიური მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილს იცნობს ქართული მკითხველი. ე. წ. საბჭოურ ხანაში მისი რამდენიმე ესეი თარგმნეს ჯ. თითმერიამ და თ. ჩხენკელმა, შემდეგ ზ. კვერცხიშვილმა, ნ. შანიძემ... ბოლო დროის თარგმანებიდან აღსანიშნავია ა. ლოსევის პ. ჩხეიძისეული „ქართული ნეოპლატონიზმი“ და მ. მახარაძისა და პ. ჩხეიძის „აღმოსავლური რენესანსი“.

ამჯერად ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ ა. ლოსევის მცირე ესეის „მეცნიერთა უბერებლობისათვის“, რომელიც, ვფიქრობთ, მრავალ საგულისხმო საკითხთან ერთად თვით ავტორის, გასული საუკუნის ამ უდიდესი მოაზროვნის მახასიათებელ შტრიხებსაც მოიცავს და მი-

ალექსეი ლოსევი

მეცნიერთა უბერებლობისათვის

მავანი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე როცა ვსაუბრობდით, განა მართებული იქნებოდა თავად მეცნიერებაზეც არ გვემსჯელა? მეცნიერნი ხომ მეცნიერებისთვის არსებობენ და არა პირუკუ.

მიდით, გავარკვიოთ, რით განსხვავდება მეცნიერება მეცნიერთაგან. ეს განსხვავება, უწინარესად, ისაა, რომ მეცნიერება, თუკი ის ჭეშმარიტი მეცნიერებაა, როდი კვდება, მარად არსებობს და ერთ ადგილზე კი არ ჩერდება, მუდმივად იცვლება. ეს საოცარიცაა ერთგვარად, რაკილა ყოველგვარი ცვლილება, რისიც უნდა იყოს, ზრდას ან შემცირებას გულისხმობს. ყოველივე ამქვეყნიური ან ვითარდება, მამ უფრო ძლიერდება და ახლდება, ან ინგრევა, სუსტდება, ძველდება. მეცნიერება კი, ჩვენდა გასაკვირად, მხოლოდ ახალგაზრდავდება. თუკი რამ მასში ძველდება, ის ახალი, უფრო მომწიფებული მიღწევების საძირკვლად გვევლინება. გაბედავ იმის თქმასაც, რომ წამდვილ მეცნიერებას ასაკი არ გააჩნია. გამრავლების ტაბულით შეიძლება ვისარგებლოთ ან არ ვისარგებლოთ; შეიძლება გამოვიყენოთ ვარდისად ან უვარდისად. მაგრამ თვით გამრავლების ტაბულა განზება მისი გამოყენების სწორი თუ არასწორი მეთოდებისაგან.

მას დროის კატეგორია არ უდგება. და აი, მე მგონია, რომ მეცნიერება, რომელსაც ვემსახურებით, სავსე კია შეცდომებით, უნაყოფო ძიებებით, უამრავი ნაირგვარი ნაკლოვანებით, თავისებური უშედეგო ძალისხმევითაც, მაგრამ ეს ყოველივე მეცნიერების ისტორიაზე ითქმის და არა მეცნიერებაზე. თვით მეცნიერება კი ჩვენთვის კამკაშა ვარსკვლავად უცვლელად ელვარებს და მის ასაკზე საუბარი უაზრობაა.

ამიტომაც ვფიქრობ ასე: ჭეშმარიტი მეცნიერების თანაზიარს დრო-ჟამი ვერაფერს აკლებს. ხორცილად ის იფურჩქნება ან ჭკნება, იზადება ან კვდება. მაგრამ როგორც მეცნიერების მსახური, ის მხოლოდ თუ იფურჩქნება. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მას ასაკი ვერას აკლებს. ბევრ მეცნიერზე ხშირად გარეგნული ნიშნების მხრივაც კი შეიძლება ითქვას, რომ მათ ასაკი საერთოდ არ ეტყობათ.

გავისხენოთ ერთი ბერძნული სიტყვა — „აჰონ“. ჩვეულებრივ ის გაგებული იყო, როგორც ორი სიტყვის — „აეჰ“ („მუდამ“) და „ონ“-ი („არსებული“) კომპოზიტი და ვლებულობდით: „აჰონ“ — ესაა „მუდამ არსებული“, „მარადიული“. სიტყვა „აჰონ“- ის ამგვარი ახსნა ყოველთვის გვხვდებოდა და ახლაც ხშირად გვხვდება ლექსკონებსა და ბერძენ მწერალთა თხზულებათა კომენტარებში. და აი, 1937 წელს გამოჩნდა ცნობილი ლინგვისტის ე. ბენვენისტის ნაშრომი, რომელშიც ამ სიტყვის სრულიად ახალი ეტიმოლოგია შემოთავაზებული. ე. ბენვენისტმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ამ სიტყვის ინდოევროპული ძირია „აჰ“ ან „აჰენ“ (ვარიანტები), რაც „ახალგაზრდას“ ან „ახალგაზრდობას“ ნიშნავს. ე. ბენვენისტის მიხედვით ინდოევროპულ ენებში ეს ძირი სულაც არ არის იშვიათი. მას ვხვდებით ისეთ ლათინურ სიტყვაშიც, როგორცაა „აჰუენის“ („ჭაბუ-

კი“), ასევე გერმანულში „ჟუნგ“ („ახალგაზრდა“), ფრანგულში „ჟენ“ (ასევე „ახალგაზრდა“), და სლავურ ენებშიც კი — „ჟუნი“, „ჟუნომა“. ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ როცა ძველბერძნულ აზროვნებაში დროებითისა და მარადიულის გარჩევის აუცილებლობა გაჩნდა, ძველბერძნულმა ენამ მარადიულის ცნების აღსანიშნავად ვერ მონახა ახალგაზრდობის აღნიშვნელ ამ ძირძველ ტერმინზე ვერაფერი უკეთესი. რაღა თქმა უნდა, ბერძნულ ფილოსოფიურ ენაში იგი უკვე ნიშნავდა არათუ უბრალოდ „ახალგაზრდობას“, სწორედ რომ „მუდმივ ახალგაზრდობასაც“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც აბსტრაქტული ცნებაც კი, ბერძნული სიტყვა „აიონ“ აღნიშნავდა იმას, რაც ერთდროულად წარმოადგენს „მარადიულობასაც“ და „ახალგაზრდობასაც“. ისევე, როგორც მხიარული ბერძენი მავანს შეხვედრისას სალმად „გამარჯობას“ კი არა, „გაიხარეს“ ეუბნებოდა, მარადიულობაზე გაფიქრებისასაც მას მხოლოდ მუდმივი ახალგაზრდობა აგონდებოდა. ქრისტიანები ლოცულობენ მუდმივ სიმშვიდეზე, ძველი ბერძენი წარმართი კი მუდმივი ახალგაზრდობისკენ ილტვოდა. ტერმინოლოგიის ისტორიაზე დანერჩილ ჩემს ნაშრომებში ტერმინ „აიონ“-ის შესწავლას საკმარისი დრო მივუძღვენი. მეც ბოლოსდაბოლოს უნდა გამეზიარებინა ე. ბენვენისტის ეს აზრი კლასიკური ფილოსოფიის ნიადაგზე.

უცნაური გვეჩვენება: როგორ ხდება, რომ ცხოვრება ვითარდება და ვითარდება და თითქოსდა ბავშვობიდან მოწინააღმდეგეობაში და მოწინააღმდეგეობიდან სიჭარმაგეში უნდა გადადიოდეს, აქ კი აღმოჩნდა, რომ რაც უფრო შორს მივინევთ, ცხოვრება მით უფრო მდიდარი და სრულქმნილი ხდება, ამასთან ერთთავად მხოლოდ ახალგაზრდავდება. თეორიული დიალექტიკა რომ მომეშველებინა, მაშინ, ალბათ, უფრო ადვილად დაგმიტკიცებდით ამ შესაძლებლობას. მაგრამ ახლა არ მსურს ურთულესი ფილოსოფიური ძიებებით გადაგლალთ. მხოლოდ ის მნადია, მუდმივი ახალგაზრდობის თვითონ ფაქტის კონსტატაციაზე მიგანიშნოთ. ჩემთვის ეს ფაქტი უეჭველი და დამაჯერებელია. და ესაა დასკვნა, გამოტანილი მთელი ჩემი სამეცნიერო ცხოვრებიდან. თუ მეცნიერებაში სრულად ვეფლობოდი, შედარებით ახალგაზრდა ვრჩებოდი, თუ ვწყდებოდი მეცნიერებას, უფრო ასაკოვანი ვხდებოდი. მეცნიერებაში მუდმივი ახალგაზრდობის ამ ქროლვას გამუდმებით ხორციელადაც კი ვგრძნობდი. და თუ ესდენ ხანგრძლივი ცხოვრება განვვლე და ამდენი თხზულება შევქმენი, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ყოველთვის მიზიდავდა მუდმივი ახალგაზრდობა.

ამიტომაც ალგითქვამთ: თუ გსურთ მარად ახალგაზრდად დარჩეთ, ეცადეთ მეცნიერებაში მარად ახალგაზრდობას ემსახუროთ. მუდმივი ზიარება მეცნიერებასთან თქვენც მუდმივ ახალგაზრდობას გაზიარებთ;

და რაოდენ დღეგრძელიც უნდა იყოთ, თავს მარადუამს უბერებლად იგრძნობთ.

მეცნიერება მე იმ მშვენიერ, დიდებულ და ყოვლისშემძლე ბანოვანად მესახება, ცხოვრების პროზის მარადი ახალგაზრდობის პოეზიასთან შეთავსება რომ შეუძლია გვასწავლოს. ის ჩვენი სატრფოა, ერთადერთი ერთგული ქალი, მარად იდუმალებით მოსილი, ამ იდუმალებას მისი მუდმივი ახალგაზრდული მომხიბვლელობით რომ გვიხსნის. რომელიღაც ძველი პოეტის ლექსი მახსენდება. ის სატრფოსადმი პოეტის ლირიკულ დამოკიდებულებას ეძღვნება და არა მეცნიერებას, მაგრამ მე კი მას ახლა მეცნიერებას მივუსადაგებ. აი, ისიც:

**ნუ გამშორდები,
ო, ერთადერთო ჩემო ერთგულო,
სიხარულით, ყოვლისშემძლის
სიხარულით გარემოცულო.**

დასასრულ აი, კიდევ რისი თქმა მსურს.

ერთხელ ძველ მეგობარს ვუმტკიცებდი, უამრავ შეცდომასა და ნაკლთან ერთად ერთი უეჭველი თვისებაც მქონდა, — სულ იმის ცდაში ვიყავ, დროის მოთხოვნების სიმალეზე ვმდგარიყავ, არ ჩამოვრჩენოდი მათ და ჩემთვის მისანვდომი დოზით ახალი პრობლემების გადასაჭრელად მებრძოლა-მეთქი. მეგობარმა ჩემთვის აუცილებელ პროგრესულობაში ჩემი დაჯერებულობის პასუხად მომიგო: „ნეტავ ვის სჭირდება შენი პროგრესულობა? არსაიდან არანაირი გამოძახილი არ გაქვსო!“ პასუხის ნაცვლად მხრებში ვწვდი, მივიყვანე ჩემი ნიგნების კარადასთან, რომლის რამდენიმე თაროც ჩემი თხზულებებით იყო სავსე, და ვკითხე: „აბა, მამ მითხარ, ვინ ბეჭდავდა ჩემს თხზულებებს, რიცხვით ლამის ოთხასამდე რომ აღწევს-მეთქი? ვინ დაბეჭდა ეს ოცდაათზე მეტი ხუთას-რვაას გვერდიანი ტომი? ბოლოსდაბოლოს, მარტო „ანტიკური ესთეტიკის ისტორიის“ მრავალათასგვერდიანი ექვსტომეული ვინ დაბეჭდა, გეთაყვა, მითხარი-მეთქი?“ ჩემს მეგობარს სათქმელი აღარ დარჩენოდა და პასუხად რაღაც გაურკვეველს ბუტბუტებდა.

ალექსეი ლოსევი

ჩემი აზრით, ყოველი მეცნიერი, მწერალი და საერთოდ პროფესიონალი ლიტერატორი, თუნდაც არანაირ გამოძახილს არ ჰპოვებდეს, თავს იმითაც ბედნიერად იგრძნობს, თუკი მისი ხელნაწერის ასობით და ათასობით გვერდი ათწლეულების მანძილზე დაიბეჭდება. ჩემი მხრივ კი, ვფიქრობ, დიდი უმადურობა იქნება გოდებას მივეცე იმისა გამო, რომ სადღაც და ოდესღაც არ მქონდა გამოძახილი. ლენინის ბიბლიოთეკის თაროებზე ჩამწკრივებული ჩემი თხზულებანი ხომ მისი ავტორის მაღლიერების მჭევრმეტყველი ნივთმტკიცებანია.

**თარგმნა
მაია ცარცვაკია**



ვაჟა ოთარაშვილი

გზა დაზამთრებამდე

□

ნანი თარხნიშვილის ერთგვარული „დაზამთრებამდე“ გამოსვლისა გამო

უფლის განაჩენით, ჩვენს ცოდვათა სიმრავლისა გამო ბაბილონის გოდოლიდან დაწყებული ადამის მოდგმის შვილები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და, ბუნებრივია, თარგმანის პრობლემაც ბიბლიური წარსულიდან მომდინარეობს. თარგმნა უცხოფერთამეტყველების გამშობლიურებაა, ჩემი აზრით. ხილვის ენერგია თუ სიტყვის ენერგიაში არ გადავიდა, პოეზიის აქტი არ შედგებო, ამბობდა გურამ ასათიანი. აქედან გამომდინარე, მთარგმნელს უფრო მეტი ძალისხმევა, არითმოლოგიურად თუ მიფუდგებით, იქნებ ასჯერ მეტი ძალისხმევა სჭირდება, რათა უცხო ენიდან თავის მშობლიურ ენაზე განახორციელოს მწერლური აქტის ბრწყინვალეობა, ლიტერატურული სამანები გაჟღერდეს უცხოეთიდან შემოტანილ ყვავილთა მშობლიური სურნელებით.

დღეს, როცა ინფორმაციულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების მაღალმა დონემ საშუალება მოგვცა ნეირონულ პრინციპებზე აგებული ავტომატური მთარგმნელობითი სისტემების გამოყენებისა, თითქოს ერთი ენიდან მეორეზე ინფორმაციის გადატანა-თარგმნა გაადვილდა, მაგრამ გამოთვლითი მანქანის ტექნიკურად პირველი შემქმნელის ჩარლზ ბებიჯისა არ იყოს, კომპიუტერი ადამიანს ესმარება მხოლოდ რუტინული სამუშაოების შესრულებაში და ვერასდროს ადამიანურ ფანტაზიათა, ოცნებათა, ნატურათა, ხილვათა ჯადოსნურ სკივრს ვერ გაუტოლდება. მითუმეტეს, ჭეშმარიტი მხატვრული თარგმანი ყოველთვის იყო და იქნება პრობლემა — საჯილდაო ქვა ნამდვილ შემოქმედთათვის. თუმცა თარგმანი ბევრი უნიჭო მომწერლო ელემენტის თავშესაფრად იქცა ორმხრივი გაგებით: ჯერ ერთი, საკუთარ ქვეყანაში შეიძლება საშუალო დონის მწერლადაც არ ითვლებოდეს და უცხო ენაზე ისე მაღალ დონეზე ითარგმნოს მისი უნიჭობა მთარგმნელის ფანტაზიით და შემოქმედებით მაღალნიჭიერებით, რომ „პატრონმაც ველარ იცნოს თავისი



შედეგრი“, რაც საზოგადოების მოტყუებაა, და მეორე, როცა გამოჩენილი მწერლის ნაწარმოებს არაადეკვატურად და უნიჭოდ თარგმნიან. ამით ფაქტობრივად კლავენ ჭეშმარიტ მწერლურ ქმნილებას, ესეც საზოგადოების უტიფრად მოტყუებაა, რა თქმა უნდა.

ფიქრობ, მთარგმნელის შეცდომა უცხო ენაზე შექმნილი სამწერლო შედეგის სხეულის რომელიმე ნაწილის ამპუტაციას ჰგავს. ჭეშმარიტი მთარგმნელი შემოქმედია, რომელიც მაღალი ენობრივ-ინტელექტუალური დონით უკიდურესად ამცირებს ლიტერატურულ-სამწერლო ინფორმაციის დამახინჯებას ადამიანური ცნობიერებისა და გონის უაღრესად ფაქიზი და ღრმა ნიუანსების გამოყენებით. მაგალითად, ცნობილია როდესაც ბედუინი ამბობს „აქლემი“ მისთვის ამ ცნების მოცულობა (ინფორმაციულობა) ძალიან დიდია. არაბულად ასზე მეტი სიტყვა არსებობს თურმე აქლემის დასახასიათებლად (ასაკის, ჯიშის, სქესის, მდგომარეობისა და ა. შ.). მაშინ, როცა ევროპულ ენაზე ამ ყველაფრისათვის ერთი სიტყვა გამოიყენება, ისევე, როგორც ესკიმოსურ ენაში „თოვლის“ აღსანიშნავად თურმე სამასზე მეტი სიტყვა არსებობს და მისი უბრალო მანქანური თარგმანი უცხო სიტყვათა დიდ ინფორმაციულ დანაკარგს იწვევს. ამ დანაკარგთა მინიმუმამდე შემცირებაა მთარგმნელის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მიზანი. თარგმანის სხვადასხვა სისტემა და მეთოდი არსებობს. ჯერ კიდევ 1540 წელს ეტიენ დოლემ დაბეჭდა ტრაქტატი „კარგი თარგმანის მეთოდი შესახებ“. ფიქრობ, თარგმანი — კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგია პრაგმატულ-პოლიტიკური კუთხით უცხო ტექსტის გამოყენება საკუთარი ქვეყნის იდეოლოგიური მიზნებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანს კულტურული პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა ერთად გააჩნია. ამიტომაც საქართველოში რუსოფობი, მაღალი თარგმანის ტრადიცია ძველთაგანვე იყო. საკმარისია გავიხსენოთ, რომ როგორც იბერიაში, ასევე ეერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სინას, ათონის და შავ მთაზე და სხვაგან გაჩაღებული იყო მთარგმნელობითი საქმიანობა. ქართულ ენაზე ითარგმნებოდა საღვთო წერილი, აპოკრიფული ძეგლები, ეგზეგეტიკური თუ შავიოგრაფიული ნაშრომები, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი წიგნები, წმინდანთა ცხოვრებანი, ღვთივგანბრძნობილ მამათა უძველესი ნაშრომები და სხვ. ქართული სამწერლო მთარგმნელობითი ხელოვნების სწრაფვამ ევროპისაკენ და საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურული შედეგების მშობლიურ ენაზე თარგმნა ითავისი შედეგი გამოიღო და ქართულად არაერთი მსოფლიო დონის შემოქმედებითი მიღწევა ამეტყველდა (პლატონი, ომარ ხაიამი, შექსპირი, გოეთე,

თომას მანი, ტოლსტოი, ფრანსუა ვიიონი, პუშკინი, ჰემინგუეი და სხვ.)

ქართული თარგმანის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სათნოებთა და სიღარბისლით მოსილი ქალბატონის, დიდი მოურავის — გიორგი სააკაძის ღირსეული შთამომავლის ნანი თარხნიშვილის (თარხან-მოურავი) მიერ ქართულად ნათარგმანები ბრწყინვალე ფრანგი მწერლების, ნობელის პრემიის ლაურეატების: ფრანსუა მორიაკისა და რომენ როლანის, ასევე ფრანგული ლიტერატურის გამორჩეული გრანდების: სტეფან მალარმესა და პიერ გამარას შესანიშნავი ნაწარმოებები.

ქალბატონი ნანი თავისი დიდი პაპის პაპის გიორგი სააკაძის ალექსოპოში მუხანათურად მოკვდინებიდან სამი საუკუნის შემდეგ დაიბადა თბილისში და დიდ პაპისეულ ქართლის ერთ ულამაზეს და მყუდრო სოფელში — ახალქალაქში ანუ მეფისსოფელში (როგორც ისტორიულად ეწოდებოდა) გაატარა ბავშვობა და არასოდეს მოსწყვეტია მის ფესვებს. მისი ტყუპი დები 11 წლით უფროსები იყვნენ ნაბოლარაზე. დედაც ქართლელი ყავდა — თამარ ქაიხოსროს ასული იაშვილი სოფ. კავთისხევიდან. ერთი ბებო მეტეხელი თავადის — მალალანთ ქალი იყო, დიდდა კი ჯავრიშვილების ქალი ერთანმინდიდან. ნანი თარხნიშვილის მამაპაპეულ სახლსა და ცნობილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის სახლს ერთი ღობე აქვთ. აღსანიშნავია, რომ ეკატერინე გაბაშვილის ქალიშვილობის გვარი თარხნიშვილია. ნანის მამის გიორგი დავითის ძე თარხნიშვილის ნათლია საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე — „ქართული მწერლობის სინდისად ნოდებულ“ კოტე მაცაშვილი ყოფილა. ქართლის ერთ-ერთი კოლორიტული სოფელია ახალქალაქი თავისი კაკლის ჩრდილებით, თემით და გარიყულათი, მაჩაბლიანთ (გენერალიანთ) სასახლით, პატარა ნაკადულეებით, ზომიერი ჰავით, იქვე რამდენიმე კილომეტრშია ნოსტე — გიორგი სააკაძის კოშკითა და გალავნით, მარჯვნივ სოფ. ერთანმინდა — წმინდა ესტატეს სახელობის თარხან-მოურავების საძვალე ტაძრით, სადაც დიდი მოურავის მიერ სამშობლოსათვის შეწირული შვილის — პაატას მოკვეთილი თავია დავანებული, თემის ხეობაში კი რკონის ზღაპრული მონასტერი მდინარეზე ნახევარკალად აზიდული განუმეორებელი თამარის ხიდით და ღვთიური სიმყუდროვით... კავთისხევს ზემოთ, წინარეხიდან სამიოდ კილომეტრში ქვათახევის ულამაზესი მონასტერია, სადაც 1611 წლის შემოდგომაზე ლუარსაბ მეფემ ჯვარი დაინერა გიორგი სააკაძის დაზე საბედისწეროდ (ქვათახევის მონასტერში ლამის სამი საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობდნენ თარხან-მოურავები)... მშობლიურ ქართლს კარგად იცნობს ნანი თარხნიშვილი. მისი სიტყვის ოქროს მარაგიც ქართლიდან იღებს სათავეს.

ფრანსუა მორიაკი — ნობელიანტი (1952 წ.) ფრანგი რომანისტი, პოეტი, დრამატურგი, ესეისტი, მე-20 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბორდოს მახლობლად თავის საგვარეულო მამულში, მალაგარში დაიბადა. იქვე დაამთავრა ბორდოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ანდრე მორუა თავის „ლიტერატურულ პორტრეტებში“ ფრანსუა მორიაკის შესახებ წერს: „თუკი ფრანგ რომანისტს სურს კარგად იცნობდეს მშობლიურ მხარეს, მან ბოლომდე უნდა

შეინარჩუნოს პროვინციასთან ურთიერთობა... ბალზაკს ეს კარგად ესმოდა. იგი ცხოვრობდა პარიზში, მაგრამ ყოველდღე მიაშურებდა ხოლმე პროვინციას, რათა გადაეხალისებინა ადამიანურ ვნებათა ალქმა...“

და მსგავსად ბალზაკისა მორიაკიც ბოლომდე ერთგული რჩება საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განლაგებული სოფლებისა და ბორდოსი. მისი ნაწარმოების შრეებად დაწყობილი ხილვადი ფენების შემოქმედებითი მუხტიც იქიდან მოდის. ქალბატონ ნანისათვის ამიტომაც ახლობელია მორიაკის შესანიშნავი რომანი „გზა უგზოობისა“, რომლის მთავარი მოქმედი პირები პროვინციაში ცხოვრობენ. ამიტომაც, რომ მთარგმნელმა, რომელსაც „თვალადური ქართულის ჭაშნიკიც“ კარგად აქვს დაგემოვნებული დიდოსტატურად და პროვინციული ენობრივი ხორკლის გამოყენებით გადმოქართულა ფსიქოლოგიური პასაჟებით სავსე ნაწარმოები. ყველგან იგრძნობა მთარგმნელის ლაპიდარული სტილი — აზრის სხარტად, მოკლედ და მკაფიოდ გამოხატვა, დახვეწილი მეტყველება, რამეთუ სულმნათი გიორგი შატბერაშვილისა არ იყოს, „ქართული სიტყვის უსიერ ტევრში მისი მეგზური და უცთომელი კონსულტანტი“ ანუ „სიტყვის პაპა“ — უკვდავი სულხან-საბა ორბელიანია.

აი ამონარადები მორიაკის თარგმანიდან: „ტოტყი ხელი“, „ტაშფანდურზე ათამაშებდა“, „თავცოცხალი შვილების ქონებას არ შეველევი“, „საქმე მოვაკალოვე“, „კბილკარა კბილები“, „ეუპირულა“ და სხვ. ასეთი მაგალითი უამრავია. ანდა რა დიდი ოსტატობითაა გადმოქართულებული და გამოძერწილი რეკოლუთა ოჯახის უფროსი ლაქისი, მუსიე ლანდენის პორტრეტი: „კუზიანი ზურგი და კვერცხივით წინ წამოგდებული მუცელი“, „ლაპლაპა და უფორმო თავისქალა, რომელიც ალაგ-ალაგ ამოზნექილ ქვაბს მიუგავს“ და საოცრად დახატული ფსიქოლოგიური სურათი ყურმოჭრინი მსახურის მიერ ბატონის დატყვევების მძაფრი სცენისა: „ლანდენს, რომელსაც საწათლის შუქი და რიჟრაჟის ნათელი ერთად ანათებდა, მწუხარებასა და დარდს ვერ გაეკეთილშობილებინა მისი უცრემლო სახე, გაშტერებული იდგა და თვალს არ აცილებდა მიცვალებულს. თითქოს სამუდამოდ სურს დაიმასსოვროსო. იქნებ ბატონისათვის სიცოცხლეში არც კი შეუხედავს და ახლა მკვდარი ვერ დაუშლიდა. როგორც იქნა, ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა. შიგ სახეში შესცქეროდა მიცვალებულს. ბატონის დახუჭული თვალები ველარ აიძულებდნენ განზე გახედვას. ლანდენი ველარ ძლებოდა განიარაღებული კერპის ყურებით. ყველაფერს იმახსოვრებდა, იცოდა, ამიერიდან შემონახული მოგონებებით უნდა ეცხოვრა. ბატონს რომ მიწას მიაბარებდნენ, იქნებ ერთგული ძალღვივით განსვენებულის საწოლის წინ ნოხ ზეც განოლილიყო...“ დამეთანხმებით, მრავლისმეტყველი პასაჟია შესანიშნავად გადმოცემული.

თანამედროვე ფრანგი მწერალი, ესეისტი და ფილოსოფოსი მორის ბლანშო ერთ-ერთ ნერილში „თარგმანის შესახებ“ წერს: „მთარგმნელი განუმეორებელი ორიგინალობის მწერალია, თანაც იგი ორიგინალურია იმაში, რაზეც მას თითქოს პრეტენზია არ გააჩნია“. გარეგნულად ნანი თარხან-მოურავი უპრეტენზიო, მშვიდი, კეთილშობილებით სავსე, ბავშვური სინრფულით გამორჩეული ულამაზესი ქალბატონია, რომლის გიმორისფერი, თბილსიხივიანი და სვედიანი თვალების მიღმა თითქოს მთელი ისტორია მიმა-

ლულა თარხან-მოურავთა გმირული და ტრაგიკული გვარისა. მისი მიხრა-მოხრა სიმშვიდით თრთოლვანარევე აფეთქებათა ზღვარზე გადის. ხოლო მოყვასისადმი თავდადების და ერთგულების სულიერი კოშკების კედლები დიდ პაპის-პაპათა გენეტიკითაა მოქსოვილი. თავდადებასა და ერთგულებაზე მარტო დიდი მოურავი კი არ გამახსენდა, არამედ გიორგი სააკაძემდე ორი საუკუნით ადრე მოღვაწე თბილისის ციხისთავი — დონა სააკაძე, რომელიც 1386 წლის 13 ნოემბერს ტამერლანის ლაშქრის მიერ თბილისის აღების და ერთიანი საქართველოს მეფის ბაგრატ მეხუთის თურქთა მიერ დატყვევების გაგების შემდეგ თავისი ნებით მიდის მტერთან და ტყვედ ჩაბარდება სიტყვებით: „სადაც ივერთა მეფე, მეც იქო“, და დაახლოებით საუკუნენახევრის შემდეგ იმეორებს ცოტნე დადიანისეულ ერთგულებასა და გმირობას.

ფრანსუა მორიაკის რომანი 1934 წელს გამოვიდა. ეს ის პერიოდია, როცა ევროპასა და აზიაში ორი მსგავსი ბოროტება გერმანული ფაშიზმი და რუსული ბოლშევიზმი იკრებს ძალებს ავსაქმეთა „აღსაყვავებლად“, ამ რომანის პათოსიც ისაა, რომ ადამიანი ბოროტების სამყაროში თვითონაც ბოროტდება. ნაწარმოები მოგვითხრობს თუ როგორ დააკნინა და დაასახიჩრა ცხოვრებამ ადამიანი, ფულისმოყვარეობის და გარყვნილების ცოდვამ, ამპარტავნებამ როგორ დაანგრია ტრადიციული ოჯახები, მეგობრობა, ახალგაზრდა წყვილთა სიყვარული, ღირსება შეუღალახა ყოველივე ამაღლებულსა და „ქალიშვილს უყიდა კარგად აღზრდილი და ჩინებული გვარ-შვილის განათლებული ქმარი“. მართლაც, ამ ადამიანთა გზა უგზოობისაა და უნებლიეთ მახსენდება სულმნათი თენგიზ აბულაძის უკვდავი ფილმი-საოცრება — „მონანიების“ ფინალი, როცა განუმეორებელი ვარსკვლავი ქართული კინოსი — ვერიკო ანჯაფარიძე სიბრაზისაგან აცახცახებული გამოსცრის: „რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძრისკენ არ მიდის...“

ფრანსუა მორიაკი პირველად საზოგადოებამ თავისი მშვენიერი პოეზიით გაიცნო. მისი რამდენიმე პოეტური კრებულები გამოიცა საფრანგეთში, მაგრამ ქართველი მკითხველი მას იცნობს როგორც მხოლოდ რომანისტს, დრამატურგს, ჟურნალისტს (რედაქტორობდა ჟურნალ „ტაბლ რონდს“) და რაოდენ სასიამოვნოა, რომ რომანში „გზა უგზოობისა“ მისი ლექსები ბრწყინვალედ გადმოაქართულა ახალგაზრდა პოეტმა და ლიტერატორმა ვერიკო ზამთარაძემ.

ლექსის თარგმანზე ბევრს ლაპარაკობენ, არაერთი ლიტერატურული წერილი, სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა თარგმანის პრობლემას. ცნობილი მექსიკელი პოეტი, მთარგმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ოქტავიო პასი ამბობს: „ყველაზე კატეგორიულად ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ ლექსის უთარგმნელობაზე, მაგრამ თუ გავიხსენებთ, დასავლეთევროპული ლიტერატურის საუკეთესო პოეტურ ქმნილებათა დიდი ნაწილი თარგმნილია და ამ თარგმანთა უმეტესობა დიდი პოეზიაა“. ე.ი. ლექსის თარგმნა მარტო ენის ცოდნას არ გულისხმობს, არამედ უზადო ე. წ. „პოეტურ სმენას“, შეიძლება ითქვას, რომ დიდი პოეზია მორიაკის ლექსების ქართული თარგმანი. ვფიქრობ, მორიაკის ლექსების ვერიკო ზამთარაძის მიერ შესრულებული ვერსია ადეკვატურ თარგმანთა ტიპს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის თარგმანზე თავის დროზე „ცისფერყანწელ-

თა“ ორდენის სწორუპოვარი წევრი — ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „თავისუფალ თარგმანს ჩვენ ვუპირისპირებთ თარგმანს ადეკვატურს — ე.ი. ისეთ თარგმანს, რომელიც მიზნად ისახავს დედნის აღდგენას მისი ფორმის და შინაარსის თავისებურებებით“.

სწორედ მორიაკის ფრანგული ლექსის შინაარსისა და თავისებურებების გათვალისწინებით, თითოეულ პუნქტში პოეტურ ტკივილთა უნაზესი თრთოლვით დედანთან სიუჟეტური თანხვედრით სავსეა სტრიქონები:

**შენი ხელებით მეფერება ნვიმაც, ო, ატის,
და ყველაფერი დავიწყებას მივცა, მგონი.
ჩემს მწუხარებას სურნელი აქვს შეკვირტულ ატმის
და ბარბაროსი ოკეანის გამოჰყვა გონი...
ველარ შევძელი დამაშვრალმა ალერსი შენი
და ბაგეები დავიშაშხე მწველი ვნებებით,
მზევ, მინიერი სიყვარული რარიგად გშენის,
ო, ატის, თქვენო ბრწყინვალეზავ, მგონი გნებდებით...**

მართლაც შესანიშნავი თარგმანია და ასეთი არა ერთი და ორია. ფრანსუა მორიაკის ამ რომანში მისი ლექსების ზამთარაძისეული თარგმანის კითხვისას მე-19 საუკუნის გამოჩენილი ფრანგი პოეტი ჟერარ დე ნეურვალის სულის-შემძვრელი სიტყვები გამახსენდა: „მე უფრო ადვილად დავწერდი პოემას, რომ ჩემი ხეტიალის და სეირნობის დროს ჰაერში იშლებოდეს და მომყვებოდეს გვერდით ქალღმრთის გრაგნილი, რომელზეც მე დავწერდი ყველაფერს, რაც წუთიერად დაიბადა ჩემს სულში“. იგრძნობა, მორიაკის ლექსების მთარგმნელს „ქალღმრთის გრაგნილი“ გვერდით მიჰყვება პოეტური ხეტიალის თუ სეირნობის დროს.

რაც შეეხება ფაშიზმთან, ომის უსამართლობასთან, მშვიდობისათვის დაუღალავად მებრძოლ მეორე ფრანგ ნობელიანტ მწერალს რომენ როლანს, მისი მოთხრობა „პიერი და ლუსი“, ჩვენთან ჯერ კიდევ ოცდათხუთმეტი წლის წინათ გამოქვეყნდა „მსოფლიო ნოველის“ ბიბლიოთეკის მე-2 ტომში — „ფრანგული ნოველა“. ხოლო საფრანგეთში 1920 წელს გამოიცა და პირველი მსოფლიო ომის სამინელებას (თუმცა რომელი ომი არაა სამინელი) ეხება. რომენ როლანმა ეს ნოველა ორმოცდაათს გადაცილებულმა დაწერა. ამ დროს მას უკვე გამოქვეყნებული აქვს თავისი ცნობილი ე. წ. მუსიკალური რომანის „ჟან კრისტოფის“ ათივე ტომი, მიღებული აქვს 1913 წ. ფრანგული აკადემიის დიდი ლიტერატურული პრემია. პირველი მსოფლიო ომის დროს როლანი შევიცარიაში ცხოვრობდა, სადაც დაწერა ცნობილი მოწოდება „ომის და ურთიერთშეღების შეწყვეტის შესახებ“, 1916 წ. კი მიიღო „მშვიდობის ნობელის პრემია“, რომლიდანაც აღებული თანხა მთლიანად შესწირა „ნითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებას“. იგი იყო ხელოვნების ისტორიის უზადო მცოდნეც, მუსიკათმცოდნეც, ბრწყინვალედ იცოდა იტალიური მხატვრობა და თეატრი, მეორე მსოფლიო ომის დროს უარი თქვა ჰიტლერის მთავრობის მიერ მინიჭებულ გოეთეს მედლის მიღებაზე... კარგად იცნობდა ინღურ ფილოსოფიას, რაც მშვენივრად ჩანს მის ნიგნებში: „რამაკრიმნას ცხოვრება“, „ვივეკანანდის ცხოვრება“, „მაჰატმა განდი“ და სხვ. რომენ როლანი მსოფლიო დიქტატურის, ავტორიტარული ტირანიის წინააღმდეგ აქტიურად ილაშქ-

რება ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში. სწორედ ომის დროს შეყვარებული წყვილის პიერის და ლუსის უნაზესი და ამალელებული მიჯნურობის ტრაგიკული ამბავია აღწერილი როლანის ამავე სახელწოდების მოთხრობაში. მოთხრობის გმირებს „ომმა გარდატეხის ასაკში მოუსწრო“, ომის დროს ერთადერთი რისი დაჯერებაც შეიძლება, ანმყო, რადგან ხვალ რა მოხდება, სად იქნები, ან იქნები თუ არა არავინ იცის. და დიდი მწერლის გროტესკული პირდაპირობით ნათქვამი: „ომი ლარიბებისათვის და განსაკუთრებით, ქალებისათვის მძვინვარებს, მათ სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევს“. მაგრამ შეყვარებულები „აუხდენელ მომავალზე ფიქრს“ თავს არ ანებებენ, ეწვენიან, რომ ის საშინელება, რაც მათ გარშემო ტრიალებს, თითქოს ერთხელ უკვე ნანახი ჰქონდათ (ინდური ფილოსოფიის გავლენით, ჩემი აზრით). შევლასა და ხსნას, თავშესაფარს სულიერსაც და ფიზიკურსაც ეკლესიაში ხედავენ, ფიქრობენ, ჯვარს დაინერენ და მათ უმანკო სიყვარულს ქორწინების საიდუმლოს აღსრულება დაადგება გვირგვინად, მაგრამ ბედნიერების ანგელოზის ნაცვლად ტაძარში შეყუყულებს აბადონის ანგელოზი ესტუმრებათ — დაბომბვისას ყუმბარა იმ ეკლესიას ჩამოაქცევს, რომლის მთავარ სვეტთანაც პიერი და ლუსი იყვნენ შეფარებული. ქართულად ნათარგმანებში ეს მიმე ფსიქოლოგიური პასაჟი მაღალ დონეზეა შესრულებული.

თემატურად რომენ როლანის მოთხრობა „პიერი და ლუსი“ გარკვეულწილად ეხმაურება პიერ გამარას ნოველებს: „სახლი ცის ქვეშ“ და „უცნობი ქალი“, რომლებიც 1957 წ. დაიბეჭდა ნოველათა კრებულში „მეთუნის სიყვარული“. პიერ გამარა წარმოშობით ბასკი იყო. იგი მეორე მსოფლიო ომის დროს აქტიურად ჩაება ე. წ. „წინააღმდეგობის მოძრაობაში“. ნანი თარხნიშვილის მიერ თარგმნილი ეს ნოველებიც ზემოთ აღნიშნულ „მსოფლიო ნოველის“ მეორე ტომში დაიბეჭდა 1976 წ. პიერ გამარას ამ ნაწარმოებებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა მთარგმნელის ოსტატობა ბუნების პეიზაჟის აღწერისას: „ალიონზე ნისლი ვერცხლისფრად ასევადებს თელას, ალვის ხისა და ჭადრების კენწეროებს. გლეხკაცები კი შეესევინა ვაზებს და სავსე დაჯაგულ მტევნებს კრეფენ...“ ბასკური და ფრანგული ღვინის მაღლი კარგად ეცოდინებოდა პიერ გამარას, ისევე, როგორც ნანი თარხნიშვილისთვის ახლობელია თქმის ხეობაში დამკვრახული ვაზის მტევნები, მამამისს, კოტე მაყაშვილის ნათლულს ჰყვარებია სადღეგრძელოების ლექსად თქმა... მეორე მსოფლიო ომმა კი სხვა ქართველებთან ერთად ბიძა — დედის ძმა ია იაშვილი ქერჩში დასამარა. მაგრამ მაინც აშენებდა ადამიანი ომით, მტრობით, ბოროტებით დანგრეულს, იავარქმნილს. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“... ეს სიტყვები გამახსენდა გამარას ამ ნოველების კითხვისას, რადგან ყველას ომი ვერ მოსპობს. „კალატოზი ცოცხალი გადარჩა. კერას მიუბრუნდა. ხელახლა დიდი ენერგიით და სიყვარულით შეუდგა სახლის შენებას... კვლავაც აწყობდა აგურს აგურზე“ და „მთელი ქვეყნის კალატოზები სახლებისა და ბავშვების მშვიდ ძილს დარაჯობდნენ“. მაგრამ ომისაგან გაუბედურებულიც ბევრია, რომლებიც შავ ძაძებში მოსილინი „გულდაკოდინი მოფსუსფუსე პარიზის აურზაურში“ დააბიჯებენ, მარადიული სევდით სავსენი „უხილავნი და შეუცნობენი“ „შადრევანის შხეფების ბროლნამსხვრევებში“ რჩე-

ბიან...

რაც შეეხება სტეფან მალარმეს, რომელმაც „შექმნა სიტყვებიდან კოშკები უღმობელი სითეთრისა“ (ვალერიან გაფრინდაშვილი, 1917 წ.) მისი ესეი „რიჰარდ ვაგნერი“ 1979 წ. დაიბეჭდა პირველად მალარმეს რეტოპრინტულ გამოცემაში (შემდგენელ-რედაქტორები: გასტონ ბუაჩიქე, მიხეილ ქურდიანი) და იმ დროისთვის ახალგაზრდა მთარგმნელის სიმბოლისტურ-ფილოსოფიური აზროვნების სტილი წარმოაჩინა. როგორც „ცისფერყანწელები“ აღნიშნავენ, მალარმე არასოდეს ყოფილა პოპულარული, როგორც მწერალი. მისი აუდიტორია არ იყო დიდი, მაგრამ ის შედგებოდა პოეტებისაგან, რომელნიც უსმენდნენ მას, როგორც სიბილას, მოწინებით და თრთოლვით. პოეტებმა აიყვანეს იგი დიდების განმარტოებულ სიმალეზე. მალარმე სწირავდა თავის ლექსებსა და ესეებს არა განათლებულ ბრბოს, არა გაზეთების მკითხველებს ან ფარისეველ პოლიტიკოსებს, რომელთა სულიც მეზვერეთა მსგავსად მრავალგზის წაბილწული იყო, არამედ სჭედდა თავის სონეტებს, მისი კარჩაკეტილი გენიალობის დაულაღვ და ვენებიან თავყანისმცემელთათვის. სტეფან მალარმე 1898 წ. გარდაიცვალა. იმ დროს ჩვენი „ცისფერყანწელები“ პაოლო, ტიცინი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გალაკტიონი პატარა ბიჭები არიან. მაგრამ გამოხდება ხანი და 1916 წელს პაოლო იაშვილი თრთოლვით იტყვის მალარმეზე:

**ის იყო თეთრი, თავდახრილი და ოქროპირი,
ყოველი სიტყვა, როგორც გედი მან ადიდა,
მისთვის ოცნება იყო მკაცრი ჰეროდიადა,
და იყო მხოლოდ სილამაზის მორჩილი გმირი...**

მალარმეს — „ფრანგი პოეტის ზმანება“ „რიჰარდ ვაგნერი“ პოეტური ტრაგიზმითაა გამსჭვალული და არა პოეტური პედონიზმით. პოეტის ხილვები თითქოს იმ მწვერვალზე ტრიალებს, სადაც ვულკანის კოკატერი ბობოქრობს, თითქოს ყოველი ამოფრქვევა მუსიკალური შედეგების სახით განიფინება „ნიგნის წმინდა ფურცლებზე“, მაგრამ „ყოველივეს ინტელექტუალური დესპოტიზმის გამო აძევებს ხალხური წარმოდგენა, რადგანაც ბრბოს სურს ხელოვნების შთაგონების განმგებელი თავად იყოს“, თუმცა სიმღერა მაინც „ამოხეთქილი შთაგონებული აზრის ალტკინებაა“, კოსმიურად ღვთიურია და სამყაროსეულად პირველყოფილი. მალარმეს ამ ესეში პოეტის სულის ვაგნერისეული მუსიკის მისტიკური არიაა სიტყვათა ხატსახეებით აგებულ თეატრში თრთოლვა-ცახცახით შესრულებული. მთარგმნელის პოეტურმა ხედვებმა, ვფიქრობ, სასიკეთოდ იმოქმედა ამ ურთულესი ესეის გადმოქართულებისას, ნაწარმოების მუსიკალურობის შენარჩუნებაში ფრანგულიდან (რომელსაც ცხვირისმიერი მომღერალი ბგერებიდან) ქართულში (ხოროხისმიერ შიშინა და სისინა ბგერებზე) გადმოტანის ნიუანსების და ენობრივი სემანტიკის გათვალისწინებით.

უფლის წინაშე კი ჩვენი ცოდვები არ იკლებს. თითქოს ვცდილობთ ყოველდღე მათ გამოსწორებას, დანგრეულის აღდგენას, ახლის აშენებას, მაგრამ „წამია წუთისოფელი, დახამხამება წამისა“...

ქეშმარიტი მთარგმნელიც თითქოს ბაბილონის გოდოლის აღდგენას ესწრაფის, მაგრამ ვის მიუღწევია ზეცამ-

იერუსალიმი: ღვთიური შარავანი და მკაცრი რეალობა

იკა გუჯიაშვილს
ესაუბრა
ნიმ დოლიძე

— ყველა ქრისტიანისთვის ყველა დროში სანუკვარი ოცნება იყო, არის და იქნება წმინდა მიწის მონახულება.

როცა ამის შესაძლებლობა გეძლევა, თან ბედნიერი ხარ, თან ეჭვი გიპყრობს — იქნებ ჯერ არ ხარ მზად ამისთვის, მითუფრო მაშინ, როცა მოსალოცად მიდიხარ. და ფიქრობ: შეგიძლია კი სულიერად დაიტიო ეს ყველაფერი?! — მოიარო მიწა, სადაც განხორციელებული ღმერთი დაიბადა, გაიზარდა, ცხოვრობდა, დადიოდა, ქადაგებდა, ღარიბებს სწყალობდა, ავადმყოფებს კურნავდა; მოინახულო მთა, სადაც ფერი იცვალა, ან ადგილი; საიდანაც ამაღლდა და მისი ნატურფალიც კი დღემდეა შემორჩენილი, — ამბობს ნიმ დოლიძე, ვისაც არაერთი საინტერესო თარგმანით იცნობს ქართველი საზოგადოება, ახლახან კი იგი იერუსალიმიდან დაბრუნდა და წმინდა მიწაზე ნანახისა და განცდილის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.

— ვისაც წმინდა მიწაზე უმოგზაურია, თითქმის ყველას აღნიშნავს, რომ იქ სულ თან გდევს განცდა, თითქოს დრო გაჩერებულია...

— თითქოს ქრისტეს მოღვაწეობიდან 2000 წელი არც გასულა... დიახ, ეს განცდა მართლაც გიჩნდება იმ ფიქრთან ერთად, რომ შესაძლოა ვერც ვერასოდეს მიაღწიო სულიერების იმ დონეს, ამ ყველაფრის ბოლომდე გათავისებას რომ შეგაძლებინებს.

უნებურად ღირსი მამა, წმინდა დავით გარეჯელი გახსენდება — დიდი სასულიერო მოღვაწე, რომელმაც, იერუსალიმამდე ფეხით ჩასულმა, თავი არ მიიჩნია წმინდა ქალაქში შესვლის ღირსად, ქალაქის კარიბჭესთან ილოცა, იქიდან მხოლოდ სამი ქვა წამოიღო და ეს სამი ქვა წმინდა მიწის ლამის მთელ მადლს იტევდა.



იერუსალიმი

— ასეთ სულიერებამდე მიღწევას დავით გარეჯელის რწმენა სჭირდება...

— ცხადია... ჩვენ არა გვაქვს ამხელა რიდი და რწმენა, არც ამხელა ძალა შეგვწევს. ამიტომაც იერუსალიმამდე ფეხით კი არა, სრული კომფორტით ვიმგზავრეთ — თვითმფრინავით თბილისიდან თელ-ავივამდე. მერე ერთი სული გვექონდა, იერუსალიმში ღამით ჩასულვებს სასტუმროში დასვენება მოგვესწრო, რომ მეორე დღით სულთმოფენობის საზეიმო წირვას დავსწრებოდით მაცხოვრის აღდგომის ტაძარში. თვით უფალმა შეგვაძლებინა და მოგვცა უდიდესი მადლი. მსგეფსის კვირაში უარი ვთქვით ხორცის მიღებას და ჩვენთვის სასტუმროში განკუთვნილი ორჯერადი კვებიდან ერთ-ერთზე — საუზმეზე. ამ მოგზაურობის დროს დავრწმუნდით, რამხელა ძალა აქვს ლოცვას, ზიარებას, რაშიც ჩვენი მოძღვარი, თბილისის ლურჯი მონასტრის წინამძღვარი მამა დავით შარაშენიძე დაგვეხმარა.

— ალბათ ლოცვასაც სხვანაირი მადლი და პასუხისმგებლობა სდევს იქ...

— ყოველ დღით ხუთ-ექვს საათზე ვდგებოდით, სხვადასხვა ადგილას ვესწრებოდით წირვას, ვეზიარებოდით და მერე მთელი დღე დავდიოდით. მამა დავითი თვითონ მონაწილეობდა ლიტურგიის ჩატარებაში. თანამწირველი იყო მაცხოვრის აღდგომის ტაძარსა და ბეთლემის შობის ტაძარში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში (სადაც თავად წმ. მარია-მის, მისი შობილების წმ.

იოაკიმესა და ანას, წმ. იოსებ დამწინდველის საფლავებია) და სამების რუსულ მონასტერში, რომელიც აგებულია ქებრონში, მამბრეს მუხასთან, იქ, სადაც წმ. აბრაამ მამამთავარს უფლის სამი ანგელოზის სახით წმინდა სამება ესტუმრა და პირმშოს დაბადების ამბავი ამცნო; ასევე, წმ. გიორგის ტაძარში, რომელიც მოციქულების — ძმების იოანესა და იაკობის — სახლის ადგილზეა აშენებული. მამა დავითმა არაერთგან გადაიხადა პარაკლისი, მათ შორის ქალაქ ლოდში, წმ. გიორგის საფლავთან, ნაზარეთში, ხარების ტაძარში, სწორედ იმ წყაროსთან, სადაც გაბრიელ მთავარანგელოზმა ღვთისმშობელს უფლის დაბადების შესახებ ახარა. ეს იყო დაუვინყარი შთაბეჭდილება. ყველას ვურჩევდი, რომ თუ გადანყვეტენ წმინდა მიწის მონახულებას, ამას არ ჰქონდეს მხოლოდ ტურისტული მოგზაურობის სახე, რომლის დროსაც ალბათ იღლები და იფიტები, რადგან იერუსალიმი დიდი და ჭრელი ქალაქია, სადაც, ვიდრე რომელიმე წმინდა ადგილს მიაღწევდე, მოვაჭრეთა მომაბეზრებელი შემთავაზებების გრძელი მწკრივი უნდა გაიარო. მაგრამ როდესაც სულიერ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ივსები, ივსები მადლით, რამდენის დატევაც შეგიძლია.

— სულთმოფენობაც ალბათ გამორჩეულად აღნიშნეთ...

— დიახ, ძალიან დასამახსოვრებელი მსახურება იყო. სადღესასწაულო წირვის მერე იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილოსმა დაგვლოცა და სამახსოვრო საჩუქრები დაგვირიგა. ჩვენი გიდი, ავსტრალიელი წარმოშობის მონაზონი ფოტინე დაგვიპირდა, რომ ყოველმხრივ შეეცდებოდა, ერთ კვირაში ყველა ადგილი მოგვეარა — ზეთისხილის მთა და გეტსემანიის ბაღი, სიონის მთა და ჯვრის მონასტერი, ვენების გზა და უფლის ბავა, ცდუნებისა და თაბორის მთები, იორდანე — ადგილი, სადაც მოინათლა ქრისტე, კანა და ემ-მაუსი, იაკობის ჭა, საბა განწმენდილისა და გიორგი ხოზივის ტელის, გერასიმე იორდანელისა და წმ. მარიამ მაგდალელის მონასტრები, მწყემსთა ველი და ძველი აღთქმის ისტორიული ადგილები... ბევრი რამ გავიგეთ ახალი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი კიდევ არ ვიცით. ერთი ვიზიტით ძნელია ყველაფრის დაზუსტება. საინტერესოა ისეთი წვრილმანი დეტალები, რომლებიც ყოფით სიტუაციებს უკავშირდება, მაგალითად, ის, რომ იერუსალიმის კარიბჭეთაგან ერთ-ერთი „ნაგვის კარიბჭე“ ყოფილა, სადაც წვედენენ ქალაქში დაგროვილ ნაგავს და აქედან მოდის „გვენია“, „გვენიის ცეცხლი“. გვენია ებრაულად „ნეხვს, ნაგავს“ ნიშნავს. შესაძლოა, ქრისტე სწორედ „ნაგვის კარიბჭესთან“ მდებარე ამ კონკრეტულ ადგილს — გვენიას გულისხმობდა, როცა ამბობდა „რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ, თანამდებ არს იგი გეჰენისასა მას ცეცხლისასა“ (მათე 5-22).

— ამბობენ, რომ ისრაელი გამორჩეული ქალაქია თავისი იდენტობით — არქიტექტონიკითაც, სოციუმითაც, ფერთაც... სივრცეც კი სხვაგვარად აღიქმება იქ.

— იერუსალიმი რომ განსაკუთრებული ქალაქია, ამაში პირველივე დღიდან რწმუნდები. ჩვეულებრივ, თანამედროვე გლობალიზებული მსოფლიოს დიდი ქალაქები კოსმოპოლიტურია, აქ კი პირიქით — ყველა საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას ცდილობს. მაშინ, როდესაც სხვა ქალაქების მულტიკულტურულობა ნორმალურ მოვლენად მიიჩნევა, იერუსალიმში სივრცე დაყოფილია. აქ არ არსებობს ქალაქის ერთიანი საზოგადოების წევრად აღიარების, მცხოვრებთა შორის სოლიდარობის არსებობის გამოცდილება. თითქმის არ არსებობს ცნება „იერუსალიმელი“. ეს ქალაქი „იერუსალიმი“ ებრაელთათვის და „ალ-კუდს“ — არაბებისთვის. აქ არის ულტრაორთოდოქსულ და ფუნდამენტალისტურ დაჯგუფებათა საზოგადოება, სადაც სეპარატისტულ, ქსენოფობიურ იდენტობებს შორის დაპირისპირების ფონზე ერთმანეთს ეჯახება „ლოკალური“ და „გლობალური“ იდეები თუ ინტერესები. იერუსალიმი ერთსა და იმავე დროს „მულტიკულტურული“ და „გაყოფილი“ ქალაქია ტერიტორიის, დემოგრაფიის, რელიგიის სიმბოლიზმის თვალსაზრისით.

— ამიტომ აღნიშნეთ საუბრის დაწყებამდე, იერუსალიმს „საკუთარი თავის წინააღმდეგ დაყოფილ ქალაქსაც“ უწოდებენ და ამას მის ერთ-ერთ პრობლემადაც მიიჩნევენ?

— დიახ, სწორედ ამიტომ. სხვათა შორის, ჟურნალისტი მიხაილ საფირი ასე ახასიათებს ამ ქალაქს: „ეს არის უკმაყოფილების, დანაკარგის, უნდობლობის, გაბრაზების, მცხოვრებთა შორის გამეფებული ანტიპათიის ქალაქი. აქ ხშირია ლაპარაკი ადამიანთა უფლებებზე, თუმცა ხშირად

ირღვევა სიცოცხლისა და არსებობის უფლებაც კი. ერთი და იმავე ქალაქის სივრცეს ინანილებენ ინდივიდები ან დაჯგუფებანი, რომელთაც დაკარგული აქვთ პერსონალური თუ ინსტიტუციური პატივისცემა სხვათა მიმართ. ეს იმიტომაც მოხდა, რომ ქალაქი წლების მანძილზე სისასტიკის, დამცირების, ტერორისტული ქმედებების, სამხედრო მოქმედებათა, წგრევის ადგილად იქცა.“

— მრავალწლიანმა ოკუპაციამ იერუსალიმს ალბათ მართლაც დაასვა თავისი დალი.

— უთუოდ. თელ-ავივსა და ჰაიფაში უმაღლესი ტექნოლოგიები განვითარდა, იერუსალიმი კი ისრაელში ერთ-ერთი ღარიბი ქალაქი გახდა, მარგინალური დაჯგუფებით გაივსო. მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი. მესაკუთრეები და მიწის მფლობელები უფრო და უფრო მომგებიან ვარიანტთა ძიებაში ჩაფლულან, რის შედეგადაც ირღვევა ქალაქის ეკოლოგიური ბალანსი, დაბლა იწვევს ცხოვრების სტანდარტები. იერუსალიმი ტოტალურად კონფლიქტური ქალაქია, რაც სოციალურ, პოლიტიკურ, ურბანულ ცხოვრებასა და კულტურულ გარემოზე უარყოფით გავლენას ახდენს.

— მაგრამ იერუსალიმი ხომ უპირველესად მაინც წმინდა ქალაქია...

— დიახ, რა თქმა უნდა, ეს არის ქალაქი, სადაც შეიძლება ტაძრის ტერიტორიაც კი დანაწილებული იყოს სხვადასხვა რელიგიისა თუ კონფესიის წარმომადგენელთათვის, მაგრამ ის ამით თავის სინამდვილას და ღრმა მისტიკურ მნიშვნელობას არ კარგავს. სინამდვილე უნდა შეიგრძნოს, აღიქვას: აქ ცხოვრობდა ღვთისმშობელი, აქ მიიძინა, აქ მისი საფლავია, საიდანაც ამაღლდა. აქ ლოცულობდა უფალი, როცა მამას სთხოვდა, თუ შესაძლებელია, ამაცილდე განსაცდელით, ამ დღეებში იყო იგი დამწყვედული ჯვარცმამდე, აი, აქ შეხვდა ღვთისმშობელს და დედამ შვილთან ერთად გააგრძელა გოლგოთის გზა... სხვათა შორის, აქამდე არც მქონდა გაგონილი, რომ როდესაც იესო დილეგიდან გამოჰყავდათ, ერთ-ერთ ჯალათს უთქვამს ბარაბასთვის, შენ უნდა ყოფილიყავი ამის ადგილზე, შენს ნაცვლად ისჯება ეს კაციო. ბარაბას ისეთი სინდისის ქენჯნა და კათარზისი განუცდია, რომ ეს ცნობილი ბოროტმოქმედი სასულიერო პირი გამხდარა... მართლაც არაჩვეულებრივი შეგრძნებაა, როცა თითოეულ იმ ადგილს ესეზი, რომელსაც არა მხოლოდ ისტორიული, არამედ სულიერი დატვირთვა აქვს, თუმცა ჩვენ, იესო ქრისტეს ნაფეხურებზე მავალ მომლოცველებსაც კი, არ შეგვიძლია, დავით გარეჯელის მსგავსად, ბოლომდე შევიგრძნოთ იერუსალიმის განსაკუთრებული მადლი. და მითუმეტეს არ უნდა გავვიკვირდეს, თუ იქ მცხოვრები ადამიანები ვერ იაზრებენ ამას.

— თქვენ მიერ თარგმნილ მხატვრულ-დოკუმენტურ ნიგნში „მე ვნახე რამალა“, ემიგრანტის ტრაგიკულ ხვედრს რომ აგვიწერს, საინტერესოადაა აღწერილი იერუსალიმი...

— ამ მემუარული თხზულების ავტორი პალესტინელი მუსლიმი არაბი მურიდ ალ-ბარლუთია. შესაბამისად, ეს არის მუსლიმის თვალთ დანახული იერუსალიმი. იგი წერს:

„მთელი მსოფლიო იცნობს იერუსალიმს, როგორც სიმბოლოს ძლევაგონილებას. იერუსალიმს თვალს ისე ხედავს, როგორც კლდის წვერს, და კმაყოფილია. მსოფლიოსთვის ის რელიგიების, პოლიტიკის და კონფლიქტის ქალაქია, ასე რომ, დიდად არ ანალვლებს ჩვენი, ხალხის იერუსალიმი —

სახლების, მოკირწყლული ქუჩების, სუნელების მაღაზიების, არაბული კოლეჯის, „რამიდიას“ და „უმარიას“ სკოლების იერუსალიმში... იერუსალიმი შეეიცარებისა და ტურისტთა გიდების, რომლებმაც ყველა ენა საკმარისად იციან იმისთვის, რომ დღეში სამჯერ კარგად კვების გარანტია მისცენ კლიენტებს... იერუსალიმი ანტიკვარისა და სადაფის, ქუჩუტის ნამცხვრების გამყიდველების... ნავთობის ბაზრის, ზეთისხილისა და ზეთის, ქონდრისა და ლელვის კალათების, ყელსაბამებისა და ტყავის, სალაპ ედ-დინის ქუჩის იერუსალიმში... ჩვენი მეზობელი მონაზონი გახლდათ, ხოლო მისი მეზობელი მუეძინი იყო, სულ სადღაც რომ მიიჩქაროდა... ქუჩებში განტოტვილი პალმების, შინ გახარებული მცენარეების, ქვაფენილიანი ხეივანებისა და ვინრო შესახვევების იერუსალიმში... სარეცხის თოკების იერუსალიმში... ეს ჩვენი გრძობების, ჩვენი სხეულებისა და ჩვენი ბავშვობის იერუსალიმია, რომლის ქუჩებშიც ისე დავაბიჯებთ, რომ ვერც კი აღვიქვამთ მის „სინმინდეს“, რადგან მასში ვართ და ისიც ჩვენშია.“

— **თითქოს ნებისმიერს შეუძლია თავის საყვარელ ქალაქს მორაგოს ეს სიტყვები. პირადად ჩემთვის მათ თითქოს ძველი თბილისის სურნელიც ასდის...**

— სხვათა შორის, ამ სტრიქონების კითხვისას ხშირად მახსენდება მამა ვიტალი სიდორენკოს წერილები. თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში მოღვაწე ბერი თავისი ტაგანროგელი მრევლისთვის მიწერილ წერილებში მათ მოკითხვას უთვლიდა „წმინდა თბილისიდან“. მამა ვიტალისთვის თბილისი წმინდა ქალაქი იყო. ჩვენთვის კი ის, პირველ რიგში, მეგობრების, მეზობლების, ნაცნობების, საყვარელი ქუჩებისა და ადგილების ქალაქია. გვიყვარს, ჩვენია და ჩვეულებრივია. ვერც ჩვენ ვგრძობთ მის განსაკუთრებულ სინმინდეს, რამდენი სინმინდე ჩვენსავე ქალაქში არ გვაქვს ნანახი და მოლოცვილი...

— **ალბათ სათანადოდ ვერც იერუსალიმის მცხოვრებნი აცნობიერებენ ამ ქალაქის მადლსა და გამორჩეულობას...**

— ამიტომაც არ მაკვირვებს პალესტინელი არაბის გულწრფელი აღიარება: „ეს ჩვეულებრივი იერუსალიმია — ქალაქი ჩვენი პატარა-პატარა, უმნიშვნელო შემთხვევებისა, რომლებიც ჩქარა გვაგინყდება, რადგანაც ჩვეულებრივია ისე, როგორც წყალი წყალია და ელვა ელვაა. ხოლო როცა ხელიდან გვისხლტება, ის ცისკენ მიიწევს, სიმბოლოდ რომ გადაიქცეს.“

მწერლის მთავარი სატიკვარი ის არის, რომ ხალხი, იერუსალიმის უბრალო მოსახლეობა, რეალურად არავის აინტერესებს — არც პალესტინის მთავრობას, არც ისრაელის მთავრობას და არც მსოფლიო საზოგადოებას. მართლაც, ხშირად საერთაშორისო დონეზე მსჯელობენ იერუსალიმის ცალკეულ ობიექტებზე, კედლებსა თუ ისტორიაზე. ამ დროს კი ყველას ავიწყდება ხალხი, რომელიც ამ ქალაქში ცხოვრობს, ხალხი, რომელიც დავისყებული და უგულვებელყოფილია. ისინი, ფაქტობრივად, უჩინარნი არიან, არ შეუძლიათ საკუთარი სტატუსისა და მომავლის განსაზღვრა. სავალალო მდგომარეობაა ძველ ქალაქში, სადაც არაბები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ.

— **სოფლებში რა ვითარებაა?**

— განსაკუთრებით ქრისტიან არაბებს უჭირთ, რადგან ისინი, მუსლიმი არაბებისგან განსხვავებით, მუსლიმური

სამყაროსგან ვერ ღებულობენ მატერიალურ დახმარებას. არადა, ცნობილია, რომ პალესტინაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში უამრავი თანხა შევიდა დასავლური ჰუმანიტარული დახმარების სახით.

— **არსებობს მოსაზრება, რომ ჰუმანიტარულმა დახმარებებმა პალესტინის ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოზე დაბლა დასწია.**

— ამან ნამდვილად იმოქმედა პალესტინის ეკონომიკაზე. ესპანელი მკვლევარი ტერეზა არანგურენი, რომელიც თავის ერთ-ერთ წიგნში ოცდაათიანი წლების ესპანეთს ბრიტანეთის მანდატის ქვეშ მყოფ პალესტინას უდარებს, წერს, რომ „პალესტინელი არაბები არ იყვნენ ღარიბები. მხოლოდ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ გახდნენ ისინი მეორეხარისხოვანი მოქალაქეები ან მთელ დედამიწაზე გაფანტული ლტოლვილები.“ ესპანელი მკვლევარი სვამს კითხვებს: „ვინ ართმევს პალესტინელ ხალხს ქონებას? ვინ იძლევა მილიონებს როგორც ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიების დახმარებას? რატომ იზრდება წლითწლიობით უცხოური ფინანსური დახმარება პალესტინის ეკონომიკის განუწყვეტელი სტაგნაციის ფონზე?“ და იქვე პასუხობს: „მარტო 1993-2000 წწ-ში პალესტინამ 6 ბილიონი დოლარის დახმარება მიიღო. ეს თანხა ძირითადად ისრაელის მიერ დაბოძებული და დანგრეული ინფრასტრუქტურის, გზების, სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების ხელახლა აშენებას მოხმარდა. რა თქმა უნდა, პალესტინის ეკონომიკური უკუსვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც ისრაელის მხრიდან განხორციელებული ყოვლად უკანონო სამხედრო ოკუპაციაა. ზოგიერთი კი მხოლოდ პალესტინელთა კორუმპირებულობას აბრალებს იმას, რაც რეალურად ოკუპაციის ბრალია.“ ამაზე საუბარი შორს წავიყვანს...

— **დაყოფილ სივრცეში თანაარსებობა იერუსალიმის ერთ-ერთი პრობლემაა, — თქვით...**

— უბრალო კამათისა და დავის კი არა, სასტიკი და დაუნდობელი კონფრონტაციის ობიექტია ამ ქალაქში არსებობისა და ფუნქციონირების ყველა ასპექტი. იერუსალიმის მოსახლეობა ისრაელის მოქალაქეებად და პალესტინელ რეზიდენტებადაა დაყოფილი. არსებობს განსხვავება გადასახადებისა და სხვა სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ სფეროებში. 1967 წელს აღმოსავლეთ იერუსალიმის ანექსიის შემდეგ პალესტინელებს, რომელთაც იორდანის პასპორტები ჰქონდათ, დაურიგდათ ისრაელის პირადობის მოწმობები, რომელიც მათ ანიჭებდა სამოქალაქო და არა პოლიტიკურ უფლებებსა და მოვალეობებს. პალესტინელთა „მეორეხარისხოვანი როლი“ გათვალისწინებულია ურბანულ დაგეგმარებაშიც. პარალელურად მიმდინარეობს ებრაელთა მასობრივი ჩასახლება აღმოსავლეთ იერუსალიმში. ერთი რამ თვალნათლივია — ებრაული დასახლებები, მართალია, მდიდარი არქიტექტურით არ გამოირჩევა, მაგრამ გაცილებით უფრო სუფთა და მოწესრიგებულია, ვიდრე არაბული კვარტალები. ახალდასახლებების ერთფეროვნებაზე ხშირად თვითონ ებრაელებიც ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად, თანამედროვე ებრაელი მწერალი ორციონ ბართანა თავის ნაწარმოებში „დაფარული შუქი“ (ქართულად თარგმნა რუევენ ენოხმა), ერთ-ერთი ახალი ებრაული დასახლების — ცფათის შესახებ წერს: „...შორიდან დავინახე ცფათის ახალი სტანდარტული და უსახური სახლები...“ საერთოდ კი, ებრაელებმა მოკლე დროში მართლაც ბევრი რამის გაკეთება შეძლეს.

— ებრაელებისა და არაბების ყოველდღიურ ურთიერთობებშიც თუ იჩენს დაძაბულობა მათ შორის?

— პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ დონეზე დაპირისპირების მიუხედავად ხშირია ყოფით დონეზე ებრაელებისა და არაბების კეთილმეზობლური და მეგობრული თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის შემთხვევები. იერუსალიმი ამ მხრივაც გამორჩეული ქალაქია. ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში მათ ჩვეულებრივი, კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვთ. როგორც ალბარლუთის ნაწარმოებში არ ჩანს აგრესიული დამოკიდებულება რიგითი ებრაელის მიმართ, ისე თანამედროვე ებრაულ ლიტერატურაშიც არ იგრძნობა პალესტინელი არაბის მიმართ სიძულვილი, პირიქით, უფრო ხშირად ჩანს თანაგრძნობა. მხატვრულ მწერლობაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ კონფლიქტურ სიტუაციებში სწორედ ამ ტიპის ლიტერატურაში ვლინდება ნიუანსები, გულწრფელი განცდები, გრძნობები, ვლინდება დამოკიდებულება, რაც რეალობას უკეთ ასახავს. როგორც ყოველთვის და ყველგან, ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან პოლიტიკა და რიგითი ადამიანების ურთიერთობა.

— ცნობილია, რომ გარდა არაბულისა და ებრაულისა, იერუსალიმში არის ბერძნული, სომხური უბნები, რუსეთის კუთვნილი მიწები თავისი ეკლესია-მონასტრებით... საქართველოსაც აქვს წმინდა მიწაზე თავისი ფესვები...

— მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველებს დღეს წმინდა მიწაზე ეკლესიის აშენების უფლება არა გვაქვს. ერთადერთი ქართული სალოცავი, რომელიც ილიასა და ენუქის სახელზეა ნაკურთხი, „ქართულ სახლში“ განთავსებული. ილია და ენუქი ძველი ალთქმის ორი წინასწარმეტყველია, რომელთაგან არც ერთი არ მომკვდარა. ღმერთმა ისინი ცოცხლად აიტაცა ზეცად, რომ მეორედ მოსვლის წინ იერუსალიმში მოავლინოს საქადაგებლად. „ქართულ სახლში“ დედა ევგენიამ და დედა სალომემ გულუხვად გვიმასპინძლეს და გვესაუბრნენ იმ სირთულეებზე, რაც მათ მოღვაწეობას უკავშირდება, ბრძოლებზე, რაც იერუსალიმში პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, სულიერი თვალსაზრისით, მრავლადაა.

— ჯვრის მონასტერი არ მოინახულეთ?

— „ქართული სახლის“ გარდა, კიდევ ერთი ადგილი, სადაც საქართველოში ვიგრძენით თავი, ჯვრის მონასტერი იყო. პირველ ჯერზე მისი ჭიშკარი დაკეტილი დაგვხვდა და მამა დავითმა მონასტრის კედელთან ჩაატარა ჯვრის პარაკლისი. მეორედ მისვლი-

სას შევედით ტაძარში, რომელშიც ნამდვილი ქართული გარემოა. არ ვიცი, ეს რისი ბრალაია – ფრესკების? მოზაიკის? იატაკის? კედლების? არქიტექტურის?..

ყველასათვის ცნობილია, რომ გადმოცემის თანახმად, ამ ადგილას აბრაამის ძმისწულ ლოთს სამი ხე დაურგავს. ეს ნერგები სასწაულებრივად ერთ დიდ ხედ შეერთებულა. სოლომონის ბრძანებით, ტაძრის მშენებლობისას ხე მოუჭრიათ, მაგრამ მშენებლობისთვის აღარ გამოუყენებიათ. შემდგომში სწორედ მისგან გაკეთდა ჯვარი, რომელზეც გააკურს იესო ქრისტე. ეს მიწა ჯერ კიდევ IV საუკუნეში უბოძებიათ მირიან მეფისთვის, ხოლო V საუკუნეში ვახტანგ გორგასალს აქ ჯვრის მონასტერი აუგია, რომელიც არაბების შემოსევისას არაერთხელ დანგრეულა. XI საუკუნეში ამა პროხორემ ბაგრატ კურაპალატის შემოწირულობით აღადგინა ის, ოთხმოცი ბერი შემოიკრიბა და ბერმონაზვნული ცხოვრებისთვის საბანძინდის ცნობილი ლავრის წესი და კანონი დაადგინა. ამ მონასტერში არაერთი ქართველი ბერი მოღვაწეობდა. მათ შორის ლუკა იერუსალიმელი, წმინდა მოწამე ნიკოლოზ დვალი...

— ახლა რა ხდება იქ?

— ბიბლიოთეკა დაკეტილია. მონასტრის სენაკებიც დაკეტილია და, საერთოდ, ბერძენი ბერებიც აღარ მოღვაწეობენ იქ. არ ტარდება წირვა-ლოცვა. სამაგიეროდ, ღიაა მაღაზია, სადაც ტურისტებს შეუძლიათ წმინდა მიწის სხვადასხვა რელიკვია შეიძინონ. ეს ყველაფერი გიტოვებს უკიდურესი სიცარიელის განცდას...

მაგრამ წმინდა მიწაზე მოგზაურობის შემდეგ ხომ არაჩვეულებრივი სიმშვიდე გეუფლება და, რა თქმა უნდა, იმედი. დღეს ჩვენ არ გვეკუთვნის ჯვრის მონასტერი, იქნებ იმიტომ, რომ არ ვიმსახურებთ ამას. მთავარია, რომ არ უნდა დავკარგოთ მისი დაბრუნების იმედი.



ნათია ბურდულის ფოტოგრაფიული

იერუსალიმის პატრიარქთან

ნინო აბულაძე

ვილაცას არ უნდა ეძინოს

„პირველად 1942 წლის 9 მაისს ღამით, 12 საათზე დავიძინე მრგვალ ოთახში, ხელში მთვარე მეჭირა, ფანჯარაში წითელი მზე მიცურავდა...“

ამ სიტყვებით იწყება სახელოვანი თბილისელი მხატვრის, გაიანე ხაჩატურიანის ავტობიოგრაფია.

გაიანე თბილისში დაიბადა, აქ ქმნიდა დღეს უკვე შედეგზე ბად აღიარებულ, განუმეორებელ ტილოებს. ბევრის რეპროდუქციები ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სხვადასხვა სოლიდურ ალბომებსა და კატალოგებშია შეტანილი. გაიანეს ნამუშევრები ერევნის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, სახელმწიფო მუზეუმსა და ევროპის სხვადასხვა გალერეებსა და კერძო კოლექციებშია თავმოყრილი. მის განსხვავებულ, ალეგორიული ნიშნით აღბეჭდილ ტილოებს დიდი ინტერესით ეცნობოდნენ და ეცნობიან დღესაც ფრანგი, იტალიელი, იუგოსლავი, პორტუგალიელი, ამერიკელი და სხვა მრავალი ხელოვნების მოყვარული. გაიანეს ნატიფი ხელწერა სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს: **„გაიანეს ჭეშმარიტი ხელოვნების არსი ისაა, რომ თუკი ერთხელ მაინც მიეახლები, ველარასდროს მოწყდები მას“** — ასე შეაფასა საქვეყნოდ აღიარებულმა მუსიკოსმა ვლადიმერ სპივაკოვმა გაიანე ხაჩატურიანის შემოქმედება.

გაიანეს ნამუშევრები ზოგჯერ აბსურდულ, სიზმრისეულ კარნავალს მოგაგონებთ. მხატვრის ტილოების საოცარი ფერადოვნება ორიგინალური სიმბოლოებით არის გამდიდრებული. გაიანეს შემოქმედება, ზოგადად, მეტაფორული ხასიათისაა: **„მინდა გავამთლიანო ურთიერთსაპირისპირო იდეათა ხილვები. ვაკშიფრო ჩრდილისა და სინათლის საიდუმლო ანბანი, ვხატო სიმბოლოების, ალეგორიის უანრში. ყოველივეს კი, ვფიქრობ, ფერწერის ტაძრისაკენ მივყავართ“**. გაიანე დარწმუნებულია, რომ ხატვის პროცესში ტილოზე მხოლოდ ის იბადება, რასაც სულში დიდხანს სათუთად ატარებდა. მის სულში კი მრავალი წლის წინათ საოცარი გარდატეხა მოხდა, რაც თორმეტი წლის ასაკში გადატანილმა არასწორად გაკეთებულმა ოპერაციამ განაპირობა: **„უწინდელივით ვეღარ გავრბოდი წვიმაში, უფრო ხშირად**



გაიანე ხაჩატურიანი

კუთხეში ვიჯექი, ვფიქრობდი ცხოვრებაზე, საკუთარ თავზე. ის ბავშვი, რომელიც სახლში უმოძრაოდ წუთიც კი ვერ ჩერდებოდა, მოკვდა, და დავიწყე ხატვა...“

გაიანეს მხატვრად ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვით სამხატვრო სკოლის პედაგოგს ეთერ ქურდიანსა და დიდ მავსტროს, ელენე ახვლედიანს. გაიანეზე შეიქმნა მრავალი ლეგენდა თუ მითი, რასაც დიდწილად სერგო ფარაჯანოვის დაუდგრომელი ბუნება და ფანტაზია განაპირობებდა: **„მან პირველმა მცნო ფერმწერად და რწმენა ჩამინერგა“**, — ამბობს გაიანე. ფარაჯანოვისთვის განსაკუთრებით ახლობელი იყო მხატვრის სულიერი სამყარო. სერგოს ჯოკონდას საკუთარი სერია ჰქონდა, ერთ-ერთი კოლაჟი, „მტირალი ჯოკონდა“, მან გაიანეს მიუძღვნა და სიკვდილის წინ საჩუქრადაც გაუგზავნა.

გაიანეს შემოქმედებაზე შეყვარებული იყო ანდრეი ტარკოვსკი. ყოველთვის, როცა კი თბილისში ჩამოდიოდა, აუცილებლად ეწვეოდა მხატვარს, რათა მისი ზღაპრული სამყაროთი კიდევ ერთხელ დამტკბარიყო.

ცალკე თემაა თბილისისადმი გაიანეს განსაკუთრებული დამოკიდებულება, მშობლიური ქალაქისადმი მისი უსაზღვრო სიყვარული:

„ჩემო თბილისო, გიყურებ და მონინებით ვიხდი ქუდს შენ წინაშე, ქალაქი მაგონებს მღელვარე სანახაობათა გრანდიოზული ტაატით მბრუნავ, უზარმაზარ ზარდახშას. დიდებულია ეს სურათი მთების ქაოტური მოძრაობით მის შუაგულში. სულიერი გამოსხივება სივრცესა და ქალაქის წიაღში ღვთაებრივ შუქს ბადებს, რომელზეც უმშვენიერესი საგნები იკვეთება.“

გაიანეს გამორჩევით უყვარდა მტკვარი, მხატვარმა პანოც კი მიუძღვნა მის სილიადეს: **„ჩემი ბავშვობა — მუშთაიდი, მტკვრის შრიალი...“**

გაიანე თვლიდა, რომ თბილისში გავლისას, ყოველ ნაბიჯზე შეიძლება წმინდანებს წაწყდეთ. მან შექმნა ფერწერული ტილო სახელწოდებით: „თბილისი — მომღერალი ქარი ქალაქში“. ქარი, გრიგალი მხატვრის შემოქმედებაში ბიბლიურ მოსეს ეხმანება. იგი ეთაყვანება ღვთისმშობელ მარიამსა და მარია მაგდალელს, თანაც დარწმუნებულია, რომ ღვთისმშობელი ნამდვილად ნამყოფია თბილისში, საქართველოში.

გაიანეს საქართველოდან არსად წასვლა არ უნდოდა. თბილისი იყო მისი შემოქმედების აკვანი და მუზა. იგი ხშირად ამბობდა: **„ჩემთვის ადამიანი ხესთან ასოცირდება, იყვავილებს კი ის სხვა ქვეყანაში გადარგვის შემდეგ?“**

ერთ-ერთ ინტერვიუში მხატვარი აღნიშნავს: **ყოველწელს, ტრადიციულად, იერუსალიმში იმართება დღესასწაული, სახელწოდებით მორჩილების დღე. ამ დღეს, ხალხის**

რწმენით, ცაზე სიცოცხლის გაგრძელების უფლება აღიბეჭდება. მე ვუერთდები მოზიშვითა სურვილს და უმორჩილესად ვითხოვ სიცოცხლის გაგრძელების უფლებას.

ეს თხოვნა გაიანეს უფალმა მხოლოდ 2009 წლის პირველ მაისამდე შეუსრულა, მაგრამ მხატვრის სიცოცხლე მის არაჩვეულებრივ ნამუშევრებში გრძელდება და ასე იქნება მუდამ, უკუნითი უკუნისამდე.

მხატვრის შემოქმედება კარგა ხანია გასცდა ვიწრო კულტურულ და ეთნიკურ საზღვრებს, როგორც ეს სომხეთის პრეზიდენტმა, სერჟ სარქისიანმა გაიანეს გარდაცვალების დღეს გამოგზავნილ სამძიმრის დეპეშაში აღნიშნა.

სრულიად მიუღებელი და აუხსენია გაიანეს მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სამი წლის მანძილზე სასამართლოში მიმდინარე დავა. გაიანე ხაჩატურიანის ნამუშევრები საქართველოს ეროვნულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ეს მემკვიდრეობა მხატვარმა უახლოეს მეგობარს, პუბლიცისტს, მწერალსა და მთარგმნელს ქეთევან ტომარაძეს უანდერძა. ქალბატონ ქეთევანს გადაწყვეტილი აქვს, თბილისში გაიანეს მემორიალური მუზეუმი დააფუძნოს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის გარდაცვალებიდან სამი წელი გავიდა, მემკვიდრეობის საკითხი ჯერ კიდევ ლიად რჩება, ე.ი. გაურკვეველია მუზეუმის დაარსების საკითხი.

აქვე არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ სერგო ფარაჯანოვის შემთხვევა. მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოდან მთლიანად გატანილ იქნა დიდი რეჟისორის მემკვიდრეობა და, საზოგადოებისა და მთავრობის უმოქმედობის გამო, ჩვენ ქვეყანას სრულიად არაფერი შემორჩა, თუ არ ვიგულისხმებთ კერძო პირების კუთვნილ, ზოგიერთ ნამუშევარს, რაც ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელია. ფარაჯანოვის ბინა გაიყიდა, ხოლო უცხო პირებმა მისი სახლი და გარემო ისე შეცვალეს, ძნელად თუ იცნობს ვინმე. ამ ფაქტმა, ყველაფერთან ერთად, თბილისელი რეჟისორის ბიოგრაფიისადმი ვოლუნტარისტული მიდგომა განაპირობა. სამწუხაროა, რომ დღეს თითქმის აღარც კი ახსენებენ, რომ ფარაჯანოვი თბილისში დაიბადა და ისევე როგორც გაიანეს, მის შემოქმედებასაც მშობლიური ქალაქის ხიბლი და განუმეორებლობა ასაზრდოებდა.

გაიანე ხაჩატურიანის მემკვიდრეობას გაფრთხილება სჭირდება. ჩვენი ვალია, შევუნახოთ ქვეყანასა და მომავალ თაობებს მხატვრის დანატოვარი და ქალაქში, რომელსაც იგი ასე ეტრფოდა, მემორიალური მუზეუმი გავხსნათ. გაიანეს ხომ, მიუხედავად არაერთი მომხიბლავი წინადადებისა, თბილისიდან წასვლა და სხვა ქალაქში ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა.

საინტერესოა, იზეიმებს სამართალი და დარჩება თბილისში გაიანე ხაჩატურიანის ნამუშევრები?! თუ კვლავ დოყლაპია დამკვირვებლის როლში აღმოჩნდება ჩვენი საზოგადოება და გაიანეს მემკვიდრეობაც სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების სავალალო ბედს გაიზიარებს.

ყველაზე ხშირად გაიანე ხაჩატურიანი იყენებდა სიტყვას — წარმოუდგენელია: **„წარმოუდგენელი სიტუაციაა, წარმოუდგენლად შთაბეჭდავია, წარმოუდგენლად კარგი ადამიანი...“**

წარმოუდგენელია, რომ გაიანე ხაჩატურიანის შემოქმედება გაიფანტოს და თბილისში, ბინაში, სადაც ის წლების მანძილზე ცხოვრობდა, არ მოიყაროს თავი მისმა დანატოვარმა. ამგვარი რამ, რბილად რომ ვთქვათ, გაიანეს სსოვნის შეურაცხყოფა იქნებოდა, მომავალი თაობების წინაშე კი დანაშაული.

მიხეილ ჭონქაძე

იქ, ფარმისდელი ცხოვრების ზღვართან...

□

ნაზი კილასონიას 100 ლექსის გამოცემის გამო

ახლახან გამომცემლობა „ინტელექტმა“ ცნობილი სერიით — „100 ლექსი“ — ნაზი კილასონიას კრებული გამოსცა. იქნებ ეს მოვლენა ჩვენს არაპოეტურ ყოფაში ვინმეს რიგით მოვლენად მიაჩნდეს, მაგრამ ლიტერატურასთან შორიხლო მდგომი კაცისთვისაც კი ამ გამოცემას უთუოდ აქვს დიდი მნიშვნელობა და ხიბლი. თუნდაც იმიტომ, რომ უკვე მრავალი წელია, ამ მშვენიერი პოეტის სახელი იშვიათად თუ ისმის... იყო კი დრო, პოეტის ლირიკა ეფინებოდა ქალაქსა და სოფელს, სიმღერად თქმული მისი ლექსები თაობიდან თაობას ლამაზი სახსოვარივით გადაეცემოდა. თუმცა მაშინაც კი, როცა ასე ხდებოდა, მათი ავტორი სხვათა მსგავსად საზოგადოებისგან განეზივრებულ არასოდეს ყოფილა, მეტიც, ნაზი კილასონია ტრაგიკული ბედის პიროვნება გახლდათ (კრებულში ამას, თავის მხრივ, ქალბატონი ლინა ბარათაშვილის წინასიტყვაობაც დაამონმებს...). მისი ცხოვრების გასიგრძელებაც კაცს მწარედ ჩაგაფიქრებს სანუთროს სიავკარგეზე, გამოუცნობ ნუთისოფელზე... აკი დაიჩვილებს კიდევ ერთგან:

**შენ, შემოქმედო მაღალო,
ვინც განმაცხადე სოფლად,
ჯერ ქალად ყოფნამ დამალა,
მერე — პოეტად ყოფნამ...**

ნაზი კილასონია, ჩემთვის იმ პოეტთა შორის დგას, რომელთა შემოქმედებაც მხიბლავს და განვლილი გზაც მაფიქრებს. სხვა დროსაც აღმინიშნავს: ერთი შეხედვით, თითქოს მასთან უცნაური და გაუგონარი არაფერი ჩანს, ისიც იმ დროის შვილი იყო, საბჭოთა „მიღწევებისთვის“ რომ უნდა ეგალობა, ეცხოვრა და ეღვანა მრავალთა მსგავსად. აკი არც უამისობა ყოფილა, შვილებს ზრდიდა, ლექსს ქმნიდა, ჟურნალ „საქართველოს ქალში“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ხშირად სიტყვით გამოდიოდა...თუმცა ვხედავთ, რომ მატერიალურადაც უჭირს და სულიერადაც: ოცნების იდეალსა და თანამგზავრთან გზები იყოფა, იმედი იმსხვრევა და რჩება უფრორე სულიერად მიუსაფარი („მოკვდები, მაგრამ არ დაგანახვებ, არ დაგანახვებ, როგორ გტირივარ“).



პოეტის გარდაცვალებიდან ძალიან მალე „საქართველოს ქალის“ რედაქციის თანამშრომლებმა მის სამუშაო ოთახში აღმოაჩინეს დღიურები, პირადი ჩანაწერები, რითაც ნათელი ეფინება ბევრ რამეს, მის სიცოცხლეში ხშირად დაფარულს. ემოციის გარეშე ვერ შეხედავთ, როცა წერს, ტუჩები მიფითრდება შიმშილისაგანო. მასთანაც სრული სიმკაცრით ჩანს იმ უმძიმესი წლების ანარეკლი, როცა ქვეყანა შიმშილსა და სიკვდილს ებრძოდა. და მინც...

ის მაშინაც უაღრესად მგრძნობიარეა, უაღრესად სათუთი:

**წავალ, დავეცემი მინდორთან,
დაღლილი ლექსით და წვითა,
განა სიყვარული მინდოდა?
რალაცა უფრო წმინდა.**

მერე რა, თუ შიგადაშიგ ქალური წყენაც იჩენს თავს, მერე რა, თუ სამდღურავი დაცდება იმის მიმართ, ვისშიც მხოლოდ ბავშვი უყვარდა და აღარ უნდა, კაცად იხილოს... სხვაგანაც წერს:

**ვაი, რა ცუდად გიცვნივარ,
ვისზე ვამყარებ იმედებს,
მე ათი გულის ღირსი ვარ,
შენ ერთიც ვერ გაიმეტე.**

ჰო, სიხარულიც ჰქონდა, როგორ არა, სამი ვაჟკაცი აჩუქა არსთა გამრიგემ, მერე ისინი იყვნენ მისი შთაგონება, თუმცა დაბადებამდეც უძღვნიდა უნაზეს სტრიქონებს („გოი“, „მამუკა“...). და იმაში მაინც ჰქონდა ბედი, რომ არ შეესწრო უკიდვრად ტრაგედიას... მისი გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე ორი შვილი ერთდროულად დაეღუპა ავტოკატასტროფაში...

და ერთიც: ნაზი კილასონიას არცთუ ისე ხანგრძლივი და მოკრძალებული ცხოვრება სიყვარულის საგალობელსა და რეკვიემს წააგავს ერთდროულად, რომელიც, მისივე სტრიქონებისა არ იყოს, მართლაც ტკივილად შემორჩება ხსოვნას და სულს სევდით გაგიკანრავს:

**მივდივარ, მომდევს მტკვარი სატივე,
და ანთებული ზეცა ხომლებით,
გული ვატკინე და მაპატიე,
ტკივილით უფრო გემახსოვრები.**

1996 წლის გაზაფხული იქცა მისი ფერმიხდილი ცხოვრების იმ საზღვრად, რომლის იქითაც უკვე შეეძლო ტკივილებისაგან განსვენება და, დანიხლული სიყვარულის ნაცვლად, სხვა, „რალაც უფრო წმინდასთან“ შეერთება...

მაგთიკომის თანადგომით

(ქართული ლიტერატურის მუზეუმის ახალი გამოცემები)

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი ახალი და მნიშვნელოვანი გამოცემებით ხელდაამყენებელი წარსულსა და 20 ივნისის მაგთიკულში თავისი მხარდაჭერის წინაშე.

მხარდაჭერი, რასაკვირველია, გახლავთ მაგთიკომი, რომელიც შერჩეულ სლოგანს — ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ — ზედმიწევნით ამართლებს და ახორციელებს.

კერძო კომპანიასა და კულტურულ ინსტიტუციას შორის ტრადიციად დამკვიდრებული ათწლიანი მეგობრობა კეთილმოსურნე გარეშე თვალისთვისაც უნდა იყოს სასიამოვნო. მითუმეტეს, როცა ყოველწლიურად თვალსაჩინოვდება შედეგი აი, ამ შეხმატკბილებისა: თაროზე დაიდო მნიშვნელოვანი გამოცემები. დაფინანსდა წიგნები არა კომერციული გათვლით, მხოლოდ სამომავლო აუცილებლობით, რათა ხვალინდელ მკითხველს წარსულის შეცნობა არ გაუძნელებდეს.

ასე რომ, სახელოვნებო სეზონის გასრულების ჟამს, ლიტერატურის მუზეუმმა მოსავალი მიითვალა, ხოლო თანამდგომმა კომპანიამ წვეულება გამართა და მაგთიკულში მიიპატიჟა მუზეუმის თანამშრომლები, აგრეთვე მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

ლონისძიება გახსნა მაგთიკომის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **თათული ლვინიაშვილმა**.

მუზეუმის დირექტორმა **ლაშა ბაქრაძემ** მიმოიხილა ის გამოცემები, მაგთიკომის ხელშეწყობით რომ გასრულდა. სახელოვანი და ცნობილი ავტორების გვერდით მნიშვნელოვნად მიიჩნია დაე-სახელებინა **ლელია აჩბა-ანჩაბაძის** მეშუარები **„აფხაზი თავადი ქალის მოგონებები ჰარამხანაზე“**. აღნიშნა, რომ ავტორი იყო თვითმხილველი ოსმალეთის იმპერიის დაცემისა, სულთანატისა და ხალიფატის გაუქმებისა, რაზეც ის სასახლის სეფქალის პოზიციიდან საუბრობსო. გამოცემა მნიშვნელოვნად მიიჩნია, როგორც ქართველი, ისე აფხაზი მკითხველისთვის.

ლაშა ბაქრაძემ **მიხეილ ლაკერბაიას** აფხაზური ნოველების **„ალამისი“** მნიშვნელობაზეც ისაუბრა, ხოლო თბილისელი თვითნასწავლი მხატვრის, ფიროსმანის თანამედროვის **კარაპეტ გრიგორიანის** **„ძველი თბილისის იშვიათი ამბები“** მიიჩნია ეთნოგრაფთათვის ერთ-ერთ სანდო წყაროდ; ნებისმიერი მკითხველისათვის კი საინტერესო საკითხავად. ისაუბრა აგრეთვე მნიშვნელობაზე თედო სახოკიას წიგნისა **„ციმბირში“** (მოგონებები 1905 წლის რევოლუციის დროიდან); **ნიკო გომელაურის**, უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი ხელოვანის **ორტომეული** ყველაზე სრულყოფილ გამოცემად მიიჩნია, ავტორის აქამდე დაბეჭდილ წიგნებს შორის.

ლაშა ბაქრაძემ, ვის თანამდებობასაც გადაუჭარბებლად მიესადაგება ეპითეტი კრეატიული იქვე გააჩხაურა, რომ მაგთიკომის სპონსორობით შეიქმნა ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის პირველი ვებგვერდი, რომელიც გაამარტივეს საარქივო მასალებსა და კოლექციების მოძიებას, ხელს შეუწყობს აგრეთვე ეროვნული ფასეულობების პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

სიტყვით გამოვიდნენ **ჯანსუღ ჩარკვიანი** და ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი საქართველოში **ზაზა ფურცელაძე**.

რასაკვირველია, გამოსვლები იყო ხანმოკლე, მაგრამ გამთბარი მისალმებითაც და მადლიერებითაც. განსაკუთრებით ჯანსუღ ჩარკვიანმა გამოკვეთა, რომ კომპანია მაგთი არაა მხოლოდ აწყობილი ბიზნესი სატელეფონო კავშირზე; მისი მესვეური **გია ჯოხთაბერიძე**, მეუღლესთან **მანანა შვეარდნაძეს** ერთად, მამულშვილურად გულშემატკივრობს ქართულ კულტურას.

ნუცა მარგველიანი

ქეთევან ჯერვალძე ნინო პეტრიაშვილი

„ქეიფი“ ვაჟა-ფშაველასი

1. დამისხი, დამალევენე,
2. ე ღვინო ოხერ-ტიალი,
3. ეგება წალმა ვიფიქრო
4. სოფლის უკულმა ტრიალი!
5. ეგება გულის ვარამი
6. ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია.
7. თვალთ-წინ დამიდგეს ლამაზი,
8. ჟრჟოლა მამკიდოს ტანშია,
9. დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,
10. გადავერიო ზღვაშია.
11. თქვენთან ძალღურად სიცოცხლეს
12. სიკვდილი მიჯობს ცდაშია;
13. ვერ მაანონებთ კარგს ყმასა,
14. რაც არ უჯდება ჭკვაშია.

მეგობრებო, ვაჟას „ქეიფი“ ერთ-ერთი უცნობილესი ლექსია ავტორის შემოქმედებიდან, ლექსის პოპულარობას ხელი შეუწყო კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის საოპერო ქმნილებამაც „დაისი“, რომლის ლიბრეტოს, ანუ სიტყვიერი ნაწილის, ავტორი გამოჩენილი დრამატურგი და მსახიობი ვალერიან გუნიაა. მას ამ სიტყვიერი ნაწილის წერილსას უსარგებლია რუსთველის, აკაკის, ბარათაშვილის, დღეს სრულიად უცნობი ავტორის დ. გივიშვილისა („ღვინო კახური“) და ვაჟას ლექსებით. „ქეიფს“ მღერის ასისთავი კიაზო. იმდერება მხოლოდ პირველი ექვსი ტაეპი, ტექსტის დანარჩენი ნაწილი შეცვლილია კომპოზიტორისა და ლიბრეტოს ავტორის მიზანდასახულებიდან გამომდინარე. არ გვანწყენს გავიხსენოთ, რომ კომპოზიტორს მასზე მუშაობა 1921 წელს დაუწყია, როგორც ჩანს, ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, და თავისი ქმნილების მთავარი პერსონაჟისთვის ნითელი არმიის წინაღმდეგ თავდაცვით ბრძოლაში დაღუპული მარო მაყაშვილის, პოეტ კოტე მაყაშვილის ასულისა და ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილის, სახელი დაურქმევია. პრემიერა შედგა 1923 წლის 19 დეკემბერს, თბილისში. „დაისის“ წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვანო სარაჯიშვილმა, რომელიც მალხაზის როლს ასრულებდა. ფაქტობრივად „დაისის“ ქვეტექსტი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ბოლშევიკ ქართველთა დახმარებით მისი ოკუპაცია და შიში ანექსიის მოლოდინისა. თვითონ ოპერის სახელწოდებაც კი ვეებერთელა ტრაგიზმის შემცველია.

„ქეიფი“ ვაჟას 1886 წელს აქვს დაწერილი, ოცდახუთი წლისას, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან უსახსრობის გამო გამობრუნებულს. თუმცა ვერ ვიტყვით, ეკატერინე ნებიერიძეზე დაქორწინებამდე თუ დაქორწინების შემდეგ. ამ დროს მას უკვე აქვს პირველი განაცხადი გაკეთებული, გამოქვეყნებულია: „წერილი ხევსურეთიდან“ 1879 („დროება“

1); პირველი თარგმანი: ერკმან-შატრიანის „ფეოდალის აღზრდა“ 1880 („ივერია“ 4); პირველი ლექსი „მეომარი“ 1881 („იმედი“ 3-4); პირველი მოთხრობა „სურათი ფშავლის ცხოვრებიდან“ 1881 („დროება 184) და რაც მთავარია „შვლის ნუკრის ნაამბობი“ 1883 („ივერია“), დალოცვილია ილიასაგან და ამ ლოცვის მადლით და უფლის ნებით წარმართება შემდგომ მისი, ცხოვრება — შემოქმედებითი სიხარულებითა და ყოფითი მწუხარებებით აღსავსე. ანუ უკვე მოხაზულია მთავარი მიმართულებანი მისი შემოქმედებისა, და ის ფაქტიც, რომ ვაჟა, როგორც ფშავ-ხევსურული წიაღიდან გამოსული, პოლითემატურობისკენ მიმართული მწერალია. სწორედ ფშავ-ხევსურეთში ცვლის მუსიკალურ პოლიფონიურობას თემატური ანუ გრძნობათა მრავალფეროვნება პოეტურ სიტყვაში გამჟღავნებული. ყველა სფერო აინტერესებს, რაც სიცოცხლესა და სიკვდილთან, ცხოვრებასთან კავშირშია, მათ შორის ქალ-ვაჟური სიყვარული, ქვეუთხედი არსებობისა, მასტიმულირებელი და სახიფათოც შემოქმედისთვის (ოჯახის ტვირთს სწირად ვერ უძლებს ასეთი ადამიანი და როგორც შემოქმედი ილუპება): 1885 წლით არის დათარიღებული „ნეტავი გამაგებინა“, „რამ გაგაჩინა ქალაო“ და „თუ მამკლაგ, ისევ შენ მამკლაგ“ (1886) — ერთგვარად სწორხაზოვანი, სატრფიალო ლექსები.

XIX ს-ის 80-იანი წლები, როდესაც ვაჟა აღებს ქართული ლიტერატურისა და ისტორიის კარს, უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისთვის. ისტორიული საქართველოს ერთი იმპერიის საზღვრებში მოქცევამ (მანამდე ის 1555 წლის ამასიის ზავით ირან-თურქეთს ჰქონდათ გადანაწილებული), თუმცა ამ დროს ჯერ კიდევ არ არის შემოერთებული აჭარა, ბატონყმობის ეტაპობრივმა გაუქმებამ 1864 წლიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩვენი ქვეყნის კუთხეების ერთიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში მოქცევამ, გააადვილა კონტაქტები ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მხარეებს შორის. დაკარგული პოლიტიკურ-რელიგიურ-კულტურული მესაჭის ფუნქცია იკისრა ქართულმა ლიტერატურამ. აი ეს არის სწორედ ილიასეული „პოეტ-ქურუმის“ პოლიტიკური სარჩულიც. ქართულ ერთიან სამწერლობო პროცესსა და კულტურულ ცხოვრებაში ჩაებნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად მუდმივი განსაცდელისა, ორიგინალური ახალი ქართული ლიტერატურა მაინც აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთის სამეფოებში, არისტოკრატიის წარმომადგენელთა მიერ იქმნებოდა (დასავლეთ საქართველოში ძირითადად ადრე შექმნილის კონსერვაცია ხდებოდა). პოეტი და სამხედრო პირი ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება ყოფილიყო. ესენი არ გახლდნენ მხოლოდ მეფე-პოეტები და ეს ტრადიცია რომანტიკოსებით დასრულდა. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 30-წლიანი ბრძოლის მარცხით დასრულების შემდეგ, ერი ღრმა აპათიამ მოიცვა. რომანტიკოსთათვის „რაზნოჩინცების“ (გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი) მიერ ჩამორთმეული დროშა ილიას დასელებმა აიტაცეს. 80-იანი წლებიდან კი ვაჟას ყაზბეგთან ერთად ქართულ მწერლობაში შემოაქვს მთის დიდი თემა — ჩრდილო კავკასიით. მთიელთა ცხოვრებას მტკიცედ აკავშირებს ქართველი ხალხის საერთო ყოფასთან, ნათელყოფს, რომ მთაც ქართული ინტერესებით ცხოვრობდა, ქართული

ტკივილით სტკიოდა გული და ქართული ოცნებით ოცნებობდა, რითაც აფართოვებს ქართველი კაცის წარმოდგენას გეოგრაფიულ სამშობლოზე და სიამაყით უვსებს გულს. და ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როცა დაპყრობილ და ორ გუბერნიად დაყოფილ საქართველოში ღვთისმსახურება, ვაჭრობა და ეკონომიკა მთლიანად უცხოელთა ხელშია და ყველაფერი კეთდება, რათა მიწაც უცხოელთ ხელში აღმოჩნდეს.

როცა ლუკა რაზიკაშვილი იწყებს მოღვაწეობას სოციალ-დემოკრატიაც გამოდის ასპარეზზე. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. ქართველი ხალხოსანი მწერლები ქმნიან სოციალური მნიშვნელობის პერსონაჟთა სახეებს, მატერიალური საზრუნავით აღსავსეთ, ცრუმორწმუნეობით დამძიმებულთ, მოტყუებულთ, დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ, რომელნიც ვერანაირ სულიერ ინტერესებს ვერ ამჟღავნებენ. ამ დროს მართალია ჯერ კიდევ არ არის „ნაროდნაია ვოლიას“ წევრის ივანე ჯაბაძარის საქართველოს ისტორიის განმაქიქებელი „Письма о Грузии“ (1889 წ.) დაწერილი, მაგრამ უკვე გამოქვეყნებულია დიდი ერების მიერ პატარა ერების გადაყლაპვის გამართლების გიორგი მუხრანბატონისეული თვალსაზრისი. „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“; დაწერილია და გამოქვეყნებული ლექსი ნაროდნიკ მიხეილ ასათიანისა (1849-1879), რომლის შემოქმედებაც 1881 წლიდან იბეჭდებოდა, აი ერთი პატარა ნაწყვეტი:

**აი ის ჭია, რაიც თერგის ნაპირზედ
ილიას მგზავრსა გულსა უღრღნიდა...
ახლა სრულიად მე არ მანუხებს,
ის დრო ჩემთვისა მანდვე წავიდა.
მე ეს კითხვები კარგა ხანია,
დამიძლევია, გამომიხსნია...
ჩემ გულის ბოლმა, თქვენთან საკითხი,
სიტყვა სრულებით სხვანაირია.**

ეგზარხოს პავლეს მიერ დაწყებული ქართველ ერი და დიმიტრი ყიფიანიც გადასახლებულია. გამალებულად მუშაობენ კირილე იანოვსკი (კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველი(1881-1885), ალექსანდრე გრინი, თადა ამორდია (მეგრული ანბანის შემდგენელი და კონკურენტები). დავით ერისთავის „სამშობლოც“ დადგმულია (1882 წლის 20 იანვარი), მიხეილ კატკოვის დაცინვა — დაბეჭდილი

«Московские ведомости»-ში, გამოქვეყნებული ილიას პასუხიც (გაზეთი „დროება 1882 24 თებერვალი; 1882 წლის 9 მარტი Московский Телеграф). აი ასეთია მოკლედ ის პოლიტიკურ-კულტურულ-რელიგიური რეალობა და სწორედ ამას დაუპირისპირდა დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ვაჟა და ხელი შეაშველა ილიას დასვლეს და სწორედაც, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

ვაჟა წერდა ილიაზე: „ილია დარჩა მთლიანი და განუყოფელი, როგორც ზოდი ოქროსიო“. ეს სიტყვები შეგვიძლია გავიმეოროთ მასზეც, მუდმივად გაჭირვებაში მყოფ გენიოსზე, რომლის უდიდეს სიყვარულს სამშობლოსა და კაცობრიობისადმი, პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმს ბოლშევიკურმა საქართველოს ხელისუფლებამ მისი ერთადერთი ვაჟის დახვრეტით (1924) უპასუხა. მერე კი, 1935 წლის 17 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე ფაქტობრივად მალულად, დიდუბის პანთეონიდან გადაასვენა მთაწმინდის პანთეონში. იმ დღეს სტალინი იმყოფებოდა თავის დედასთან და ვაჟას ვითომ პატივსაცემად დაგეგმილი ღონისძიებები მხოლოდ მეორე დღეს, 18 ოქტომბერს გაიმართა. ამ პატივისცემას პოეტიკის საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ილიას, აკაკისა და მის მიმდევარ უდიდეს მამულიშვილთა ფაქტობრივად მასობრივი დახვრეტის „სიმფონია“ მოაყოლა. მსხვერ-



მხატვარი კარლო ფაჩულია

პლად მიუპყრა მათი სულები. ამ მსხვერპლშენივრის რიტუალებზე დიდი შეურაცხყოფა რა უნდა ყოფილიყო ვაჟას სულისთვის?! რა ჯანდაბადა უნდოდა მათი პატივი? მაგრამ პატივად ნუ მივიჩნევთ. ბოლშევიკთა მოქმედება სატანის-ტურ რიტუალებს უფრო ჰგავდა. ამ საკითხებს უნდა ჩავუღრმავდეთ, მეგობრებო, სისტემა უნდა შევკრათ აზროვნებაში.

აი, ახლა, ცოტათი მაინც მიმოვიხილეთ რა საქართველოს მდგომარეობა, შეგვიძლია უკვე ლექსზეც გადავიდეთ. პოეტმა სათაურად შეარჩია სიტყვა „ქეიფი“, რომელსაც არ იცნობენ სულხან-საბასა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონები. ეს სიტყვა პირდაპირ ქართულიდან არის შესული სევანურში, მეგრულში გვაქვს ზმნა „ქაფუნს“ და სანყისი „ქაფუა“, რაც უცებ ღვინის დაღვევას ნიშნავს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ქეიფი“ არაბული წარმომავლობისად არის მიჩნეული და ნიშნავს: 1. პურის ჭამასა და ღვინის სმას ბევრისას ერთად, რასაც თან ახლავს მხიარულება, დროსტარება, ნადიმი 2. გუნება-განწყობილება, კარგ, მხიარულ გუნებაზე ყოფნა ღვინის სმის შედეგად. ამ სიტყვის სემანტიკური ველი არ არის ფართო: ქეიფი, ქეიფობს, ნაქეიფარი, უქეიფარი, შექეიფე-

ბული, საქეფო, მოქეფე. გვაქვს ხატოვანი გამოთქმაც: როდის მოექეფება — გუნებაზე როდის მოვა, როდის მოეპრიანება; მოექეფა — გუნებაზე მოვიდა, მოეპრიანა. ქეფზე ვერ არის — ცუდ გუნებაზეა. ქეფი განუყოფელია ღვინისგან. რამდენადაც უნდა გაგვიკვირდეს, თვით ფშავ-ხევსურული წიაღი, საიდანაც ვაჟა გამოვიდა, არ იცნობს ამ სიტყვას, არც სხვა კუთხეებისა, მხოლოდ ქიზიყურს მოეპოვება კომპოზიტი „თაქეფვა“; შვებისა და ლხინის პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძესთანაც არ გვაქვს. მასთან თავს იწონებს: „შექეფვა“, „ლხინი“, „განცხრომა“, სიტყვა „ქეფი“ გრიგოლ ორბელიანთან გვხვდება, თუ არ ვცდებით, ერთადერთხელ და იმასაც ამბობს არა გრიგოლი, არამედ ლირიკული გმირი, სახელგანთქმული ბეჟანა მკერვალი „ქალებისა ლხინი და თაიგული“: „...ზოგთან შევექცევი ვახშამსა, ზოგჯერ ღამესაც მთელსა, ჩემს ქეფში ვინ იყოს ამ სოფელსა?..“ და ამ კონტექსტში ის ბედნიერებას, განცხრომას აღნიშნავს. გრიგოლთანაც ძალიან ხშირია სიტყვა „ლხინის“ გამოყენება, სიტყვა „ქეფისგან“ თავისუფალია ილიას პოეზიაშიც, თუმცა ის ყელყელაობს მოთხრობაში „კაცია ადამიანი?!“ ზედაპირულად რაც შევნიშნეთ ისაა, რომ ამ სიტყვის რუსულ და ქართულ მწერლობაში დამკვიდრება თითქმის თანხვედრა ერთმანეთს — XIX ს-ის პირველი ნახევარი. გრიგოლის ზემოხსენებული ლექსი „მუხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალია“) 1833 წელს, 32 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, პატიმრობისას, მეტეხის ციხეშია დაწერილი, თუმცა არ გამოვრიცხავთ, ვცდებოდეთ, ვინაიდან ამ სიტყვის კვლევა სპეციალური ძიების საგნად არ გვიქცევია და მხოლოდ იმას დავეყრდენით, რაც ზეპირად გვახსოვდა.

ლექსის პირველივე სტრიქონიდან ვიგებთ, რომ ვაჟას „ქეფიც“ სწორედ ღვინის სმასთანაა დაკავშირებული და გუნება-განწყობილების გამოკეთებას გულისხმობს. როგორც ჩანს, საწუთროსთან მორიგი უშედეგო ჭიდილის შემდეგ აღშფოთებული პოეტი მიმართავს წარმოსახვით ადრესატს, გაიზიაროს მისი წარუმატებლობა და თანაგრძნობა ღვინის დასხმითა და „ჭიქის“ მიწვდით გამოხატოს. პოეტის აღშფოთებას კარგად გამოხატავს სიტყვა „ოხერ-ტიალი“, ტირითი რომ იწერება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ორი ერთი და იგივე შინაარსის სიტყვა ერთმანეთს დამეგობრება, თანაც ისე, რომ ავტონომიური უფლებებიც შეუნარჩუნებიათ, ანუ ცალ-ცალკეც იხმარებიან. „ოხერი“, ოღონდაც ჯ-არით ჯერ კიდევ ძველი ქართული ენის საკუთრება იყო და მას ჩვენი წინაპრები ძველი და ახალი აღთქმის თარგმანისას იყენებდნენ. ის დამკვიდრებული ტერმინია ძველი ქართული სამართლის ისტორიაშიც. ჯ-არით წარმოითქმის ეს სიტყვა დღესაც ფშავ-ხევსურეთში და „უპატრონოს“ ნიშნავს. გვაქვს „ოხრად-ტიალად დარჩენაც“, მაგრამ შებრუნებული წყობა გვაქვს „ტიალ-ოხერში“. „ტიალი“ არ უნდა აგვერიოს ნატურის შორისდებულში „ტილო“, რომელიც იგალობება საკრალურ ტექსტში და მოგვიანებითაა ისტორიულ რეალობას მიბმული, ასევე საკრალური მნიშვნელობის მისანიჭებლად: „ტილო, დარიალო, კლდენი ხარ ცარილო“...

**დამისხი, დამალევიწე,
ე ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო**

**სოფლის უკულმა ტრიალი!
ეგება გულის ვარამი
ჩაკლა მა ჯიხვის რქაშია.**

ე. ი. ღვინო, არავისი საკუთრება არ არის, ვინაიდან მიმართვის ადრესატი, კონკრეტული ვინმე, ან ვინმე-ნი არ ჩანს, ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ სამპირიან გარდამავალ ზმნებში - და-მ(ირ.01)-ი-სხ-ი; და-მ(ირ.01)-ა-ლევ-ინ-ე შენ-(შ2 მხ. რ.), მე(1 ირ. მხ.რ.) ის (-ვ პ. მხ.რ.) - თავის ირიბ-მთავრობითობას თუ ირიბ-წამყვანობას ეს მართლაც ირიბი პირი ბრძანებითის ფორმითა და ამ „მ“-თი, ირიბი ობიექტური პირის ნიშნით, გამოკვეთს. წინადადება შემასმენლელბითაა შერწყმული და ის მომდევნო ტექსტისთვის მთავარი წინადადებაა, მასზეა ჩამოკიდული რამდენიმე (4) მიზნისა და (2) მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადება. მასში ძაან საცოდავად და პასიურად გამოიყურება ეს ჩვენი სუბიექტი მეორე პირში, სტატისტიკა და მეტი არაფერი, უბრალოდ მხოლოდ უნდა დაუსხას სასმელი ლირიკულ გმირს და გაბრძანდეს სცენიდან კულისებში. ბრძანება რომ არ შეასრულოს, იქნებ ერთი-ორიც წაუთაკონ. ღვინოს არ უჩანს პატრონი და ეს შინაარსი კიდევ უფრო გაძლიერებულია ზემოხსენებული კომპოზიტი, თანხმომავნაფუძიანი შეთანხმებული განსაზღვრებით პოსტკოზიციამი — „ოხერ-ტიალი“.

დგას ღვინო ისე, თავისთვის და ელოდება შემოსწრებულ ტვირთმძიმეთა და მასწვრალთ სულის მოსათქმელად, თითქოს ვეშა წყაროაო, ალვისხის ფესვებიდან გამომდინარი. რაში უნდა შეეშველოს ღვინო ახალგაზრდა ლუკა რაზიკაშვილს, რომელსაც „სისხლი უფუის“? არც მეტი, არც ნაკლები, ამ დალევის მიზანი სოფლის გაძლებაა, რომელიც უკულმა ტრიალებს. სოფლის გაგება პოეტთან ტრადიციულია, ხალხურიც და „ვეფხისტყაოსნურიც“. თუ ფოკლორი საუკუნეთა მანძილზე ძირითადად დაბალი სოციალური ფენების საკუთრება იყო, ნაციონალური სამების მესამე ნევრმა, „ვეფხისტყაოსანმა“, მთლიანად განმსჭვალა ქართული საზოგადოების ყველა ფენის ცნობიერება, დაუახლოვა ერთმანეთს და ქართველი ხალხის ზეცასთან შემაკავშირებელ სვეტად, თუ გნებავთ, კიბედ იქცა.

წარუმატებლობის შემდეგ ნებისმიერ ადამიანს მორიგი შერკინებისთვის ახალი ძალების მოკრებამდე სჭირდება ამოსუნთვა, „ვარამის ჩაკლა“, გუნების გამოკეთება, დარდის შემსუბუქება, „გაქარვება“. დააკვირდით, როგორი სიტყვაა გაქარვება? ერთი შინაარსი ეტევა ორგვარად გააზრებული: „ქარს გატანება“ და ქარვად ქცევა „გაყვიტლება“, ანუ დაუძღურება, (პირველი, უარყოფითი), მაგრამ იანუსივით შეიცვლის სახეს იგი, თუ მტევანს დაუნყვილდება: „ქარვისფერი მტევანი“, ანუ დამნიფებული, მზიურ-ღვთიური ენერგიით აღვსილი, სამი სკნელის შემაერთები ვაზის ხის ნაყოფი(მეორე — დადებითი)... თუ შეძელით ამის დაგემოვნება და იმედა, უკვე შეძელით, ისლა დაგვრჩენია „ღვინის ქურდების“ პერსონაჟივით რამდენჯერმე წარმოვთქვათ აღტაცებით: „აუჰ, კარგია!“ და ისევ ამბოხებული ვაჟას ლექსს დავუბრუნდეთ. ბოლოს და ბოლოს წუთისოფელთან ჭიდილი და მისი უკეთესად გარდაქმნის მცდელობაც ნაწილიანთა, ანუ ღვთის მიერ „მხარგაპოხილთა“ ხვედრია („მხარგაპოხილი“ ულამაზესი მეტაფორა).

ღვინის დალევაში პოეტი არ გულისხმობს თრობას, მთის ტრადიციულ სასმისში, ჯიხვის რქაში, ჩასხმული ღვი-

ნის ერთხელ ერთბაშად შესმით უნდა შემოიფარგლებოდეს. ღვინოს ჭირისა და ლხინის წესის დაყენებისა და ნამლის ფუნქცია ჰქონდა საქართველოში. ტყუილად კი არ მიმართავდა მას ალტაცებით გრიგოლ ორბელიანი „გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო, ვინ არს, რომელ გსვა და არ ალხინეო“. საერო „ლხინსა“ და სულიერ „ლხენას“ შორის „ი-ე“ ხმოვნების გრადაციები მათ სიღრმისეულ მთლიანობაზე მეტყველებს, ყოფს და აერთებს მათ.

თვალთ-ნინ დამიდგეს ლამაზი, ყრუოლა მამკიდოს ტანშია.

როგორ უნდა მოხდეს შემართების, საბრძოლო სულისკვეთების აღორძინება? ჯიხვის რქის სასმისიდან ღვთიური ენერჯის შემცველი ღვინო გადავა ლირიკული გმირის ორგანიზმში. გუნებას შეუცვლის, განწყობას გამოუკეთებს. ორგანიზმიდან გამოდევნილი დარდი კი ჩაკედება ჯიხვის რქის სიცარიელეში, ჩაემწყვედვა, ვითარცა ჯინი ბოთლში.

მესამე და მეოთხე სტრიქონში ეს ჩვენი ლირიკული გმირი ირიბ-ნამყვანი რომ იყო, სუბიექტი ხდება. პირველ-მეორე სტრიქონის მეორე პირის ორჯერ ნაგულისხმევ სუბიექტს მომდევნო ორ სტრიქონში პირველი სუბიექტური პირი ენაცვლება, ასევე ორჯერ ნაგულისხმევი ზმნებში და პირველი სუბიექტური პირის ნიშნით(ვ-თი) გამოხატული : ჩა-ვ(შქ)-კლ-ა (მე. ის); ვ(შქ)-ი-ფიქრ-ო (მე ის). ე. ი ლექსის მერე წინადადებაც შერწყმულია. ორივე ზმნა მეორე სერიის მეორე კავშირებითის მწკრივშია, რაც მიგვანიშნებს, რომ ის მიზნის გარემოებითაა დამოკიდებული. პირველი წინადადების შემასმენლები წყვეტილის მწკრივით რომ ყოფილიყო გადმოცემული, დამოკიდებულის შემასმენლები აუცილებლად მეორე თურმეობითი გადაბრძანდებოდნენ.**დამისხა, დამაღვივინა**, რათა ნალმა **მეფიქრა** სოფლის უკულმა ტრიალი...

მამასადამე, ღვინო დარდს მიაყუჩებს, უკანა მხარეს გადაწევს, გულის უფსკრულში დაუდებს ბინას და ლირიკულ გმირს „ლამაზს“ გაახსენებს:

თვალ-ნინ დამიდგეს ლამაზი, ყრუოლა მამკიდოს ტანშია.

ცხადია, ეს „ლამაზი“, ზედსართვი სახელი, არსებითი სახელის ფუნქციით რომ შეჭურვილა, ქალია. ქვემდებარე კია წინადადებაში, მაგრამ ნამდვილი შემასმენლის, ანუ მამაკაცის ფუნქცია აქვს. და მართლაც, ქალი ხომ ქართული ცნობიერებისა და ყოფიერების „ანი და ჰოეა“. „მამაკაცი“ ისეთივე იარაღია მის ხელში, როგორც პოეტი ღვთისაში. მამადამე, სოფელთან შერკინების ინსპირატორი, შემგულიანებელი ლამაზი ქალია, ისეთი, თავი გმირობით რომ უნდა მოაწონო, ისე, როგორც ეს ჩვენს „ვეფხისტყაოსანში“, „ბაში-აზუკსა“ და კიდევ სხვა ნაწარმოებებშია. ლამაზი ქალის წარმოსახვაში ამოტივტივებაც კი გმირში ვნებას აღვიძებს, არც მეტი, არც ნაკლები, ფიზიოლოგიურ ლტოლვას, მაგრამ ისე გამოთქვამს, ისე გვიმხელს თავის მდგომარეობას ახალგაზრდა ლუკა, რომ **არც მისთვისაა სამარცხვინო და არც ჩვენ გვერცხვინება გამეორება მისი სიტყვებისა**.

აი, სწორედ ეს არის უბრალო ყოფითო დეტალების ეს-თეტიზება, მკითხველს ამაღლებულთან ზიარებაში რომ უწყობს ხელს. ყაზბეგსაც უყვარს ამ სიტყვით მამაკაცური

ვნების გამოხატვა. ვაჟა ამ საქმეშიც წინამორბედთა, ანუ ქართული ტრადიციის მიმდევარია. შორს რომ არ წავიდეთ, სტრიქონებს შეგახსენებთ ბარათაშვილის „საყურადან“: „ვინ სუნთქვა თვისი შენსა ჩრდილშია დაიტკბარუნოს“ — მიმართავს იგი ეკატერინე ჭავჭავაძის საყურეს, სინამდვილეში კი ეკატერინეს. ანუ პროზაული ენით რომ ვთქვათ, რა ბედნიერი იქნებაო ის, ვინც თავის ვნებას, სუნთქვით გამოხატულს, შენი პატრონის ყურთან კოცნით დაიცხრობსო: და კიდევ ერთი: „თვალნინ დამიდგეს ლამაზი“ თვისობრივად, სოციალურადაც, ალბათ დამეთანხმებით, განსხვავდება მუხამბაზური სტრიქონებისგან: „თვალთ ავახელ, ზედ წამნამზე მიზიხარ!..“ (გრიგოლ ორბელიანი).

თვალთ-ნინ დამიდგეს ლამაზი, — და-მ-ი-დგ-ე-ს-შ (ისპვ, მე 1ორ.), — გარდაუვალი ზმნაა. „ყრუოლა მამკიდოს ტანშია“ — მა-მ-კიდ-ო-ს (მან შვ, მე1ორ. მხ.რ. ისპვ. მხ.რ.), — ზმნისწინი „მო“ აღმოსავლურ-ქართულადაა ნახმარი. დავიმახსოვროთ, ორივე ზმნა მეორე სერიის მეორე კავშირებითშია.

მაგრამ ეს სწრაფვა ქალისკენ გრძნობის, ემოციის საფეხურზე არ რჩება, არ წვრილმანდება, ზევითაღზევით მიიწრაფის და ვხედავთ, რომ პოეტი მზად არის უკვე ახალი შერკინებისთვის. ზღვა სწორედ ბოზოქარი სანუთროს გადატანითი სახეა. ამ ბრძოლაში ის მარტო აღარ არის. მას სულიერად ასაზრდოვებს ლამაზი ქალისადმი სიყვარული, ხოლო მხარში უდგას ლურჯა, ჩვენი საყვარელი ლურჯა, უფროსი თაობის მკითხველისთვის პირველ რიგში ხალხური პოეზიის, ლურჯას რომ წამოატივტივებს. ლურჯა ქართული ჯიშის ცხენია, რომლის მოშენება-გამრავლებაც ვაჟას კიდევ ერთი ეროვნულ ოცნებათაგანი ყოფილა (თავს ვერ ვიკავებთ და მკითხველს ამ და სხვა თემაზეც ვურჩევთ არჩილ სულაკაურის მოთხრობა „თეთრი ცხენი“ წაიკითხოს) და აბა სხვა ჯიშის ცხენს როგორღა დაიმეგზურ-დაიმგზავრებდა ჩვენი ავტორი?! თუ ბარათაშვილი მერნით ცდილობს ბედის სამზღვრის გადალახვას (სულხან-საბას განმარტებით „მერნობა“ ცხენის კეთილ სიარულს ნიშნავს), ვაჟა ამას ლურჯათი აპირებს. დიას, ჩვენი ლურჯა და მერანი იქნებ ერთი და იგივეც იყოს? ლურჯა — ციური ცხენი; მერანი-მზიური ცხენი. ეს ისე, ფანტაზიისთვის.

დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა, გადავერიო ზღვაშია.

მართლაც ქართული ტრადიციით სოფელთან შეჭიდებულ კაცს მეტი რა უნდა? თინათინზე შეყვარებული ავთანდილიც ასე არ ამბობს? მე ვარ და ჩემი ცხენიაო, აკაკის ბათუც ასეა: ცხენი, ნაბადი იარაღი და სიყვარული.

სანუთროსთან მორკინალი კაცის ერთადერთი სურვილია ღირსეულად იცხოვროს, ცუდ, ძალღურ ყოფას გაემიჯნოს, ალბათ მგლური თავისუფლების მოსაპოვებლად: „კაი ყმა მგელი არნივი — არც ერთ არ გაიწურთნების“ — ღირსეული ცხოვრების სამებად ქვეყლი წევრებია. მგელი ლექსში ავტორს ნახსენები არც კი ჰყავს, მაგრამ ასეა, ძალღური ყოფიერება თავისთავში, ხსენების გარეშე, ატარებს მგლური თავისუფლების პარადიმას. ვაჟას სხვა ლექსებში შემოვა მერე მგლისა და არნივის თემა და მემკვიდრეობით გადაეცემა ვალაკტიონს.

ვაჟას, ისევე როგორც მისი დიდი წინაპრებს, უღირს სიცოცხლეს სიკვდილი უჯობს ცდაში. გავიხსენოთ, როგორ

მსჯელობს ამის შესახებ ჩვენი ავთანდილი: „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“; „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ვაჟას კაი ყმას ვერავინ მოაწონებს მოუწონარს, ის უკომპრომისოა, მისთვის უცხოა „მიჯობს ჟამად დავემონმო“, ან „ასე უნდა მოხმარება, გაჰვიდოდეს, საცა ვისი, კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი“. „კაი ყმის“ თემა ვაჟას მიერ „დიდი პაპის“, გურამიშვილისგან ნამემკვიდრალი, შემდეგ ფართოდ გაშლის მხრებს პოეტის შემოქმედებაში.

- 11. თქვენთან ძალღურად სიცოცხლეს
- 12. სიკვდილი მიჯობს ცდაშია;
- 13. ვერ მააწონებთ კარგს ყმასა,
- 14. რაც არ უჯდება ჭკვაშია.

ძალიან საინტერესოა ამ ბოლო ოთხი სტრიქონის სულ პირველ ორ სტრიქონთან მიმართებაც. ესენი მიზეზის გარემოებებით დამოკიდებული წინადადებებია, ხოლო სინტაქსი მათი ასეთია: მეთერთმეტე-მეთორმეტე სტრიქონები ერთი წინადადებაა, მარტივი გავრცობილი, მაგრამ მთავარია ის მეცამეტე-მეთოთხმეტე სტრიქონთათვის, მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადებისთვის, რომელიც თავის მხრივ რთული ქვეწყობილი წინადადებაა: ვერ მააწონებთ კარგს ყმასა. რას ვერ მააწონებთ? რაც არ უჯდება ჭკვაშია. მააწონებთ თქვენ (შემრ. რ.) მას (ვირ. მხ.რ.) მას (ვპ მხ.რ.), ანუ მეთოთხმეტე სტრიქონი მეცამეტისათვის პირდაპირი დამატებითაა დამოკიდებული. მთელი ლექსი კი სულმოუთქმელი ერთი წინადადებაა: მთავარს(1-2) + 4 (მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადება) + 2 (მიზეზის გარემოებით დამოკიდებული, რომელშიც მეორე წინადადება, როგორც ვთქვით, თვითონ არის ქვეწყობილი). ლექსი წარმოადგენს 14 სტრიქონიან ხანას, დაწერილია რვამარცვლიანი საზომით, ანუ განახევრებული შაირით. ვვაქვს ჯვარედინი რითმა და ორჯერ არის სარიტმი ერთეული შეცვლილი, რაც მთავარია, ეს შეცვლა არ არის ხელოვნური. ერთი ჯიხვის რქის გამოცლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ სულის თანდათანობითი ზემალელების საფეხურებს.

ასე რომ, ეს პანუა ლექსი თემატურობით ქმნის პოლიფონიას: 1. ქეიფი 2. სანუთრო 3. საკუთარ თავზე გამარჯვება 4. სიყვარული 5 კაი ყმა.

მოგვიანებით, 1909 წელს თვითონ ვაჟა უარყოფითად შეაფასებს ამ დიდებულ ლექსს, ზემოხსენებული თემების სათავეს. ნუ გაგვიკვირდება. ის, როგორც უდიდესი შემოქმედი, სწორედ საკუთარი თავისადმია პირველ რიგში უკომპრომისო:

**დამისხი დამალევინი
ჭაბუკობაში ვყვიროდი,
როცა მოვცადე სოფელი,
ჩემს უსირცხვობას ვკვიროვდი.**

დაბოლოს, კარგად თუ დავაკვირდებით ჩვენი პოეტის ლექსი, თვით მის მიერ დანუხრებული, მხარს უმხვენებს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში დადასტურებულ პურობის სცენებს „შუშანიკის წამება“ იქნება ეს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ თუ „ვეფხისტყაოსანი“... ჩვენ ასე ვხედავთ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, მეგობრებო, თქვენ ჩვენზე უკეთ დაინახავთ, ჩვენზე უკეთ და ჩვენზე მეტადაც ამაღლებით!

ირინე ლომთათიძე

„თბილი პურის“ მარადისობა

სახელოვანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მეორე იაკობ გოგებაშვილად წოდებული შიო მღვიმელის ღირსეული მემკვიდრე ქეთევან ქუჩუკაშვილი ახლახან გარდაიცვალა. თავის დროზე მისი პიესები სცენაზე წარმატებით იდგმებოდა, მოთხრობები და ლექსები პრესაში ქვეყნდებოდა, გამომცემლობა „ნაკადული“ მის საქმიან ფუსფუსს არაერთხელ შესწრებია.

27 ივნისს სამების ახალგაზრდულ ცენტრში ჩინებული დრამატურგის, პროზაიკოსოსა და პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე შეკრებილი საზოგადოება შემოქმედის ფასეულ მემკვიდრეობას ხელახლა ეზიარა. ღონისძიებას უძღვებოდა პოეტი და პუბლიცისტი იკა ქადაგიძე. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „ქეთევან ქუჩუკაშვილს როგორც მწერალს არავითარი შეღავათი არ სჭირდება, დიდი კაცთმოყვარეობითა და ღრმა ფსიქოლოგიით გამსჭვალული ნაწარმოებები ამის დასტურია. დიდ მადლობას ვუხდის ცნობილ მეცნიერს რუსუდან ნიშნიანიძეს რომელმაც საპატრიარქოს რადიოში უხუცეს მწერალზე გადაცემის მომზადების იდეა მომანოდა. მოგვიანებით ჩვენი ერთობლივი მონაწილეობით ქეთევან ქუჩუკაშვილის მემუარული ჟანრის ბრწყინვალე თხზულება: „მამა მოდის ჩემთან კოსტავას ქ. 60“ რადიოპიესად ჩავიფიქრე, რის განხორციელებაშიც დამხმარნენ პოეტები: მარსია-ნი, ოთარ ფალიანი და სოსო ასიტაშვილი. ამისთვის განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ. ეს ყველასთვის სამაგათო ნიგნად უნდა იქცეს.

აქ გაუღებელი ფრაზა: „მაინც როგორი უნდა ყოფილიყო მამა (შიო მღვიმელს გულისხმობს), რომ რუს ჩინოვნიკს მოსწონებოდა?“ ეპოქალურ სატიკვარს მოიცავს. მწერალი იმპერიის მიერ დაპყრობილი პროვინციის ხვედრს თითქოსდა ძუნწი მონასმით აშიშვლებს. სიყალბეში ჩაქანებული ქვეყნის ტრაგედიას მყვირალა პომპეზურობის გარეშე აღწერს. ვრცელი მოთხრობა „თბილი პური“ იმგვარი ჰუმანიზმითაა გაჟღერებული. სკოლაში რეზო ინანიშვილის, არჩილ სულაკაურისა და მარკ ტვენის ნაწარმოებებთან ერთად უნდა ისწავლებოდეს. უსამართლობაა, როდესაც ზნეკეთილი მწერალი მივიწყებულია, საუკუნეს მიტანებული, 98 წლის ქეთევან ქუჩუკაშვილი, მწერალთა კავშირის წევრი იყო და, როდესაც მეცენატების მხრიდან კეთილი ნების გამოვლენაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, ეს იმ ორგანიზაციას ევალება, რომლის უშუალო დანიშნულებაა მწერლებზე იზრუნოს, მათ სიცოცხლეშივე გამოსცეს ნიგნები. წინააღმდეგ შემთხვევაში სამწერლო გაერთიანებების არსებობას გამართლება არ აქვს.

სამწუხაროდ, ქეთევან ქუჩუკაშვილი მსგავსი პრივილეგიებით არ სარგებლობდა და, შესაბამისად, ჩრდილში მოქცეულ მწერალთა ხვედრი გაიზიარა. ღირსეული წი-

ნაპრების დაინყება ქართულ მწერლობას სასიკეთიდ არ წაადგება”

სალამოზე ვრცელი სიტყვით წარსდგა აღიარებული მეცნიერი **რუსუდან ნიშნიანიძე**, რომელმაც მამა-შვილის შემოქმედებას გამორჩეული ღვაწლი დასდო. რამდენიმე წლის წინათ მისი რედაქტორობით გამოცემულმა შიო მღვიმელის ლექსთა კრებულმა საყოველთაო მონონება დაიმსახურა. დიდად სასიხარულოა, რომ რუსუდან ნიშნიანიძის მონადინებით ამ შესანიშნავმა ნიგნმა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაშიც დაიდო ბინა. მან თქვა: „1934 წელს, შიო მღვიმელის გარდაცვალებიდან ორი კვირის თავზე, მწერალთა კავშირში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ახლაც ქალბატონი ქეთევანის შემთხვევაში იგივე განმეორდა. ორივე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული. ეს მართლაც უჩვეულო დამთხვევაა“.

ქალბატონმა რუსუდანმა საზოგადოებას ქეთევან ქუჩუკაშვილის ნატვრა გაუმხილა. მცოვანი მწერალი შიო მღვიმელის მუზეუმის გახსნაზე ოცნებობდა. აქვე მან ნაიკითხა ფრაგმენტი „მამა მოდის ჩემთან კოსტავას ქ. 60“-დან. „ნუთუ ასე ძნელია ბნელ, ნახევარ ოთახში მიბრუნება, სადაც მამას საწერ მაგიდას დავდგამ და მცირე, მაგრამ მაინც საინტერესო არქივს შევიტან, სადაც ერთ კედელს მისი მეგობრების: ივანე ბუჭურაულის, თედო რაზიკაშვილის, თედო სახოკიას, ია ეკალაძის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას, ნიკო გოცირიძის, პოლიო ირეთელის, ბაჩანას, ფერეიდნელი ონიკაშვილისა და სხვების მოძღვნილი ფოტოებით შევავსებ. ხოლო მეორე კედელს შიო მღვიმელის ლექსებზე შექმნილ ბავშვების ნახატებს დავუთმობ. ნუთუ ასე ძნელია? მასზე ფიქრი მკლავს და მაცოცხლებს.“

ჟურნალისტ **ივანე ჯაფარიძის** რეპლიკამ: „ძველი მუზეუმები გვენგრევა, ახალს ვინ გახსნის“ — აკადემიურ საღამოს დინამიკა შესძინა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მესვეურთა მისამართით გამოთქმული მოსაზრებანი მართებულია და ღირსეული მწერლების შემოქმედების წარმოსაჩენად საზოგადოების მხრიდან მეტი ძალისხმევა და აქტიურობაა საჭირო. საღამო დაამთავრდა-ძმა **ჭანტურიშვილების** გამოსვლამ. ქეთევან ქუჩუკაშვილი მათი მამის კლასელი გახლდათ და ამხანაგებთან ერთად ჭანტურიშვილთა ოჯახს სტუმრობდა ხოლმე. ტკბილ-მწარე მოგონებების სიმწარე ბატონმა თეიმურაზ ჭანტურიშვილმა გააცოცხლა. კერძოდ, მან ილიას მკვლელის შთამომავალი ახსენა, რომელიც პირველ სკოლაში

სწავლობდა და ჯალათის „დამსახურებას“ ამაყად იფერებდა!

მკვლევარმა და მთარგმნელმა **რუსუდან ჭანტურიშვილმა** საინტერესო სიმართლე გაახმაურა: პირველსკოლელთა ხელნაწერი ჟურნალი „ვარდის კონა“ ახსენა რომლის ერთ-ერთ ნომერში ქეთევან ქუჩუკაშვილის ადრინდელი ნაწარმოები იყო შეტანილი. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ ნომერს მოიძიებდა. ამ ცნობამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ღონისძიება შიო მღვიმელისა და ქეთევან ქუჩუკაშვილის ლექსებით გააღამაზეს სკოლის მოსწავლეებმა: **დიანა მეტონიძემ, გვანცა მგალობლიშვილმა, დიანა მესხიძემ** და **ვანო კაკაშვილმა**.

პოეტმა **ნუნუა გურალიამ** მცოვანი მწერლის მნიშვნელობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ ერის დაცემას წარსულის ხსოვნის დაინყება განაპირობებს. მისი აზრით, უზუცესი მწერალი და დრამატურგი ის პიროვნება იყო, ვინც პატივისცემას ნამდვილად იმსახურებდა.

პოეტებმა **მარსიანმა** და **სოსო ასიტაშვილმა** მხატვრულად ნაიკითხეს ქეთევან ქუჩუკაშვილის გულისშემძვრელი ლექსები და ნანყვეტი ნიგნიდან „მამა მოდის ჩემთან კოსტავას ქ. 60.“

დარბაზში უწყვეტად მიმდინარეობდა ქეთევან ქუჩუკაშვილის საოჯახო ალბომიდან შერჩეული ფოტოების სლაიდ-შოუ. გამომცემლობა „ნაკადულის“ წარმომადგენელმა **მერი ფანჯავიძემ** საღამოს ინიციატორებს მადლობა გადაუხადა და საზოგადოებას შიო მღვიმელის ნიგნები შესთავაზა, რომელიც თაროების ნაცვლად ყუთებში აწყვია და გულანთებულ მკითხველს სიყვარულითა და ძველებური აღმაფრენით ელის.

აკადემიური საღამოს დასრულება ნილად ხვდა ქუჩუკაშვილების შთამომავალს **ზურაბ ქუჩუკაშვილს**, რომელმაც ორგანიზატორებს — იკა ქადაგიძესა და რუსუდან ნიშნიანიძეს — ამ ღამეზე, არაჩვეულებრივი დღესასწაულისთვის მადლობა გადაუხადა და ყველას მოუბოდიშა თუ სახელოვან წინაპრებს სათანადო პატივი ვერ მიაგო.

საუკუნეს მიტანებულმა უზუცესმა ქალბატონმა იცოდა, რომ სამების ახალგაზრდულ ცენტრში მის საპატივცემულოდ საღამო იმართებოდა. შიო მღვიმელის ქალიშვილი ამ ფაქტს ყველა თავის ახლობელს ახარებდა. სამების დარბაზში შეკრებილ თავყვანისმცემლებს მწერლის გაბრწყინებული სახე თვალწინ ედგათ.

ხმაურიან ტაშსა და ოვაციებზე მეტყველი გულმოდგინე სიჩუმე ჩამოდგა, როცა გეშინია, გამომსვლელების არც ერთი სიტყვა არ გამოგრჩეს, სიტყვა, რომელსაც „თბილი პურის“ მარადისობა გადასდებია!



შიო მღვიმელის ქალიშვილი — პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, საბავშვო პოეტი ქეთევან ქუჩუკაშვილი

ლალი შუკაკიძე

ქართული ლექსის კვლევის ნიგნი-მატიანე

2011 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობამ გამოსცა „ქართული ლექსმცოდნეობის ისტორია“, რომელიც ავტორმა, თამარ ბარბაქაძემ, პროფესორ აპაპი ხინტიბიძის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

ნაშრომის რედაქტორია ირმა რატიანი, ხოლო რეცენზენტები: ლევან ბრეგვაძე და თეიმურაზ ღოთიაშვილი.

საკითხავია, ალბათ, რისთვისაა განკუთვნილი ეს არცთუ მცირე მოცულობის ნაშრომი? ავტორი ასე განმარტავს: „ნიგნის მიზანია XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით, ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე პრესაში გამოქვეყნებული წერილების თემატურად დაჯგუფება და გაანალიზება ლექსმცოდნეობის თანამედროვე პოზიციებიდან“.

ეს — ზოგადად, კონკრეტულად კი შესავალშივეა ახსნილი, რომ ნიგნი ნაჩვენებია ქართული ლექსმცოდნეობის განვითარების ეტაპები მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ და წერიდან (1731 წ.) 2010 წლამდე.

ვისაც ლექსის, კერძოდ ქართული ლექსის სტრუქტურის შესწავლა დასჭირვებია, კარგად მოეხსენება, თუ მეცნიერების რა რთული დარგია ლექსმცოდნეობა. მართალია, ქართული პოეზიის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის, მაგრამ ლექსის სტრუქტურული კვლევა მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო.

თუ ამ ახალი სახელმძღვანელოს სარჩევში ჩამოთვლილი თავების სათაურებს დააკვირდებით, მიხვდებით, რამდენი გულისხმიერი, რუდუნებითი შრომა დასჭირდებოდა მასალის მოპოვებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ გაანალიზებაზე. მაგ: (მხოლოდ I ნაკვეთი) თავი I — ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები XIX საუკუნის 30-70-იანი წლების პრესაში, თავი II — ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები XIX საუკუნის 80-90-იანი წლების პრესაში, თავი III — ლექსმცოდნეობის საკითხები „ივერიაში“, თავი IV — ლექსმცოდნეობის საკითხები XX საუკუნის 10-20-იანი წლების პერიოდიკაში

1. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსწყობის საკითხები,
2. დისკუსია რითმის თაობაზე,
3. სონეტის კვლევის ისტორიისათვის საქართველოში,
4. ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევარი.

სიტყვა „გულისხმიერება“ შემთხვევით არ მიხსენებია. აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორი არაა მხოლოდ მკვლევარი, არამედ ის მეცნიერია, რომელსაც გულისგულიდან ძალდაუტანებლად ამოსდის სიყვარული ქართული ლექსისა.

მართალია, მაკა ჯობაძე ერთ წერილში წერს: „ხელოვნების ნიმუში უნდა იგრძნოს, უნდა გადაგედოს, მორჩა და გათავდა... ეს საკმარისია... ძალიან ხშირად ამ გრძნობას აზიანებს ახლოთ განჩხრკა, რყვნის და აკნინებს ისე, როგორც ცრემლის სინძინდეს მისი ქიმიური ანალიზი...“ ჩვენ აქ ვიზიარებთ მწერლის პოზიციას ხელოვნების შედევრის ზემოქმედებასთან დაკავშირებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ პოეზიას ცოდნაც

სჭირდება, ხაზს ვუსვამთ, ცოდნაც (რადგან უმთავრესი პოეტური შთაგონებაა!). ვისაც საქმე ჰქონია პოეტთა ხელნაწერებთან, იცის, რომ, ერთი შეხედვით, ჰარმონიული პოეტური მიგნება უდიდესი ფიქრის, განსჯისა და ტექსტის ცვლილებათა შედეგია. ასე იცვლებოდა და იხვეწებოდა: ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონისა და სხვათა ლექსები. მაშასადამე, ეს გენიოსები უარს არ ამბობდნენ „ახლოთ განჩხრეკაზე“, ლექსის „ქიმიური ანალიზისთვის“ ლექსის „ქიმიურ ელემენტთა“ ცოდნაზე. რადგან ქართველი პოეტები უპირველესად იმით აღწევდნენ წარმატებას, რომ კარგად იცოდნენ ლექსის სტრუქტურა და ქართული ლექსის ტრადიციულ ფესვებზე ამყარდნენ მისთვის მისაღებ ცვლილებებს. ვიმეორებ, მისაღებ ცვლილებებს. ახლა ბევრს სურს, პოეზიაში რევოლუციონერად მოგვაჩვენოს თავი. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ბევრი თანამედროვე შემოქმედი კარგად, ძირფესვიანად არ იცნობს ლექსის განვითარების ეტაპებს, მის სტრუქტურას, თავს აჯერებს, რომ მისი ქმნილება სრულყოფილია. თუნდაც ის, რომ კლასიკური სონეტის სტრუქტურის უცოდინარობის გამო, სონეტს არქმევენ გაურკვეველი ფორმის ლექსს. მასატიკოს პატივცემულმა მკითხველმა, რომ მაგალითებს არ მოვიყვან, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ფაქტი ყველასთვის ცნობილია. ეს სანუხარია, მაგრამ თითოეულ ასეთ პოეტში პოეტური იმპულსი ადრებით შედეგს ადრე თუ გვიან გამოიღებს.

ამ გადასახედიდანაც თამარ ბარბაქაძის ახალი ნაშრომი „ქართული ლექსმცოდნეობის ისტორია“ მნიშვნელოვანია, რადგან ავტორმა არა მხოლოდ სკრუპულოზურად მიმოიხილა XIX-XXI საუკუნის პრესაში გამოქვეყნებული სტატიები ლექსმცოდნეობის საკითხებთან დაკავშირებით, არამედ ღირსეული პატივი მიაგო და უკვდავყო ყველა ის მკვლევარი, ვისაც კი მცირეოდენი წვლილიც მიუძღოდა ამ საქმეში. სახელმძღვანელოს დასაწყისსა და დასასრულს ამშვენებს მათი, ავტორის მიერ მოძიებული პორტრეტები: მამუკა ბარათაშვილი, იოანე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ბარი ბროსე...

I თავი იწყება სოლომონ დოდაშვილის წერილზე „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“ საუბრით, მაგრამ ავტორი არ სჯერდება მხოლოდ ჟურნალ „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათაწის“ მოხმობას და იმონებებს ყველა იმ პერიოდულ გამოცემას, რომელშიც კი ეს წერილი დაბეჭდილია (გაზ. „Тифлисские ведомости“, ჟურნ. „Московские ведомости“).

XIX საუკუნის 30-50-იანი წლების პრესის მიმოხილვისას, ავტორს გამოაქვს საინტერესო დასკვნა: „მთი უფრო საყურადღებოა ის პირველი სალიტერატურო წერილები, რომლებიც XIX საუკუნის I ნახევარში დროდადრო იბეჭდებოდა, წინ უძღოდა და ერთგვარად ამზადებდა ნიადაგს XIX საუკუნის 60-70-იანი წლებისთვის“.

ავტორი იქვე იმონებებს ილია ჭავჭავაძის სადებიუტო წერილს: „ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ და ხაზს უსვამს ცნობილი სამოციანელის შეხედულებას ჩახრუხადის შესახებ: „მისი თამარის ქება მთელი მოთხრობის ოდენაა... რა ვაი-ვაგლახით და კისრის-მტერევით მოგოგამს დაეარდნილ ცხენსავით მისი ოცმარცვლოვანი, ტყვიასავით მძიმე ლექსები“.

მკვლევარი იქვე იმონებებს ილია ჭავჭავაძის წერილზე „მამათა“ ბანაკიდან ს. ალექსი-მესხიევისა და გიორგი ბარათოვის უკმაყოფილო გამოსხაურებას. ამ საპირისპირო პოზიციების ჩვენებასაც არ სჯერდება და გვთავაზობს ნაწყვეტს ლ. არდაზიანის შემრიგებლური შინაარსის წერილიდან ამ ორ

დაპირისპირებულ პოზიციებს შორის. ამით კი მკითხველს თვალწინ გადაუშლის იმდროინდელ რეალობას.

თამარ ბარბაქაძე მიმოიხილავს რა პერიოდში გამოქვეყნებულ წერილებს, თითოეული მონაკვეთის ბოლოს ერთგვარად აჯამებს იმ თავს, აანალიზებს და ასკვნის, თუ რომელ დროს კონკრეტულად ლექსის კვლევის რომელი თვალსაზრისის განხილვაა აქცენტირებული. მაგ: II თავის ბოლოს ასკვნის: „XIX საუკუნის 80-იან წლებში იზოსილაბიზმი ქართული ლექსის აუცილებელ თვისებად ესახებოდათ“. თუ ამავე თავს ყურადღებით გაეცნობით, ნახავთ, რომ ავტორი არა მხოლოდ იმონებს მაშინდელ მკვლევართა მნიშვნელოვან მოსაზრებებს, არამედ გვთავაზობს საზოგადოების მხრიდან რეზონანსსაც.

ჩვენში ბევრი დღესაც კრიტიკის არარსებობას ჩივის. თუ ამ წიგნს წავიკითხავთ, მივხვდებით, რომ მკვლევართა სიმცირეს კი არ უნდა ვუჩიოდეთ, არამედ ჩვენს გულგრილობას, რომ აქამდე მათთვის ჯეროვანი ადგილი არ მივგიჩენია. ამ გადასახედიდან ეს სახელმძღვანელო დიდებულია!

თავში „ვეფხისტყაოსნის“ ლექსწყობის საკითხები“ მკვლევარი ერთ საინტერესო ფაქტს იმონებს: „(კოტე დოდაშვილი) გადმოგვცემს მოხსენების... დებულებას: „რომ „ვეფხისტყაოსნის“ ისე კითხულობდნენ თურმე წარსულში, როგორც სხვა პოეტურ თხზულებას — მუსიკით, რომელიც მესტიერული ყოფილა... ამ დებულების საბუთად კოტე დოდაშვილს ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ არსებობის ფაქტი დაუსახელებია, რომელსაც იმ დროს მესტიერები მღეროდნენ.“

თავისი ნათქვამის ნათელსაყოფად ლექტორს ფისპარმონიაზე დაუკრავს მესტიერული მელოდია და დაუმღერებია „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები“.

ასე, ცოცხალი მაგალითების დამონებით გვიცოცხლებს ავტორი იმ ეპოქას, მის საინტერესო მიკვლევებს.

I ნაკვეთის მეოთხე თავის მეორე წერილი: „დისკუსია რითმის თაობაზე“ ასე იწყება: „ქართულმა რითმამ თავისი არსებობის მანძილზე რამდენჯერმე განიცადა თვისებრივი ცვლილება“, და სიღრმისეულად აანალიზებს ამ „სიღრმისეულ ცვლილებებს“, მიმოიხილავს გრიგოლ რობაქიძის წერილებს ქართული ლექსწყობის შესახებ, იმონებს მწერლის პოზიციას რიტმისა და რითმის ერთობაზე: „რიტმი არის ლექსის შინაგანი აღნაგობა, რითმა კი ლექსის სამკაული“.

ხაზს უსვამს ასონანსური რითმის „არაიდენტური (არაზუსტი)“, ნაკლები რითმის ერთ-ერთი სახეობის, „რომლის კლაუზულის ხმოვნები ერთნაირია, ხოლო თანხმოვნები — სხვადასხვანაირი (განერელია. 1981)“, მიმოიხილავს პრესაში. იმონებს ვალერიან გაფრინდაშვილის წერილს: „რითმა და ასონანსი“. ნაწყვეტის მოტანასთან ერთად, მიმოიხილავს ყველა იმ მკვლევარს, რომელსაც კი გაუმახვილებია ყურადღება ასონანსურ რითმაზე. ამავე თავში იმონებს სერგი გორგაძის მნიშვნელოვან კვლევას ბარათაშვილის ლექსისა: „ბარათაშვილის ლექსის პოპულარობის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მის გარეგნულ სილამაზესა და რითმათა სიახლეში, არამედ თვით ლექსის მდიდარ შინაგან სამყაროში“.

ამ მიმოიხილვით თამარ ბარბაქაძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების კრიტიკასა და



ლიტმცოდნეობას არ გამოჰპარვია ქართული ლექსის განახლების პროცესი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეთავია „სონეტის კვლევის ისტორიისათვის საქართველოში“. საზოგადოებისთვის ცნობილია თამარ ბარბაქაძის წვლილი სონეტის კვლევის საქმეში, იგულისხმება მისი ნიგნი „სონეტი საქართველოში“ („უნივერსალი“, 2008). ამდენად, ეს თავი ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. საინტერესოა მკვლევარის შემდეგი მოსაზრება: „ჩვენი აზრით, გ. ერისთავის ლექსები „ და „ე“... სონეტებად უნდა ჩაითვალოს. ხოლო თუ ეს ასეა, ქართულ პოეზიაში პირველი ორიგინალური სონეტი XIX საუკუნის 40-იან წლებში გამოჩენილა“.

კვლევა იმდენად საინტერესოა, რომ მინდა ვრცლად შემოგთავაზოთ:

„კლასიკური, რენესანსული სონეტი გამომხატველი იყო პოეზიის „აპოლონური სახისა“ — სამყაროში არსებული ღვთაებრივი წესრიგი და სინათლე სონეტის დახვეწილ, გარეგნულად მშვენიერ ფორმაში აირეკლებოდა. თავისუფლება გაგებულა, როგორც სწორედ „გაცნობიერებული, შეფხვებული აუცილებლობა“...“

სიმბოლისტურ პოეზიაში სონეტის კანონიკური ნიშნების დარღვევას საგანგებო მნიშვნელობა მიანიჭეს. სონეტი ფრანგ სიმბოლისტთა შემოქმედებაში თვითონ ასრულებს „სიმბოლოს“ როლს. ეს მყარი ფორმა პოეტის მიერ გააზრებულია, როგორც ნიღაბი ცხოვრებისეული, ყალბი წესრიგისა...“

ამის შემდეგ მიმოიხილულია სონეტის სხვადასხვა სახე (კოჭი სონეტი...).

მნიშვნელოვანია ქართული ვერლიბრის კვლევის მიმოხილვა, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის საკითხები ზედმინებით, თარგმანთა საზომების გააზრებით არის დამუშავებული (ნაკვეთი მეორე, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსწყობისა და მისი თარგმანის საკითხები). მეორე ნაკვეთის V თავში — ახალი და უახლესი ლექსწყობის საკითხებში მკვლევარი მიმოიხილავს აკაკი გაწერელიას წერილებს ბარათაშვილისა და გალაკტიანის ლექსწყობის საკითხებზე და ასკვნის, რომ: „XX საუკუნის 30-40-იანი წლების პრესაში ქართული ლექსმცოდნეობის პრობლემებისადმი მიძვირლ წერილთა შინაარსი მრავალფეროვანია: ითვალისწინებს როგორც წარსულის მემკვიდრეობის შეფასებას ვერსიფიკაციის კვლევის სფეროში, აგრეთვე, მიმდინარე პოეტური სიახლეების შემჩნევა-გაანალიზებას“.

ფრიად საინტერესოა და გადამუშავებული, პერიოდიკაზე დაყრდნობით, ქართული ლექსის სილაბურობა თუ სილაბურ-ტონურობა (ქართული ლექსის აქცენტუაციისა და ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიის საკითხები).

ნაშრომის სხვა თავების მიმოხილვას ამჯერად თავს ავაზრდებთ. გვინდა ხაზი გავუსვათ ნიგნის სხვა ღირსებებსაც: დაერთვის საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავს ყველა იმ ავტორსა და პერიოდულ გამოცემას (ანბანურ რიგზე), რომელიც გამოადგება ამ საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

დაერთვის მოკლე ანოტაცია ინგლისურ ენაზე. სკრუპულოზურადაა მოცემული ტერმინთა საძიებლები, პირთა საძიებლები.

ეს სახელმძღვანელო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განაცხადია ბოლო დროის ქართულ ლექსმცოდნეობაში.

ანა გელაშვილი

არშის ციხე და მისი მცირე ეკლესია

ხევის სტრატეგიულ-თავდაცვით ნაგებობათაგან თავისი მდებარეობით, მასშტაბურობითა და წარსულით გამორჩეულია **არშის ციხე**. ის ხევის ყველაზე დიდი ციხეა, რომელიც მდინარე **თერგის** ხეობაში კლდოვან, შემალეულ ადგილას დგას. თავისი ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით დიდ მანძილზე გაჰყურებდა თერგისა და სნოს ხეობებს. **ვახუშტი ბატონიშვილი** აღწერს: „ციხე არშია, თვინიერ ხელთა კაცთაგან ქმნილი, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილ კლდითა და შეუვალი კაცთა“.



ფოტოგრაფიული ავტორისა

სოფელ არშიდან ქვიანი ბილიკი პატარა მდინარის — **ჩხატისწყლის** მარჯვენა, მის ფერდს აუყვება, ხოლო ბილიკს მიყვართ ბაქანზე. შემოვუვლით რა გამოშვერილ კლდე, ვინრო ბილიკით მივადგებით კარის ზღუდეს. ეს ციხის შესავალია. არცთუ შორეულ წარსულში აქ იყო ვერცხლით ამოკვეთილი ხუცურწარწერიანი რკინის ჯოხი. ეს ჯოხი, ხალხური გადმოცემით, არშელ **ღურმა ბაზელს** განჯიდან წამოუღია. **განჯის** ასაღებად გამართულ ბრძოლაში ღურმას განსაკუთრებულად გამოუჩენია თავი.

არშას ბაზელი ღურმაი, ვეფხი კლანჭებზედ დგებოა, განჯას შაგლიჯა კლიტენი. ჩემს არშას მაუხხდებაო.

არშის ციხის აშენების დრო უცნობია, ისტორიულ წყაროებში ციხე პირველად 1625 წელს იხსენიება, რაც დეკავ-პირებულია **გიორგი სააკაძის** მეთაურობით **შაჰ-აბასის** წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებასთან, რომლის დროსაც **დიდმა მოურავმა** თავისი მოსისხლე **ანდუყაფარ ამილახვარი** მეუღლესთან ერთად **არშის ციხეში** გამომწყვდია.

XII საუკუნის პირველი ნახევრიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე ციხეს **არავგის ერისთავები** ფლობდნენ. ამ დროს მას **ხევის ციხე** და **ც** მოიხსენიებდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში ციხე ჯერ კიდევ მოქმედი იყო. **არშის ციხე** განსაკუთრებულ მნიშვნელობას ლეკთა თარეშისას

იძენდა — თვეობით იდგა მათი ლაშქარი ციხის მიდამოებთან, მაგრამ მტერს ციხე არასოდეს აუღია.

არშის ციხე ნატეხი ქვითაა ნაშენი, მას გალავანი არ სჭირდებოდა, კლდეებითაა შემოზღუდული, ადგილ-ადგილ ნატეხი ქვითაა ამოყვანილი სქელი კედლები, სადაც სათოფურები დაუტანიათ.

ციხის სივრცეში, სამხრეთით IX-X საუკუნეებით დათარიღებული პატარა ეკლესია დგას. ნაგებობა დაზიანებულია — ჩამონგრეული აქვს სახურავი და კედლების ზედა ნაწილი. ნაგებია თლილი ქვის მოგრძო კვადრებით. საკმაოდ მასიური კედლები მშრალი წყობითაა ამოყვანილი. ქვები ფასადების მხარეს შედარებით უკეთაა დამუშავებული. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. ჩრდილოეთიდანვე ეკვროდა მომცრო მინაშენი, რომელიც მთლიანად დანგრეულია. ეკლესია უაფსიდაო — აღმოსავლეთით სწორი კედლით სრულდება, რაც **ხევის** ტერიტორიაზე არსებულ ამ ტიპის ეკლესიებისთვის დამახასიათებელია. სწორკუთხა საკურთხეველი დარბაზისაგან არაა გამოყოფილი.

დარბაზის შუაში ოთხნახნაგა ქვასვეტია შემორჩენილი, რომელიც წრიული ფორმის კვარცხლბეკზე დგას. იგი მხატვრულად დამუშავებულია — კუთხეებში ლილვები, ხოლო სვეტის მაღალ კაპიტელზე ნაღისებრი კბილანება გამოსახული. სვეტი, სავარაუდოდ, სრულდებოდა ქვისავე ჯვრით (ჯვრის დეტალები იქვეა).

ეს ქვასვეტი ან მემორიალური სტელაა, ან საკურთხევის წინამდებარე ჯვარი. მაგალითისთვის: ამგვარი ჯვრები გვხვდება **მცხეთის ჯვარსა და ლომისის ეკლესიაში**, ძირითადად ადრექრისტიანულ ტაძრებში.

1972 წელს ეკლესიის მახლობლად ფინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გაითხარა ორი აკლდამა, სადაც აღმოჩნდა მიცვალებულთა ნაშთები და მინის ორი მძივი.

ციხის ტერიტორიაზე დგას სალოცავი, ფიქალის ქვით ნაგები **წმინდა გიორგის ნიში**, სადაც ღრმა ნიშაში დაცულია ვერცხლით შემოსილი ჯვარი (54x42სმ). ადგილობრივები მას **წმინდა გიორგის ჯვარს** უწოდებენ. ჯვრის ზედა ნაწილზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული **წმინდა გიორგი**, რომელიც იმპერატორ **დიოკლეთიანეს** სახით ბოროტს ამარცხებს. ჯვრის შუა ნაწილზე, წრეში, მშვილდებით ხელში გამოსახულნი არიან **მთავარანგელოზები**. ხატის გვერდით საზარეა, სადაც დიდი ზარია დაკიდებული. ზარზე ნაწილობრივ შემორჩენილ ასომთავრულ წარწერაში იხსენიება ვინმე კათოლიკოსი. შემდეგი ნაწილი ნაწერისა არ იკითხება — დაზიანებულია. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ნანგრევთა სახით შემორჩენილა. სადგომთა უმეტესობა ერთი ან ორი ოთახისაგან შედგება.

ბატონო როსტომ!

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“ მუშაობისას ბავშვებს ყოველთვის ვთავაზობ ნასაკითხად თქვენს წერილს „კანონის წინაშე (აშოტ კურაპალატი)“, რომელიც საკმაოდ შთაბეჭედავ ემოციას იწვევს მათში. სწორედ ამ წერილის შთაბეჭდილების გამოძახილია ეს მცირე ჩანახატიც — მერეს მონასტრიდან არტანუჯისკენ მიმავალი აშოტ კურაპალატის ფიქრები.

თეარ ბერიაშვილი
წნორი

მეფე და მიჯნური

(აშოტ კურაპალატის ფიქრები)

... — ნეტარ მას კაცსა, ვინ არლარა ცოცხალ არს!.. — სწრაფად წამოდგა და გავიდა. სთხოვდა დედა ფებრონი და რჩენას, მაგრამ რა გული გაუძლებდა?! გაჭენებულ შავ ცხენს მინდობოდა და სახეზე მიხლილი ქარი თითქოს უფრო აღვივებდა მის გულში აღბორებულ ხანძარს...

— რატომ არა გვაქვს, ღმერთო, ჩვენ, ხელისუფალთ, უფლება სიყვარულის? მწველი და საამო, ქარის ქროლვასავით უტყვად მოუბარი გრძნობა როგორ დაევძლიოთ შენმა რჩეულებმა? რატომ გავგიმეტე სატანჯველად, თუკი გიყვარდით? რაში გვარგია ციხე-კოშკები, მამულები და ხალხის მორჩილება? რა მოაქვს ყოველივე ამას ჩვენთვის? მდიდრულ ცხოვრებაში რა სიამეა, თუკი გულის საყდარი დაქცეულია? რატომ? რატომ წამართვი ჩემი მზე, ღმერთო? იქნებ ეს ეჭვიანობას უდრიდა შენგან, უფალო? იქნებ იფიქრე, შენზე მეტად განვადიდებდი? თითქოს ჰაერი გამომლეოდეს... განა არ ვიცი, იქ იყო... განა ვერ ვიპოვიდი, ვერ გამოვიტაცებდი, თუკი ვისურვებდი?! ახლა ხომ ხედავ, შენ რომ გადიდებ ყველაზე მეტად! ახლა ხომ აღარ დამსჯი ახალი სასჯელით, უფალო? მაინც რა შეგცოდევ ასეთი? თუკი ეს ბრმა და ყრუ სიყვარულია, რატომ დროზე არ დამიცავი მისგან, რატომ დროზე არ ამიხილე თვალი, ჩემო უფალო? მაპატიე, ღმერთო, გცოდავ, განა არ ვიცი, მაგრამ... ისეთი ლამაზი, ისეთი დამყოლი... სათნო და კეთილი... როგორ იქნება, ეშმაკისგან იყოს ასეთი სინატიფე? მისი სალუქი კანი, აბრეშუმის თმა... რა უნდოდა მასთან ეშმაკს, უფალო? ან მე რას მერჩოდა? უნდოდა, შენი მახვილი გადაემტვრია? რაღა მე ამირჩიე, სატანავ, შენი ძალების გამოსაცდელად?

სადა ხარ, მზეო ჩემო, რას ფიქრობ ახლა ნეტავ? იქნებ გგონია, საკმარისად

არ მიყვარდი? ჩემო ტკივილო!.. ნუთუ ვეღარასდროს ვიხილავ ნუშისებრ, მეტყველ თვალებს?.. თვალებს, სანთლებივით რომ ენთებოდნენ ღამის წყვდიადში, როცა შენზე ფიქრი შემოიჭრებოდა სულში... როგორ ვისუნთქო უშენოდ? მტკივან გულს შენი ხმა თუ არ დაედო სალბუნად, რაღა განკურნავს?! სადა ხარ, სინათლე?.. რატომ აღარ მინათებ? მამა გრიგოლს რომ გაჰყევი ისევე



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

მორჩილად, როგორც მე — დაუყოვნებლად, ხელგამონვდილი, პირნათელი... არ შეგებრალე? ვერ გაიხსენე ჩემი სახე, შემომგედრები? შენს სარეცელზე დახრილი და შენით აღვსილი?.. იქნებ, უბრალოდ, შენ ჩემზე ძლიერი აღმოჩნდი? იქნებ ღმრთისადმი საყვედურიც არ დაგცდენია?

მიაპობდა მეფის ცხენი ჰაერს, უანგარიშოდ, უფიქრელად მიჰქროდა მეფე მრავალჯერ გათელილ გზაზე. ველარ ენეოდნენ მსახურები და გაჰყურებდნენ სინანულით. ერთ-ერთმა სცადა დასწეოდა მეფეს და როცა აშოტმა მის თანამგრძნობ სახეს მოჰკრა თვალი, წამით გაუერთა ფიქრი და გულში გაივლო:

— არლარავ ნუგეშის ეცემის სულსა ტანჯულსა...

არტანუჯის ციხეც გამოჩნდა, თითქოს ისიც მწუხარე, პირქუშად გამომზირალი...

გვანცა ბაგიაშვილი
XI კლასის მოსწავლე

აუგუსტო როა ბასტოსი XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი ლათინოამერიკელი მწერალია. წარმოშობით პარაგვაელი, თავისი ხალხისა და ქვეყნის ისტორიაში ეძიებდა შთაგონების წყაროს. მთელი მისი შემოქმედება, „ძე კაცისას“ ერთ-ერთ პერსონაჟს თუ დავესხსებით, ეძღვნება „ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ მინა, და მინას — ადამიანების გარეშე“, ანუ პარაგვაელი ხალხის ტანჯულ ცხოვრებასა და ისტორიას, იმ ხალხისა, რომელიც გარიყა ოფიციალურმა ისტორიამ და მარგინალად აქცია. ამ ხალხს კი არა სურს იყოს მსხვერპლი და შეუპოვრად იბრძვის ფიზიკური და ზნეობრივი გადარჩენისათვის. სოლიდარობა და ერთიანობის განცდა აერთიანებს მათ და აკავშირებს ქვეყნის ისტორიას.

აუგუსტო როა ბასტოსი დაიბადა 1917 წელს ასუნსიონში. 14 წლისა მოხალისედ წავიდა დიდ ომში ბოლივიასთან. შემდეგ მოღვაწეობდა ჟურნალისტიკაში განაგრძო. 1947 წელს სამხედრო დიქტატურამ როა ბასტოსი ქვეყნიდან გააძევა და მან 30 წელი არგენტინაში იცხოვრა. თუმცა 1976 წელს, სამხედრო გადატრიალების შემდეგ, მოუწია არგენტინის დატოვება. იგი საფრანგეთში გადასახლდა და მოღვაწეობდა ტულუზის უნივერსიტეტში განაგრძო. 1989 წელს მიენიჭა სერვანტესის პრემია.

საქვეყნო აღიარება როა ბასტოსს მოუტანა ტრილოგიამ, რომლის პირველი ნაწილიც „ძე კაცისას“ 1960 წელს გამოვიდა, მას მოჰყვა „ძე უზენაესი“ (1974) და „პროკურორი“ (1993). 1982 წელს კვლავ გამოიცა „ძე კაცისას“ გადამუშავებული ვერსია. გთავაზობთ ამ რომანის დასაწყის მონაკვეთს, რომელიც დამოუკიდებელ მოთხრობასავით იკითხება და სრულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს „ძე კაცისას“ მხატვრულ შთამბეჭდაობაზე.

აუგუსტო როა ბასტოსი

ხის ჯვარცმა

1.

გაძვალტყავებული, წელში მოხრილი, მოკუზული დაბორილობდა შუადღის პაპანაქებაში ჩრდილოეთის ქარით დათუთქულ სოფელში. მას შემდეგ ბევრმა წელმა განვლო, მაგრამ ეს კარგად მახსოვს. მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე მოსახვევიდან ან ჩრდილიდან, იქვე ბოძს დაეყრდნობოდა და ჩამონგრეულ კედელზე გაჩენილ ლაქას დაემსგავსებოდა. მაგრამ მცხუნვარე მზე მალევე მოსწყვეტდა იმ ადგილს და ისიც ლასლასით გაუყვებოდა გზას. ხელში ბამბუკის ჯოხი ეჭირა, ლიბრმოდებული თვალები ჩაქრობოდა, ჩონჩხადქცეულს კონკეები ემოსა. პატარა ბიჭის სიმაღლისა იყო.

— ჰეი, *guá*, მაკარიო!

ხის ბზრიალას იქვე თხრილში დავაგდებდით და იმ გამომხმარ ჩაჩანაკს, დიქტატორ ფრანსისას მონის შვილს, მარადიული წარსულის ჩრდილივით რომ ამოიზრდებოდა ხოლმე ჩვენ თვალწინ, მივაშტერდებოდით.

ზოგიერთი ბიჭი კიდევ გაეკიდებოდა, მისი გაჯავრება უნდოდა. ის კი გამხდარ თათებზე აწონილი ზანტად მიიწევდა წინ და ყურსაც არავის უგდებდა.

— ჰეი, *gua*, მაკარიო, ნისკარტა ბებერო, *pitogüé!*

ტყუბი ძმები გოიბურუები მაშინვე დაედევნებოდნენ და მუჭით მინას მიაყრიდნენ. პატარა სხეული წამით ჩაქრებოდა.

— ნაბიჭვარო, მახინჯო... მახინჯო!

— *karai tuya coli... guilili!*

ჟივილ-ხივილი და ქილიკი ახლოსაც არ ეკარებოდა. აცანცახებული და დაჩაივებული კაშკაშა შუქში გაითქვიფებოდა და გზისპირა ჩრდილში, სამოთხედ რომ გვესახებოდა, ჩაიკარგებოდა.

იმხანად სოფელი იტაპე სულ სხვა გახლდათ, ვიდრე დღესაა. მისი აშენება სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შორეულ ლიმაში მყოფმა მეფისნაცვალმა ბრძანა. იმ დროიდან მოყოლებული არსებობს ეს მიყრუებული სოფელი წითელმინა გუაირას შუაგულში.

სოფლის ასაშენებლად ადგილს რომ არჩევდა, ავადმყოფი მეფისნაცვალი, ალბათ, უცნობ და ცარიელ უსასრულობაში მხოლოდ თითის დადებით შემოიფარგლა და სულაც


არ უფიქრია იმ ტკივილსა და დაღვრილ ოფლზე, ახლის დაბადებას რომ სდევს ხოლმე. ასე ხდებოდა მუდამ, როცა საქმე ეხებოდა ხელქვეითთათვის მიწის განაწილებადარიგებას, ანდა იმ მეთაურების დაჯილდოებას, ადგილობრივთა ხოცვა-ჟლეტით რომ ისახელეს თავი.

იმ პირველყოფილი სოფლიდან ქვის ორიოდ ქოხი და ეკლესიის გალავანიდა შემორჩენილიყო. ჩამონგრეულ კედლებს ველური გვიმრა და სურო ფარავდა. იქვე ხავსისგან გამწვანებულ ბოძკინტსაც დაინახავდით. პატარა მოედანზე, ხის სამრეკლოს გვერდით ქოქოსის პალმებს მწველი მზისგან ფოთლები შეტრუსოდათ და ისე სმაურობდნენ, რომ მოწყურებული მტრეების ლულუნი გეგონებოდათ.

მერე იქ ვილია ენკარნასიონისაკენ მიმავალი რკინიგზა გადაიჭიმა. იტაპელები მშენებელთა ბრიგადებში ეწერებოდნენ, ბევრმა იქვე, კებარას ხისგან გამოთლილ შპალებქვემ დალია სული. შპალები კი ხისა იყო, მაგრამ ნიჩაბს რომ დაარტყამდი, ისეთ ხმას გამოსცემდა, გადასადნობი ჯართი გეგონებოდა.

რკინიგზამ სოფელი გამოაცოცხლა. მიწის ბაქანიც კი სუნთქავდა, როდესაც ფეხშიშველა გლეხები დააბიჯებდნენ. მატარებელი კვირაში ერთხელ ჩამოდგებოდა ხოლმე და მაშინ დაადგებოდათ ჯაფა დაძინილ, სპილენძისფერყვრიმალებიან წვრილ მოვაჭრეებსა და ტკბილი წყლის გამყიდველებს. აქ ყველა და ყველაფერი მონითალო მტვრით დაფარულიყო.

ახლა მატარებლები აქ უფრო ხშირად დადიან. სადგურიც ახალია და ბაქანიც ქვისაა, თუმცა ძველებურად წითლად შეფერილი. გზას რომ ჩაჰყვებით, იქვე, სოფელთან ახლოს, მდინარის პირას შაქრის ქარხანაა. სადგურის წინ კი დუქნები და თურქების მაღაზიები ჩამწყრივებულა. თვალები აგიჭრელდებათ მათ ჩაუქმრალ კირით განზანილ კედლებს რომ შეხედავთ. ახალი ეკლესია ძველის ნანგრევებზეა



აგებული. ქოქოსის პალმისგან გამოთლილი შანდლები ერთიანად გაანადგურეს, სამრეკლოც ზედ მიაყოლეს. სამაგიეროდ, შემალღებულ ადგილას მოაწყვეს სალოცავი და ქვაფენილიც დააგეს, რათა მათი მფარველი წმინდა კლარას დღეს იქ მრევლი ასულიყო და წირვას დასწრებოდა.

ახლა აქ ხმაური და მოძრაობაა, მაშინ კი მხოლოდ ის იყო: ბორხასა და ვილიარკასკენ მიმავალი დაკლაკნილი და მტვრიანი გზა, ალაგ-ალაგ დასახლებებით დაყოფილი, და უსასრულო სტეპში მოლივლივე მარადიული ოთხთვალა.

კიდევ ერთი რამ შემორჩა იმ დროიდან.

სოფლიდან ნახევარი ლეგუის მანძილზე იტაპეს მთაა აღმართული. მის ძირში გამავალ გზას კი მთიდან წამოსული ნაკადული კვეთს. დღის გარკვეულ მონაკვეთში მზის სხივებქვეშ მთა თითქოს ხან იბერება და ხან იჩუტება, მის წვერზე კი, ლითონივით გავარვარებულ ცაში ქრისტეს ქოხი იკვეთება.

იტაპელები თავისებურად ასრულებდნენ საეკლესიო რიტუალებს. ეს ერთგვარი ტრადიცია იყო, რაც არც თუ ისე შორეულ წარსულში განვითარებული მოვლენებიდან აღმოცენდა და მალე ლეგენდად იქცა.

მთის წვერზე შავ ჯვარზე გაკრული ქრისტე აღემართათ. მას ინდიელთა ქოხის მაგვარი მოწნული როტონდა იცავდა უამინდობისგან. იტაპელები არ იცავდნენ რიტუალების თანმიმდევრობას. „შვიდი სიტყვის“ ქადაგებას პირდაპირ გარდამოსხნა მოსდევდა. მთრთოლვარე, დანაოჭებული ხელები ჯვარცმულისკენ მიინევდნენ, რაღაც გამწარებული მოუთმენლობით, უხეშად აცლიდნენ ლურსმნებს, რის შემდეგაც ქანდაკებას ზურგზე მოიკიდებდნენ და დაღმართზე დაეშვებოდნენ, თან ხმის ჩახლენამდე გაჰკიდებდნენ საგალობლებსა და სავედრებებს. ასე გაივლიდნენ გზას ეკლესიამდე, მაგრამ ქრისტე ეკლესიაში არასოდეს შეჰქონდათ. მას სულ ცოტა ხნით ტოვებდნენ ატრიუმში, ვიდრე გალობა გაძლიერდებოდა და გამძვინვარებულ, გამომწვევ ყვირილში გადაიზრდებოდა. მერე საიდანაც საკაცე გაჩნდებოდა და ბრბოს თავზე გადაუვლიდა. ქრისტეს ზედ დაასვენებდნენ, მხრებზე შემოიდებდნენ და პროცესია უკან ბრუნდებოდა, ხოლო ქონის სანთლებით ანთებული მხრჩოლავი ჩირალდებისა და ფარნების შუქზე კამკამებდა მიცვალებული, ფერმკრთალი ქრისტე.

ეს მკაცრი, პრიმიტიული, მაგრამ ბუნტარული რიტუალი იყო, დადუღებული კოლექტიური ამბოხის უარყოფაზე. თითქოს ყველას სული ბოხოქრობდა მსხვერპლის სისხლის სუნზე და ლალდისში ფეთქდებოდა. და ვერ გაარკვევდით, იყო ეს მწუხარება, იმედი თუ სინანული ვნების პარასკევის მეცხრე საათს.

ყოველივე ამან იტაპელებს ფანატიკოსთა და ერეტიკოსთა სახელი დაგვიმკვიდრა.

ხალხი კი წლიდან წლამდე, ისევ და ისევ ადიოდა მთაზე, რათა გარდამოეხსნა ქრისტე და გაეტარებინა სოფელში არა როგორც ღმერთი, რომელმაც თავი გასწირა ადამიანებისათვის, არამედ როგორც მსხვერპლი, რომლის გამოც შური უნდა ეძიათ.

ალბათ, რელიგიური მისტერია ბოლომდე ვერ ეტეოდა მათ შეზღუდულ გონებაში.

ქრისტე ან იყო ღმერთი, და ამ შემთხვევაში იგი ვერ მოკვდებოდა, ან იყო ადამიანი, და მაშინ მან სულ ტყუილუბრალოდ დაღვარა სისხლი, რადგან ვერც ვერავინ გამოსიყიდა და ყველაფერი მხოლოდ უარესობისაკენ შეტრიალდა.

ამის მიზეზი გორაკის ქრისტეს წარმოშობაში იდო, რამაც სოფელთა სულებში გააღვიძა უცნაური რწმენა მათსავით კონკებმოსილი, გამასხარავებული და დამცირებული მსხნელისა, რომელიც ქვეყნიერების დასაბამივე მკვდარი იყო. ეს შინაგანად ჩანაცვლებული რწმენა მარადიული ბუნტის მცდელობას ჰგავდა.

ვისი შენდობაც და გამართლებაც დანამდვილებით სურდათ იტაპელებს, ეს გასპარ მორა გახლდათ, ხელოსანი, რომელსაც კეთრი შეეყარა და მთებში გაიხიზნა რათა აღარასოდეს დაბრუნებულიყო სოფელში. თუმცა, მის სახელს, ჩუმი და უსიტყვო შეთქმულებივით, არასდროს ახსენებდნენ.

მე მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და მხოლოდ ნახევრად-მონმედ თუ გამოვდგები. ახლა კი, როდესაც ამ მოგონებებს ვწერ, ვგრძნობ, რომ ბავშვური უმნიკვლოება და გაცემა ადამიანურ ლალატში, დავინყებასა და ჩემს მრავალგზის სიკვდილშია არეული. მე არ ვაცოცხლებ ამ მოგონებებს; მე მათ ვინანიებ.

2.

ეს ამბავი ყველაზე კარგად სწორედ ბებერმა მაკარიომ იცოდა. ესეც და სხვა მრავალიც.

იმჟამად ყველანი როდი დავცინოდით მას. ზოგიერთები არა მინის მისაყრელად, არამედ ამბების მოსასმენად მივდევდით, იმ ამბებისა, რომელთაც განვლილი ცხოვრების გემო და სუნი ჰქონდათ. მაკარიო შესანიშნავი მთხრობელი იყო, ვიდრე საბოლოოდ დაჩაჩანაკებოდა. სოფლის ცოცხალმა მეხსიერებამ სოფლის მიღმა ამბებიც იცოდა. თვითონ იტაპეში არ დაბადებულა. ამბობდნენ, რომ იგი დიქტატორ ფრანსისას ბუში იყო. საეკლესიო დავთარშიც ამ გვარიონ იყო ჩაწერილი.

სავარაუდოდ, მაკარიო მარადიული დიქტატურის დამყარებიდან რამდენიმე წელიწადში დაიბადა. მამამისი, გათავისუფლებული მონა პილარი, უზენაესის კარზე მუშაობდა და მის გვარს ატარებდა, ისევე, როგორც უზენაესის მიერ ბევრი სხვა გათავისუფლებული მონა (ციხეებში კი პატრიციებს ალბობდა). ეს იმ ეპოქის სამგლოვიარო ფერი იყო. მონებს კი დალი ისე შესისხლბორცებოდათ, ლაქებიანი კანი გეგონებოდათ.

მაკარიოც ასეთი იყო. როცა მას ვუსმენდით, ჟრუანტეული გვივლიდა, და როცა დუმდა, მისი დუმილი ისეთივე მეტყველი იყო, როგორც სიტყვები. ის იდუმალი ხანა მაკარიოს პირიდან სახეში გვემხეფებოდა. მოხუცი გუარანიზე ლაპარაკობდა. ინდიელთა ენის რბილი კილო გარდასულ დროთა საშინელებაში გვაბრუნებდა, სისხლით ფერავდა ყველაფერს. ეს გამოძახილთა გამოძახილი, ჩრდილთა ჩრდილი, ანარეკლთა ანარეკლი, შეიძლება არც მთლად სიმართლე, მაგრამ მომწუსხველი იყო.

— ადამიანი, შვილებო, — გვეტყობდა ხოლმე, — მდინარესავითაა, უფსკრულიცა აქვს და ნაპირიც. იგი იბადება და უერთდება სხვა მდინარეებს. რამე ხეირი უნდა იყოს მისგან. ცუდი მდინარე კი ისაა, რომელიც ჭაობში კვდება.

მაკარიო წარსულის ტალღებზე ქანაობდა.

— კარაი გუასუმ (უზენაესმა — ე.ე.) ბრძანა დაენგრიათ მდიდართა სახლები და ამოქძირკვათ ხეები — გვიყვებოდა ხოლმე.

— ყველაფერი სურდა ენახა, ყოველწამიერად უნდა სცოდნოდა მამლუქებსა და არგენტინელებზე მიყიდული მო-

წინააღმდეგის მოძრაობა და ფიქრებიც კი. ისინი ხომ დღენი-ადაგ შეთქმულებებს უწყობდნენ. თხრიდნენ და თხრიდნენ ქაობებს ჩვენი ერის წასალეკად. და კარაი გუასუც დასდევდა და ანადგურებდა მათ. მინით ავსებდა თხრილებს...

მთლად ბოლომდე არ გვესმოდა მისი მონათხრობი, მაგრამ უზენაესის დიადი სახე ნათლად იკვეთებოდა ცასა და ღამეში და ურყევი ნებითა და ბედივით ყოვლისმომცველი ძალაუფლებით ფხიზლად დარაჯობდა ქვეყანას.

— როცა ეძინა, ცალი თვალი ღია ჰქონდა. ვერავინ მოატყუებდა...

ჩვენ უმაღლესი თვალწინ დაგვიდგებოდა ცოცხლად დამარხულებით გადაჭედული დილეგები. ის უზადრუკნი ძილშიაც კი ბორგავდნენ უზენაესის გამჭოლი და უძინარი მზერის ქვეშ. ჩვენც ვბორგავდით ამ კომმარში, რამაც, მიუხედავად ყველაფრისა, ვერ შეგვაზიზღა კარაი გუასუს ჩრდილი.

ვხედავდით როგორ დაჯირითობდა იგი საღამოობით უკაცრიელ ქუჩებში, კარაბინებითა და ხმლებით შეიარაღებულ პიკეტებს შორის. მის ქურანას ნითელი ხავერდის უნაგირი ედგა, ვერცხლის აბგითა და მოსართავებით. თავანუული, ალვირს ჩაჭიდებული მიაჭენებდა ცხენს და ბინდის სიჩუმეს ზვერადა. უზარმაზარი სამწვერა ქუდი სახეს უჩრდილავდა, ფერადსარჩულიან შავ მოსასხამში გახვეულს მხოლოდ თეთრი წინდები და ვერცხლის უზანგში გაყრილი ოქროსფერბალთიანი ლაქის ფესსაცმელები მოუჩანდა. ჩიტის ნისკარტივით წვეტიან პროფილს მოულოდნელად მოაბრუნებდა ხოლმე სამარესავით დახშულ კარ-ფანჯრებისაკენ და ჩვენც, ერთი საუკუნის შემდეგაც კი, მოხუცის ამ სიტყვებზე უკან ვიხევდით, რათა დავსხლტომოდით ნახშირით გაფარვარებულ თვალებს, რკინა-იარაღის ჟღარუნში ცხენის სიმაღლიდან რომ გვითვალთვალავდნენ.

უზარმაზარი სახლი თოფხანის მოედანზე. მოგვთა ღამე. უზენაესის დაბადების დღეა. გალერეის ბინდს აურაცხელი სანთლის ციმციმი ანათებს. ლურჯ სერთუკსა და თეთრ შარვალში გამონყობილი, წელზე ხმაღმემორტყმული კარაი გუასუ თავად ურიგებს მოწყალებას ღარიბთა შვილებს. მათ ფეხქვეშ კი ციხის ჯურღმულებია. ზეთის ლამფებს ბავშვები დერეფანში ტოვებდნენ და ყოვლისშემძლე ხელებიდან გადმოყრილ მონეტებს კრეფდნენ. მაღლიერებისა და შიშის სანაცვლოდ უზენაესისათვის მხოლოდ თავიანთი წვეთი სინათლის მიცემა შეეძლოთ.

მაკარიო ერიდებოდა ამავე ლაპარაკს, მაგრამ მაინც შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ უთვალთვალებდა ის პირქუში სათნო ღვთისა თავდახრილ, დაკონკილ ქვეშევრდომებს, რათა გამოეცნო ხომ არ ჩაბუდებულიყო მათში შეთქმულების ჭია ან ამბოხისა და სიძულვილის თუნდაც იოტისოდენა კომტი.

— კარაი გუასუს მოტყუება არავის შეეძლო...

არ შეეძლო არც მაკარიოს მამას, მულატ პილარს, ერთადერთ მსახურს, რომელსაც კარაი ბოლომდე ენდობოდა.

— მამაჩემს იგი შვილივით უყვარდა — გვიყვებოდა ერთ საღამოს მაკარიო. — სწორედ პილარი სინჯავდა პირველი კარაი გუასუს საჭმელს, უნდა დარწმუნებულიყო, რომ მასში სანამლავი არ ერია. როდესაც რევმატიზმით დაკრუნჩხული უზენაესი სანოლს მიეჯაჭვა, სწორედ მამილო გაემგზავრა იტაპუასა და კანდელარიაში, რათა სანტა ანას პატიმრის, ფრანგი ექიმის მიერ გამოწერილი წამლები ჩამოეტანა. მაშინ მეც წავეყვი მამას. იმ წამლებით კარაი

გამოკეთდა. ჩემი მამილო კი ყველაზე ბედნიერი ადამიანი იყო, ხოლო მე სწორედ მაშინ ჩაუშხამე მთელი სიხარული... — მაკარიო, თავჩაქინდრული, დიდხანს სდუმდა, ალბათ ამ მოგონებების გადახარშვას ცდილობდა.

— რატომ ჩაუშხამე სიხარული, ძია მაკარიო? — შევბედე.

— იმ საღამოს... — სისხლისფერი აბრეშუმის ბეჭკები აშრილდნენ.

— იმ საღამოს მაგიდაზე ოქროს უნცია ვიპოვე. კარაი გუასუ სასეირნოდ გასულიყო ავადმყოფობის შემდეგ. ცდუნებას ვერ გაუძელი და მონეტა ავიღე. ჩემი ხელისგულიდან უცბად ავარდა ბოლი და ჰაერში დამწვარი ხორცის სუნი დატრიალდა. უნცია მოვისროლე და დავიმალე. იგი თურმე თავად კარაი გუასუს გაუზურებია მაყალში. როცა დაბრუნდა, ჩემი თავი მოაყვანინა და ხელი გამაშლევინა. სიმართლის წყლულიც დაინახა. ჩემთვის ეს საკმარისზე საკმარისი სასჯელი იყო. კარაიმ კი უბრძანა მამაჩემს, იქვე ორმოცდაათი როზვი დაერტყა ჩემთვის. მამილო პილარმაც ზუსტად ორმოცდაათჯერ დამარტყა ძმარსა და მარილწყალში ამოვლელი გუაიაბოს ნკებლები. პირველი დარტყმები უცრემლოდ ავიტანე, მერე, ვიდრე გონებას დაეკარგავდი, მამაჩემის თვალები დავინახე, ჩემი ტკივილისგან გათეთრებული. მე ხომ მას გამორჩეულად ვუყვარდი. მერე კი მამაჩემმა კარაის უსაყვარლეს ძალს სულთანს წიხლი ჩასცხო. კარაიმ ისიც დააჭერინა და უბრძანა ციხის ჯვალათს, მე რომ მცემეს, იმ მათრახით ასჯერ დაერტყათ პილარისთვის. მამილო კინალამ გაგიჟდა. მერე კი ყარაულს აგინა. ამბობენ, რომ ეს კინამდვილად მამილოს ბრალი იყო. და კარაიმ სხვა შეთქმულებთან ერთად მისი ჩამორჩრობაც ბრძანა. უზენაესი იგი შვილივით უყვარდა, მაგრამ ღალატი ვერ აპატია. მამაჩემი არც იყო მოღალატე, იგი ჩემ გამო მოკვდა. მთელი ეს უბედურება ხომ ჩემი ქურდობიდან დაიწყო. პილარის თორმეტივე შვილი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაგვასახლეს. მე და ჩემი და მარია კანდე აქეთ წამოვედით და დავსახლდით. მარია კანდე გასპარის დედაა, იმ გასპარისა, მუსიკოსი და საკრავების ხელოსანი რომ გახდა.

იმ საღამოს ჩვენ გავიგეთ, რომ მაკაიო ფრანსია გასპარის ბიძა იყო. თუმცა მან არც მაშინ ისურვა დისშვილზე ლაპარაკი.

— აბა, მეგობრებო! ხელები!.. — უცბად მოგვიჭრა.

ჩვენ ხელები მოვიზიდეთ და მოხუცის ლიბრიანი თვალბის წინ მუშტებად შევკვართ. მან კი თითქმის გამჭვირვალე მარჯვენა მოგვიშვირა. ძვლებსა და მიწიან ნაოჭებში შავი ხვრელივით ლაქა ჰქონდა.

მაკარიომ მთლიანად ჩავგითრია თავის მოგონებებში.

— დიდი ომის დაწყებამდე სანტა ანაში წავედი ექიმის სანახავად, დაიკო კანდისთვის წამლები მჭირდებოდა. ძალიან იყო ავად. სისხლის შეშება სჭირდა. ოცი წლისწინანდელი მოგზაურობა გამახსენდა, მამასთან ერთად კარაისთვის მალამოების ჩამოსატანად რომ წავედი. ამჯერად არ გამიმართლა, ტყუილად გავისარჯე. ფრანგუნია თვითონ გამხდარიყო ავად, ასე მითხრეს. სამი დღე ვიცდიდი მისი სახლის წინ, მეგონა გამოკეთებოდა. საღამოობით მშვიდი, გაფითრებული და მსუქანი ექიმი სავარძლით გამოჰყავდათ აივანზე, იგი თვლემდა მთვარის შუქზე. ბოლო ღამეს საიდანღაც ვილაც მთვრალი მოზარბაცდა და ავადმყოფს ყვირილით მიესალმა, მერე წინ და უკან სიარულს მოჰყვა, ბოლოს გახელდა და მთელი ხმით აყვირა:

— სალამო მშვიდობისა კარაი ბონპლან!.. წმინდაო მარია... კარაი ბონპლან!..

ბოლოს შეაგინა. დიდი და თეთრი გუასუ ექიმი მას ყურადღებას არ აქცევდა, ძილში წასული თავსაც არ იწუნებდა, პასუხი რომ გაეცა. მთვრალმა ველარ გაუძლო აბუჩად აგდებას, დააძრო დანა, დერეფნის კიბეზე აირბინა და გამეტებით ჩასცხო ექიმს. თვალისდახამხამებაში დავახტი მას ზემოდან და დანა გავაგდებინე... აურაცხელი ხალხი შეიყარა. და მხოლოდ მაშინ შევიტყეთ, რომ გუასუ ექიმი სამი დღის გარდაცვლილი იყო. მთვრალი გასაშრობად გამოტანილ ბალზამირებულ გვამს დასხმოდა თავს. ჩემთვის კი ექიმი მეორედ მოკვდა... იტაპეში რომ დავბრუნდი, ჩემი დაიკო მარია კანდელარია განკურნებული დაძვდა. და ბოლომდე რომ მოკეთებულყო, სასთუმალქვეშ სწორედ ის დანა ამოვუდე, რომლითაც მთვრალმა გუასუ ექიმის გვამი დაჭრა.

ბევრს არ სჯეროდა მაკარიოს ამბებისა, მაგალითად, ძმებ გოიბურუებს. პედრო სიცილს ძლივს იკავებდა, და ვისენტი ხომ ნამდვილი ეშმაკის ფეხი იყო. ისე კი ორივე ერთ მთლიანობას ქმნიდა. მაკარიოს ნაამბობი მათ სასაცილოდაც არა ჰყოფნიდათ.

ერთხელაც მაკარიომ თავის ქოხში წავიყვანა. კოჭის ხერელიდან პატარა ფუთა ამოიღო და გაშალა. იგუანის ტყავის პატარა ტომსიკაში თაბაშირის ნამსხვრევები მოჩიჩქნა და იქიდან ერთი ნივთი ამოიღო. მას გამხმარ, აკანკალებულ ხელში ვერცხლის ბალთა ეჭირა.

— აი, ეს... — თქვა და სიტყვა გაუწყდა.

არც იყო საჭირო რაიმეს თქმა.

გაოგნებულები ვუყურებდით ბალთას. თითქოს აეროლითის წვეთი დაეცა უდაბნოსო. ლაქის ფეხსაცმელებიანი, თეთრ წინდებიანი, სერთუკიანი, გამხდარი ჩრდილი ამოიზიდა ამ ბალთიდან, მალაქენწეროიანი ხე გეგონებოდათ, რომელსაც მეხმაც კი ვერაფერი დააკლო.

დიდი ომი რომ დაატყდა ქვეყანას და ერთიანად გააჩანაგა, მაკარიო ფრანსია უკვე მონიფული მამაკაცი იყო.

ცნობილ და კოლორიტულ პრაპორშიკ ნიანდუას ძალებთან ერთად უმიბიტამდე და კუადრილატერამდე ჩასულა ბრძოლით. დაჭრილა კიდევ და ლომას ვალენტინასში მოკავშირეებს ჩავარდნია ტყვედ, მაგრამ გაქცევა მოუხერხებია და მარშალ ლოპესის შტაბში გამოცხადებულა.

— თვით ქალბატონმა მინამლა მხარზე! — ამბობდა სიამაყით.

ეს ის მხარი იყო, მინისკენ რომ დახროდა. თითქოს იმ დიდების სიმძიმეცა და კომპარიც ზედ დასწოლოდა.

მაკარიომ თავიდან ბოლომდე გაიარა სანგრების საშინელება, რომელიც ხუთ წელს გაგრძელდა და სერსო კორაში ლოპესის აჩრდილოვით მეტროქოლთა სრული განადგურებით დასრულდა. თვითონ მაკარიო დიდი ხოცვა-ჟლეტიდან აღმდგარი ლაზარე გახლდათ.

ერთადერთი, რისი გადარჩენაც მაშინ მაკარიომ შეძლო, ვერცხლის ბალთა და ბუნდოვანი, არცთუ ისე სასიამოვნო მოგონებების დასტა იყო.

დისშვილს, სხვების მსგავსად, არც ის ახსენებდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ჯიბრზე იქცეოდა ასე. მხოლოდ მინიშნებებით თუ გაამხელდა რამეს მის დაბადებაზე.

— დაიკო კანდემ გასპარი რესიდენტადან გამოსვლისას გაჩინა... — მხოლოდ ამას იტყოდა, როცა ძალიან ჩავსცივებოდით.

იყო იტაპეში კიდევ ერთი ადამიანი, რომელმაც იცოდა ეს ისტორია. ეს კვერების მცხოვრებელი მარია როსა იყო, კეთროვანის გორაკზე რომ ცხოვრობდა. მაგრამ არც ის ყვებოდა რამეს. და საერთოდ, თუ ლაპარაკობდა, ყურადღებას არავინ აქცევდა, იმიტომ, რომ მთვარეული გახლდათ! თანაც არქაულ გუარანიზე ნათქვამი ფრაზების, ან მიცვალებულთა ჰიმნის ჰალუცინაციური მისამღერის გაგება სრულიად შეუძლებელი იყო.

თვით მაკარიო, უკვე სიკვდილის პირას მისული დაჩაჩანაკებული ბებრენი ალაპარაკდა გასპარზე. მისგან ძვლები და დარჩენილიყო, როდესაც ყველას მიერ თავისდაუნებურად დაცული საიდუმლო წამოტივტივდა მოხუცის ტვინში.

მაგრამ მაშინ უკვე სხვა ყველაფერი დავიწყებას მისცემოდა.

3.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ცეცხლოვანმა კომეტამ კინალამ ერთიანად წალეკა დედამინა.

ასე იწყებდა ხოლმე თხრობას მაკარიო. იგი ამბობდა *yvaga-ratá* — „ცის ცეცხლი“. ეს ძნელად სათარგმნი გამოთქმა მიანიშნებდა კოსმოგონიურ ძალებზე, რომლებმაც ჯაჭვიდან გამოიხსნეს კომეტა, რაც — გუარანის გენეზისის მიხედვით — სამყაროს დაქცევას ნიშნავდა.

მახსოვს, ხუთი წლისას როგორ მეშინოდა გველ-ძალა ჰალესისა, რომელსაც ქვეყნიერება უნდა შთაენთქა. ეს ახლაც კარგად მახსოვს. მაგრამ მაკარიოს მონათხრობი ბევრად უფრო შორეულ წარსულში გადამისროდა ხოლმე.

კომეტას მაკარიო მხოლოდ კეთროვან დისშვილს უკავშირებდა. ყოველ ჯერზე მაინც ოდნავ გადაასხვავებდა ხოლმე ამბავს. ერთმანეთში ურევდა მოვლენებს, ცვლიდა სახელებს, თარიღებს, ადგილს, ალბათ ისე, მე რომ ახლა მომდის ჩემდა უნებურად, რადგან ჩემი ურწმუნოება ჯობნის იმ ჭკუასუსტი ბებრისას. მაკარიო სუფთა მაინც იყო.

თუ ასეთ დროს სადმე ახლომახლო ქალი გამომჩნდებოდა, მაკარიო სრულიად მიუკარებელი ხდებოდა. მართალია, სიბერისგან სულ ცახცახებდა, მაგრამ ქალს იმნამსვე იყნოსავდა და პირქუს სიმუნჯეში შეიკეტებოდა. თუ ცეცხლთან ახლოს იჯდა, ნაკვერჩხლებზე ფურთხებას იწყებდა და მერე კარგა ხანს მხოლოდ შიშინი ისმოდა, ნაკვერჩხლებიდან კი ყვითელი ორთქლი ბოლქვებად ადიოდა. დაუპატიჟებელ სტუმარს კი სხვა გზა არ ჰქონდა, იქაურობას უნდა გასცლოდა.

მაკარიო ისევ კომეტის ამბით იწყებდა თხრობას.

ასე იყო იმ ღამესაც. როდესაც ქალის მსუბუქი ფეხის ხმა მიწელდა და ბებრის ფურთხიც შეაშრა ნაკვერჩხალს, ზანტი დუდუნი გავიგონე:

— ის მთის გულში დამემალა. იქვე დარჩა სიკვდილის მოლოდინში.

ერთი ამოისუნთქა და განაგრძო:

— მაგრამ მანამდე შვილი ეყოლა.

— რა შვილი *taita*-დია? — იკითხა ერთ-ერთმა ჩვენგანმა. მაკარიომ პასუხი არ გასცა, მხოლოდ თავი ჩაქინდრა. ოხვრა ყელში გაეჩხრა.

ყველამ ვიცოდით, რომ გასპარ მორას არ ჰყავდა შვილი. მოხუცის თავში იხარშებოდა ყველაფერი. შემცბარი, ალბათ, ნანობდა, რომ გულწრფელი არ იყო.

ნათქვამი რომ გადაეფარა, უფრო ადრეულ ამბებს მიუბრუნდა, იმ ხანას, ვიდრე ავადმყოფი განმარტოვდებოდა.

გასპარ მორას კეთროვანის ნილაბი მოსძვრა და ისეთი წარმოგვიდგა, როგორც ჭაბუკობაში იყო: სუფთა, მკვრივი მაგრამ გამხდარი, შავგვრემანი, ხასხასა მწვანე თვალებით. ასეთი გვახსოვდა ყველას.

გასპარი იმდენ ხანს მუშაობდა დურგლად, რომ ხის სუნი ასდიოდა. მისი საკრავების საყიდლად ხალხი შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდა და არც კი ვაჭრობდნენ, ისე უხდიდნენ საფასურს. ძუნწი არ ყოფილა. თავისთვის მხოლოდ მასალისა და ხელსაწყოების შესაძენ თანხას იტოვებდა, დანარჩენს თავისზე ღარიბებს უნაწილებდა. გლეხებს, რომელთაც ხანძარმა, სეტყვამ თუ კალიამ ნარგავ-ნათესები გაუზნადგურა, ვალს პატიობდა. ქვრივ-ობოლთათვის ტანსაცმელსა და სანოვავებს ყიდულობდა.

— ბიჭები, — ყვებოდა მაკარიო, — მის სახელოსნოში იკრიბებოდნენ და უყურებდნენ როგორ მუშაობდა. ვისაც მონადინებას შეატყობდა, ხელობასაც ასწავლიდა და დაკვრასაც. სკოლაც შეაკეთა, ჯალამბარ-საბჯენები გამოთალა. მე ველარ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რომ კვლავაც იქ არიან...

დაიხ. ჯერ ისევე იქ იყვნენ. დრომ უღმობელი კვალი დაატყო ჩამბალ არკადაზე გასპარის მიერ ხვენითა და სათლელით აღდგენილ გამოსახულებებსა და ორნამენტებს ინდიელთა ჭურჭელზე. ყველაფერში გასპარის სული ტრიალებდა, თუმცა თავისებურად. იგი ბებერ მანანწალაშიც ცოცხლობდა, რომელიც სხვათა მონყალებით სულდგმულობდა და, ჩვენ იმასაც კი ვერ ვხედებოდით, როგორ ახერხებდა, რომ თავისი ასეთი გაუხეშებული ტყავი ასეთი სუფთა კონკებით შეემოსა.

დიდი ხანი არ გასულიყო გასპარის გარდაცვალებიდან. იგი მოჩვენებასავით გაქრა, თითქოს გარდასულ დროის ღრიჭოში ჩაიკარგაო.

მაკარიო ფრანსია კი მას გაჰყვა.

როცა შებინდებოდა, გასპარი გიტარაზე დაკვრას იწყებდა. ვიდრე საბოლოოდ დაასრულებდა ინსტრუმენტზე მუშაობას, ხმას სიმრთელეს უსინჯავდა.

ეს კარგად მახსოვს. სოფლელები იქვე მინდორზე ჩამოსხდებოდნენ და სულგანაბულნი უსმენდნენ მუსიკას. ქოხებში აღარავინ რჩებოდა. მთებიც, მდინარეებიც ტკბებოდნენ საოცარი ჰანგებით. მახსოვს, როგორ აუცრემლიანდებოდა ხოლმე დედაჩემს თვალები, შორიდან რომ მოჰკრავდა ყურს გიტარის ხმას. ლერწმნარიდან მობრუნებული მამაჩემი კი ფეხის წვერებზე დადიოდა, რომ ხელსაწყოებს არ წამოდებოდა და არ ეხმაურა.

გასპარის სიკვდილის მერეც კი არაერთხელ გაგვიგონია მთებში გიტარის ხმა. მაკარიოს აკანკალებული ხმა უკვე აღარ ემორჩილებოდა. ბინდის სიჩუმეში, ციციანათელეების ლურჯი ნაპერწკლები რომ აციმციმდებოდა, კვლავ გიტარის ჩუმი ჰანგები ჩავგვსმოდა. ისე ჟღერდა, დამარხული გეგონებოდათ. ბებრის მონათხრობი ამოატივტივებდა მუსიკას ჩვენს მესხიერებაში.

ასეთ დროს მარია როსას აბდაუბდა ლაპარაკსაც კი ვიგებდით. მის ნეტარ შეშლილობაში გასპარის თავგადასავლის უცნობი დეტალები ხდებოდა ნათელი.

— გასპარის მუსიკას რომ ვუსმენდით, სიკვდილი გვაინწყებოდა — ამბობდა ხოლმე მთვარეული მცხობელი. — მას ხის გულში ჩაეძინა. ძალიან დაღლილი იყო, იმიტომ, რომ ვეება ღამურას ებრძოდა... მაგრამ ერთხელაც იქნება გაიღვიძებს და მოვა ჩემს ნასაყვანად. მას კომეტა დააბრუნებს.

ნებს. გასპარი ხელებითა და ფეხებითა მიჯაჭვული... მაგრამ მას კომეტა გააღვიძებს და მთიდან უკან, სოფელში ჩამოიყვანს...

ორივე, მაკარიოცა და მარია როსაც, ერთი ჭკუასუსტობით, მეორე კი უწყინარი სიგიჟით, თითქოს სამუდამოდ იყვნენ მიჯაჭვულნი მანათობელი კუდით სელვაში გარდაცვლილ კეთროვანს.

ორმოც წელს მიტანებული, უკვე ჭაღარაშეპარული, აბურდულთმიანი მარია როსა, დედა პატარა ქალიშვილისა, ისევე იყო შეყვარებული გასპარზე.

მაშინ ყველა ქალი გახლდათ შეყვარებული მუსიკოსზე, ან იმაზე, რასაც იგი მათთვის განასახიერებდა.

ახლაც მახსოვს ის იტაპელი გოგოები, ღამის დადგომასთან ერთად რომ შეერეოდნენ მოციმციმე ციციანათელებს სწორედ იმ ჟამს, როდესაც „ყველას ავინყდებოდა სიკვდილი“. მთელი სხეულით უსმენდნენ მუსიკას, სული კი გასპარისკენ მიუწევდათ. ეს საყოველთაო მეტოქეობა აერთიანებდა გოგოებს და აცალკევებდა მას, ყველასათვის მიუწვდომელს, გარდა ერთი ტკბილი და ჩერჩეტი ქალისა, რომელსაც ღამის საფარველქვეშ ეხუტებოდა ხოლმე.

ამაზე მაკარიო არაფერს ამბობდა, გასაგებია რატომაც. ან ამბობდა და მე არ მახსოვს, იმიტომ, რომ მაშინ ასეთ რაღაცეებზე არ ვფიქრობდი.

ის კი მახსოვს, რომ ვილაც მაინც ჩაეკითხა გამომცემლად მაკარიოს.

— გასპარი უბინო მოკვდა... — მხოლოდ ეს თქვა მოხუცმა მშვიდად და დამაჯერებლად. თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც ცოტა ხნით ადრე წამოსცდა სეველიანად, სიკვდილამდე კეთროვანს შვილი ეყოლაო. მაკარიოს სიბერე ნოყიერი ნიადაგი იყო წინააღმდეგობრიობებისათვის, დავიწყებისა და სიმბოლოებისათვის.

— depiyú! — დასცინოდნენ მაკარიოს ძმები გოიბურუები. ორივე უკვე ნამყოფი იყო ქალთან და თავიც მოჰქონდათ იმათ წინაშე, ვინც ჯერ არ ვიყავით ნაზიარებნი ამ მისტერიას. ბებერი ვერაფრით არწმუნებდა მათ გასპარის უმანკოებაში. ძმები მაკარიოს მატყუარად და თაღლითად მიიჩნევდნენ.

ის ეშმაკის ფეხი ვისენტე კი, ბებერს რომ მოჰპარა, იმ ვერცხლის ბალთას ატარებდა.

არასდროს მტოვებდა იმის შეგრძნება, რომ ორივე ძმას ჩუმი ღვარძლი ჰქონდა როგორც მაკარიოს, ასევე გასპარის მიმართ. მათი მამა, რომელიც მოგვიანებით ხარმა რქებზე წამოაგო, მათი აშკარა მტერი გახლდათ და შვილებსაც გადაულოცა ზიზლის გრიგალი. ამიტომაც მოუღერეს მაჩეტეები მაკარიოსა და ქრისტეს. ტყუპები ხომ არაფერს დაგიდევდნენ.

ერთხელ, მდინარეში ბანაობისას, გასპარის ხსოვნის შესაბლალად პედრომ ამოაფურთხა სიტყვა „ყვავილუკა-პედროსანტუკა“. თითქოს ჩვენ ამოგვთხვარა ტალახშიო. ზემოდან დავახტით, ნავაქციეთ და პირი მინით ამოვუვსეთ, რათა ეს შეურაცხყოფა უკანვე ჩაეყლაპა და იქვე დაგვესამარებინა იმ ადამიანის კაცობის უარყოფა, რომელიც ყველაზე მამაკაცურად მიგვაჩნდა. ვისენტე ამოად ცდილობდა ძმის დაცვას. ბიჭების მიერ გაკავებულ პედროს კისერზე ფეხი დავაბიჯე.

— არის თუ არა ყვავილუკა? აბა, გაიმეორე, თუ ბიჭი ხარ!

— არა!.. — ამოიხროტინა შეშინებულმა.

მაშინ გავუშვი. მერე კი ძმებმა დამიმარტოხელეს და მდინარეში კინალამ ჩამახრჩვეს, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, გასპარის კაცობაში ეჭვი არ მეპარებოდა, და მეორეც, პედროს რომ მინა ვაჭამე, უკან უნდა გადმოეფურთხებინათ.

ცურვაც და ყვინთვაც მათზე უკეთესად ვიცოდი და გადავრჩი. უფრო სწორად კი რალაც ამოუცნობის მტკიცე რწმენამ გადამარჩინა. ჩავყვინთე და სუნთქვაშეკრული, თვალღია, შლამში ჩავიშალე. ძმები მაინც მეძებდნენ, ჩემი დახრჩობა უნდოდათ. მერე წავიდნენ. დაიჯერეს, რომ სანადეოს მიაღწიეს. ცხვირიდან და ყურებიდან წამოსული სისხლის ბუშტუკები კი ვერ დაინახეს. უკვე ვიგუდებოდი, როცა ვიგრძენი, როგორ მექაჩებოდა რალაც ზევით. ეს გასპარის ხელი იყო, რომელიც უზარმაზარი ხის შავ ფესვს ჰგავდა და რომელზედაც კარგა ხანს ვიყავი გადაკიდებულნი.

4.

გასპარ მორას გაუჩინარება დიდხანს არავის შეუმჩნევია.

სახლის კარი ღია დატოვა. თან მხოლოდ რამდენიმე ხელსაწყო წაეღო.

ყველგან ეძებეს. ცხენებით შემოიარეს თითოეული ბილიკი, შორეული თემები თუ ახლომახლო სოფლები. მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. გასპარი უკვალოდ გაქრა.

თითქოს უკვე მომკვდარიყო.

სოფლის დედაბრებმა მისი დაბრუნების აღთქმა დადეს. გოგოები დამწუხრებულები და თავჩაქინდრულები დადიოდნენ. განსაკუთრებით ერთი, მარია როსა, პატარა მცხობელი, რომელსაც ცხელი და ხრამშუნა კვერები დაჰქონდა გასპართან და გასამრჯელოს კი არ ართმევდა. არც ოქროსფერი ბანანების აკიდობსა და მთის წყაროს წყალს აკლებდა. დოქს ბანანის ცვრიან ფოთლებში გაახვევდა ხოლმე. თვითონაც იმ დოქს ჰგავდა. შავგვრემანი, მუქი ფერის კანი, გამობურცული და შავად მოელვარე ყვრიმალეები ჰქონდა, შავ, წყლიან თვალებში კი ნაპერკ-ლები უელავდა.

ღამლამობით კეთროვანის გორაზე, მარია როსასთან კაცები დადიოდნენ, მწყემსები, შემთხვევითი გამვლელები, მაგრამ სოფლიდან არავინ და არასდროს. დედაბრები მარია როსას აღმაცერად უყურებდნენ და ჭორაობდნენ მის ზურგს უკან. მარია როსა მათ ყურადღებას არ აქცევდა, არც ბოლმას იღებდა გულში.

როდესაც გასპარ მორა გაქრა, მარია როსამ ქოქოსის პალმებში ჩაძირული თავისი განმარტოებული და მდუმარე ქოხი დაკეტა. ჭრელი ჩითით დაფარულ პატარა ფანჯრიდან აღარც ფარანი ანათებდა ციციანათელასავით.

— და ვიდრე დაიკარგებოდა, გასპარი არ ადიოდა მარია როსასთან? — ეკითხებოდნენ მაკარიოს ბიჭები. მისი გაბრაზება უნდოდათ.

— გასპარი უბინო მოკვდა! — ჯიუტად იმეორებდა თავჩაქინდრული მოხუცი.

ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ დაეძებდა და უცდიდა უკვალოდ გამქრალ კაცს მარია როსა, როგორ განიწმინდა ამ მოლოდინში. თითქოს ერთბაშად მიხვდა, რომ მისთვის ყველა კაცი მხოლოდ ის ერთი იყო და სწორედ ის აღარ იყო, და შესაძლოა არც აღარასდროს დაბრუნებულიყო.

5.

გავიდა თვეები, ალბათ წლებიც. ამბავი სოფელში ერთ-მა ხის მჭრელმა მოიტანა. იგი ყვებოდა, რომ შორს, მთაში, საღამო ჟამს, ხეებს რომ ჭრიდა, გიტარის ხმა შემოესმა. თურმე უფიქრია, ეს რალაც ნიშანიაო.

— რამე ფრინველი თუ იყო, — ვთქვი, — ალბათ იასიიატერეა. თუმცა მე არ მჯერა ასეთი რამეების, — ყვებოდა ხალხით გარშემორტყმული. — გიტარის ხმა კი არ წყდებოდა. მერე იმ ადგილის ძებნა დავიწყე, საიდანაც მუსიკა ისმოდა. ძლივს მივაგენი. მთებში არეკლილი ჰანგები ხან ერთ ადგილს მიმაგებდა, ხან მეორეს. ბოლოს ერთ ხვრელში ჩავძვრი და უცნობ ხევში ამოვყავი თავი. ჯერ ქოხი დავინახე, მის წინ, კუნძულს გასპარი იჯდა და თეთრ, შეუღებავ გიტარაზე უკრავდა... იგი ავადა. წმინდა ლაზარეს სენი სჭირს...

საერთო დაბნეულობამ სოფლელები გააშეშა.

ხის მჭრელი ყვებოდა, რომ გასპარს ხელი გაუწოდა, მაგრამ მან არ ჩამოართვა და უთხრა:

— ხელს არავის ვართმევ. მხოლოდ ამას... — საკრავზე მიუთითა. — მას ვერ დავასნებოვებ...

— სად არის? — იკითხა მაკარიომ.

— ამას ვერ გეტყვით... — თავი შორს დაიჭირა ხის მჭრელმა.

— მოგიწევს... — დაემუქრა ბებერი, — მასთან უნდა წავიდეთ.

— ჩემი ნაჯახი დავიფიცე, რომ არაფერს ვიტყვოდი. გასპარს მარტო ყოფნა უნდა...

ხალხის წრეს მარია როსა გამოეყო და თავის ქოხისკენ წავიდა. დანარჩენები ბჭობდნენ. ქალმა კალათში კვერები და სხვა საწარმოვე ჩააწყო და მთისკენ გაემშურა. მან იცოდა, სადაც მუშაობდა ხის მჭრელი.

მეორ დღეს, უკან რომ ბრუნდებოდა, გზაზე სოფელელთა ჯგუფს გადაეყარა. წინ მაკარიო მოუძლოდათ. იგი შეაჩერეს, მაგრამ მარია როსამ ლაპარაკი არ ისურვა. გამოცვლილიყო. მთვარეულის სახე ჰქონდა.

6.

მაკარიომ და მისმა ამაღამ ვერაფერი გააწყო ავადმყოფის ურყევ ნებასთან, განმარტოებულიყო და სიცოცხლის ბოლომდე მთაში დარჩენილიყო.

— Omanó vaekué ko — ndoyejhe'ai oikovevandie...* — გაიმეორა მაკარიომ გასპარის შორიდან გადმოსროლილი სიტყვები. თან ხელებით ანიშნებდა, რომ არ მიახლოებოდნენ.

— შენს წასაყვანად მოვედით, გასპარ, — უთხრა მაკარიომ. — რამდენი გეძებეთ...

— მე უკვე მკვდარი ვარ, — უპასუხა მან ხმადაბლა, — იმასაც გეტყვით, რომ სიკვდილი არც ისე ბოროტია, ჩვენ რომ გვკვნია.

მერე, როგორც მაკარიო ყვებოდა, გასპარი კარგა ხნით დადუმდა.

— ნელა მძერწავს — გადმოგვცემდა მაკარიო დისშვილის სიტყვებს. — თან თავის საიდუმლოებებს მიმხელს. ისიც გავიგე, რომ ადამიანი არ თავდება. ის სხვანაირად, სხვა ნივთებში აგრძელებს არსებობას, იმიტომ, რომ სიკვდილის შემდეგაც უნდა სიცოცხლე. მე ამას ახლა მივხვდი. სიკვდილმა მოთმინება მასწავლა. მე კი მას ცოტადენ მუ-

* მკვდრები არ ერევან ცოცხლებში (გუარანი)

სიკას ვჩუქნი... — ღიმილით თქვა გასპარმა, თითქოს ხუმრობდაო. — საზღაურს ვუხდი. ჩვენ გავუგეთ ერთმანეთს...
— მაგრამ რომ იტანჯები, გასპარ.

— ვიტანჯები? დიახ, ვიტანჯები. მაგრამ არა ამის გამო... თავი შეათვალეირა. — მარტოობით ვიტანჯები, იმიტომ, რომ, როცა შემეძლო, ძალიან ცოტა რამ ვიღონე ჩემს მსგავსათათვის.

— ამიტომაც მოვედით შენს წასაყვანად. გიმკურნალებთ, მოგხედავთ.

მან თავი გაიქნია და უძირო სიღრმიდან ამოჰხედა სოფელს, გეგონებოდათ მკვდარი წამოდგაო, რათა სიკვდილის უცილობლობა დაედასტურებინა.

მერე კი, ჯადოსნური წრე რომ გაერღვია, იქვე მორზე ჩამოჯდა და „კამპამენტო სერრო ლეონის“ დაკვრა დაიწყო. ეს დამშვიდობება იყო. უცნობი ავტორის გასაოცრად რიხიანი და მეომრული დიდი ომის ჰიმნი გადმოიღვარა დაკვანძული სიმებიდან.

— აი, ამას კი ველარაფერს მოვუხერხებდით, — თქვა მაკარიომ.

ხეობაში ღამე ჩამოწვა. სიბნელეში მოძრაობდნენ დასიებული ხელები შეუღებავი გიტარის ზედაპირზე. მერე სიჩუმემ დაისადგურა.

ამის მერე გასპარი აღარავის უნახავს, აღარც არავინ დალაპარაკებია.

7.

ხალხი მაინც მიდიოდა ხეობაში. მაგრამ სწეული მარტოსულის შეუმცდარი სიმარჯვით უსხლტებოდა მათ. იცოდა, როგორ დაეცვა თავი საჭიროების შემთხვევაში.

სოფლებს ქობი ცარიელი ხედებოდათ, სამყაროს სეკვით მოჭრილი მთელი ის არემარე კი უდაბური. გასპარი არსად ჩანდა. ალბათ ჩუმად თუ უთვალთვალებდა უწამნამო თვალებით ეკალ-ბარდიდან და ლომივით უზარმაზარ, ქერცილიან და ჩამპალ თავს მალავდა.

იტაპელემა გადანყვიტეს, რომ საჭმელს, ცოტაოდენ გამოყვანილ ხორცს, ღორის ძეხვს, ერთ თავ ყველს, ქვაბულის შესასვლელთან დაუტოვებდნენ, იქვე დაუდებდნენ ახალ სიმებსაც. მათი წასვლის შემდეგ გასპარს სანოვაგე მიჰქონდა და მიწაზე პატარა ჯოხით წერდა: „გმადლობთ“.

მარია როსასაც უწინდებურად მიჰქონდა გასპართან კვერები, ოქროსფერი ბანანები და მთის წყაროს წყალი, ისევე იმ დოქით, მას რომ ძალიან ჰგავდა. გასპარის ქვაბულთან ახლოს კი იყო ნაკადული, კაბესა დე აგუა, მაგრამ მარია როსას კარგად ესმოდა, რომ ამ მანძილის გადალახვა სულ უფრო და უფრო გაუძნელდებოდა სწეულის წყლულებიან ფეხებს.

ხანდახან საღამოობით, პატარა პროცესია სოფლიდან ფრთხილად და სწრაფად ავილიდა მთას და ჩუმად უსმენდა კეთროვანის ლოცვა-მუსიკას. მათ განძრევისაც კი ემინოდათ, რადგან ფიჩხის გაფაჩუნებაზეც კი მუსიკა წყდებოდა. სოფლები ლანდებივით ჩაიმალებოდნენ ფოთლებში და ანთებული, ცრემლიანი თვალებით უყურებდნენ ერთმანეთს. ღამე კი მუქი ლურჯი სუდარასავით ეფინებოდა იქაურობას.

მერე, სიბნელეში, ასევე უხმოდ ბრუნდებოდნენ სოფელში.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ხალხი ამბობდა, სიკვდილსაც კი შეჰყვარებია მუსიკოსიო.

— ჰო, მაგრამ მე ის იქ ცოცხალი მიწოდდა, — აღმოხდა მაკარიოს და ესპანურად დასძინა: — როგორც გალიაში...

8.

სწორედ იმხანად გამოჩნდა ცაში კომეტა და მრისხანედ მოუქნია ცეცხლოვანი კუდი დედამიწას.

ხალხი პანიკამ შეიპყრო. ეს სიკაშკაშე სამყაროს დასასრულის გაცხადება იყო. ამბავი ღვთის რისხვისა ეკლესიაში, მოთქმა-გოდებასა და ლოცვაში უფრო მძაფრდებოდა. ეს კარგად მახსოვს.

მთაში მარტოდ დარჩენილი გასპარ მორაც ყველას გადაავინყდა.

კომეტას გვალვა მოჰყვა. გეგონებოდათ ურჩხულის ცეცხლოვანმა სუთქვამ ცისა და მიწის ყველა წყალი დააშროო.

მარია როსა მაინც შეეცადა დოქი წყლითა და სანოვავით ხევში ასვლას, მაგრამ უშედეგოდ. მთაში გზა აებნა. მერე ყვებოდა, რომ ბოროტმა yvaga-rata-მ თავგზა აუბნია, თვალები დაუვსო. რამდენიმე დღის მერე დაბრუნდა, ხელებს უაზროდ იქნევდა.

— იქ აღარ არის... ნავიდა! — ბუტბუტებდა დანებებით და სასონარკვეთილი. — კომეტამ წაიყვანა!

შიშმა რომ ჩაიარა, მაკარიო სოფლებთან ერთად ქვაბულთან ავიდა. ბოლოს ატანილი საჭმელი ხელუხლებლად იდო. დაობებულ ნარჩენებს ჭიანჭველები დასეოდნენ.

ხმამალა დაუძახეს გასპარს. პასუხად მთებიდან მათივე ხმის ყრუ ექო გაისმა. მერე გასპარის ნაკვალევს წყარომდე მიჰყვნენ. იქ იპოვეს მუსიკოსი. ამომშრალი კალაპოტის ღორღ-სილაზე პირქვე დამხობილი ეგდო.

რამდენიმე დღის მკვდარი გახლდათ.

იქვე, ნაკადულის სათავესთან მაჩეტეებით გათხარეს საფლავი და დამარხეს გასპარი. მაკარიომ სახელდახლოდ გამოთალა უბრალო ჯვარი და საფლავის თავთან ჩაარჭო.

ჩუმად, მდუმარედ გამობრუნდნენ კაცები. თავს დამნაშავეებად გრძნობდნენ.

— გასპარის სიკვდილი ლოდივით დაგვანვა, — ყვებოდა მაკარიო. — გიტარის წამოსალებად მივბრუნდით, ქობიც უნდა დაგვენვა...

9.

კარის ღრიჭოდან, ქობის სიღრმეში კედელთან აყუდებული შიშველი კაცი დალანდეს.

გაოგნებისაგან გაშემდნენ.

— სიკვდილის სუსხმა მათრახივით გადაგვკრა, — იხსენებდა მაკარიო.

კაცი არ იმძრეოდა, თავი ჩაექინდრა, მკლავები გაეშალა. ძნელი იყო ბინდბუნდში მისი უკეთ დანახვა. არც ბალანი ჰქონდა და მის სიშიშვლეში რალაც ავადმყოფური სისუსტე იგრძნობოდა. ჩონჩხი გეგონებოდათ.

ის-ის იყო გასპარ მორა დაასაფლავეს და მის ქოხს კი უკვე ახალი პატრონიც გამოსჩენოდა. სიტყვა კარგა ხანს ვერ დასძრეს. რალაც ზებუნებრივმა ქროლვამ მეტყველების უნარი წაართვათ.

— ჰვი, მანდ, რომელი ხარ? — დაიყვირა ბოლოს მაკარიომ. უცნობი არ განძრეულა. თავდახრილსა და ხელებგამლილს თითქოს რცხვენოდა იქ ყოფნა.

მაკარიომ შეკითხვა გაიმეორა, ამჯერად ესპანურად. ისევე უშედეგოდ. კაცი არც შერხეულა. მისი ასეთი უძრაობა და სიმუნჯე შიშისგან ისედაც აბურძგნულ კანს უსერავდა გლეხებს. ათას წელსაც რომ გაეველო, ის კაცი მაინც არ გაინძრეოდა და არც მათ მიაქცევდა ყურადღებას. ალბათ, ისიც

მკვდარი იყო და მხოლოდ სასწაულებრივად ინარჩუნებდა ნონასწორობას, გაშლილი ხელებით ებლაუჭებოდა სიბნელეს.

— თავიდან საიქიოდან მოსული გვეგონა, — განაგრძო მაკარიომ. — მაგრამ ის კაცი იყო. ადამიანის ფორმებიც ჰქონდა და ქრისტიანის იერიც. მშვიდად იდგა და ჩუმად, ხელებგაშლილი შემოგვცქეროდა...

მაშინ შიშისგან გაგულისებულნი და მშფოთვარე გლეხები ქოხში შეცვივდნენ. მაკარიომ მომხვედურს მარჯვნივ მოუქნია და ჰაერში ფოთლების გვირგვინი რომ აფრიალდა, მაშინდა დაინახეს, რომ ხეში გამოკვეთილი, ადამიანისებულა ქრისტე ყოფილა.

— გასპარს მარტო ყოფნა არ უნდოდა, — ნაიბუტბუტა მოხუცმა.

გახიზნული კეთროვანი რუდუნებით თლიდა ქრისტეს, ადამიანისნაირი მეგობარი სურდა, იმიტომ, რომ მარტოობა უფრო გაუსაძლისი, საშინელი და შემზარავი გამოდგა, ვიდრე მისი სენი.

გასპარის ქოხში ჩუმად იდგა მისი უშფოთველი მეგობარი, მისი სიკვდილის მონმე. შეუღებავ, ხის ქანდაკებაზე ჩირქიანი ხელების კვალი დარჩენილიყო. გასპარმა იგი თავის სახედ და ხატად გამოთალა. თუ სულს მართლაც შეეძლო ხელშესახები გამხდარიყო, მაშინ სწორედ ეს იყო გასპარ მორას სული.

ერთ-ერთმა გლეხმა ქანდაკების კეთროვანის გვერდით დამარხვა მოიფიქრა.

— არა! — მოუჭრა მაკარიომ. — გასპარმა იგი თავის მაგიერად დატოვა...

დანარჩენებიც უხმოდ დაეთანხმნენ.

— სოფელში უნდა წავილოთ, — გადაწყვიტა მოხუცმა.

10.

გლეხებმა ქრისტე ზურგზე მოიკიდეს და გამხმარი ფოთლებით მოფენილ ბილიკს დაუყვნენ. მთებიდან კი სამგლოვიარო ზარივით მოსდევდა ურუტაუს გამაგებული ყვირილი.

მაკარიო პროცესიის ბოლოს მოდიოდა, მას გასპარის გიტარა მოჰქონდა.

მტვერში ნელა მიდიოდა ეს უცნაური მსვლელობა და სელვიდან მოჰყავდა ქრისტე, რომელიც უზარმაზარი ჯვრიდან გარდამოსხნილს ჰგავდა.

გზაზე გაძვალტყავებული აჩრდილი აედევნათ. ეს მარია როსა იყო. ტანსაცმელი მთლად შემოფლეთოდა. ნაკანრ-ნაფხოჭნი კანი ერთიანად გამხმარი სისხლით დაფარვოდა. შემოლილი თვალებით შეხედა ქრისტეს.

— ალბათ სწყურია... — თქვა.

ხელში დოქი ეჭირა. ჯერ მაღლა ასწია, მერე დახარა და წყალიც წამორაკაკადა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

* ბუს სახეობა.

ცოტა რომ გაიარა, მარია როსამ სუსტი, გაბზარული ხმით თითქმის გაუგებარი, მკვდართა ჰიმნის სიმღერა წამოიწყო, ხან დადუმდებოდა, ხან ისევ გამოსცრიდა კბილებს შორის მელოდიას.

მერე, როგორც იქნა, წარსულის ჰანგები ტუჩებზე შეაშრა. დოქით ხელში ნელა მიჰყვებოდა ქალი ზურგზე გიტარამოკიდებულ მაკარიოს.

ტვირთმზიდველები კი ისე წაილო ფიქრებმა, მდელიოზე გასულებმა ვერც კი შეამჩნიეს, რომ ამინდი გამოცვლილიყო. გავარვარებული, გამჭირვალე და წვრილი ზოლებით დასერილი ცა მოქურუხებულიყო. უწყვეტი ელვა ღრუბლებს ურტყამდა და ფერს უცვლიდა მათ. დიდი ხნის დავიწყებული წვიმა იღვრებოდა მტვერში. მალე კი ბინდმა ბნელში გახვია ქრისტეც და მისი მზიდავებიც, რომელთაც ყოველ გაელვებაზე თვალები უბრწყინავდათ.

გორაკი რომ ჩამოათავეს, მიწას გამდნარ ტყვიასავით დაეცა წვიმის წვეთები, ხოლო როცა სოფელში შევიდნენ, წვიმა ნიაღვარივით დაატყდათ თავს. მოხრილები მიაბიჯებდნენ ელვასა და ქარში, ქრისტე კი დამუხტულივით ჰყრიდა ნაპერსკვლებს.

თქემ წვიმაში, მუხლებამდე ტალახში ამოთხვრილი გლეხები მიიწვედნენ ეკლესიისაკენ. კარი ჩარაზული დახვდათ. მხოლოდ ქარიშხლით ახმიანებული ზარის გატეხილი, სევდიანი ზუზუნი ისმოდა. ქრისტე ქვის კედელზე მიაყუდეს, ზუსტად ისე, გასპარის ქოხში რომ იყო, და გარშემო შემოუცუცქდნენ.

ჩამქრალ, არაამქვეყნიურ არსებად ქცეული მარია როსაც იქვე იდგა წვიმაში.

კაცები მის იქ ყოფნას არ იმჩნევდნენ. მხოლოდ ქრისტეს გაეშვირა მისკენ ხელები.

რამდენიმე დღე მოუწია ქრისტეს ასეთ გარემოში ყოფნა, ვიდრე მღვდელი ჩამოვიდოდა. იგი იტაპეში თვეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა.

მაკარიომ ყველაფერი უამბო, თუმცა მღვდელმა უკვე იცოდა საქმის ვითარება. და მიუხედავად იმისა, რომ გასპარის ქრისტე უკვე სასწაულის შარავანდში გახვეულიყო, სასტიკად აკრძალა ტაძარში მისი შეტანა. ქრისტემ მთებიდან წვიმა ჩამოიტანა — მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი საზღაური. ალბათ, დამთხვევა იყო. მღვდელი ალმაცურად უყურებდა ქანდაკებას, რალაც დაუძლეველი ზიზლი იგრძნობოდა მის მოძრაობასა და ხმაშიც კი. საქმე ის იყო, რომ ქრისტეს იერი ვერ ახდენდა შთაბეჭდილებას: მას თმა არ ჰქონდა, სახეს ძარღვები უსერავდა და მოლურჯო, აქერცლილ მკერდზე ლაქები აჩნდა.

— ეს კეთროვანის ნახელავია, — თქვა მღვდელმა. — შეიძლება სხვებსაც გადაედოს. ღვთის სახლი კი მუდამ



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

სუფთა უნდა იყოს. ტაძარი წმინდა ადგილია...

მერე ბაქტერიების გასაოცარ სიცოცხლისუნარიანობაზე ილაპარაკა. მღვდლის ქადაგებას ბლომად ხალხი დაესწრო, თუმცა მისი ნალაპარაკევი არ დაიჯერეს და უაზრო თვალებით მიშტერებოდნენ ქანდაკებას.

მღვდელი მიხვდა, რომ მისი განმარტებები ხალხმა ვერ გაიგო, მაგრამ ვერც გუარანიზე პოულობდა შესაბამის სიტყვებს, რათა აეხსნა დაავადების არსი და დასნებოვნების საშიშროება.

— ...ამას შიგნით ვერ შევიტანთ... — თქვა და სიტყვა გაუნყვდა. ხალხის წინააღმდეგობა თანდათან იზრდებოდა. — დიახ... ჩემო საყვარელო ძმებო... მართალია, მას უფლისა ჩვენი ისო ქრისტეს სახე აქვს, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მტერი ვერაგია. იგი ბევრ ხერხს იყენებს და ყველა ღონეს ხმარობს ჩვენი სულების წარსაწყმედად. მას თვით მაცხოვრის იერის მიღებაც შეუძლია... — მღვდელმა ღრმად ჩაისუნთქა და შეახსენა შეკრებილთ: — არა გჯერათ? კარგად დაფიქრდით, ვინ გამოთალა ეს ქანდაკება... ერეტიკოსმა, ადამიანმა, რომელსაც ფეხიც არ შეუდგამს ეკლესიაში, უწმინდურმა, რომელიც უწმინდურად მოკვდა, იმიტომ, რომ...

— გასპარ მორა წმინდა ადამიანი იყო! — მკაცრად მოუჭრა მღვდელს ბებერმა მკარნიომ.

თანაგრძობის ჩურჩულმა გადაუარა იქაურობას. მღვდელი დაიბნა.

— ის მართალი და კეთილი ადამიანი იყო! — გაიმეორა მოხუცმა. — თავის საქმეს აზრიანად აკეთებდა, ხალხს ეხმარებოდა. რასაც შეეხო, ყველგან სუფთა გულისა და სულის ნაწილი დატოვა... როცა სადმე არფა, გიტარი ან ვიოლინო აჟღერდებდა, ჩვენ მოუხსმენთ. ეს კი მისი ბოლო ნახელავია... — ქრისტეზე მიუთითა. — მთიდან ჩამოვიტანეთ და ამით თვითონ გასპარი დავაბრუნეთ სოფელში. მას სენი არ შეხებია, როცა მოგვექონდა, წვიმამ განბანა და განწმინდა. შეხედეთ! ის ხის პირით ლაპარაკობს... ჩვენს გასაგონად ლაპარაკობს... ყური დაუგდეთ! მე მისი, აი, აქ მესმის... მკერდში მუშტი დაირტყა ბებერმა. — ეს ადამიანი ლაპარაკობს! ღმერთისა ჩვენ არ გვესმის... ხოლო ადამიანისა კი!.. მასში გასპარია! როცა იგი მიხვდა, რომ ველარ დაბრუნდებოდა, იმიტომ, რომ უკვე მკვდარი იყო, აი, ეს ქანდაკება გამოთალა. ამით რალაცის თქმა სურდა ჩვენითვის!..

ხალხი უსმენდა მკარნიოს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბებერი მათხოვარა ასეთი გააფთრებით გაილაშქრებდა თვით მღვდლის წინააღმდეგ, და რომ შეეძლო იმის თქმა, რასაც ამბობდა.

მკარნიო არ დავობდა რწმენის ქონა-არქონაზე, ამას ყველა გრძნობდა, საქმე შინაარსში იყო. უმრავლესობა მოხუცს უჭერდა მხარს, ესეც ნათელი გახლდათ. მომხდართი შეძრულები და დაძაბულები იდგნენ მისი მომხრეები.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც მღვდელს ემხრობოდა. მას კი სიბრაზისაგან სახე მობრეცოდა და ხვდებოდა, რომ დრო უნდა მოეგო.

— აი, აგერ, თვითონვე დარწმუნდით!.. — თქვა მღვდელმა და ხელი მკარნიოსკენ გაიშვირა. დაგუბებული ბოლმისაგან სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვამდა. — ძმა მკარნიო აძაგებს ღმერთს... მკრეხელობს, აქ, ტაძარში. ეს ქანდაკება ეშმაკისეულია! და ასეთიც უნდა იყოს... იმიტომ, რომ ერეტიკოსის გამოთლილია! ის ჩვენ ღვთის

რისხვას დაგვატებს.

— დავნავთ! ახლავე დავნავთ და მორჩა! — დაიყვირა იქვე, მღვდელთან ახლოს მყოფმა მენახირე ნიკანორ გობურუმ, ტყუპების მამამ.

ზოგიერთმა კვერი დაუკრა, თუმცა არცთუ ისე დამაჯერებლად, უფრო მეგობრობის, ან შიშის, ან კიდევ სხვა რამის გამო. მენახირეს გულადისა და მოჩხუბარის სახელი ჰქონდა ხალხში. იგი ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდა და მხარდაჭერას ელოდა.

— მართალია! სჯობს ახლავე დავნავთ!.. — მხარი აუბა ერთმა თავჩაქინდრულმა გლეხმა და საღეჭი თამბაქო ისე გადმოაფურთხა, გეგონებოდათ ხახა დაუნვაო.

— ჩვენ მოვიტანეთ და ჩვენვე წავიღებთ! — მთელი ხმით იყვირა მკარნიომ.

ხალხი გრიგალივით აბობოქრდა, ორ ჯგუფად დაიყო და გამაყრუებლად აყაყანდა.

ამასობაში მკარნიომ ისევ ნამოიკიდა ზურგზე ქრისტეს ქანდაკება. მისი სიმძიმისაგან მოხუცს მუხლები ეკეცებოდა. მენახირემ კი დანა დააძრო და პირდაპირ ცხვირწინ დაუჭრია. ვილაცამ ხელი მოუქნია გობურუმს და დანის წვერი მხოლოდ ქრისტეს მხარს მოხვდა. უცბად აელვარდნენ დანები და მაჩეტეები. ხალხმა წრეში მოაქცია ზურგზე ქრისტემოკიდებული მკარნიო და მისი მომხრეები, რათა დაეცვათ უკანდახევისას. შეშინებული ქალებისა და ბავშვების კივილს მიჰქონდა იქაურობა. ძველმა ზარმაც ნაბათი ჩამოჰკრა.

მღვდელი მიხვდა, რომ ხერხი სენზე უარესი აღმოჩნდა. იმის ნიშნად, რომ მისთვის ყური დაეგდოთ და წესრიგი აღედგინა, ხელი ასწია, დაიყვირა კიდევ, მაგრამ მიზანს მხოლოდ სანახევროდ მიაღწია. მერე, როდესაც აკანკალებული ხმით ალაპარაკდა, ალიაქოთი ნელ-ნელა ჩაცხრა.

— სიწყნარე... სიწყნარე, ძმებო! — შესძახა მან ანთებულ ბრბოს. — ძალადობას ნუ აყვებთ!.. — უცბად მღვდელი თავმდაბალი გახდა, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა. — ვთქვით, ძმა მკარნიო მართალია და მე ვცდები. ვთქვით, გასპარ მორას მიერ გამოთლილი ქრისტე იმსახურებს ადგილს ეკლესიაში... ვინ იცის, ეგებ მან ბოლო ჟამს მოინანია ცოდვები და ღმერთმაც შეუნდო... მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ ქანდაკება ტაძარში შევიტანოთ... მაგრამ ყველაფერი წესისამებრ უნდა აღსრულდეს. ჯერ უნდა ვაკურთხოთ, დავლოცოთ. ეს ძალიან ფაქიზი საქმეა. მომეცით საშუალება ყველაფერი კურიას შევეუთანხმო და ისე მოვიქცეთ, როგორც წმინდა სარწმუნოების ინტერესები მოითხოვს... ასე უფრო სამართლიანი არ არის?

ხალხი უსიტყვოდ დაეთანხმა მღვდლის მიერ შემოთავაზებულ დროებით ზავს.

გაოფლილი და მტვერში ამოთხვრილი მკარნიო და მისი მომხრენი გაუნძრევლად იდგნენ. მერე ერთმანეთს გადახედეს და ქრისტე ისევ იქ, კედელზე მიაყუდეს. მოლუშული ხალხი კი ბუზღუნით დაიშალა.

12.

იმავე საღამოს, საეკლესიო საცავში სამოსელს რომ იცვლიდა, მღვდელმა მნათე, კოჭლი, მუნუკებიანი ბიჭი, რომელიც იმავდროულად სალაროს მცველიც იყო, მოიხმო და უთხრა:

— მე რომ წავალ, ეს ქანდაკება აქედან გააქრე. არა მსურს,

ჩემს მრევლში კერპთაყვანისმცემლობამ დაიბუღოს.

მუნუკებიანმა ბიჭმა ისედაც გრძელი კისერი კიდეც უფრო წაიგრძელა და მღვდელს უაზროდ მიაშტერდა. საცეცხლურს ცლიდა და იქიდან გადმოცვნილ ნაცარს ჯერ კიდეც ბოლი ასდიოდა. საცეცხლური იატაკს მოხვდა და ახმიანდა.

— როცა წავალ, ისე მოიქცევი, როგორც გოიბურუმ თქვა, — გაიმეორა მღვდელმა მიმნდობი, მაგრამ მბრძანებლური კილოთი, როგორც ელაპარაკებოდა ხოლმე ბიჭს.

— რა თქვი, მა?

— რაც გაიგე. ამაღამ ჩუმაღ, ისე რომ მთიდან არავინ დაგინახოს, დაწვავ ამ ქანდაკებას. მერე ნაცარს მიწას მიყრი და პირს ამოიკერავ. ფრთხილად იყავი! მაინც გოიბურუს დააბრალებენ, ან კიდეც ვინმეს... მე რა ვიცი... ასე სჯობს. ეს უნდა დამთავრდეს — ჩაილაპარაკა მღვდელმა. — გაიგე, რაც გითხარი?

— ქრისტე დაწვავ, მა...? მე? — წაისლოკინა მნათემ.

ასეთი ბრძანებით გამოწვეულმა შიშმა და ეჭვმა, რომ ნათქვამი მთლად კარგად ვერ გაიგო, მუნუკებიანი სახე მოუბრცა საცოდავს. ყელში აუდიოდა და ჩამოუდიოდა ხვანჯი.

— მე? — ნაიბლუკუნა ისევ.

— ჰო, ამას დაწვავ... — ნაიბლუკუნა მღვდელმაც და კარადის უჯრა ხმაურით მიკეტა.

— ქრისტე დაწვავ! Jhake ra'e!

— ჯერ ნაკურთხი არ არის! ასე რომ, მხოლოდ მორია.

— მაგრამ როგორ, მა? — გამოსცრა შეშინებულმა ბიჭმა და გარეთ გაიხედა. — მთიდან რომ ჩამოიტანეს იმის მერე რიგრიგობით ყარაულობენ. მაჩეტეებიც აქვთ!

— ჩემი სახელით მიხვალ კომისარიატში სერჟანტთან. ის დაგეხმარება... — იგრძნობოდა, რომ პადრე თვითონაც არ იყო დარწმუნებული იმაში, რასაც ამბობდა. მისი სიტყვები გაუგებარმა ლულულა შთანთქა.

მღვდელმა მტვერდამცავი ლაბადა მოიხურა და სამრევლო სახლისაკენ გაეშურა. იქ, ვიდრე მატეს უმზადებდნენ, საკმაოდ შელახული ჩანანერების ფურცვლა დაიწყო. მერე ცხენი მოითხოვა და სასწრაფოდ გაჰქუსლა ბორხასაკენ. არც საკვირაო მესაზე ისურვა დარჩენა და არც გზაში მისალმებია ვინმეს. მას კი ეს არ სჩვეოდა.

სოფლებმა მიიჩნიეს, რომ პადრე დილით მომხდარი ამბის გამო იყო უგუნებო.

მნათემ რალაც მანძილზე გააცილა მღვდელი. იგი უწინდელზე მეტად კოჭლობდა და თავიც კიდეც უფრო ჩაქინდრა.

13.

მთვარესა და ცვარში ჩაძირულ სიჩუმეში ეძინა სოფელს.

მტვრიან ნათებას რძისფერ ბურუსში გაეხვია ქოხები და ხეები.

იქვე, ტაძრის მავთულხლართიან ღობესთან, პალმის ძირში ოთხი კაცი წამოწოლილიყო და თვლებდა. ერთ-ერთი მაკარიო იყო.

რალაცამ გაიფაჩუნა. მაკარიო შეკრთა და წამოიწია. არ დაუნახავს, თუმცა იგრძნო, რომ პონჩოებში გახვეული ჩრდილები ფრთხილად უახლოვდებოდნენ კედელზე მიყუდებულ ქრისტეს. გაცეცხისაგან თვალეები დაახამხამა. მართალია ლიბრი ჯერ გუგებზე არ გადაფაროდა, მაგრამ მანც ცუდად ხედავდა. ისევ მოესმა ფაჩუნი. იმნამს იცნო

მაჩეტეების წკარუნი, თანაც გალიოს მარკისა, რომელთაც კომისარიატის tajhachies-თავზეხელაღებულები პონჩოებს ქვეშ მალავდნენ ხოლმე.

— პედრო მარტირ... ელიხიო... ტანი! — შესძახა მაკარიომ თავის ბიჭებს.

ყველანი უცებ წამოხტნენ, თავთავიანთ მაჩეტეებს სტაცეს ხელი, მავთულხლართს გადაეკლნენ და თავს დააცხრნენ მომხდურებს, რომელთაც უკვე ხელთ ეგდოთ ქანდაკება.

— ხელი არ ახლოთ, წყეულებო — მოისმა უკნიდან მაკარიოს ყვირილი.

მოულოდნელობისაგან ბანდიტებმა ხელი უშვეს ქრისტეს და დანამომარჯვებულები კედელს აეკვრნენ. საბჯენებს იქით კი, მთვარის შუქზე მნათეს ნაყვავილარმა, გაფითრებულმა სახემ გაიელვა. შამუჭუ-ს (ერთგვ. ღამის ფრინველი — ე.კ.) ნილაბი გეგონებოდათ. უეცრად იგი წაიქცა, ფეხი აითრია და სამრეკლოსაკენ გახოხდა. ამასობაში პონჩოში გახვეული ორი ჟანდარმი გასასვლელისაკენ გაცოცდა და სიბნელეში გაუჩინარდა.

14.

ბიჭების დახმარებით მაკარიომ ქრისტე თავის ქოხში გადაიტანა. გზაზე მათ ძილგამფრთხალი სოფლები შემოუერთდნენ. ყველა დუმდა, არავის არაფერი უკითხავს. მათი ფეხის ხმაც კი მტვერში ჩაიკარგა. დიდი მღელვარების შემდეგ სიჩუმე უცნაურად ჩამოწოლილიყო რძისფერი შუქით გაჟღენთილ სიმშვიდეზე.

მოედანზე რომ გავიდნენ, ზარმა ნერვულ ხველებასავით ჩამოჰკრა. ხალხმა სამრეკლოსაკენ გაიხედა და იქ მოკრუნჩხული ჩრდილი დალანდა. მნათეზე არავის უფიქრია. პატარა პროცესიამ გზა განაგრძო. ქრისტეს ქანდაკება პედრო მარტირს, ტანისა და ელიხიოს მიჰქონდათ. ისინი გასპარის წარჩინებული შეგირდები იყვნენ და სწორედ მათ მიაბარეს მუსიკოსი მიწას. დამშვიდობებითაც უკანასკნელნი დაემშვიდობნენ მას. ახლა კი ოსტატის ბოლო ნახელავი მიჰქონდათ.

ქელს ჩაჭიდებული მნათე კი ზემოდან დასცქეროდა რა ნელა და მდუმარედ მიჰყვებოდნენ სოფლები მორს, რომელსაც მაცხოვრის იერი ჰქონდა. მან ის მხრებზე დასვენებულ მიშველ, ქათქათა ჩვილად აღიქვა და ხელებზე დაიხედა. სწორედ ამ ხელებით კინალამ დასწვა ის, რაც უფრო მეტი იყო, ვიდრე ხის ნატეხი.

მნათემ ქელს ჩაბლაუჭებული ხელები ნელა გაშალა. თავი ღამის მთლიანად გაეყო ზარის ხვრელში, რომლის ზრიალიც კვლავ სცემდა საფეთქლებში. ცრემლით ამომწვარი თვალეების წინ კი დაძენილი თოკი ფრიალებდა. როდესაც ზარის გუგუნი ჩაკვდა რკინაში, კრიჭამეკრულს სლუკუნიც კი აღმოხდა. მერე თოკს სწვდა და ერთხანს რალაცას ხლართავდა.

მოფიცრულზე ფეხების ყრუ ბაკუნი გაისმა. ისევ შემოჰკრა ზარმა სულისშემძვრელად და, როდესაც გამშებული ფეხი ჰაერში აქანავდა, ყველაფერი დაწყნარდა და ღამის სიმშვიდეს შეერია.

15.

სამი დღე და სამი ღამე მოუნდნენ სოფლები ვითარების აწონ-დაწონას. ზედმეტი სიტყვა არავის დასცდენია.

ვილაცამ, შესაძლოა მაკარიომ, გაიხსენა, რომ წვიმა

სწორედ მაშინ წამოვიდა, როდესაც გორაკს ჩაუარეს, და ყველამ ერთხმად დაასკვნა, რომ ის გორაკი ძალიან ჰგავდა გოლგოთის მთას. ჰოდა, კეთროვანის ქრისტეც სწორედ იქ, სუფთა ჰაერზე, ცასთან ახლოს უნდა წაეღო.

ერთ წამში ეს აზრი ღალადისში გადაიზარდა და მთელს სოფელს მოედო. მაკარიოს ქოხი კი თავშეყრის ადგილად იქცა და წარმოუდგენელ ყაყაში გაეხვია. იმ დღეებში ბებერი მათხოვარა წამდვილი პატრიარქი გახლდათ, განდგომილი და აჯანყებული, რომელსაც ყველა ეტანებოდა.

გორაკი მთელმა სოფელმა ერთად დაასუფთავა. პედრო მარტირის, ელიზიო ბრისუენიასა და ტანი ლოპესის დახმარებით მაკარიომ ჯვარი გამოთავა და ზედ ქრისტე მიალურსმა. მერე, საერთო ფაციფუცში ვილაცის მიერ მოტანილი ქალის შავი თმაც მიანება. მხოლოდ მოგვიანებით, უკვე აღმართულ ჯვარცმასთან შეამჩნიეს დაფლეთილ მოსახლამში გახვეული, გაკრეჭილი მარია როსა.

ჯვარცმა გორაკის თავზე აღმართეს. მის გარშემო კი ავდრისაგან დასაცავად თალი მოწნეს, ზუსტად ისეთი, იმ ქოხს რომ ჰქონდა ხევის პირას, სადაც მათი ქრისტე დაიბადა.

ქრისტეს მიერ გამოწვეული მღელვარება, ალბათ, კიდევ გაგრძელდებოდა, რომ არა კურიის გადაწყვეტილება — დათმობას დაყაბულებულიყო და ქანდაკების კურთხევაზე დასტური მიეცა, უფრო ზუსტად კი, მაკარიოს სურვილის საწინააღმდეგოდ, თავს მოეხვია.

— ჩვენს ქრისტეს მათი კურთხევა არ სჭირდება — ნაიბუტბუტა მოხუცმა. მაგრამ მოუწია უკან დახევა, რადგანაც განხეთქილების ცეცხლი ვერ აგიზგიზდა.

16.

დღესასწაულებიდან იტაპეს გორაზე პირველად ვნების პარასკევი აღინიშნა.

ასუნსიონიდან იმ დროის უბადლო ორატორი პადრე ფიდელ მაისი წამოვიდა, რათა ეკურთხა ელ კალვარიო და „შვიდი სიტყვა“ ექადაგა.

რიტუალზე დასასწრებად მთელმა სოფელმა მოიყარა თავი, რაც მაკარიოსა და მის მომხრეთა გამარჯვებას ნიშნავდა.

წმინდა მამის ქადაგებამ გულშეძრული ხალხი თავისკენ გადაიბირა. პადრე მაისი ცნობილი იყო მგზნებარებითა და მჭექაქარე ხმით, თანაც, სრულყოფილად ფლობდა გუარანის, რაც მონტოიას ეპოქის მახასიათებელი იყო.

ფიდელ მაისმა ადვილად დაარწმუნა იტაპელები, რომ უსასრულოდ თავმდაბალმა ძემ ღვთისამ ინება, რომ მისი გამოსახულება კეთროვანს გამოეთალა, ისევე, როგორც ორი ათასი წლის წინათ ისურვა ბაგაში მოვლენოდა ქვეყნიერებას.

— იტაპეს ამ გამორჩეულ გორაკს — განაგრძო მოძღვარმა, — ამიერიდან ეწოდოს Tupa-Rape, იმიტომ, რომ ღმერთი თავმდაბალია, იგი დადის გზებზე და მადლს აფრქვევს...

ასე ჰქვია იმ ადგილს დღემდე Tupa-Rape, რაც ინდიელთა ენაზე „ღვთის გზას“ ნიშნავს.

— მე არ ვიყავი თანახმა, — ყვებოდა მაკარიო, — არ იყო საჭირო ადგილისთვის სახელის გამოცვლა, ან Kuimbae-Rape უნდა დაერქმიათ.

თვითონ მაკარიო ამ სახელით იხსენიებდა გორაკს: ძე-

ხორციელის გზა.

— იმიტომ, რომ ადამიანი, შვილებო, — იმეორებდა იგი გასპარის სიტყვებს, — ორჯერ იბადება. პირველად, როდესაც ჩნდება ამ ქვეყანაზე, და, მეორედ, როდესაც კვდება. კვდება, და თუ იგი მართალი იყო მოყვასის წინაშე, სხვებში აგრძელებს სიცოცხლეს. მაგრამ თუ მან თავის თავზე გული აიყარა, მინა მხოლოდ მის სხეულს შექამს და არა ხსოვნას...

უზენაესის მიერ გათავისუფლებული მონის შვილისათვის ეს გახლდათ ერთადერთი უსასრულოება, რომელსაც უნდა ესწრაფოდეს ადამიანი. მან უნდა მოინანიოს ცოდვები და სხვებში განაგრძოს სიცოცხლე, რამეთუ ყველას ბედის მუხანათობა და სინანული აერთიანებს და ერთ უღელში გააბამს.

— ყველას ნახელავი უნდა იყოს...

ალბათ, მაკარიო ამას იმიტომ ამბობდა, რომ სინამდვილე არ ესადაგებოდა მის სურვილებს.

— მე უკვე ძალიან დავბერდი, მთლად ჩამოვიღვენთე. ახლა თქვენ უნდა შეეჭიდოთ განსაცდელს...

ჩვენ მისი არ გვესმოდა და ჭკუასუსტად მიგვიჩნდა.

ცოტა ხანში მაკარიო ერთიანად დაუძღვრდა. მომდევნო წელს, ასწლეულს რომ ვზეიმობდით, თვალები ბოლომდე დაელიბრა, დღითიდღე ხმებოდა და კიდევ უფრო მოიკუზა. ალბათ იმ ბოლო მარცხის გამო, რომელიც მოხუცს თავის ოთხმოცდაათ წელზე უფრო მძიმედ აწვა მხრებზე.

მივიწყებისა და გულგრილობის ჯურღმულში სულ მართოდ დარჩა ბრმა და მეხსიერებადაკარგული მაკარიო. მე იგი ასეთი დამამახსოვრდა.

რომელიმე ბიჭს რომ ერთი მუჭა მტვერი შეეყარა, იქვე დაიშლებოდა.

17.

რკინიგზა წითელი ნაპრალივით სულ უფრო ღრმად იჭრებოდა ტრამალებში.

გორაკს რომ გასცდებოდით, უკვე ნათლად დანახავდით მინდვრებში გადებულ მზონინავ რელსებს.

იტაპეც ნელ-ნელა ფხიზლდებოდა საუკუნოვანი ძილისაგან. ხალხი კი ისევ ორ შეურიგებელ ჯგუფად გაყოფილიყო და ელოდა, თუ ვინ აიღებდა ხელში შესუსტებულ მმართველობას — პოლიტიკური შეფა თუ მღვდელი.

მაკარიო ისევ დაბორილობდა გზებზე და შპალების გუგუნს უგდებდა ყურს. ნიჩბებითა და წერაქვებით აღჭურვილი მუშები კი კატორღელებივით თავგანწირვით მუშაობდნენ.

— მშვიდობით, მაკარიო? — ეტყოდნენ, როცა ჩაუვლიდა.

თუ მათთან ახლოს მივიდოდა, თავიანთი ისედაც მწირი ლუკმიდან რამეს გაუნოდებდნენ, იმდენს, ჩიტის ნისკარშიც რომ ჩაეტეოდა.

ზამთრის ერთ ცივ დილას თეთრ ძონძებში გახვეული მაკარიო გორაკის ძირში იშოვს, გაშეშებული და დადუმებული.

იტაპელებმა იგი საზიდარზე გადაიტანეს და რკინიგზის გავლით სოფელში ჩამოასვენეს. მზონინავ რელსებზე რომ გადაატარეს, საზიდარი ისე აჭრილდა, რომ მაკარიოს პანაშვიდი გეგონებოდათ.

იგი ბავშვის კუბოთი დასაფლავეს.

ფასი თუ ფასეულობა

საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და შვედეთის შტატების გაზეთები დროდადრო აჭრელდებოდა ხოლმე მყვირალა სათაურებით: „ფალსიფიკატორთა ბანდამ ნაყალბევეებით დატბორა იტალია და საფრანგეთი, გერმანია და შვეიცარია... 75 მილიონი ყალბი სურათი მიდი-მოდის ევროპაში... შვედეთულ შტატებში შეტანილია რემბრანდტის 10 ათასი და ვატოს 100 ათასი სურათი...“

აფორიაქებული პრესა უსაზღვრო პანიკას თესავდა კოლექციონერებსა და მუზეუმთა თანამშრომლებში.

ფრანგულ „ხელოვნების მოყვარულთა ჟურნალს“, ერთ მშვენიერ დღეს, ჩაუტარებია გამოკითხვა, სადაც არკვევდნენ ხელოვნების ნაწარმოებთა შეძენის მოტივებს. აი, როგორ გამოიყურება გამოკითხვის შედეგები: კაპიტალის დაბანდება — 24%, სპეკულაცია — 19%, სწრაფვა მორთულობისკენ — 17%, სიყვარული ხელოვნებისა — 17%, საჩუქრები — 7%, სნობიზმი, მოდის აყვლა — 6%, სენტიმენტალური მოტივები — 6%, მეცენატობა და პირადი ურთიერთობანი მხატვრებთან — 4%.

მაშასადამე, შემთხვევათა თითქმის ნახევარში ხელოვნების ნაწარმოებთა შეძენის მოტივები პირწმინდად მატერიალური აღმოჩნდა, ხოლო ესთეტიკური მოტივები თავს იჩენს შემთხვევათა მხოლოდ ერთ მეოთხედში.

ამიტომაც ასკვნიან: ეს იმას ნიშნავს, რომ ბაზარს მართავს არა ინტერესი მხატვრული ფასეულობისადმი, არამედ ხელოვნების ნაწარმოებთა ფასისადმი.

ამგვარ პირობებში ფრთებსა შლის ფალსიფიკაცია და მისი დაძლევა არ ძალუძთ არც სახელმწიფო კანონებს და არც სისხლის სამართლის კოდექსებს.

ყალბისმქნელთა ერთ ჯგუფს რომ გამოამჟღავნებენ, მის ადგილს მისივე სხვა ჯგუფი იჭერს. და რაც მთავარია, ამა თუ იმ ჯგუფის ლიკვიდაციის შემდეგ ნაყალბევი პროდუქცია განაგრძობს მოძრაობას სამხატვრო ბაზარზე, ფეხს იკიდებს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

რა აიძულებს მხატვრებს, რომ ხელი მოჰკიდონ ფალსიფიკაციას? პასუხი მარტივია: უპირველეს ყოვლისა — გაჭირვება. ძალზე ძნელია, მხოლოდ ნიჭის წყალობით დამკვიდრება რჩეულთა ორბიტაზე და შესაბამისად — მაღალი ანაზღაურება. ხანდახან გამოჩნდება ხოლმე სხვა მოტივებიც: პატივმოყვარეობა, ცინიზმი, ლტოლვა მისტიფიკაციისაკენ, ნადილი საზოგადოების გაპამჟღავნებისა.

ალბათ ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც პოზიტიური მოტივი ამოძრავებდა, იყო გუსტავ კურბეს ნამუშევართა ფალსიფიკაცია. საქმე ისაა, რომ 1871 წელს კურბე პარიზის კომუნაში მონაწილეობის გამო ციხეში ჩააყუდეს და მოგვიანებით უზარმაზარი ჯარიმაც შეანერეს. ჯარიმის გადასახდელად მხატვრის სახელოსნოში დავანებული სურათები გაყიდეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ კურბეს ერთგულმა მეგობარმა და მონაფემ კლიუზერემ გადაწყვიტა, რომ ხელახლა დაემზადებინა კურბეს სურათები და ასე გაისტუმრა ჯარიმა.

თალღითი მარშანების (ფრანგულად ნიშნავს „მოვაჭრეს“) ფენომენი, ხშირად, გაცილებით ოდიოზურია, ვიდრე ბეჩავი ფალსიფიკატორებისა. მარშანები ყალბისმქნელს უხდიან გროშებს და თავად კი ზღაპრულად მდიდრდებიან ნაყალბევის გაყიდვით. მოგება, არცთუ იშვიათად, ათას პროცენტს აჭარბებს ხოლმე.

ეს სინდისგარეცხილი ექსპლუატატორები იმიტაც სარგებლობენ, რომ მათზე დამოკიდებულ მხატვარს, საიდუმლოების შენახვის აუცილებლობა აიძულებს პასიურობას. თუკი საჯაროდ აუფანცდება დამსაქმებელს, ფალსიფიკატორი

რი ამით თავის დანაშაულებრივ მოღვაწეობასაც ხომ გაამჟღავნებს.

ალნუსხულია ფალსიფიკატორთა ფავორიტები. ესენი არიან: რენუარი, ვან გოგი, პიკასო, მონე, უტრილო, მოდილიანი. პირველი ადგილი კი მიეკუთვნება გულჩვილ კოროს, რომელიც ხელს აწერდა თავის მონაფეთა ნამუშევარს და ამით ბიძგს აძლევდა ყალბისმქნელობას.

ერთ ენამოსწრებულ ფრანგის სიტყვით, კორო სამი ათასი სურათის ავტორია, რომელთაგან ათი ათასი ამერიკაში გაიყიდა.

ახია მაგათზე! ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს ფრანგი ლიტერატორი და კოლექციონერი პოლ ედელი წერდა: „უპირველესი ბრალი ნაყალბევეთა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიაში მიუძღვით ხარბ ამერიკელ კოლექციონერებს“.

ისინი, წინარე პერიოდის გაცდენის გამოსასწორებლად, ყიდულობდნენ ყველაფერს, რაზედაც ხელი მიუწვდებოდათ. ამით უსაშველოდ ასნიეს ფასები და სტიმული მისცეს შავბნელ მაქინაციებს.

ფალსიფიკატორები განსაკუთრებით ეტანებიან XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის მხატვრებს. ეს შემთხვევითი როდია. ვთქვათ, ვან გოგი და მოდილიანი, ხელმოკლეობის გამო, თავის საუცხოო სურათებს ხატავდნენ იმით და იმაზე, რაც ხელში მოხვდებოდათ. ასე რომ, ფალსიფიკატორებს ღალატს სჭირდებათ გარკვეული საღებავებისა თუ ამოჩემებული ტილოების ძებნა.

საზოგადოებაში მიაჩნიათ, რომ მხატვრის ხელმოწერა არის ნამდვილობის გარანტია. და არ უწყიან, რომ ყალბი ხელმოწერა ყველაზე იოლი რამ არის ფალსიფიკატორისათვის. უფრო ხშირად მხატვრის ხელმოწერას აკეთებს მარშანი და არა — თავად ფალსიფიკატორი. ამ უკანასკნელმა ზოგჯერ ისიც კი არ იცის, რომ მარშანი, მისდა დაუკითხავად, მის ნახელავ-ნაყალბევეს ამკობს რომელიმე სახელოვანი მხატვრის ხელმოწერით.

ფალსიფიკატორებსაც და მყიდველებსაც ავიწყდებათ, რომ წარსულის ოსტატები, ძალზე იშვიათად, აკეთებდნენ ხელმოწერას.

თქვენი წარმოდგინეთ, წარსულის ოსტატთა 100 ნამდვილი სურათიდან ხელმოწერა თურმე მხოლოდ 10-ს მოეპოვება, ხოლო 100 ნაყალბევი სურათიდან ხელმოწერა 90-ს ახლავს.

დილეთანტს ასეთი შეკითხვაც შეიძლება გაუჩნდეს, ნეტავი რას უფრო მეტი ფასი აქვს — მხატვრის გვარსა თუ ნამუშევარს?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰოლანდიელი ფალსიფიკატორი ვან მეეგერენი წარმატებით ქმნიდა XVII საუკუნის დიდებული მხატვრის, ასევე ჰოლანდიელის, ვერმეერის ახალ ტილოებს (ასლებს კი არა, ახლებს!) და იხვეჭდა მილიონებს. მთელი ევროპის რჩეული ექსპერტები გააცურა.

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, ვან მეეგერენს სამშობლოს ღალატი დასწამეს, ეროვნული საუნჯე — ვერმეერის სურათები ნაცისტთა ბოზობლებს მიჰყიდდნენ. ბრწყინვალე ფალსიფიკატორი, სასიკვდილო განაჩენის შიშით, იძულებული გახდა, რომ თავისი ყალბისმქნელობა გაემჟღავნებინა. სიკვდილით დასჯას გადაურჩა, მაგრამ ციხეში მაინც უკრეს თავი, ხოლო დარჩენილი „ვერმეერები“ აუქციონზე რომ გაიტანეს, კაპიკებად გაიყიდა.

მოდი და ამის შემდეგ გაიგე ტყუილ-მართალი და სამართალი!

მინისტრი — მსახიობის როლი

მსახიობის ხელობაც ხომ ეგ არის, რომ დღეს მეფის როლი ითამაშოს, ხვალ — მათხოვრისა, ზეგაც მინისტრად მოგვევლინოს. მაგრამ მინისტრის გადაქცევა მსახიობად, ალბათ, არცა გსმენიათ. არადა, ამგვარ უნიკალურ ფაქტსაც ჰქონია ადგილი იმ სახელმწიფოში, რომელსაც პლანეტის ერთი მეექვსედი ეჭირა და დარჩენილი ხუთი მეექვსედის გადაყლაპვაც ედო გულში.

1944 წელს მოსკოვში ჩასულა ნეიტრალური შვედეთის დიპლომატიური მისია, რათა საბჭოთა მთავრობასთან გაემართა მოლაპარაკება ნაცისტური გერმანიის მხარეზე მყოფ ფინეთთან დაზავების თაობაზე. ჰიტლერის ხომალდი უკვე უიმედოდ იძირებოდა და ვირთხები თავის გადარჩენას ლამობდნენ.

საბჭოთა მთავრობას, თავის მხრივ, გულით ენადა ეს დაზავება, ვინაიდან მზადდებოდა მსხვილი სამხედრო ოპერაცია პოლონეთში და საჭირო იყო წითელი არმიის ცენტრალური დაჯგუფების გაძლიერება ჩრდილოეთიდან გადასროლილი შენაერთებით.

მაგრამ ჰელსინკიში ჩასულმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა ყველაფერი ყირაზე დააყენა. ფინელებს დაჰპირდა დამატებით სამხედრო დახმარებას და დაარწმუნა, რომ არ დაზავდებოდნენ მტერს.

მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა და კიდევ ერთხელ ნაქნებული ფინეთი თვალს არ უსწორებდა უღმობელ რეალობას.

და აი, მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროში მოეწყო დიპლომატიური მიღება, რომელსაც შვედეთის მისიის წევრებიც ესწრებოდნენ.

ვალენტინ ბერეჟკოვი, თარჯიმანი სტალინისა, გადმოგვცემს, რომ დიპლომატიური მიღება უკვე მთავრდებოდა, როდესაც ერთ-ერთი დარბაზიდან უჩვეულო ხმაური მოესმა. ყვიროდნენ და ამ ყვირილში ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ბერეჟკოვისთვის უაღრესად ნაცნობი ხმა, რომელიც ეკუთვნოდა, არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ნარკომს (ასე ერქვათ მინისტრებს იმ წყეულ ეპოქაში) ვიარჩესლავ მოლოტოვს (მოფერებით „ქვისტრაკას“ რომ ეძახდნენ). და რაც მთავარია, საბჭოთა დიპლომატია შეფს ჩვეულებრივზე მეტად ებორძიკებოდა ენა, რაც მის უკიდურეს მრისხანებას მეტყველებდა.

ბერეჟკოვი სასწრაფოდ გაეშურა იქით და რას ხედავს: მოლოტოვი, გარშემორტყმული ამერიკის, ინგლისის, ჩინეთის, იაპონიისა და სხვა სახელმწიფოთა ელჩებით (იქვეა შვედეთის ზემოხსენებული მისია სრული შემადგენლობით), ხელებს იქნევს, რაც იშვიათად სჩვეოდა, და გაჰყვირის: „ჩვენ აღარ ვაპირებთ მოვითმინოთ ფინელთა სიჯიუტე! თუკი ეს მარჯალჩასვრილინი თავისას გააგრძელებენ, დაფშვნი! ქვას ქვაზე არ დავტოვებთ! მაგათ აჯემები ნუ გვინივართ! მშვენივრად ვიცით, როგორ ეარმიებთან ჰიტლერს. ჩვენ ვერ გავგაცურებენ! თუკი ომის გაგრძელება ნებაზე, საკადრისს მიიღებენ. არ არის ძალა ისეთი, რომ შეაჩეროს წითელი არმია...“

თანაშემენი და დაცვის ბიჭები ცდილობდნენ გამძვინვარებული მინისტრის დაშოშმინებას: „ვიარჩესლავ მიხაილოვიჩ, უკვე გვიანია კრემლში დაბრუნების დროა“. მაგრამ მინისტრი არა ცხრებოდა: „თავი დამანებეთ, მე თვითონ ვიცი, რას ვაკეთებ! დაგვაცათ, ეს ვირიშვილები მალე ინანებენ თავიანთ ტუტუტურ სიჯიუტეს. მაგათ ვუჩვენებთ სეირს, მაგათი დედა ასე და ისე!“

უცხოელი დიპლომატები გაოცებით შეჰყურებდნენ მოლოტოვს, რომელიც ყოველთვის დაცლილი ჩანდა ემოციებისგან.

დაცვას, ბოლოს და ბოლოს, მოუხერხებია მისი გაყვანა, თუმცა გზადგავა განაგრძობდა ლანძღვა-გინებას ფინელთა მისამართით. მანქანაში რომ ჩასვს, იქიდან გადმოხტომას ლამობდა.

ელჩებმაც სასწრაფოდ მიატოვეს იქაურობა, რათა თავიანთი მთავრობებისათვის ემცნოთ ესოდენ სენსაციური ინციდენტი.

მეორე დღით მოლოტოვს თავის კაბინეტში გამოუძახებია ბერეჟკოვი. კარგ გუნებაზე ყოფილა და ემბაკურად ელიმებოდა.

სთოვსა, დანვრილებით მიაშბეთ გუშინდელი. ბერეჟკოვმა რბილად დაინყო. „არა, ეგრე არა! — შეანყვეტინა მოლოტოვმა, — მიაშბეთ ყველაფერი ზუსტად, როგორც იყო, მიაშბეთ კუპიურების გარეშე! რა ვთქვი და როგორ შეხვდა ამას პუბლიკა.“

ბერეჟკოვს ძალზე ეუხერხულებოდა მოლოტოვის მიერ გადმოფრქვეული ლანძღვა-გინების გამეორება, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, იძულებული იყო, რომ სიტყვასიტყვით მოეხსენებინა ყველაფერი.

„მე მგონი, სტუმრები შეძრწუნდნენ და კიდევაც შეშინდნენ“, — ასე დაუთავრებია თავისი ანგარიში.

მოლოტოვი ფრიად კმაყოფილი დარჩენილა და უთქვამს: „ძალიან კარგი. მშვენიერია“.

ბერეჟკოვი წერს, მაშინლა მივხვდი, რომ გუშინდელი სცენა მოლოტოვმა გაითამაშაო. ალბათ სტალინთან შეთანხმებულიც იქნებოდა და, შესაძლოა, თვით „ხაზინის“ (ასე ეძახდნენ ბელადს მისი უახლოესი თანამშრომლები) ჩანაფიქრს ახორციელებდაო.

ცოტა ხნის შემდეგ შვედებს გაწუცხადებიათ, რომ ჰელსინკი მზად იყო სერიოზული მოლაპარაკებისათვის. მოსკოვში ჩავიდა ფინეთის სამთავრობო დელეგაცია და ზავიც დადებულ იქნა.

ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელი ელჩი მოსკოვში ავერელ ჰარიმანი იუმორის ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული და მომხდარის თაობაზე ასეთი ანეკდოტი შეუთხზავს:

სტალინი ეუბნება ბერეჟკოვს: გადაეცით ამხანაგ მოლოტოვს, ხვალ დიპლომატიურ მიღებაზე ხულიგნის როლი ითამაშოსო. კი მაგრამ, ამხანაგო სტალინ, მოლოტოვი მსახიობი რომ არ გახლავთ?! არა უშავს, მე ვუბრძანებ და სახალხო არტისტი გახდებოა.

აკი გახდა კიდევ. მინისტრის დებუტმა თეატრალურ ასპარეზზე დიდი წარმატებით ჩაიარა.

კავკასიურ სახლში გაიმართა პოეტის, პროზაიკოსის, პუბლიცისტისა და მხატვრის, მარსიანის (გია ბენიძის) პოეტური კრებულის „ლიროეკლესტიკის“ წარდგინება. გამომცემელმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ გიორგი კილაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ნიგნი ძალიან მცირე ტირაჟით თვითონ გამოსცა რადგან მიაჩნია რომ მარსიანი ჩინებული პოეტია და საზოგადოება მის ხელოვნებას უნდა იცნობდეს.

მარსიანის შემოქმედება ვრცლად მიმოიხილა კრებულის რედაქტორმა, პოეტმა და პუბლიცისტმა იკა ქადაგიძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მარსიანის პოეტური ნიმუშების პროფესიონალიზმსა და ორიგინალურობაზე. დასძინა, რომ ნიგნი გემოვნებთან, ინტელექტუალურ მკითხველზეა ორიენტირებული, რომელსაც წინ დიდი ესთეტიკური სიამოვნება ელოდება.

მარსიანი, როგორც ოსტატე, უსამართლოდ დგას ჩრდილში. მისი პოპულარიზაცია სხვადასხვა მიზეზთა გამო ხელოვნურა-

დაა გაჭიანურებული. პოეტმა გიორგი ბუნდოვანმა მის მრავალმხრივ ნიჭზე ისაუბრა და წუხილი გამოთქვა, რომ თანამედროვე ხელოვანი გაუსაძლისი პირობების გამო ფიროსმანისა და ტერენტე გრანელის ხედვრს იზიარებს.

მწერალმა ჯემალ ქირიამ მარსიანის პროზაულ ნაწარმოებთა და პუბლიცისტური წერილების ღირებულება გამოკვეთა. აღნიშნა აგრეთვე, თავის დროზე მარსიანის ფანტასტიკის ჟანრის რომანები რომ გამოქვეყნებულიყო, ქართულ მწერლობაში სათანადო გამოძახილს ჰპოვებდა.

სიტყვით გამოვიდნენ: ონისე ბანძქელაძე, დალილა ბედიანიძე, რუსუდან ქანტურიშვილი, ნუნუკა გურალაია და ეკა კაპანაძე.

ნავსი გატყდა და მყუდრო დარბაზში ტელევიზია გამოჩნდა. ამ უცარი სიურპრიზით დაბნეულმა პოეტმა თავისი ნიგნები ობიექტივის წინ გამოფინა. დასასრულ, დამსწრე საზოგადოებას დაფასებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა და საკუთარი ლექსები მისთვის ჩვეული ინტონაციით წაიკითხა.